

კვირის პალიტრა



პეპა

დაიწყა!

№15 (409) 10/17-16/19 2008 წლის 18 თებერვალი



ახალი
ისტორიული
რომანი
აღმავანების
ეპოქაზე

„დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი“

„გლეხის“ ავტორისგან

მამაკაცი, რომელიც ეკა ბენელიანს
გვირდიდან არ სცილდება



„მის სისოცლან ვიყავი...“



რუსების მიერ დაკავთილი
ქართული სიმღერა და
დაუბრუნების მსურველი
„ფორგან დედა“



ამერიკული
ვესტერნის ქართული
უსახელო გმირები...

რატომ იბადებიან ბავშვები თანდაყოლილი გულის მანკით



საბა SABA

სამზარეულოები იტალიაში



MIDNIGHT SPAGHETTI ALL'ITALIANA.



 **BERLONI**

YOUR HOME, ABOVE ALL.

ქანდელაკის ქ. 65 0160 თბილისი საქართველო

www.saba.ge e-mail: info@saba.ge  (+995 32) 38 44 54

მზის გზა

შურნალი შურნალუი

გზნილები



№15 (409)
10 - 16 აპრილი,
2008 წ.
ფასი 80 თეთრი



ჭაღები და მამაცყვები ერთმანეთის მხოლოდ იმასი
გიახმებთან, რომ ჭაღის ნდობას ამ შეიძლება.



ვირველი სიყვარული



ქონსულობაცია



ცხელი-საღვინო

39-70

რას აკეთებს ქილის წინ ელენე თეოდორაკი

სშირად კითხულობს ბორის აკუნინის ნაწარმოებებს. ქურდობისკენ მიდრეკილება არა აქვს და შესაბამისად, წიგნიც არასდროს მოუპარავს „და ვინჩის კოდის“ წაკითხვის შემდეგ მიშის გრძნობა დაეუფლა და ამ წიგნის სამყაროდან თავის დაღწევას დიდხანს მოუნდა.



20

რას მოგვითხრობენ „ღაღაჲნის ანგელოზები“



„მონაზონი“ ბერძნული წარმოშობის სიგყვია და მარგო მყოფს ნიშნავს. „გნებაეს განშორება სოფლისგან, პატიოსანო მამაო“ – ამ სიგყვების წარმოთქმისა და სამი აღთქმის (მორჩილება, ქაღწულობა, უპოვრობა) დაღების შემდეგ, მონაზონური ცხოვრება იწყება.

24

- **მინიატიურები**
- ყველანი ყველას წინააღმდეგ ანუ წინასწარჩვენო უოლიტიკური „ღონანა“ 5
- **ფაქტი და კომენტარი**
- „კარგია, მოზონიხია მინს რომ მოახარსა ბაართიანება“... 6
- **ღაღაჲნის**
- **ღღა სანაული**
- საპროტესტო მანიფესტაცია – საოხრება საბჭოთა სინაგოგოეუი 8
- **შურნალისტის როლუი**
- ბაღიჩაქორობაუი ზურა მანჯაჲიქა და ღაუბაგოგონის მსურველი „ფორტან ღაღა“ 12
- **სამართალი**
- „ძირს საპროკურორო სანაღმნიფო! – ჩვენ სამართლიანი სანამართლო გვინდა!“ 14
- **აქსენი**
- მამანენე კლარა 16
- **ქალი საქანათან**
- „ერთღროულად შვიქლია, გუჩის სანსინს ნავისა, მოგიღარუხს ვილაპარაკო და მანანას ვართო“... 18
- **ღაღაჲნიშვილები**
- მამაქანის, რომელის ექა გუნაღიანს გვერდიღან არ სხიღღება 19
- **არკულიტი**
- რას აკეთებს ქილის წინ ელენე თეოდორაკი 20
- **ანტიღაღაჲნისანი**
- **არკუნებასი**
- ჩრდილისგან ბამიჯნული სინათლა 22
- **თამა**
- რას მოგვითხრობენ „ღაღაჲნის ანგელოზები“ 24
- **ქართველები**
- ამერიკული ვესტარნის უსახელო გვირები 28

თამაღა არ ჰყოლია იმ საღღეგრობელის. უბრალოდ ერთმა სმამაღლა თქვა ის, რაბეც ყველა ფიქრობდა.
„მოდი, ერთად მოვიხსენიოთ საქართველოსთვის თავგანწირული გმირები... ერთ საქმეს, თავიანთ ქვეყანას და ჩვენს მომავალს რომ ანაცვაღუს თავიცა და სიცოცხლეც... ბევრი არიან. ძალიან ბევრი... ათასები, ათი... ასი ათასები... ყველას სახელით მოვიხსენიებდ... დავითებს, ვახტანგებს, თორნიკებს... მაგრამ ყამთსღლამ მარგო მეფეთა და სარდალთა სახელები შემოგვინახა. თითო-ოროლა თუ ვიცით უბრალო ქართველი მეომრის სახელი, მაგრამ მანც ყველა ერთად მოვიხსენიოთ... ცნობილი თუ უცნობი... მეფე თუ რიგითი...“



didgoris caze
frenda is jvari

82

■ თინეიჯერული პონებაი	
✓ ქალაქის „შეგველი“ ავიკოს 2-ღონი „აგნეზია“ 30	
✓ „ასეთი დაქალი, ადრე თუ გვიან, უარს იტყვას...“	32
■ შემოქმედნი	
მსოფლიო სიმფონიური ორკესტრის ქართული ნაწილი, პირველი ვიოლინო და აუდიენსია ნიღარლანდების დელოვალთან	34
■ პროგნოზი	
თანდაყოლილი გულის მანკი – დაავადების მასშტაბები და თავიდან ახილებს ხერხები	36
■ ჯანმრთელობა	
✓ ამერიკელი ონკოლოგი თამაშაქოს კომპანიისთან თანამშრომლობდა	37
✓ ნიკოტინური დამოკიდებულების გენები მხედველობაში ფილმის კიბოს რისკს ზრდის	37
■ ქართული ჟურნალი	
გზავნილები	39-70
■ ასპირანი	
საქართველოში მუშაობით „ნაწილობრივ“ ბოვიმოლარი ხანგრძლივ დასვენებას აპირებს	71
■ ოჯახი	
მატარებლის ქავეთი დაწყებული ნაწილობრივ და სავსე მუშაობის უიღბლო კანადელი	72
■ რომანი	
სეზამი კვარაყვინტი. ქარის სიღრმე... (გაბრკელება)	74
■ ბავშვი-ბავშვი	78
■ საკითხავი ქალაქისთვის	
✓ ნარკოტიკის ფორმა და სხვის ოვალი	80
✓ ნუ გავწყობით მამაკაცებს, თუ...	81
■ ისტორიული რომანი	
გორა მანელიძე. დიდგორის ცაზე ფრანდა ის ჯვარი (დასაწყისი)	82
■ არაჩვეულებრივი გამოცდა	
„საიდუმლო ორგანიზაცია“, სავაქცინო „გადაწყვეტილები“ და „ტანგოს“ და „ფოსტროტის“ მოსაქვეყნე მემორიები	89
■ განსვენება	
რად უნდა ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობა?“	91
■ სანიკო	
ვინ განსვ სავაქცინო მენიჯის ავტორი	94
■ გეოლოგი	
მხედართმთავარი სტალინი (გაბრკელება)	96
■ პარსკვლავები	
✓ რობი უილიამსი: პარსკვლავებიდან – კალინაიისკან	98
✓ ვაშლა ანდერსონმა მსახვე ქართულ განქორციელება პირველ ქართულ იზიმა	98
✓ ჯორჯანმა მქარდი დანიებარავე	99
■ კრიმინალი	
სასაფლავთან ორი მხედრეკლასელის გავით იაოვს	100
■ სპორტული მოხაიკა	101
■ ავტო	102
■ პროგნოზი	103
■ სანქციონი	104
■ ტანტი	105
■ ქალაქისკოპი	106

გარეკანზე: ირა ლიპარტიანი კოლაჟი

საზოგადოებრივ-კოლტიკოპური უზრუნავი „გზა“ გამოდის კვირაში ერთხელ, სუთვაბათობით გასვით „კვირის პალიტრის“ დამატება ურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს. მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქავიაძე მენეჯერი: მათე კვიციანი

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

პირველი ვიოლინო და აუდიენსია ნიღარლანდების დელოვალთან



„ტიხრული მინანქრის გულსაბნევი, ჰოლანდიის დელოვალს საქართველოს პირველი ლედის და ქართველი ხალხის სახელით გადაეცემა“.

34

ვაშლა ანდერსონმა მსახვე ქართულ განქორციელება პირველ ქართულ იზიმა

პოლიციის ვარსკვლავი პამელა ანდერსონი რიგით მესამე ქვარს – რიკი სალომონს გაშორდა. ამჯერად მსახიობმა გრადიციულ „შეუქრებელ უთანხმოებაზე“ უარი თქვა და განქორწინების მიზეზად „თალღითობა“ დაასახელა



98

ქალაქის „შეგველი“ ავიკოს 2-ღონი „აგნეზია“



„მართალია, თინეიჯერი აღარ ვარ, მაგრამ რომ გითხრა, დაბრძენებული კაცივით ვიქცევი და დროის უმეტეს ნაწილს შინ ვატარებ-მუთუ, მოგაგყვებ. მეც მიყვარს დამის ცხოვრება და გართობა“.

30

თვალეები დაეხუჭე. თავზე თითქოს ცეცხლი მეკიდა. მისი ხელები ხან აქ აღმოჩნდებოდა, ხან იქ, სადაც მოესურვებოდა, იქ დაეხუჭებოდა. ახენეშებული, გახელებული მამაკაცი თითქოს ხარბად იკვლევდა იმ ადგილებს, რომლებზეც წლების წინ მას ეკუთვნოდა.




– თითქმეტი წელი ამაზე ვფიქრობდი, – ჩურჩულებდა იგი, – თითქმეტი წელი! სანდროს ცხელი ხელები ჩემს განზე რონინს განაგრძობდნენ.

74

ყველასი ყველას წინააღმდეგ ანუ წინასწარჩევნი პოლიციური „დოუნას“



ერთი ძველი ანეკდოტისა არ იყოს, პანაშვიდზე იმდენი ხალხი მოაწყდა, რომ მეორე კუბოც გავაკეთეთ და მეზობელთან დავედგითო — „ჯვარი სწერია“ და, სწორედ ასეთი ხალხმრავლობა იყო ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და ალბათ, ეს ანეკდოტი არ გაახსენდათ, თორემ იქვე მეორე ცესკოსაც გახსნიდნენ „ჭ“ კლასის პარტიებისთვის. ჯერჯერობით, როგორც უნდა გაგვიკვირდეს, ამოდენა პოლიტიკური ამბიციის მქონე ქვეყანაში სულ თორმეტი სუბიექტი დაფიქსირდა, რომელიც პარლამენტში მოხვედრისთვის იბრძოლებს. აქედან ცხრა პარტია დამოუკიდებლად აპირებს „ევერესტის“ დაპყრობას (თუმცა ზოგიერთისთვის „ევერესტზე“ ასვლა უფრო იოლი იქნება, ვიდრე პარლამენტში შესვლა) და სამი პოლიტიკური ბლოკი, რომელიც მხოლოდ იმაში ეთანხმება მმართველ პარტიას, რომ ძალა ერთობაშია. მსურველ პარტიათა რაოდენობა, რა თქმა უნდა, გაიზარდება და შესაბამისად, შემცირდება თითოეული მათგანისთვის პარლამენტისკენ მიმავალი ბილიკი.



ერთს, რაც კარგი გვაქვს ქართველებს, ვერავინ წაგვართმევს: ყველა დარწმუნებული საკუთარ გამარჯვებაში და თუ ვერ მოხვდა, ე.ი. გაუყალბეს. ამიტომ, უკვე მზად არიან და გაიძახიან: „აქეთ გორასა ფხსაც ვკრავ, იქით გორასაც ძვრას ვუზამ“... თუ ძმა ხარ, გორების ძვრა და მეწყერი გვაკლია კიდევ?! ჩაატარე საარჩევნო კამპანია და შედი პარლამენტში. ვინ გიმლის, ახლა მანაც ხომ ჩამოგინიეს ბარიერი 5 პროცენტამდე თუ არა და, შენც შეგეგმნა ბლოკი სხვა პარტიებთან და შანსიც მეტი გექნებოდა. თუ უარი გითხრეს და არ უნდის-არ, აგწყობია საქმე და ეგაა...

პროგნოზების გაკეთებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, რა თქმა უნდა, ცხრა პარტიისგან შექმნილ ბლოკს უფრო მეტი შანსი აქვს პარლამენტში მოხვედრის, ვიდრე ცალკე ცალკე დათრეხილი 9 პარტიისგან თითოეულს. მათი ძალა საარეზიდენტო არჩევნებშიც ვნახეთ და ძალიანაც კარგი, თუ პარლამენტში მოვლენ: ის გინება-წყევლა-დაგნარი, ქუჩაში რომ ხდება, პარლამენტის დარბაზში გადაინაცვლებს, გარედან კარი მივუხუროთ და ვიცხოვროთ მშვიდად...

ისე, პარტიას თუ ბლოკს თავისი დრო-შა, ლოგო, სლოგანი და ჰიმნი რომ უნდა ჰქონდეს, ვიცოდი, მაგრამ ცეკვაც თუ მოაფიქრებოდათ, ვერ წარმომედგინა. არადა, ისეთი კარგი შოუ დადგეს PRIME TIME-ში, საცოდავი ინგა სულ დაიბნა, — ხომ არ შემეშალა და „ერისიონი“ ხომ არ მომინვევიაო?! ცოტათი დახვეწა კი აკლდა, მაგრამ რეპეტიციის ამბავია, რა... თან, როგორც ჩანს, გაითვალისწინეს, რომ თბილისში საარეზიდენტო არჩევნები მოიგეს და ახლა რეგიონების, განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოში...

ლოს გულის მოგება საჭირო და ამიტომ, იმერა ნაცნობის უცნობა ძმამ „დოუნას“, თორემ მაგათი „ვიკელობის“ ამბავი რომ ვიცი, „დაუნასს“ იმღერებდა...

რაც შეხება ლეიბორისტებს, წელსაც „ადინოკი ვოლკობა“ არჩიეს და ერთიანი ოპოზიციის ქორეოგრაფიულ კომპოზიციას როკვა უწოდეს. „იასნია“, შალვა როგორ გაურიგდებოდა „მთავრობასთან გარიგებულ“ გაჩეჩილას, კაცი ფუძის ანგელოზთანაა გარრიგებული და უკვე „ცელო, მოუსვი ბალახსა“-ს ამულამებს დუშეთის ველებისთვის.

საარჩევნო შტაბი გახსნეს უკვე „ნაც-მოდრაობელბმაც“, მაგარი შენობა კი ითრის, — ეტყობა, ნაცნობი ჰყავთ „ზემოთ“, თორემ ცეკვაშირის შენობაში ვინ შეუშვებდა?! პარლამენტის თავმჯდომარე საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებს ხვდება შტაბში და მაჟორიტარობის კანდიდატებს აცნობს. ისინიც დგანან და ლიმილიანი სახეებით ატეპობენ ამომრჩეველს. თითოეული მათგანის თვალბში იკითხება, რომ სწორედ ეს არის, ვინც შენს რაიონს სჭირდება პარლამენტში წარმოსადგენად: ხალხმა ბანკები, სამწებლო კომპანიები და აყვავებული „ბიზნესები“ მიატოვა, რომ შენ მოგხედოს და როგორ გინდა, ამაგი არ დაუფასო?!

ჯერ სად ვართ, საარჩევნო მართონი თანდათან შევა აქტიურ ფაზაში და დაპირებასაც ბევრს მოვიხინთ და მხიარულ შოუსაც ბევრს ვნახავთ, განსაკუთრებით, თუ „დოუნანაზე“ ცეკვის პრეცედენტს მიჰბაძავენ სხვა პარტიები. ქართველებს ხომ მიბაძვა გვიყვარს და გვეხერხება და კარგი იქნება: ყველა პარტია თავის ჰიმნს და ცეკვას დადგამს, ერთი კარგი პროგრამა შევაკრებინოთ და სადმე საგასტროლოდ გავუშვათ — ისინიც დაისვენებენ და ჩვენც... ასე რომ, 21 მაისამდე ჯერ დიდი დროა და ტაშფანდურობანა ანი იწყება...

P.S. მაჟორიტარი კანდიდატის შეხვედრა ამომრჩევლებთან:

— თუ მე ამირჩევთ, რაიონის უნივერსალში გავაკეთებ 50%-იან SALE-ს: მართალია, კალოშები ისევ 12 ლარი ელირება, მაგრამ უნდა წარმოიდგინოთ, რომ აქამდე 24 ლარი ღირდა. გახსნი სილაშაზის სალონს, დროა ჩვენს რაიონშიც გაიაროს თმდავარცხნილმა ქალმა; ასევე ჩავატარებთ სილაშაზის კონკურსს „მის რაიონი — 2008“.

გამარჯვებულს, ენაცალოს მამა, გადაეცემა ფულადი ჯილდო.
— კორუფციას თუ შეებრძობლებით?
— რა თქმა უნდა, ოღონდ სახელიც გამიგეთ, კორუფცია თუ ვილაცაა, მარტო გვართ როგორ ვიპოვო, იმდენი კორუფციაა ჩვენს რაიონში...

„კარგია, ოპოზიციამ გაინს რომ მოახერხა გაერთიანება“ ...

„დავიჯერო, მასმე ყვეიანი პოლიტიკოსი საქართველოში არ არსებობს?“

გასული კვირის მნიშვნელოვანი მოვლენა — „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ახალი ხელმძღვანელის არჩევა გახლდათ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ საქართველომ ვერცხვით წოდებული „მაპი“ ვერ მიიღო, თუმცა, საზოგადოების ნაწილი ამ საკითხზე საერთოდ არ საუბრობს. მათ გაცილებით მნიშვნელოვნად სხვა პრობლემები მიაჩნიათ.

ნათია ქვიციანი

ალინა სოკოლია, დიასახლისი, 47 წლის:

— მნიშვნელოვანი ფაქტი ის იყო, სერგეი ბალაფშმა რომ გამოაცხადა — საქართველოსთან შეიარაღებულ კონფლიქტს არ გამოვრიცხავო. ამ სიტყვებით, ფაქტობრივად, ომი გამოგვიცხადა, რისიც ქართველებს ყველაზე მეტად გვეშინია. ვიდრე ჩვენი ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები სავარძლებს განიანთებენ, მტრები დროს არ კარგავენ და ჩვენთან საომრად ემზადებიან. არ სჯობია, რომ ოპოზიციაც და „ოპოზიციაც“ გაერთიანდნენ და საქართველოს ერთობლივი ძალებით მიხედონ? კარგია, ოპოზიციამ მაინც რომ მოახერხა გაერთიანება. ბოლო დროს, სხვადასხვა მოსაზრება გაუჩნდათ და მეგონა, საერთო ენას ვეღარ გამოხატავდნენ. საბედნიეროდ, შევეცდი...

ნაზი ჯაფარიძე, იჟინერი, 58 წლის:

— მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, ბადრი პატარკაციშვილის ნათესავის, ჯოზეფ ქეის ადვოკატი, ემანუელ ზელცერი რომ დააპატიმრეს და თაღლითობის მუხლით გაასამართლებენ. მეგონა, რომ ქეიცი და ეს ადამიანიც მართლა თაღლითები არიან, თორემ გამორიცხულია, პატარკაციშვილს ტელევიზია მათთვის დაეთმო. იმასაც ამბობენ, ჯოზეფ ქეი „ნაციონალების“ მომხრეა და სწორედ მათი დახმარებით, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას ის ამუშავებს. ამიტომაც გააყალბა საბუთები და მიითვისა „იმედი“. ნაციონალებს ხომ ობიექტური ტელევიზია არ სჭირდებათ. უნდათ, რომ „იმედიც“ „რუსთავი 2“-ვით თავიანთი მეთვალყურეობის ქვეშ იყოს. იმედი მაქვს, პატარკაციშვილის ქვრივი ამ ორი ადამიანის წინააღმდეგ აღძრულ სასამართლო პროცესს მოიგებს და ტელეკომპანია „იმედიც“ აღდგება. „იმედის“ ეთერში გასვლას მთელი საქართველო ელოდება.

დავით ეზანოიძე, პენსიონერი, 72 წლის:

— ძალიან აღმამფოთა იმ ფაქტმა, ბოროტმოქმედებმა ზესტაფონში დეკანოზი ვახტანგ ხერხეულიძე რომ დაჭრეს და მისი ბინიდან თვალის ოპერაციისთვის შეგროვილი 2.500 დოლარი გაიტაცეს. სადამდე მივდივართ ქართველები! სასულიერო პირზეც კი არ გვიჭირს ხელის აღმართვა, მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ვზრუნავთ. ამის გამო, ღმერთი სამაგიეროს აუცილებლად გადაგვიხდის. გარდა ამისა, გასული კვირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ახალი ხელმძღვანელის არჩევა გახლდათ. გამიხარდა, ამ ტელევიზიის სათავეში ისეთი გამოცდილი ადამიანი რომ მოვიდა, როგორც ლევან ყუბანეიშვილი. მას საკუთარი სტუდია ხომ აქვს და კარგად იცის, რა არის ტელეკომპანიის პოპულარობისთვის საჭირო.

ყოველ შემთხვევაში, თამარ კინწურაშვილისგან განსხვავებით, ტელეინდუსტრიაში საკმაოდ კარგად ერკვევა.

იური კვარაცხელია, არქიტექტორი, 53 წლის:

— მნიშვნელოვანი მოვლენა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ახალი ხელმძღვანელის, ლევან ყუბანეიშვილის არჩევაა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანის მიმართ საზოგადოებას სიმპათიები აქვს და არცთუ ისე უსაფუძვლოდ, მისი არჩევა მაინც არ მომეწონა, რადგან რაც არ უნდა იყოს, მაინც „ნაციონალების“ კაცია. ამისთვის იბრძოლა ოპოზიციამ და ამისთვის გაათავისუფლებინეს თამარ კინწურაშვილი, რომ ამ თანამდებობაზე ისევ თავიანთი კაცი დაესვათ? არ არის ეს სწორი მიდგომა. თუმცა, ისიც მიკვირს, ამ ფაქტს ოპოზიციამ რომ არ აპროტესტებს. როგორც ჩანს, წინასწარჩვენო სამზადისით ისე არიან დაკავებულნი, რომ ასეთი „წვრილმანი“ საკითხებისთვის ვეღარ იცლიან...

ნელი ჩართლანი, პედაგოგი, 49 წლის:

— ძალიან აღმფოთებული ვარ იმის გამო, რომ სააკაშვილს გიგა ბოკერია არ ეთმობა და მიუხედავად მისდამი ხალხის ასეთი აგრესიისა, მაინც საგარეო მინისტრის მოადგილედ ნიშნავს. რას გადაეკიდა ამ ბოკერიას, ვერ გავიგე. როგორ დავიჯერო, რომ საქართველოში მასზე ნიჭიერი და ჭკვიანი პოლიტიკოსი არ გვყავს? უბრალოდ, როგორც ჩანს, სხვები მასავით არაადამიანები არ არიან. ხალხს ბოკერიაზე ასეთი ამბავი რომ არ აეტება, პრეზიდენტის ასეთი ერთგულებისთვის სააკაშვილი მას არც მინისტრობაზე ეტყოდა უარს, მაგრამ ამის გამო, ხალხი აჯანყდებოდა და ამიტომაც, ჯერჯერობით, მხოლოდ მოადგილეობას დასჯერდნენ. ჩაივილის არჩევნები და დარწმუნებული ვარ, ბოკერიას „უპატივცემულოდ“ არ დატოვებენ...

დათო ჭყიციანი, პროგრამისტი, 34 წლის:

— ძალიან გამიხარდა, გიორგი არველაძემ რომ განაცხადა: მობილურით ლაპარაკის ტარიფი შემცირდება. 29 თეთრის ნაცვლად, პირველი მაისიდან 15 თეთრს გადავიხდით. თითქმის მთელი ჩემი შემოსავალი მობილურის გადასახადს ხმარდებოდა, ახლა საგრძნობლად დიდი შეღავათი მექნება. ბენზინიც რომ გააიაფონ, შუქისა და გაზის ფულიც რომ დაბლა დასწიონ და ხალხს ხელფასები და პენსიები გაუორმაგონ, ჩვენს ხელისუფლებაზე საუკეთესო ხელისუფლება არც ერთ ქვეყანაში არ იქნება. უსაფუძვლოდ ვოცნებობ, არა?

ვაჟა ცაიჭიშვილი, პენსიონერი, 76 წლის:

— მნიშვნელოვანი მოვლენა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ახალი ხელმძღვანელის დანიშვნაა. მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვიცი, ლევან ყუბანეიშვილი ხელისუფლების მომხრეა, მის სტუდიაში მომზადებულ გადაცემებს უფროსის გავლენა არ ეტყობა და ყველაფერი ობიექტურად კეთდება. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, „საზოგადოებრივი მაუწყებლისა“ ბევრად უკეთესს გახდის და ვიდრე აქამდე იყო, იმაზე ობიექტურ ტელევიზიადაც ჩამოაყალიბებს. ყუბანეიშვილი ამ თანამდებობისთვის შესაფერისი რომ არ ყოფილიყო, ოპოზიციამ გაწუხდებოდა? ისევ აქციებს მოაწყობდნენ. რადგან ამაზე ხმას არ იღებენ, ესე იგი, „საზოგადოებრივი მაუწყებელს“ ღირსეული ხელმძღვანელი ჰყავს.


ბათქარისა და ბერუზოვსკის იმიჯბიყარმა ლუკაშენაოზა ზროუნას მიჰყო ხელი

როგორც „სოვეტსკაია ბელორუსია“ იტყობინება, პიარის ბრიტანელმა სპეციალისტმა, ლორდმა ტიმოთი ბელმა ბელორუსიის პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოს რესპუბლიკისა და მისი ხელმძღვანელობის იმიჯის გასაუმჯობესებელი გეგმა გაუგზავნა. გეგმის შინაარსის გამჟღავნებაზე კი უარი იმ საბაბით თქვა, — ჩემი რეკომენდაციები ჯერჯერობით პრეზიდენტს არ დაუმტკიცებიაო.

ბელმა ასევე არ ისურვა 25 მარტს, მინსკში მილიციისა და სპეცრაზმის მიერ ბელორუსიის სახალხო რესპუბლიკის დაარსების დღის აღსანიშნავად ქუჩაში გამოსული ოპოზიციის დარბევის ფაქტის კომენტირებაც. მეტიც, ბრიტანელმა სპეციალისტმა ისიც კი განაცხადა, — ამის შესახებ საერთოდ, არაფერი მსმენიაო. არადა, უცხოური მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნობით, იმ დღეს სასტიკად გაუსწორდ-

ნენ ათეულობით დემონსტრანტს და აღარც უზრუნველსტები დაინდვეს. მინსკში დემონსტრაციის დარბევა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირის არაერთმა ქვეყანამ დაგმო.

მას შემდეგ, რაც ბელორუსიის ხელმძღვანელობამ პიარის ბრიტანელი სპეციალისტების მომსახურებით სარგებლობის გადაწყვეტილება მიიღო, ლუკაშენკო პირადად შეხვდა ბელს და მისთვის „ნებისმიერი ინფორმაციის“ გადაცემის მზადყოფნაც გამოთქვა. ბელმა კი პასუხად, ბელორუსიას უწოდა „მშვიდობისმოყვარე ქვეყანა, რომლის შესახებაც მსოფლიო არასაკმარისად არის ინფორმირებული“. თუმცა იმ გზებისა და საშუალებების დასახელებაზე, რომლითაც ბელორუსიის იმიჯის გაუმჯობესება სურს, ცნობილმა ბრიტანელმა კვლავაც თავი შეიკავა. ამჟამად კომპანია Bell Pottinger



Group-ის სათავეში მდგომმა ტიმოთი ბელმა თავის დროზე პრემიერ-მინისტრ მარგარეტ ტეთჩერის მრჩეველობით გაითქვა სახელი. მის კლიენტებს შორის აგრეთვე, რუსი ბიზნესმენი ბორის ბერეზოვსკი და მისი საქმიანი პარტნიორი ბადრი პატარკაციშვილიც იყვნენ.

რუსა ჟურნალისტმა ბრიტანეთში გადაბარგებით უზველა თავს

დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ პოლიტიკური თავშესაფარი მისცა ენ. „კრემლის გუნდის“ ყოფილ ჟურნალისტსა და წიგნის — „Байки кремлевского диггера“ ავტორს, ელენა ტრეგუბოვას. როგორც მან განაცხადა, ლონდონში მიღებული გადაწყვეტილებით „უსაზღვროდ ბედნიერია“ და რუსეთში დაბრუნებას ჯერჯერობით არ აპირებს.

1997-დან 2001 წლამდე, ელენა ტრეგუბოვა მოსკოვურ გაზეთებში მუშაობდა და იმ ჟურნალისტების რიგს მიეკუთვნებოდა, რომელიც სახელმწიფოს პირველი პირების საქმიანობას აშუქებდა და მოგზაურობებშიც მუდმივად თან დაჰყვებოდა. ჟურნალისტი ბოლოს, გაზეთ „კომერსანტიში“ მუშაობდა, საიდანაც 2003 წელს წამოვიდა. იმავე წლის ბოლოს ტრეგუბოვამ გამოაქვეყნა წიგნი „Байки кремлевского диггера“, რომელშიც მკითხველს რუსეთის ისტებლიშმენტის კულისებს მიღმა ცხოვრების შესახებ მოუთხრო და ბევრი პოლიტიკოსი და სახელმწიფო ჩინოვნიკი და მათ შორის, ვლადიმირ პუტინიცი საკმაოდ საჩოთირო კუთხით წარმოაჩინა.

წიგნის პუბლიკაციისადმი მიძღვნილი სატელევიზიო სიუჟეტი 2003 წლის ნოემბერში, ლეონიდ პარფიონოვის პროგრამა „ნამედნის“ ეთერიდან НТВ-ს მაშინდელი გენერალური დირექტორის, ნიკოლაი სენკევიჩის ბრძანებით მოხსნეს. პარფიონოვმა და მაშინდელი ცნობილი ჟურნალისტების ნაწილმა ეს,



პოლიტიკური ცენზურის გამოვლინებად აღიქვეს, თუმცა სენკევიჩმა საკუთარი გადაწყვეტილება „მხოლოდ ეთიკური მოსაზრებებით“ ახსნა.

2004 წლის თებერვალში ტრეგუბოვას საცხოვრებელი ბინის კართან მცირე სიმძლავრის ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტი ამ ფაქტს დღემდე, მისი წიგნის გამოცემასთან დაკავშირებულ თავდასხმად აღიქვამს, მაშინ მილიციებმა აფეთქება უბრალო ხულიგნობად მიიჩნიეს და ჟურნალისტს სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარი უთხრეს. ამის შემდეგ, ტრეგუბოვამ კიდევ ერთი წიგნი — „Прощание кремлевского диггера“ დაწერა, რომელშიც პირადად მისი დევნის ფაქტები აღწერა. შემდეგ კი, რადგან რუსეთში სამუშაო ვეღარაფრით იპოვა, საცხოვრებლად გერმანიაში გადავიდა. იქაური საზოგადოების ყურადღება ტრეგუბოვამ, კანცლერ ანგელა

მერკელისადმი გაგზავნილი იმ ღია წერილით მიიპყრო, რომელიც ანა პოლიტკოვსკაიას შევლელიდან რამდენიმე დღის შემდეგ გამოქვეყნდა. წერილში ტრეგუბოვა გერმანიის მთავრობის მეთაურისგან ითხოვდა, ზეგავლენა მოეხდინა რუსეთსა და პირადად ვლადიმირ პუტინზე, რომელიც, მისი აზრით, სიტყვის თავისუფლებას სპობდა. ამ მომენტიდან ტრეგუბოვა „კრემლის ზნე-ჩვეულებების აღმწერიდან“ „კრემლის კრიტიკოსად“ იქცა. შემდგომში ის კიდევ რამდენჯერმე გამოჩნდა დასავლურ პრესაში და რუსეთში დემოკრატიის შეზღუდვისა და ავტორიტარული ტენდენციების გაძლიერების შესახებ ისაუბრა. ახლა კი დიდ ბრიტანეთში ცხოვრობს და, მისივე თქმით, სკოტლანდ-იარდის დაცვის ქვეშაც იმყოფება.

ტრეგუბოვამ მადლობა გადაუხადა ბრიტანეთის მთავრობას, რომელმაც ლონდონსა და მოსკოვს შორის ურთიერთობის ბოლოდროინდელი გართულების მიუხედავად, მისთვის თავშესაფრის მიცემა მანაც გადაწყვიტა. ერთ-ერთი გერმანული გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ჟურნალისტმა განაცხადა, რომ რუსეთში მანამ არ დაბრუნდება, სანამ პუტინს დიდი პოლიტიკური გავლენა ექნება. ტრეგუბოვამ იმ გარემოებასაც გაუსვა ხაზი, რომ კარგად იცის, თუ „როგორი ადამიანები მუშაობენ კრემლში და რაოდენ შურისმაძიებელი არიან ისინი“...

მარგარეტ ტატიჩარი ბრიტანეთის საუბათასო პრემიერად აღიარეს

ბრიტანული მარკეტინგული სააგენტო YouGov-ის მიერ, გაზეთ The Daily Telegraph-ის შეკვეთით ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული დღემდე, ბრიტანეთის საუბათასო პრემიერად მარგარეტ ტატიჩერი (1979-1990) დასახელდა. სწორედ ასეთი აზრისაა გამოკითხულ ბრიტანელთა 34%. მეორე ადგილზე გასულმა უინსტონ ჩერჩილმა (1951-1955) ხმების 15% დააგროვა.



გამოკითხულთა 27% პრემიერის რანგში დღესაც, მარგარეტ ტატიჩერის ყოფნას ისურვებდა. გამოკითხვის ამ ნაწილის მიხედვით, მეორე ადგილი ტონი ბლერს (1997-2007) ერგო. ის საუკეთესო ომის შემდგომ პრემიერად, გამოკითხულთა 11%-მა დაასახელა.


მოქმედი პრემიერ-მინისტრის, გორდონ ბრაუნის ამ პოსტზე ხილვის სურველი მხოლოდ 5%-მა გამოთქვა. ბრიტანელთა 36% მიიჩნევს, რომ დღევანდელ კონსერვატორ პოლიტიკოსებს შორის, მარგარეტ ტატიჩერის ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი საერთოდ არ მოიძებნება. კონსერვატიული პარტიის ამჟამინდელ ლიდერს, დევიდ კემერონს ტატიჩერის მემკვიდრედ გამოკითხულთა 15%, ხოლო პარტიის ყოფილ ლიდერსა და საგარეო საქმეთა „ჩრდილოვან“ მინისტრს, უილიამ ეგიუს — 16% მიიჩნევს.

ისიც უთუოდ უნდა ითქვას, რომ ბრიტანელთა 42% მარგარეტ ტატიჩერის უმნიშვნელოვანეს მიღწევად, მის მიერ გატარებულ რეფორმებს კი არა, პირველ რიგში, იმას მიიჩნევს, რომ ის დღემდე ბრიტანეთის ერთადერთ ქალ პრემიერად რჩება...

რუბრიკა მოამზადა
რუსუკან ლეპანიძემ

საპროტესტო მანიფესტაცია — საოცრება საჭოთა სინამდვილეში

„ქართველების გამარჯვებისა და ამალღების დღე“ — ამგვარად აფასებენ მოქმედი და პენსიაში გასული პოლიტიკოსები 1978 წლის 14 აპრილს. ქართველები ამაყობენ იმით, რომ 30 წლის წინ, მოსკოვმა ჩანადიერი ვერ განახორციელა და სახელმწიფო ენად რუსული ვერ დაგვიკანონა, მაგრამ დღემდე ვერ არკვევენ, თუ ვისი დამსახურება იყო ეს — მთელი ქართველი ერის თუ ცალკეული, კონკრეტული პიროვნების. დღეს „გზის“ ფურცლებს 14 აპრილის მოვლენების უშუალო მონაწილეებს ვუთმობთ, რათა თავად გვიამბონ, თუ რა ხდებოდა ამ დღეს და როგორი იყო საზოგადოების განწყობილება.



„ვიცოდით, რომ სადღაც ჩიხებში, შეიარაღებული ხალხი იყო მობილიზებული...“

ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო ედუარდ, რატომ დასჭირდათ ქართველებს 1978 წელს, საკუთარი ენის შესანარჩუნებლად, ქუჩაში გამოსვლა და აქციების მოწყობა?

ედუარდ შივარდნაძე:

— საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, როდესაც მე პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვიყავი, საბჭოთა კავშირში დაინერა ახალი კონსტიტუცია, რომლის მიხედვით, „საბჭოეთში“ შემავალ ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, სახელმწიფო ენად ცხადდებოდა რუსული. ამ საქმის მთავარი ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი, საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცუკას მეორე მდივანი, მიხაილ სუსლოვი გახლდათ. მან შეიმუშავა კონსტიტუციის ისეთი პროექტი, რომელშიც საბჭოთა კავშირში შემავალ 15 რესპუბლიკას საერთო კონსტიტუცია უნდა ჰქონოდა, ხოლო ქართული ენა სახელმწიფო ენად აღარ იყო გათვალისწინებული (ენის ასეთი სტატუსი ჯერ კიდევ ლენინის დროიდან იყო განსაზღვრული, რაც „სტალინურმა“ კონსტიტუციამაც შეინარჩუნა). მე კარგად ვიცოდი, რა მოჰყვებოდა ამ ამბავს ქართველი მოსახლეობის მხრიდან. ჩავფრინდი მოსკოვში, სუსლოვთან და ასეთი რამ ვუთხარი: ქართველებისათვის მშობლიური ენა დედასავით ძვირფასია და მის დაკარგვას არ დაუშვებენ-მეთქი. მან

მიპასუხა: ვერაფერს შევცვლი, ერთადერთი, რისი შეცვლაც შემიძლია, ის გახლავთ, რომ კანონპროექტში ჩავწერო — სახელმწიფო იზრუნებს მშობლიური ენების განვითარებაზე. ამის შემდეგ, გენერალური მდივნის სამდივნოს უფროსის, ჩერნენკოს რჩევით, ბრეჟნევთან შევედი და ვუთხარი, — თუ არაფერი შევცვალეთ, საქართველოში აჯანყება მოხდება-მეთქი. მან მიპასუხა — მე ამ საქმის სპეციალისტი არ ვარ და სუსლოვს აუხსენი, რა პრობლემებიც არის მოსალოდნელი. ისევ მივედი სუსლოვთან, მაგრამ იმან იგივე გამიმეორა, რაც პირველი შეხვედრის დროს მითხრა; თანაც დასძინა, — თქვენ რომ დაგცმაროთ, სხვა რესპუბლიკებმა რა დაამავესო?..

— სხვა რესპუბლიკებმა ეს ფაქტი არ გააპროტესტეს?

— არა. ის კი არა, ამის შესახებ საქართველოშიც არაფერი იცოდნენ, ვიდრე უნივერსიტეტის რექტორს, დავით ჩხიკვიშვილსა და პარტკომის მდივანს, რისმაგ გორდენიანს მე არ ვუთხარი, რომ კონსტიტუციის პროექტისათვის ყურადღება მიექციათ. სტუდენტებში სწორედ მათი ინიციატივით დაიწყო აგიტაცია. საჯაროდ ეს ფაქტი პირველად, მწერლებმა გააპროტესტეს. მწერალთა კავშირში ჩატარდა კრება, რომელსაც თავადაც ვესწრებოდი. ქართველმა მწერლებმა მე და სუსლოვი გაგვლანძღეს და ტალახში ამოგვსვარეს. ყველაზე მწვავე, რეზოლუციის გამოსვლა იყო. შემდეგ, ნელ-ნელა უნივერსიტეტშიც გამოფიზლდნენ.

— რამდენად მართალია გარეცხვითი აზრი, რომ 14 აპრილს, როდესაც თქვენ მთავრობის სასახლეში სახელმწიფო ენის შესახებ კანონპროექტს კითხულობდით, ეზოში სამხედრო ტექნიკა იყო მობილიზებული?

— მოგახსენებთ. მე წინასწარ ვიცოდი, რომ ამ საკითხის გასაპროტესტებლად, ახალგაზრდობა ქუჩაში გამოვიდოდა, ამიტომ კონსტიტუციის ახალი პროექტის განსახილველად, ცეკას ბიუროს სხდომა დავინიშნე, თან მითითება გავცე — ჩემი ლაპარაკი, ხმის გამძლიერებლების საშუალებით, რუსთაველის გამზირზე გაუდგრებულიყო. კოლბინი (საქართველოს კომპარტიის ცეკას მაშინდელი მეორე მდივანი) წინასწარ გავაფრთხილე, რომ როგორც კი რაიმე ცვლილება მოხდებოდა რუსთაველის გამზირზე, მაშინვე წერილით ეცნობებინა ჩემთვის. დავინყე მოხსენების კითხვა და სულ მალე კოლბინისგან ორსიტყვიანი წერილი მომივიდა: „ახალგაზრდობა უნივერსიტეტიდან დაიძრა“. ცოტა ხანში მეორეც მოჰყვა: „ახალგაზრდობა დაიძრა პოლიტექნიკური ინსტიტუტისა“. მესამე ასეთი შინაარსის იყო: ახლა უკვე ოპერასთან არიანო... მეტი წერილი აღარ იყო საჭირო, იმიტომ, რომ ბავშვების ყვირილი უკვე დარბაზში ისმოდა. მე ამასობაში, მოხსენება დავასრულე და ვთქვი: თქვენ ალბათ მიაქციეთ ყურადღება, რომ კონსტიტუციის პროექტში ქართული ენისათვის სახელმწიფო სტატუსი არ არის გათვალისწინებული, მაგრამ ჩვენ აქ მოვითხოვთ და გადავწყვიტეთ — ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი შევუნარჩუნოთ-მეთქი. მთელი დარბაზი ფეხზე ადგარი უკრავდა ტაშს. არ მახსოვს არც ერთი სახე, რომელსაც სიხარულის ცრემლი არ ჰქონოდა თვალებზე. ამის მიუხედავად, ბავშვების ყვირილის ხმა არ წყდებოდა. მიკროფონი აივანზე გავატანე და მომიტინგეებს იქიდან მივმართე: შეილეთო, მშვიდად იყავით, ყველაფერი კარგად არის, ქართულმა ენამ სახელმწიფო ენის სტატუსი შეინარჩუნა და გთხოვთ, დაიშალეთ-მეთქი. მაინც არ მიდიოდნენ, ამიტომ, მათთან ჩავედი და პირისპირ გავუმეორე ჩემი ნათქვამი. ეს გაოფლილი ბავშვები მომცვივდნენ და ჩამეხუტნენ, სულს ძლივს ვითქვამდი. მერე, მათთან ერთად, კოლმეურნეობის მოედნისკენ ავიღე გეზი, შემდეგ, ჩიტაძის ქუჩაზე ავედი და მთავრობის სასახლესთან მივედი... ჩემთვის მოულოდნელად, ეზოში ტანკები დავინახე. მაშინვე, უშიშროების უფროსი, ალექსი ინაური გამოვიძახე და ვკითხე, თუ რატომ იყო მობილიზებული სამხედრო ტექნიკა? მან მიპასუხა: მოსკოვის განკარგულებით, მთავრობის დასაცავად შემოვიყვანეთო. მე ვუთხარი, — დასაცავი არაფერი მაქვს-მეთქი, — და ტანკები გავაყვანინე.

— ქართულს სახელმწიფო ენის სტატუსი კრემლის ნებართვის გარეშე შეუნარჩუნეთ?

— ასე გამოვიდა. 14 აპრილს, ვიდრე მოხსენების კითხვას დავინწყებდი, სუსლოვს კიდევ ერთხელ დავურეკე და გავაფრთხილე, რომ სტუდენტობა ქუჩაში გამოსვ-

ლას აპირებდა. ალბათ ტანკებიც იმიტომ გამოგზავნეს. ამ ამბიდან ზუსტად ერთი კვირის შემდეგ, მოსკოვში დამიბარეს. სუსლოვმა ვერ მე მისაყვედურა მომხდარის გამო, შემდეგ ბრუქენეს დაურეკა და უთხრა: ხვალ პოლიტიბიუროს დღის წესრიგში, საქართველოს საკითხი უნდა შევიტანოთ. მან კი უპასუხა: შევარდნაძეს ხომ ელაპარაკეთ? ესეც საკმარისიაო... აი, ასე გადავრჩი. დღემდე მაყვედრიან, — სულ ბრუქენევის ქებაში იყავიო. სხვათა შორის, ასეთი რისიკიანი გადაწყვეტილებების მიღება, ხალხის კეთილდღეობისათვის, ყველა ხელისუფლის ვალია. მე მართო თანამდებობა კი არა, სიცოცხლეც დავაყენე საფრთხის ქვეშ, როდესაც 14 აპრილს, გაბრაზებულ ახალგაზრდებთან ჩავედი. სააკაშვილი 7 ნოემბერს ხალხში რომ ჩასულიყო, ასეთ სავალალო შედეგებს არ მიიღებდა. არც 9 აპრილს დაიღუპებოდა იმდენი ხალხი, ხელმძღვანელობა მომიტინგეებთან რომ მისულიყო და ეთქვა, — ჩვენც გვინდა საქართველოს დამოუკიდებლობაო. მათ თანამდებობიდან აუცილებლად მოხსნიდნენ, მაგრამ გპირებად ხომ დარჩებოდნენ?!

— არსებობს მოსაზრება, რომ 1989 წლის 8 აპრილის დილას თქვენ თბილისში იმყოფებოდით...

— ამას პატიმარობაში ამტკიცებდა, მაგრამ მოგვიანებით თავისი ნათქვამი თავადვე უარყო. ალბათ ჩემი სამუშაო გრაფიკი შეისწავლა და მიხვდა, რომ 8 აპრილს დილით თბილისში ვერანაირად ვერ ვიქნებოდი.

— რატომ ვერ იქნებოდით?

— იმიტომ, რომ 2-5 აპრილს მე და მიხაილ გორბაჩოვი კუბაში ვიყავით. 5 აპრილს იქიდან ინგლისში გადავფრინდით და ტეთჩერს შევხდით. 7 აპრილს მოსკოვში დავბრუნდით და გავიკეთ, რომ თბილისში სიტუაცია დაიძაბა. თბილისში ჩამოსვლა გორბაჩოვმა კი მირჩია, მაგრამ პატიმარობაში მიტხრა, — თქვენი ჩამოსვლა ახლა სიტუაციას უფრო დაძაბავსო. აქ მხოლოდ 10 აპრილს ჩამოვედი — მას შემდეგ, რაც მიტინგი უკვე დარბეული იყო და კომუნდანტის საათიც მოქმედებდა.

ლევან ბარბენიშვილი:

— ძალიან კარგად მახსოვს 1978 წლის 14 აპრილი. მე იმ პერიოდში უნივერსიტე-


ტი ახალი დამთავრებული მქონდა და უკვე ლექტორი ვიყავი. მართალია, საქართველო მხოლოდ ფორმალურად იყო რესპუბლიკა და კონსტიტუციაც ასევე ფორმალური ჰქონდა, მაგრამ საკავშირო ცეკას გადაწყვეტილებამ, რომ საქართველოს კონსტიტუციის 75-ე მუხლი (სადაც ეწერა, რომ ქართული არის სახელმწიფო ენა) უნდა გაუქმებულიყო, ხალხის აღშფოთება გამოიწვია. ამ საკითხის განხილვაში სერიოზულად ჩაერთვნენ: უნივერსიტეტი, კიბერნეტიკის ინსტიტუტი და მწერალთა კავშირი. ჩვენ 14 აპრილს მოვემზადეთ იმისათვის, რომ ზეგავლენა მოგვეხდინა იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს უნდა მიეღო. აი, მაგ დროს გამოჩნდნენ ახალგაზრდა ლიდერები. მე ამ აქციის ჩვეულებრივი მონაწილე ვიყავი. როდესაც პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან ახალგაზრდები წამოვიდნენ, მილიციამ ორივე მხრიდან „კოორდონი“ გაუკეთა, მაგრამ ეს ჯაჭვი ძალიან იოლად გაირღვა. მილიციის წინააღმდეგობის განწევის არანაირი ხალისი არ ჰქონია.

— როდესაც მთავრობის სასახლის წინ იდევით, თქვენ შორის როგორი განწყობილება სუფევდა?

— ასეთი დიდი მღელვარება და მოძრაობა პირველად ვნახე, საოცარი განცდა გვექონდა. ახლა რუსთაველის პროსპექტზე დგომა და აქციების მოწყობა ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ 30 წლის წინ ეს წარმოუდგენელი ფუფუნება იყო. ეს იყო დიდი ადრენალინი, საბჭოთა ადამიანისთვის წარმოუდგენელი ვაჟკაცობა. სხვათა შორის, ამ მოვლენებმა ჩემზე და ჩემს თანამოაზრეებზე ძალზე დიდი გავლენა იქონია და სულ მალე რესპუბლიკური პარტიაც შევქმენით. მერე და მერე პრესა წერდა, რომ თურმე შევარდნაძემ თავად მოაწყო ეს ყველაფერი, სახალხო მოძრაობაც თვითონ გამოიწვია, მაგრამ გარწმუნებთ — ეს ასე არ იყო. შევარდნაძის პლუსი მხოლოდ ის გახლდათ, რომ მან ხალხის აზრი გაითვალისწინა. უნდა გითხრათ, რომ 14 აპრილს უშიშროებამ შესანიშნავად იმუშავა: 1984 წელს, როდესაც დამაპატიმრეს, ძალიან კარგად გამახსენეს, თუ სად ვიდევით 1978 წელს.



უპასუხა: შევარდნაძეს ხომ ელაპარაკეთ? ესეც საკმარისიაო...



ალექსი ინაური გამოვიძახე და ვკითხე, თუ რატომ იყო მობილიზებული სამხედრო ტექნიკა?

ლუზა ზაპიაშვილი:

— ის აშბავი, რომ ქართული ენა სახ-ელმწიფო ენის სტატუსს კარგავდა, ჩვენ პროკლამაციების საშუალებით გავიგეთ. მაშინ „პირველი არხი“ ერთადერთი ტელევიზია იყო, იქ კი კომუნისტები მსგავსი ინფორმაციების გადაცემის ნებას არ იძლეოდნენ. მე მაშინ ტელევიზიის თანამშრომელი ვიყავი და რამდენიმე კოლეგასთან ერთად, მთავრობის სასახლესთან მივედი. შენობის შიგნით სხდომა მიმდინარეობდა და ქართული ენის საკითხი განიხილებოდა, გარეთ

ჩემთვის მოულოდნელად, ებოში განკეები დაინახე



კი უამრავი ხალხი იდგა და განაჩენს ელოდა. ვერ გეტყვით, რამდენი კაცი იყო, მაგრამ ნემსი რომ არსად ჩავარდებოდა, ეს კი ზუსტად ვიცი. ვიცოდით, რომ სადღაც, ჩიხებში შეიარაღებული ხალხი იყო მობილიზებული, მაგრამ ამის არავის შეგვშინებია. საკმაოდ დიდხანს ვიდევით, ვსაუბრობდით, პატრიოტულ მოტივზე დაწერილ ლექსებს ვკითხულობდით, აქა-იქ დროშებიც გამოიტანეს, რომლებზეც „აი ია“ ან „დედაენა“ ეწერა. არ ვიცი, შევარდნაძეს ხალხის დაპირისპირებისა და არეულობის შეეშინდა თუ რა მოხდა, მაგრამ გამოვიდა და გამოაცხადა, რომ ქართული ენა სახელმწიფო ენად რჩებოდა.

როგორ ფიქრობთ — ეს შევარდნაძის დამსახურება იყო?

— შევარდნაძის დამსახურება ის იყო, რომ ჩვენი მოთხოვნა შეასრულა. სხვანიარადა, წარმოუდგენელი რამ მოხდებოდა, ხალხი იქაურობას დაანგრევდა. ალბათ ამ ყველაფერს სისხლის ღვრაც მოჰყვებოდა. სხვათა შორის, ძალიან კარგად მახსოვს, რომ 1983 წელს, ეროვნული მოძრაობის წევრები სწორედ შევარდნაძის ბრძანებით დაგვაპატიმრეს. მისი მითითებით, „გიორგიევსკის ტრაქტატის“ 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საზემო სამზადისი მიმდინარეობდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებმა ეს სამზადისი ძალზე მძიმედ განვიცადეთ და საპროტესტო აქცია მოვანწყვეთ. ხანში შესულები საორგანიზაციო საკითხებს ვაგვარებდით, ახალგაზრდა გოგო-ბიჭები კი — პროკლამაციებს არიგებდნენ. ამ დროს პირველად გაჩნდა ლოზუნგი — „თავისუფლება“. მაშინ ეს, კომუნისტებისთვის მონმენდილ ცაზე მების გავარდნას ჰგავდა. პროკლამაციების გავრცელების დროს, ირაკლი წერეთელს ადგილზე მიუსწრეს და დააპატიმრეს. ჩვენ, დანარჩენებმა —

თამარ ჩხეიძემ, ნანა კაკაბაძემ, გია ჭანტურიამ, მამუკა გიორგაძემ — მისი გამოხსნა მოვიწოდეთ, მაგრამ ვერც ირაკლის ვუშველეთ რამე და ჩვენც დაგვაკავეს. როგორც ხმა გავრცელდა, ინაურს უთქვამს, — არ არის საჭირო ამითი დაპატიმრებაო, — მაგრამ შევარდნაძეს ასე უბრძანებია: „ნეტ, არესტავატ ცხეს ლიდეროვ!“

აქცია დარბევის გარეშე დაიშალა?

— არა, რა დარბევის გარეშე?! როდესაც რესპუბლიკის პროკურატურის წინ, ირაკლის გათავისუფლების მოთხოვნით, აქციას ვმართავდით, გვითხრეს, — აქ ტყუილად დგახართ, ასეთი საკითხები ჩვენს დონეზე არ წყდებო, — და ჩვენც, რუსთაველის პროსპექტის გავლით, კანცელარიისაკენ (მაშინ — ცეკას შენობა. — რედ.) დავიძარი. ბელისკის ქუჩამდე მიგვიშვეს, იქ კი ჩვენც, საზაფხულო ფორმაში ჩაცმული მილიციელები შემხვედრი ნაბიჯებით წამოვიდნენ და ოფიცერთა სასახლის წინ ცემა-ტყემა გაიმართა.

გია ჭანტურია საშინლად გალახეს, ბიჭებს ტრანსპარანტები წაართვეს და ზედ გადაამტკრიეს. შემდეგ 15 კაცი ავტობუსში ჩაგვადეს და მილიციაში (ახლა იმ შენობაში საპატრიარქოა) წაგვიყვანეს. დაკითხვის შემდეგ ზოგი გამოგვიშვეს, ზოგი დატოვეს. იმ დღეს კი გამათავისუფლეს, მაგრამ სამ დღეში ისევ დამიჭირეს და ორთაჭალის ციხეში, ჩემს მეგობრებთან „მიმამბრძანეს“.

თამაზ კვაჭანტირაძე:

— როდესაც დავრწმუნდით, რომ კრემლის მზაკვრული ჩანაფიქრით ქართული ენა სახელმწიფო ენის სტატუსს დაკარგავდა, ხალხი ალელდა და დიდიან-პატარიანა მთავრობის სასახლისკენ დაიძრა. ცხადია, სტუდენტობა აქტიურობდა, განსაკუთრებით — უნივერსიტეტელები. პირველ სკოლას რომ მივუახლოვდით, დემონსტრაცია შევკოვდა. იქ ბლომად ხალხი ზიმზ-

იმებდა, ყველა მოსკოვის გადაწყვეტილებას ელოდა, თორემ სესიის მონაწილეთა შინაგანი განწყობილება დიდად არ განსხვავდებოდა ქუჩაში მდგომთა განწყობილებისაგან. გიმნაზიის კიბესთან, ჩემ სიახლოვეს, ერთი ბობრი ბიჭი იდგა თავის ამხანაგებთან ერთად... უცებ ქურთუკი გადაიხსნა და მკერდი მოიღვლა... ტვინში დამკრა და ხერხემალში გამიარა: გულზე ფლომასტერით ეწერა — „აი ია“. როგორც მოგვიანებით გავიგე, ეს ბიჭი საქართველოს უშიშროების შეფის ალექსი ინაურის შვილიშვილი ყოფილა. სუკის შეფის ოჯახის წევრთა შორისაც კი როცა დედანისადმი ასეთი დამოკიდებულება სუფევდა, ეს უკვე ჩვენს გამარჯვებას ნიშნავდა, სულიერ გამარჯვებას.

თუ იცოდით, მთავრობის სასახლის ებოში სამხედრო ტექნიკა რომ იყო მობილიზებული?


— რაც ჩემი თვალთ ვნახე, იმას გიყვებით. არასოდეს ვყოფილვარ ვინმეს მამებელი, მით უმეტეს — სუკის გენერლისა, მაგრამ იმ დღეს ინაურის შვილიშვილს გულზე „აი ია“ ეწერა.

როგორ ფიქრობთ, ხალხი ქუჩაში რომ არ გამოსულიყო, ქართულს სახელმწიფო ენის სტატუსი შეუნარჩუნდებოდა?

— ალბათ, არა. ერთი რამ კი ცხადია: როდესაც ხელისუფლებამ უკანონობის დაკანონება მოინდომა, ამას ხალხი წინ აღუდგა. წინდაუხედავი ხელისუფლება ხშირად თავისი ბრიყვული ქმედებით საპირისპირო შედეგს იღებს: რუსული ენის სახელმწიფო ენად დაკანონების მსურველებმა თავისდა უნებურად ქართველებში მშობლიური ენის სიყვარული გაამძაფრეს. მახსოვს, როდესაც უზენაესი საბჭოს დარბაზში გამოცხადდა, სახელმწიფო ენად ისევ ქართული რჩებო, დარბაზი ტაშით კინალამ დაინგრა.

მართალია, ბატონო თამაზ, კრიტიკულ ვითარებაში ქართველები მშობლიური ენის შესანარჩუნებლად იბრძოდნენ, მაგრამ ისინი ხშირად საკუთარი სურვილით უგულვებელყოფდნენ დედაენას, ოჯახებში რუსულად საუბრობდნენ და შვილებიც რუსულ სკოლაში დაჰყავდათ. ამის შესახებ რას გვეტყვით?

— ისეც ნუ წარმოიდგენთ, თითქოს ქართველები მასობრივად გადადიოდნენ რუსულ ენაზე, თუმცა პრობლემა მართლაც არსებობდა. საქართველოში საკმაოდ მოჭარბებულად იხსნებოდა რუსული სკოლა. „უაქცენტო“ რუსულის გარეშე სასახურებრივი წინსვლა ბრკოლდებოდა, არადა, აქცენტი სრულიად ბუნებრივი მოვლენა გახლავთ უცხო ენაზე საუბრისას... იყო ფსიქოლოგიური ნიუანსიც: ხშირად სწორედაც ცუდად მორუსულე და ამით დაკომპლექსებულ ხალხს შეჰყავდა შვილები რუსულ სკოლაში. ეს ძალიან მძიმე პროცესი იყო, მაგრამ, საბედნიეროდ, დროზე შეჩერდა და ქართველებმა ეროვნული თვითმყოფადობა შევინარჩუნეთ.



ეს უკვე ჩვენს გამარჯვებას ნიშნავდა, სულიერ გამარჯვებას

„საქართველოს უნივერსიტეტი“ „ავერსი-ფარმასთან“ თანამშრომლობის მემორანდუმს აფორმებს

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა ხელისუფლების სტრატეგიულ პრიორიტეტს წარმოადგენს – ამ მოსაზრებას იზიარებს ყველა, ვისთვისაც საქართველოს ხვალისდელი დღე სუტერითი არაა. სწორედ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია მემორანდუმი, რომელსაც „საქართველოს უნივერსიტეტი“ და ფარმაცევტულმა კომპანიამ „ავერსი-ფარმა“ რამდენიმე დღის წინ მოაწერეს ხელი.



ლევა ჯიყაშვილი

ამიერიდან, უნივერსიტეტის ერთ-ერთ პოლს „ავერსი-ფარმა“ სახელი ეწოდება. თანამშრომლობა გრძელდება. ფარმაცევტულმა კომპანიამ „საქართველოს უნივერსიტეტს“ გადასცა პროექტორი 5 აუდიტორიისათვის... მაგრამ ეს არაფერია იმ დიდი საქმის ფონზე, რასაც მომავალში, ერთობლივი მუშაობით გააკეთებენ. „საქართველოს უნივერსიტეტში“ ხორციელდება ჰოსპიტალური მენეჯმენტის, დაზღვევის სამედიცინო პროგრამები და ამ მიმართულებით ისინი თანამშრომლობენ ისეთ ავტორიტეტულ ფირმასთან, როგორცაა „ავერსი“. „ავერსი ფარმამ“ უნივერსიტეტის მეოთხე სართული აღჭურვა ტექნიკით, პროექტორებით.

— ჩვენ ეს ძალიან ვაფასებთ, — აღნიშნა უნივერსიტეტის რექტორმა. — იმ სტუდენტებს, რომლებიც ჩვენთან კენტონის მაგისტრატურის პროგრამაზე ჰოსპიტალური მენეჯმენტის მიმართულებით მუშაობენ, მომავალში დიდი პერსპექტივა ექნებათ. შემდგომში პროგრამა გაგრძელდება და ბუნებრივია, ველით, რომ „ავერსი“ დაინტერესდება და კმაყოფილი იქნება ჩვენი კურსდამთავრებულებით. ეს მნიშვნელოვანია როგორც ქვეყნისთვის, ისე, თითოეული ადამიანისათვის.

პაატა კურტიანი, ფარმაცევტული კომპანია „ავერსი-ფარმას“ გენერალური დირექტორი:

— „საქართველოს უნივერსიტეტთან“ მემორანდუმის გაფორმება „ავერსისთვის“ საკმაოდ საინტერესო ღონისძიებაა. ჩვენ არ ვართ მხოლოდ ფარმაცევტული კომპანია. „ავერსის“ ხელმძღვანელობის 99% ექიმები ვართ და ცხადია, ჩვენი მიზანი თუ ოცნება ყოველთვის სამკურნალო დაწესებულების გახსნა და პაციენტებისათვის რაც

შეიძლება მაღალი დონის მომსახურების შეთავაზება გახლდათ. ამ პროექტის განხორციელება „ავერსმა“ ჯერ კიდევ სამი წლის წინ დაიწყო. ჩვენ გაცხენით ამბულატორიული კლინიკა მარნეულში, რომელიც წარმატებულად მუშაობს. აპრილის ბოლოს, კლინიკას გაცხენით ლანჩხუთში, მაისში — რუსთავში. მაისშივე ვგეგმავთ ცენტრალური კლინიკის გახსნას რესპუბლიკური საავადმყოფოს ყოფილი პოლიკლინიკის ბაზაზე, რომლის ინვესტიცია დაახლოებით, 10 მილიონი დოლარია. გამოცხადდა სახელმწიფო საავადმყოფოების პრივატიზაციის პროექტი, რომელშიც „ავერსიც“ აქტიურად ჩაერთო და ჩვენ რამდენიმე პროექტი მოვიგეთ კიდევ. ცხადია, მთავარი პრობლემა არც ფინანსებია, არც აპარატურის შექმნა და არც — საავადმყოფოს გარემონტება-აშენება. მთავარი პრობლემაა კადრები. საქართველოში ბევრი კარგი ექიმი, მაგრამ ჯანდაცვის სფეროს ორგანიზატორები პრაქტიკულად, არ მზადდებიან — მენეჯმენტში სპეციალური უმაღლესი სწავლება არ იყო. ამ თვალსაზრისით, „საქართველოს უნივერსიტეტი“ ჩვენთვის აღმოჩენა გახლდათ. მათ აქვთ სწორედ ის პროექტები და პროგრამები, რომელიც მოგვცემს საშუალებას, რომ მათი სტუდენტებიც და ჩვენ მიერ გაგზავნილი პერსონალიც, სამედიცინო დაწესებულების მართვაში დახელოვნდნენ. ამიტომ, ხელს ვანერთ მემორანდუმს და იმედი გვაქვს, რომ ამ უნივერსიტეტში ისეთი მაღალი დონის სპეციალისტებს მოგვიზადებენ, რომლებიც ჯანდაცვის სფეროში მომსახურებას მსოფლიო დონეზე აიყვანენ. ამის შემდეგ, ფასი გახდება კიდევ უფრო ხელმისაწვდომი, ვიდრე დღესაა. სწორი მენეჯმენტის პირობებში, სამედიცინო დაწესებულება შეიძლე-

ბა, არსებულ ფასებშიც მომგებიანი იყოს. ყველა ექიმი, ექთანი თუ საინტარო თავისი ანაზღაურებით კმაყოფილი უნდა გახლდეთ. სამედიცინო დაწესებულებისათვის მთავარი მიზანია, პაციენტი იყოს კმაყოფილი, ხოლო უკმაყოფილო მდებარეონალს კმაყოფილი პაციენტი ნამდვილად ვერ ვყოფილავთ. ამ მიზნების მიღწევისთვის, „საქართველოს უნივერსიტეტი“ სტრატეგიულ პარტნიორად მივიჩნიეთ. იმედი გვაქვს, ჩვენი თანამშრომლობა მრავალწლიანი, ნაყოფიერი და საქართველოს მოსახლეობისთვის შედეგიანი იქნება.

ირაკლი გიორგობიანი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე:

— შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის სახელით, ამ ინიციატივას მივესალმები. იმ რეფორმის ფარგლებში, რომელიც დღეს ქვეყანაში, ჯანდაცვის სექტორში მიმდინარეობს, განათლების ფაქტორი უმნიშვნელოვანესია. ჯანდაცვის ადმინისტრირება, ჯანდაცვის სამართალი ჩვენთვის ახალი ხილია, ევროპაში კი ამას დიდი ყურადღება ექცევა. ჩვენი ჯანდაცვის სერვისებიც უნდა აშენდეს და განვითარდეს. შემდგომში, უკვე დაწყებული საავადმყოფოების პრივატიზაცია და სადაზღვევო სისტემა ამას დაეფუძნება. ამ ყველაფრის ერთ ჩარჩოში მოსაქცევად და მისი სწრაფი განვითარებისათვის, ყველაზე მნიშვნელოვანი ამ მიმართულებით სპეციალისტების მოზადება იქნება. ისინი მომავალში, ჯანდაცვის სისტემის ახლებურ მართვას საკუთარ თავზე აიღებენ. მადლობა „ავერსსა“ და „საქართველოს უნივერსიტეტს“ იმისათვის, რომ ქვეყნის მომავალი კეთილდღეობისათვის ზრუნავენ. მათ ამ საქმეში წარმატებებს ვუსურვებ!

ნათია ქვიციანი

ქართლისტი - ზურა მანჯავიძე
მასკონლენტი - ნუსა ჯანელიძე

— ქალბატონო ნუსა, ამჟამად რას საქმიანობ?

— ჯგუფმა „ფორტემ“ რამდენიმე ახალი სიმღერა ჩაწერა და ამჟამად, ამ სიმღერების ბალანსს ვაკეთებთ.

— რომელ ახალ სიმღერებს გულისხმობ, 7 წლის წინ რომ ჩაწერეთ?

— დიას, სწორედ მათ ვგულისხმობ. სულ მალე, თბილისში რამდენიმე კონცერტი, კონკრეტულად კი ჯუმბერ ჯანდიერის, ვჟა დურგლიშვილისა და კახა ცაბაძის საღამოები გაიმართება, სადაც მონაწილეობას ჩვენც მივიღებთ.

— რა საინტერესო ამბებს ჰყვებით? შენთან ინტერვიუ თუ არ ჩაწერე, ისე ხომ ერთ სიტყვასაც ვერ დაგაცდენინებ... როგორც ვიცი, ახალი სამსახური იშოვე...

— ახალი სამსახური კი არ ვიშოვე, უბრალოდ, ახალი უფროსი მყავს — როგორც ცნობილია, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ხელმძღვანელად ლევან ყუბანეიშვილი დაინიშნა. გარდა ამისა, არსებობს მუსიკალური სტუდია „ახალი სახეები“, სადაც პატარა ბავშვებს სიმღერას ვასწავლით. ჯერ-ჯერობით, არც ამ ბავშვებსა და არც მათ მშობლებს იმის არანაირი პრეტენზია არ აქვთ, რომ პატარებმა ამა თუ იმ კონცერტში მიიღონ მონაწილეობა და სცენაზე დადგნენ...

— ისე, არ მჯერა, რომ მშობლებს შვილების დიდ სცენაზე გამოსვლა და მათი ფართო აუდიტორიის წინაშე წარდგენა არ ეჩიარებათ...

— თუ მშობლებს ამის ამბიცია აქვთ, ჯობია თავიანთთვის შეინახ-



ლენის სიყვარული მემკვიდრეობით მომდგამს

გაღიჩაქტოჩაბუნი ზურა მანჯავიძე

ამჯერად, ჩვენს რუბრიკაში ჯგუფ „ფორტეს“ მუსიკალური ხელმძღვანელი, ქალბატონი ნუსა ჯანელიძე და ამავე ჯგუფის წევრი, ზურა მანჯავიძე მოვიწვიეთ. როგორც შევითქვეთ, ზურას მეღვინეობა დაუწყია. სწორედ ამიტომ, მან თავის მალაზია-მარანში დაგვაბატიჟა და შავი ღვინოთაც გაგვიმასპინძლდა. არტიტულსა და იუმორის მქონე ზურას არც ჟურნალისტის როლის მორგება გასჭირვებია.



და ლაუბაბოხის მსურვენი „ფორტეს დადა“

ონ. მე მსგავსს ნურაფერს მეტყვიან!

— როგორც პედაგოგი, რას იტყვი, როგორი თაობა გვეზრდებ?

— სხვათა შორის, ძალიან კარგი ჯგუფი მყავს. თუ მშობლები თავიანთ შვილებს განვითარებას დააცდიან და სწორ გზაზე დააყენებენ, ძალიან კარგი იქნება.

— „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ, თქვენს გადაცემაში რაიმე ცვლილება ხომ არაა მოსალოდნელი?

— გადაცემა „წარმატების ფორმულა ნუსასთან ერთად“ ალბათ, ეთერში იმავე ფორმატით გავა. შესაძლოა, მსოლოდ რამდენიმე დეტალი შეიცვალოს, მაგრამ ჯერ ამაზე ვერ ვილაპარაკებ, რადგან ეს საკითხი ხელმძღვანელობასთან არ განმიხილავს.

— კიდევ სხვა პროექტის განხორციელებას ხომ არ გეგმავ?

— რა თქმა უნდა! მაგრამ ჯერ ამასაც ვერ გაგიმხელ. დაგავინწყდა, ერთმანეთის კონკურენტები რომ ვართ? შენ „იმედელი“ ხარ, მე — „პირველარხელი“...

— „იმედი“? — ბუნდოვნად მას-

სოვს... უახლოეს მომავალში საგასტროლო ტურნეს ხომ არ გეგმავ?

— ლატვიიდან მივიღეთ შემოთავაზება, რომ მათ ქვეყანაში სოლო კონცერტი გავმართოთ. მე მათ ჩვენი პირობები შევთავაზე და მგონი, შევთანხმდით. იქ ჩასულები, სოლო კონცერტთან ერთად, კიდევ ერთ კონცერტს გავმართავთ, სადაც მონაწილეობას ლატვიელი მომღერლებიც მიიღებენ.

— შენთან ინტერვიუს ჩაწერა ძალიან საინტერესო ყოფილა. რამდენი ახალი რამ შევითქვე. ბარემ, ისიც მითხარი, როდის უნდა გავემგზავროთ?

— ჯერ არ ვიცი. 18-19 აპრილს ლატვიის დელეგაცია თბილისში ჩამოვა და საბოლოოდ მაშინ შევთანხმდებით.

— მგონი, მათი მასპინძლობა ჩვენ უნდა ვიკისროთ. ღვინო ჩემზე იყოს...

— „პრასს“ მე გავაკეთებ (იცინიან)... კიდევ ერთ სიახლეს გეტყვი: სავარაუდოდ, 26 მაისს უნდა ჩავწეროთ სიმღერა — „საქართველო ლამაზო“ (სიმღერა თემურ ნაცვლიშვილს ეკუთვნის, ლექსი — ანა კალანდაძეს).

— მკითხველს ინფორმაციას მეც მივანვდი: შენ ამ სიმღერას ასლერ-ბური ინტერპრეტაცია გაუკეთე და რაც მართალია, მართალია, ეს საქმე ძალიან კარგად გამოგივიდა — სადაც კი „საქართველო ლამაზო“ შევასრულეთ, მას ყველგან დიდი მონონება ხვდა წილად...

— უცნაური ის გახლავთ, რომ ამ სიმღერის ჩანერა ერთ-ერთმა რუსულმა კომპანიამ დაგვიკვეთა, ქართველები კი ამით არც დაინტერესებულან. სხვათა შორის, იმ კომპანიას ვუთხარი, რომ კარგი იქნებოდა, თუ ამ სიმღერაზე კლიპსაც გადავიღებდით, რაზეც სიამოვნებით დამთანხმდნენ. შემდეგ, მათ პირობა ნავეყენე: კლიპის პრეზენტაცია პირველად საქართველოში უნდა შედგეს-მეთქი. ამაზეც არ უთქვამთ უარი. მგონია, რომ ამ პროექტმა უნდა გაამართლოს. სიმღერა ქართულ-რუსულენოვანი იქნება.

— კარგია.. კლიპის მეორე პრეზენტაციას მოსკოვში მოაწყობთ. მერე ალბათ, შენ და შენი ჯგუფი ბალტიისპირეთში წახვალთ, ჩვენ კი, პრესის წარმომადგენლები ამ ყველაფერს გავაშუქებთ (იციან). ახლა ცოტა პროფოკაციულ შეკითხვას დაგისვამ: ალბათ, იცი, რომ საპარლამენტო არჩევნები ასლოვდება. რომელიმე პოლიტიკური გაერთიანებისგან ხომ არ გაქვს შემოთავაზება, რომ მათ მხარდამჭერ აქციებში მიიღო მონაწილეობა?

— „პოზიციისგანაც“ და ოპოზიციისგანაც უამრავი შემოთავაზება მაქვს, მაგრამ ჯერ არ გადამიწყვეტია, საარჩევნო ბატალიებში მონაწილეობას მივიღებ თუ არა. სანაძლეოს გააჩნია... დეპუტატობას პარტიული სიით ვაპირებ (იციან).

— გასაგებია. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ შენი გვარი ჯ-ზე იწყება, ალბათ, სის ბოლოში იქნება... იმედი, მკითხველი ხუმრობას მიგვიხვედბა...

— ვინც ვერ მიხვდება, საარჩევნო სიებში მომძებნოს (იციან).

ქარნალისტი — ნუნა ჩანელიძე
რუსკუნაშვილი — გურა მანჯაშვიძე

— კარგა ხანია, მომღერლის ამბულაში, ეკრანზე აღარ გამოჩენილხარ...

— რომელ ეკრანს გულისხმობ? მე იმ მთავარი ეკრანის გამოჩენას ველი, რომელსაც ტელეკომპანია „იმედი“ ჰქვია. მას მხოლოდ მე კი არა, მთელი საქართველო, მტერიც და მოყვარეც ელოდება. ჰოდა, მტერიც რომ ელოდება, ალბათ, ამდენ ხანს ამიტომ არ ირთვება... ვნახოთ, მომავალში რა იქნება. ვფიქრობ, „იმედი“

აპრილში მაინც გავა ეთერში.

— ზურა, სხვა რომელიმე არხმა თანამშრომლობა რომ შემოგთავაზოს, დათანხმდები?

— ჯერჯერობით — არა. ჯერ უნდა გავარკვიო, რა ხდება ჩვენს არხზე და ამას მერე გადავწყვეტ. ამჟამად, მილიონიც რომ გადამიხადონ, მაინც არც ერთ ტელევიზიაში არ წავალ (თუმცა, ამას არც არავინ მთავაზობს).

— ერთ პროფოკაციულ შეკითხვას მეც დაგისვამ. „იმედი“ მიმართულება რომ შეიცვალოს, მაინც მისი ერთგული დარჩები?

— არა, „იმედიდან“ მაშინვე წამოვალ. ერთადერთი არხი, სადაც შეიძლება მუშაობა განვაგრძო, „საზოგადოებრივი მაუწყებელია“.

— ბახუსისადმი შენ ლტოლვა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. თუმცა, აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ შესანიშნავი თანამეინახე ხარ.

— თანამეინახე თუ თანამეცხედრე?

— შენ ჩემი თანამეცხედრე არ ხარ და ვისიც ხარ, ნეტავი მას (იციან).

— გადასარევი რეკლამაა, ღმერთ-მანი...

— შეკითხვის დასმა მაცალე!... ბოლო დროს მეღვინეობა დაინყვროგორ გრძნობ თავს ამ სფეროში?

— გადასარევა. ერთ-ერთი ღვინის მალაზიის დირექტორად დამნიშნეს. ეს დაახლოებით ისეთივე სიტუაციაა, მგელს რომ ცხვრის ფარა ჩააბარონ. მაგრამ მალაზიაში ბევრს ვერ ვსვამ, რადგან შინ მანქანით მიწევს დაბრუნება და შარს ვერიდები.

— მალაზიაში შემოსული კლიენტები როგორ გხვდებიან? ხომ არ უკვირთ, მომღერალ ზურა მანჯაშვიდს დირექტორის ამბულაში რომ გხვდავენ?

— მალაზიაში შემოსული კლიენტები გაოგნებულები მიყურებენ. მერე, გამყიდველს ჩუმად ეკითხებიან: ეს ის ზურა ხომ არ არის, „ფორტეში“ რომ მღერისო?

— როგორი დირექტორი ხარ?

— ალბათ, შენც შეამჩნევდი, რომ ძალიან მკაცრი დირექტორი ვარ (იციან). სინამდვილეში, საკმაოდ ლბობიერი გახლავართ, მაგრამ ჩემს საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდები.

— ზურა, ნითელ ღვინოს უფრო ხშირად სვამ თუ თეთრს?

— ამ ბოლო დროს უპირატესობას ნითელს ვანიჭებ, რადგან მას ევროპულად, ცოტ-ცოტას ვსვამ. ხარების დღესასწაულზე „კახურად“ დავლიე და ფეხზე ვვლარ ვდგებოდი...

ისე, ღვინის სიყვარული მემკვიდრეობით მომდგამს. მამაჩემი, გიგა მანჯაშვიდი ცნობილი მეღვინე გახლდათ და ისე მოხდა, რომ ამ სფეროში მეც ჩემდა უნებურად ჩავერთე.

— ისე, პროფესიით ვინ ხარ?

— სხვათა შორის, ჟურნალისტიკის ფაკულტეტიც მაქვს დამთავრებული. ჰო, კიდევ, თეატრალურ უნივერსიტეტში, საესტრადო ფაკულტეტზე



დაგვიწყდა, ერთმანეთის კონკურენტები რომ ვართ? შენ „იმედი“ ხარ, მე — „პირველარსელი“...

ვსწავლობდი. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ „ქუჩის სკოლაც“ გავლილი მაქვს (იციან).

— ოჯახისთვის დრო თუ გრჩება?

— სახლში რომ მივდივარ, ბავშვებს უკვე სძინავთ. მათთან ურთიერთობას მხოლოდ დილით ანუ მაშინ ვახერხებ, როცა ისინი ბაღში მიმყავს. ამის გამო, გული ძალიან მწყდება, მაგრამ იმედი მაქვს, სიტუაცია მალე დარეგულირდება.

— შენს შეილებს სიმღერის ნიჭი თუ აქვთ?

— სხვათა შორის, სიმღერაც და ცეკვაც ძალიან კარგად გამოსდით. მაგრამ თუ მათი სურვილი არ არის, ჩემი თხოვნით არასოდეს იმღერებენ და არც — იცეკვებენ. ვნახოთ, რა იქნება მომავალში.

— მომღერლების უმეტესობა მაჟორიტარ დეპუტატობას აპირებს. შენ არ გინდა პარლამენტარობა?

— არა, ნამდვილად არ მინდა. პარლამენტში ჩემი ადგილი არ არის და რა ვქნა?! იქ რომ ვიყო, ვიცი, თავს ვერ შევიკავებ და სულ ცემატყევაში უნდა ვიყო. მაგას კი ჩვენი პარლამენტარები უჩემოდაც მშვენივრად ახერხებენ.

„ძირს საპროკურორო სახელმწიფო! — ჩვენ საპარტლიანი სასაპარტლო გვინდა!“

„ინსულინზე დამოკიდებულ ავადმყოფს სამი დღე ნემსი არ მისცეს... წამების შემდეგ ბევრი ფსიქიატრიულშიც ხვდება“ — გაფიცული ადვოკატები უკანონო განაჩენებს იხსენებენ



მეზი სანაპი ლალი კაკასკირი

უკანონო განაჩენები, გამოუძიებელი საქმეები, წამების შედეგად მიღებული „ალიარებები“ — ამის შესახებ დღეს ადვოკატთა კორპუსი ერთხმად ალაპარაკდა და უკანონობა ხმაურთანად გააპროტესტა. „მთავარია, რომ ადვოკატებმა გაიღვიძეს და როგორც იქნა, უსამართლობას ერთიანი ძალით, შეუპოვარი ბრძოლა გამოუცხადეს“, — აღნიშნავს საგაფიცო კომიტეტის თავმჯდომარე, ადვოკატი ზაზა ხატიაშვილი. სწორედ მისი ხელმძღვანელობით, ადვოკატებმა ტრანსპარანტებით ხელში აქცია მოწყვეს. მალხაზ ჯანგირაშვილის 29-დღიანმა შიმშილობამ, როგორც ჩანს, დაგროვილი უკმაყოფილების გამოხატვას მისცა ბიძგი და ქუჩაში ასობით ადვოკატი გამოიყვანა. აქციის მონაწილეები ამბობენ, რომ მათ 3000-ზე მეტი კოლეგა უჭერს მხარს, პროტესტი კი მომავალ კვირაში მასობრივ ხასიათს მიიღებს...

თითქმის ერთთვიანი შიმშილობის შემდეგ, მალხაზ ჯანგირაშვილმა აქცია შეწყვიტა. პროტესტის უკიდურეს ფორმაზე უარის თქმა, როგორც თავად ამბობს, მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც გაერთიანებული ოპოზიციისა და „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრებმა მის მხარდასაჭერად, 40 ათასი ხელმოწერა შეაგროვეს. ჯანგირაშვილის მოთხოვნებს — საკონსტიტუციო ცვლილებებისა და უკანონო განაჩენების გადასინჯვის მექანიზმის შექმნის შესახებ — არა მარტო კოლეგებმა, არამედ არასამთავრო-

ბო სექტორმაც დაუჭირეს მხარი. ის, რომ ადვოკატები პროტესტის ნიშნად, გაიფიცენ და სასამართლო სხდომებზე არ შევიდნენ, საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების არეშიც მოექცა. მათი წარმომადგენლები აქციის მონაწილეებს ხვდებიან. ამ დღეებში ისინი სასამართლოების წინ კარავებს გაშლასა და შიმშილობის დაწყებასაც ამირებენ...

ადვოკატთა აქციის საპასუხოდ, სასამართლომ სადამსჯელო ღონისძიებებს მიმართა: სასამართლო სხდომაზე არასაპატიო გამოუცხადებლობის გამო, 21 ადვოკატი დააჯარიმეს. კანონის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში, ვეჯილს 200-დან 500 ლარამდე თანხის გადახდა მოუწევს. თბილისის საქალაქო სასამართლოში ამასთან დაკავშირებით გამართულ საგანგებო ბრიფინგზე გამოსვლისას, სპიკერ-მოსამართლემ მათი ჯვარშეიშვილმა ადვოკატების აქციას „არშემდგარი ბოიკოტი“ უწოდა.

მაია ჯვარაშვილი:

— ადვოკატთა მიერ ორგანიზებული აქცია თავისი შინაარსით, ბოიკოტია, მაგრამ ის რეალურად, არ შედგა. ამ განცხადების საფუძველს გვაძლევს ის, რომ სწორედ მათი აქციის პირველ დღეს, საქალაქო სასამართლოში მოსამართლეებმა 87 სისხლის სამართლის საქმე და 27 ალკვეთის ღონისძიების შუამდგომლობა განიხილეს. ჩვენთვის ცნობილია, რომ აქციის მონაწილეები თავიანთ წამოწყებაში დანარჩენი კოლეგების ჩაბმას სხვადასხვა გაუმართლებელი მეთოდით ცდილობენ, მაგრამ ისიც უნდა გაითვალისწინონ

— მსგავს აქციებში მონაწილეობა პირის უფლებაა და არა ვალდებულება. თითოეული ადვოკატი უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება, უერთდება თუ არა ამ აქციას. აქციასთან დაკავშირებით, საგაფიცო კომიტეტმა სასამართლოში წერილი შემოიტანა და მოითხოვა, ადვოკატების სხდომებზე გამოუცხადებლობა საპატიოდ ჩათვლილიყო. თუმცა ამ წერილში არ გახლდათ დაფიქსირებული ჩამოთვლილი გვარები და აბსტრაქტულ განცხადებას სასამართლო ვერ აღიარებდა, როგორც საპატიო მიზეზის საფუძველს.

სასამართლოს პასუხი ადვოკატებისთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ისინი ამ გადაწყვეტილებას უკანონოს უწოდებენ და აღნიშნავენ, რომ ვერავითარი ჯარიმა მათ ვერ შეაშინებს.

„ასეთი მეთოდებით ბრძოლას ვერ შეაჩერებენ. მადლობას ვუხდით ყველა იმ ადვოკატსა თუ მოქალაქეს, ვინც გვერდში დამიდგა. ამ დღეებში, ადვოკატთა მხრიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა და იმედი მაქვს, რომ მიზანს მალე მივაღწევთ — საკონსტიტუციო ცვლილებები განხორციელდება და ყველა უკანონო განაჩენი გადაიხედება“, — აღნიშნავს მალხაზ ჯანგირაშვილი.

ზაზა ხატიაშვილი, საგაფიცო კომიტეტის თავმჯდომარე:

— ერთი თვეც რომ დაგვჭირდეს, აქციები აუცილებლად გაგრძელდება და ბრძოლას არ შევწყვეტთ. მთავარია, ადვოკატთა კორპუსმა გაიღვიძა და ხმა აიმაღლა ამ უკანონობისა და უსამართლობის წინააღმდეგ. სამდღიანი საპროტესტო აქციის შემდეგ, სასამართლოების წინ კარავებს გავშლით და მორიგეობით, ორ-ორი ადვოკატი იშიმშილებს. ხელისუფლება თავისი მეთოდებით ამ ბრძოლას წინ ვეღარ აღუდგება. მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები უკვე გამოგვხმაურნენ და მხედველობაში მიიღეს ჩვენი კანონიერი და საკვებით საფუძვლიანი მოთხოვნები. თავისთავად, შემაშფოთებელია და მსოფლიოსთვის თვალში საცემია ის, რომ ქვეყანაში ათასობით ადვოკატი იფიცება და ობიექტურ სასამართლოს მოითხოვს, ისეთს, როგორც ხელისუფლებამ ხალხს უნდა მისცეს. აქცია რომ წარმატებულია, ფაქტია, რადგან მასში 3000-ზე მეტმა ადვოკატმა მიიღო მონაწილეობა. კოლეგებმა რეგიონებიდან — აჭარიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან, კახეთიდან — დაგვირეკეს და სრული მხარდაჭერა გამოგვიცხადეს. ისინი მზად

არიან, ასეთივე აქციები გამართონ რეგიონებში, მას შემდეგ, რაც ეს მასობრივ ხასიათს მიიღებს. გაფიცვას პერმანენტული ხასიათი აქვს და ის მიზნის მიღწევამდე, არ შეწყდება. მომავალ კვირაში დაგეგმილი გვაქვს დიდი აქცია, რომელშიც უკვე მოქალაქეებიც მიიღებენ მონაწილეობას. სავარაუდოდ, ეს კანცელარიის წინ მოხდება. მოსახლეობამ თანადგომა აქციის პირველსავე დღეს გამოგვიცხადა და უამრავმა მოქალაქემ გამოხატა აქციაში მონაწილეობის სურვილი. რაც შეეხება სასამართლოს სრულიად უკანონო და სამარცხვინო გადაწყვეტილებას — ადვოკატების დაჯარიმებას, — რა თქმა უნდა, ამას ურეაქციოდ არ დავტოვებთ და ევროსასამართლოში გავსაჩივრებთ. როცა ადვოკატები იფიცებიან და ობიექტურ სასამართლოს მოითხოვენ, სასამართლო კი ამის გამო მათ აჯარიმებს, ეს ნამდვილი კატასტროფაა. ამ ჯარიმასაც გადავიხდით, პრობლემა არაა, მაგრამ ეს მოსამართლეები გულწრფელად მეცოდებიან. ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ სწორედ მათთვის, მოსახლეობისთვის ვითხოვთ სამართლიანობას? ისინიც ხომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები არიან! როდემდე უნდა უყურონ პროკურორებს თვალბში და იფიქრონ იმაზე, მათ რა გაუხარდებათ ან რა ეწყინებათ?! ესენი უპრინციპო ადამიანები არიან და სულ მალე, ამ სამარცხვინო საქციელისთვის პასუხს აგებენ. გაფიცვა კონსტიტუციით, შრომის კანონმდებლობითა და ევროკონვენციით აღიარებული ნორმაა და ამ დროს დაკისრებული ჯარიმებისთვის, ამ მოსამართლეებს ევროსასამართლო გასცემს პასუხს. ან რა შუაშია, განცხადებაში გვარების ჩანერა? ეს აბსურდული მიზეზია. იქ გარკვევით იყო ნათქვამი, რომ იფიცება ადვოკატთა კორპუსი.

საკონსტიტუციო ცვლილებების მოთხოვნის ფონზე, ადვოკატი მალხაზ ჯანგირაშვილი განსაკუთრებით, ვაზაგაშვილის გახმაურებულ საქმეს გამოყოფს და აღნიშნული დანაშაულის სრულყოფილ გამოძიებასა და რეალური დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემას მოითხოვს. გაფიცული ადვოკატები ამბობენ, რომ უსამართლობა ბევრ გაუხმაურებულ საქმეშიც ფიქსირდება, უკანონო განაჩენების რიცხვმა კი ბოლო დროს, განსაკუთრებით იმატა.


ზაზა ხატიავილი:
— დღეს საქართველოში უამრავი უკანონო პატიმარი და ყოვლად უსამართლო განაჩენია გამოტანილი. მაგალითად, კახეთში მოხდა ასეთი შემთხვევა: ორი ადამიანი მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. დედ-მამა არ ჰყავდათ, მხოლოდ ბებია იყო მათი პატრონი. ეს ქალბატონი რაიონის სკოლაში დამლაგებლად მუშაობდა. მატერიალურად უკიდურესად უჭირდა და ცხადია, ადვოკატების დაქირავებას და სიმართლის მიღწევას ამ პირობებში, ვერ შეძლებდა. როცა იქ ჩავვედი, ამ ქალბატონმა შვილიშვილი სასტიკად ნაცემი მომიყვანა და მითხრა, პოლიციაში აწამესო. რა თქმა უნდა, საქმე ჩემს თავზე ავიღე, არავითარი მატერიალური დაინტერესება არ მქონია, უბრალოდ, სიმართლის გარკვევა და იმ ახალგაზრდების დახმარება მინდოდა. იმდენად აშკარა იყო წამების ფაქტი, რომ წინ ვერ აღუდგენ, ორივე ახალგაზრდა გაათავისუფლეს. იმასაც მივალწინეთ, რომ პოლიციის თანამშრომლები პასუხისგებაში მისცეს, მაგრამ ამაზე შორს ვერ წავედით. აღმოჩნდა, რომ ყველაფერი ფორმალურადაა იყო, პასუხისგებაში მიცემის დადგენილება ფურცელზე დარჩა, ის პოლიციელები კი რეალურად, არავის დაუკავებია. არავინ მიაქცია ყურადღება ჩვენებს, სადაც პოლიციელებმა აღიარეს თავიანთი დანაშაული. არც განაჩენი გაითვალისწინეს, რომელშიც ეს ყოველივე დაფიქსირდა და ისიც ჩაინერა, რომ პოლიციელთა პასუხისგება განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისთანავე უნდა აღსრულებულიყო. დრო გადიოდა, პოლიციელებისთვის კი პასუხის მოთხოვნას არავინ აპირებდა. უფრო მეტიც: ორი თვის შემდეგ, პროკურატურამ მათ საპროცესო შეთანხმებაც გაუფორმა. მაშინვე მოვითხოვე, სამხარეო პროკურორის წინააღმდეგ საქმის აღძვრა, მაგრამ ქალბატონ მინისტრს — ტყეშელაშვილს თვე-ნახევარია, ეს საჩივარი უდევს და პასუხის ღირსადაც არ მხდის. პოლიციელებმა დანაშაულის აღიარებისას, პოლიციის უფროსსაც დაადეს ხელი და თქვეს, რომ ამ ახალგაზრდების უკანონოდ დაკავება სწორედ მან უბრძანა. უფროსს მათთვის ამ ახალგაზრდებისგან ახსნა-განმარტებების აღება მოუთხოვია. არადა, კანონის თანახმად, ამ ეტაპზე, საქმის წარმოება პროკურატურას ექვემდებარება, პროკურატურას კი, როგორც გაირკვა, მაშინ

პოლიციისგან არანაირი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება არ მოუთხოვია. მიუხედავად ამისა, ახსნა-განმარტებები აიღეს და უდანაშაულო, უპატრონო ბიჭები დააკავეს, მკვლელობაც მიაწერეს. თუ რა მსამებლური მეთოდებით მიაღწიეს ამას, თავად პოლიციელებმაც დააფიქსირეს. ამ შემთხვევაში, საკითხი ისე კი არ დგას — პიროვნებები დამნაშავეები არიან თუ არა? — არამედ მათი დანაშაული განაჩენით დადას-



ტურდა, მაგრამ ეს განაჩენი არავინ აღასრულა... პოლიციის უფროსს, რომელმაც თანამდებობა ბოროტად გამოიყენა, პასუხი არ მოსთხოვეს, პირიქით — დაანინაურეს და არც მისი მოადგილე, ვინც უშუალოდ გამოსძალა ამ ახალგაზრდებს აღიარებითი ჩვენება, არ დასაჯეს. ასევე აღსანიშნავია მამა-შვილდოლიძეების საქმე. მთავრობასთან დაახლოებულმა პირებმა კაცს ავტოგასამართი სადგურის წართმევა დაუპირეს და რადგან არ დათმო, ლამის ციხეში ამოაღეს მამაც და შვილიც. ადამიანი, რომელსაც გულის ოპერაცია ჰქონდა გადატანილი და ყოველდღე ინსულინის ნემსს იკეთებდა, საშინლად აწამეს. ავადმყოფი კაცი 3 დღის მანძილზე საპრობილემო, ჯურღმულში ჰყავდათ გამომწყვდეული და ინსულინს არ აძლევდნენ. დამოუკიდებელმა ექსპერტმა ეს ქმედება მკვლელობის მცდელობად შეაფასა. დაავადებული ადამიანის ასეთი სასტიკი წამებისთვის, სახელმწიფო უმკაცრეს შეფასებას სტრასბურგის სასამართლოსგანაც მალე მიიღებს და სამაგალითოდ დაისჯება. ასეთი უკანონობა დღეს საქართველოში ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება. თითოეულ ადვოკატს აქვს ერთბაშად რამდენიმე ისეთი საქმე, რომელშიც სასამართლოს მხრიდან გაუგონარი უკანონობა ფიქსირდება. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა დაკავებული პირები ამდენი წამე-

გაგრძელება იხ. გვ. 93



გელა ნიკოლეიშვილი

ოჩამჩირეში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნას გვთავაზობს, მაგრამ აფხაზეთში ჯერ კიდევ წლების წინ რამდენიმე ქვეყანამ საკმაოდ დიდი ინვესტიციები ჩადო.

— მაგრამ ეს გალსა და ოჩამჩირეს არ ესება: ამ რეგიონებში შესვლას აფხაზებზე კი ერადებოან...

— დიას, ამ რეგიონებს თავის დროზე, ქართველი პარტიზანები აკონტროლებდნენ და მოსახლეობაში იმ დროიდან შიშა შემორჩენილი. თუმცა, თანდათან მათი დანარჩენ აფხაზეთში ინტეგრირება მაინც დინამიკურად მიმდინარეობს. გალში, პრიმორსკოეში ერთ-ერთი თურქული კომპანია სანაპიროს აკეთებს. კეთდება გზებიც. რაც შეეხება დანარჩენ აფხაზეთს, — ინვესტორთა დეფიციტს ნამდვილად არ განვიცდით, აქ მუშაობენ თურქები, უკრაინელები და სომხები. აღარაფერს ვამბობ რუსულ კამპიტალზე, რომელიც ქართულ მხარეს ასე აღიზიანებს... მსგავსი პროგრამა ქართულმა მხარემ რამდენიმე წლის წინაც შემოგვთავაზა, მაგრამ უარი ვუთხარი.

— ჩემი ინფორმაციით, აფხაზეთის ხელმძღვანელობა თავად სთავაზობდა ასეთ პროგრამას, ოღონდ ერთი პირობით — ქართულ მხარეს აფხაზეთისთვის რუსეთი უნდა ჩამოეშორებინა...

— მსგავსი არაფერი ყოფილა, ჩვენ მხოლოდ ერთი რამ შევთავაზეთ — კეთილშობილური ურთიერთობა, რომლის პირობებშიც, თანამშრომლობა და ბიზნესპარტნიორობაც მისაღები იქნებოდა. რუსეთის ჩამოშორება ამ ეტაპზე ხელს არ გვაძლევს, თუმცა არ დაგიმალავთ და მას შემდეგ, რაც აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებენ, რუსეთთან ჩვენი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა უფრო დაოუკიდებელი გახდება. ამავდროულად, ჩვენ რუსეთთან ჯანსაღ და ახლო ურთიერთობას შევინარჩუნებთ. პატარა, დამოუკიდებელ ქვეყანას დიდი სახელმწიფოს მხარდაჭერა ყოველთვის სჭირდება.

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ენ. აფხაზეთი ფულის მოჭრასაც აპირებთ. თქვენი აზრით, ეს რუსეთს მოეწონება?..

— ამ საკითხზე ჯერჯერობით მხოლოდ მსჯელობა მიმდინარეობს. პოლიტიკოსთა ერთი ნაწილის აზრით, ეს დამოუკიდებლობის აღიარებამდე უნდა მოხდეს, მეორე ნაწილი კი მართებულად მიიჩნევს, რომ ეროვნული ვალუტა მას შემდეგ შემოვიღოთ, რაც აფხაზეთი სრულფასოვანი სახელმწიფო გახდება. ამასთანავე, აფხაზეთში მიმოქცევაში იქნება რუსული რუბლიც, რათა იქაური კაპიტალის შემოდინება თავისუფლად მოხდეს. რუსეთისთვის ცნობილია, რომ აფხაზეთს აქვს ერთადერთი მიზანი — დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც ევროინტეგრაციისკენ მიისწრაფვის. შესაძლოა, ჩვენი გეგმა ვილაცისთვის არასერიოზულიც იყოს, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, მსოფლიოში პოლიტიკური შესხედულებები იცვლება და ეს უნდა გამოვიყენოთ.

"ვიმინდი, სანამ ვიმბოლო"... ახლა სიმართლე უნდა ვისძვრა"

დედინაცვალე გერს ძარცვასა და სეკსუალურ ძალადობაში ადანაზაულას

27 წლის მალხაზ ხარაიშვილს რამდენიმე მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებაში, პროკურატურასთან ერთად, საკუთარი ოჯახის წევრც ადანაშაულებს. ქალბატონი, რომელიც წესით, ბრალდებულის მხარეს უნდა წარმოადგენდეს, საქმის მასალებში მიხედვით, დაზარალებულია. ახალგაზრდა, რომელიც მალე მართლმსაჯულების წინაშე წარდგება, დაზარალებულის თქმით, საშინო დამნაშავეა და უმკაცრესად უნდა დაისაჯოს.

მალხაზ ხარაიშვილი მომხდარი ფაქტიდან რამდენიმე საათში, საკუთარ სახლში დააკავეს. იქვე გახლდათ დაზარალებულიც, რომელმაც მას პოლიციელების წინაშე, ძარცვასა და სექსუალურ ძალადობაში დასდო ბრალი. დაკავებულმა განაცხადა, რომ არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია. ბრალი მან არც დაკითხვისას აღიარა.

ბრალდებული დაზარალებულის გერია. დედინაცვალი ამბობს, რომ გერის ძალადობის მსხვერპლი არავრთხელ გამხდარა, მაგრამ ამჯერად მან ყველა ზღვარს გადაბიჯა... საქმის მასალების ხედვით, წარსულში ნარკოტიკებისთვის ნასამართლევი ხარაიშვილი ლამის საათებში, სამსახურიდან შინ მიმავალ დედინაცვალს — რაისა ქავთარაძეს კორპუსთან ახლოს, ბნელ კუთხეში ჩაუსაფრდა; როცა სახლისკენ ფეხით მიმავალი ქავთარაძე შენიშნა, მოულოდნელად მას თავს დაესხა, თავში მიიმე საგანი ჩაარტყა და ნაქცეული ქალი გაძარცვა. ბრალდების თანახმად, წააძრო სამკაულები და მოსტაცა ხელჩანთა, რომელშიც მობილური ტელეფონი და ნაფჭრი თანხა — დაახლოებით 230 ლარი იყო. გატაცებული ნივთები გადაამალა, რის შემდეგაც, ეჭვების გაქარვებისა და ალიბის შექმნის მიზნით, შინ დაბრუნდა. ბინაში დედინაცვალი დაახლოებით 2 საათის შემდეგ, პოლიციის თანხლებით მივიდა...

რანის ძამთარაძე, დაზარალებული:

— ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც გამოძიების მასალებში წერია. ჩემს ჩვენებას სასამართლოშიც გავიმეორებ და სიმართლეს ვიტყვი. ის ჩემი ოჯახის წევრია, მაგრამ რაც ჩაიდინა, არ ვაპატიებ და ხელს არ დავაფარებ. იმ კვირაში ჩემი მუხლები შინ არ იმყოფებოდა, რაიონში გახლდათ წასული. მანაც ამ მომენტით ისარგებლა და როგორც ჩანს, დიდი ხნის წინ ჩაფიქრებული განზრახვა შესარულა. იმასაც

ვეჭვობ, რომ მართო არ მოქმედებდა. საღამოს მეტროს სადგურიდან გამოვედი თუ არა, ვიგრძენი, რომ უკან ვილაც მომყვებოდა. მართალია, იქ ხალხმრავლობაა, მაგრამ ინტუიციით მაინც ვიგრძენი, რომ ვილაც სწორედ მე ამედევნა. შიშით, კარგა ხანს, უკანაც ვერ მივიხედე. მერე გავბედე და მალალი, ჩემთვის უცნობი ახალგაზრდა დავინახე. რაღაცნაირად შეცბა და უცებ, ყურთან ტელეფონი მიიტანა. მერე სადღაც შეუხვია. ვეჭვობ, რომ ჩემმა გერმა ის საქმეში სპეციალურად გარია. მე ვერ ვიცნობდი და ამიტომაც, თავიდან ის მომიჩინა, რათა მისგან ინფორმაცია მიეღო. როგორც ჩანს, ის უცნობი, გარეგნობით მიცნობდა. როცა შევამჩნიე, რომ უცნობი გაქრა, ცოტა დავმშვიდდი. ნაბიჯს ავუჩქარე, მინდოდა, რაც შეიძლება მალე მივსულიყავი შინ. უეცრად, უცნიდან ვილაცა დამეტაკა, თავში საშინელი სიმძიმე ვიგრძენი და მომენტალურად, თვალთ დამიბნენდა. მასსოვს, ოდნავ გრძნობა რომ დამიბრუნდა, ვილაცა სხეულზე ხელებს მიფათურებდა. ბოლოს გვერდში წიხლი ჩამარტყა და საშინლად, ბინძურად შემეგინა. მის ხმას მილიონ ხმაში გამოვარჩევდი. ბნელოდა, მაგრამ მისი სილუეტი კარგად დავინახე. გვერდში წიხლი ჩამარტყა და გაიცა. ამ ყველაფრის გასაზრებლად, რამდენიმე წამი დამჭირდა. დავიყვირე — მიშველეთ-მეთქი! არავინ ჩანდა. რადგან სიარული შემეძლო, გადავწყვიტე, მაშინვე განყოფილებაში მივსულიყავი და მომხდარის შესახებ განმეცხადებინა. პოლიციის განყოფილება იქვეა, კორპუსიდან მეორე შესახვევში...

— თქვენი აზრით, რამ გამოიწვია მასში ასეთი აგრესია? რატომ დაგესხათ თავს?

— ბოლო დროს ფულს არც მე, არც მამამისი არ ვამღვედით. ამის გამო, ბინიდან ნივთების გატანა და გაყიდვა დაიწყე. რა თქმა უნდა, ვუსაყვედურე. თავისი რომ არ დაიშალა, სახლიდან გავაგდე. მაინც შემოგვირიგდა, მაგრამ დათვრებოდა თუ არა, ოჯახში სკანდალს აწყობდა. განსაკუთრებით, მამას იგდებდა აბუჩად. პატივს არ სცემდა და ჩხუბისას, მისკენ ინევდა კიდევ. ამის მოწმენი მეზობლებიც არიან. ყოველდღე მთვრალი იყო, პირიდან მუდამ სპორტის სუნი ამოსდიოდა. ცუდ წრეში რომ იყო გარეული, ყველამ ვიცოდით. ადრე ნარკოტიკებისთვის დააკავეს. ჯიბეში უპოვეს ოპიუმისანი შპრიცი. რა არ გავაკეთე იმისთვის, რომ ციხიდან როგორმე გამომეხსნა? მე რომ არ დავხმარებოდი, იმ დანაშაულისთვის, აქამდე იქ იქნებოდა და

დააპურე, მათ ბლავილსა და კრიახს მეზობლები გაიგებენ. ჰოდა, რას იფიქრებენ მერე? ახლა, ღორებს თუ არ ამოუყორავ მუცლებს, რა მოხდება? — რა და, დაგილენავენ შენი შვილის მიერ უნიჭოდ აგებულ სალორეს!.. ახლა გეკითხები: მე რაღაზე უნდა ავდგე დილაუთენია?..

მეზობელმა ახლა დაუფარავად გამომხედა თავისი საკვლიდან. ჩემდა სამარცხვინოდ, ვერ შევძელი გაჩუმება და ისევ გავაგრძელე:

— ახლა ფანჯრიდან რომ გვითვალოთ ვალბს, იცი, ვინ არის?

შეშინებულმა კლარამ უკან მიიხედა და მეზობლის ახალგაზრდა კაცს თავი დაუქნია, მისალმების ნიშნად, მერე კი ცნობისმოყვარედ შემომაცქერდა.

— ვინა და, წესით, ჩვენმა მთავრობამ ამას და ამის მსგავსებს დღეში სამჯერ, მადლობა უნდა გადაუხადოს იმიტომ, რომ დიდი მეცნიერია! არადა, შეხედე, რას ჰგავს: ორი კვირის წინ ცოლი შეირთო, ჯერ ისევ თავლობის თვე აქვს და იმის ნაცვლად, რომ სახეზე ბედნიერების ღიმილი დასთამაშებდეს, ჯაყოსავით გაბურძგნილი და ამოჩაჩული დადის. გინდა გითხრა, რატომ?..

კლარა უკან დაინია და ტუჩებთან ხელი მიიტანა — გაჩუმდი, სირცხვილიაო. მეც, ხმას დავუწიე, მაგრამ სათქმელი მაინც მივახალე, თვალეზბაფართოებულ მემანვნეს:

— იმიტომ, რომ იმის საზღაური ვერ მიიღო, რაც თავის ცხოვრებაში იშრომა და იღვანა!

კლარა „გაიბერა“ და ალბათ, დონჯსაც შემოირტყამდა, მაგრამ ხელები დაკავებული ჰქონდა. მას სიტყვის თქმაც აღარ ვაცალე, ისე განვაგრძე:

— არ ავდგები ლოგინიდან დილაუთენია! რატომ უნდა ავდგე? — სამსახური მე არ მაქვს, შვილი და ძირი, გეგმა და ცხოვრების სტრატეგია, მომავლის იმედი და მოტივი იმისათვის, რომ სახლიდან გარეთ გავიდე. აღარც შენ გაგიღებ კარს და არც მანონს ვიყიდი. უფრო სწორად, მას აღარც შევქამ. რა, მხოლოდ ეგ მანონია ჩემი მზის ამოსვლასთან დამაკავშირებელი რგოლი? თუ ასეა, არ მინდა!


მერე, ხმას ოდნავ დავუწიე, დეიდა კლარას პირი ყურთან მივუტანე და ავისმომასწავებელი ხმით, ისე, რომ მეზობელს ვერ გაეგონა, განვაგრძე:

— იცი, როგორ გოგოს უყვარდა ეს გაბურძგნილი? მაგრამ იმის ცოლად მოყვანა ვერ გაბედა... რატომო?

— მკითხე ახლა! იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში სიყვარულიც ფრამენტული გახდა — მის შესანარჩუნებლად ადამიანებს მატერიალური შესაძლებლობები არ აქვთ! ჰოდა, შენი პრეზიდენტი, ოპოზიციაც და პოზიციაც, ამყადა რომ გაიძახის: — ხალხი სოციალური პრობლემების გამო არ გამოსულა სახლიდანო, მტკნარი სიცრუეა!

მეზობლის ფანჯარას გავხედე. ფარდის იქით არავინ ჩანდა. არ ვიცი, ეშმაკები შემომიჩნდნენ თუ რა მოხდა, მაგრამ ლაპარაკი ისევ განვაგრძე:

— აჰა, შენ თემა, რაზეც უნდა იფიქრო. იცი, ფული რისთვისაა საჭირო? იმისთვის, რომ თავი ადამიანად იგრძნო. რომ გაიძახიან, — ცხოველებისგან ინტელექტი და მორალი განგვასხვავებსო, მართალია, მაგრამ მაგას, ისიც უნდა დაუმატონ, რომ სხვა სულიერებისგან განსხვავებით, ჩვენ ფულს მოვიხმართ. ეგეც ხომ ინტელექტის ნაყოფია, ჩემო კლარა?.. რადგან მანვნის ბიზნესით ხარ დაკავებული, ე.ი. ფულის გემოც იცი. ჰოდა, მაშინ იმდენსაც უნდა მიხვდები, რომ ადამიანს, რომელსაც მოთმინების ფილა უამრავი უშედეგოდ ცდის, ღვანლის, შრომის და მოლოდინის შემდეგ საბოლოოდ დაეცლება, არ უნდა ჰკითხო: დილის მზეს თვალუბანთებული რად არ ეგებებიო?..



კიბზე მეზობლის ქალი ამოვიდა. ორი ცარიელი ქილა საფეხურზე დადგა, ორიც — თავისი ხელით ამოიღო ჩანთიდან. კლარა „წნევიანი“ თვალეზბით შემომცქერის. აშკარად ცუდადაა, მაგრამ მე ისევ ვაგრძელებ „სისინს“:

— მე და ამ ჩემს მეზობელს იცი, ახლა რა განგვასხვავებს? ის, რომ მე მხოლოდ ოცნებები მაქვს, რომელსაც ლოგინიდან წამოდგომაც არ სჭირდება, მას კი აქვს ფიქრები და გეგმე-

ბი, ამიტომაც დაფაფხურობს... მომეცი ახლა ეგ ქილები და როცა სოფელში ახვალ, თანასოფელელ ქალებს უთხარი, რომ ქუჩაში ღამისსამოსიანი გოგო გამოგისტა და უტიფრად მოგახალა, — შენი პრეზიდენტი, მისი აშენებული ქვეყანა და შეპირებული ბედნიერი ცხოვრება მხოლოდ მითიაო! მათ ისიც განუმატე, რომ სახელმწიფო არარსებულა, თუკი მას აქვს უნარი, საკუთარ მოქალაქეებს მზის ამოსვლის ცქერის მოტივაცია გაუქროს. და კიდევ, თანასოფელეებს უთხარი, რომ პრეზიდენტი და მთავრობა უფლებას გვიტოვებს, ქალებმა ლოგინში საღამომდე ვიგოროათო, კაცებმა კი წვერი კვირაობით არ გაიპარსონ; და რომ ჩვენ ის უმრავლესობა ვართ, რომელსაც დილაობით არსად ეჩქარება.

მეზობელმა ფანჯარა გამოაღო, მერე კი ხმაურით მიხურა. ალბათ, ყველაფერი გაიგონა. რას ვიზამთ — სიყვარულზე უარი რომ არ ეთქვა, ასე ხომ არ გავიმეტებდი? დეიდა კლარას ხელში ჩაბლუჯული მანვნის ქილები გამოვგლიჯე და შინ შევევარდი. მერე, სამზარეულოს ფანჯრიდან ვუყურებდი, როგორ დაიხარა მძიმედ, ჩანთას ხელი მოჰკიდა და კიბზე კიდევ უფრო პატარა და უმწეო დაემუა, ვიდრე სინამდვილეში იყო.

ლოგინი ისევ თბილი დამხვდა, მაგრამ რაღა დამაძინებდა? — მა-

ლევე წამოვდექი, ჩავიცვი და ქუჩაში გამოვედი. ჩემს მეგობარს შინ შევუარე და მის კომპიუტერში ჩემი ფოსტა შევამოწმე. სამწუხაროდ, ჩემ მიერ არჩეულმა რუსულმა საიტმა „მომახალა“: „ნეტ ნოვის პისემ“. მერე, კიდევ რამდენიმე CV გავგზავნე იმ იმედით, რომ ოდესმე, ვინმე აუცილებლად მიპასუხებს და ისევ ქუჩაში გამოვედი. გზად იმ სოფლის „მქშინავი“ ავტობუსი წამომენია, რომელშიც კლარა დეიდა ცხოვრობს. ხელი ავუწიე და გავაჩერე. ძლივს ავიჩხლართე ტომრებსა და კუბოკრულ ჩანთებს შორის. პატარა ავტობუსმა ცოტა ხანს „იღმუვლა“ და ბოლოს, მემანვნის ეზოს ცისფრად შეღებილ რკინის ალაყაფთან მიმიყვანა. ვზივარ ახლა მის კართან, სახელდახელოდ გაკეთებულ სკამზე, შევცქერი აფრიალებულ თეთრ „ბაირალებს“ და ვფიქრობ: რა სჯობია, ნეტავ, კლარა დეიდასთვის — იფიქროს, რომ უსაქმური ქალი ვარ, თუ იცოდეს, რომ უსუსურ სახელმწიფოში ცხოვრობს? მგონი, არც ერთია გამოსავალი. ჰოდა, თუ ასეა, მაშ, რაღაზე ვატყინე გული?..

26017

„ერთდროყოფა შემიძლია, ცოლის საცხიც წავიღებ, მობილონზე ვისაუბრო და მანქანაც ვმართო“...

ქაბ მინლაბე

— მანქანის მართვის სურვილი ბავშვობიდან მქონდა. ამას დედაც ამჩნევდა და ჩემი გულის გასახარად, ხშირად მიმეორებდა: სკოლას რომ დაამთავრებ, მანქანას აუცილებლად გიყიდიო.

— ვინ გასწავლა მანქანის მართვა?

— 20 წლის ვიყავი, როცა მანქანის მართვის შემსწავლელ კურსებზე დავინწყე სიარული. სხვათა შორის, ძალიან ადვილად ვისწავლე. მეოთხე გაკვეთილზე, როცა მასწავლებელმა უკუსვლით ვარჯიში დამანებინა, რამდენიმე წუთში, ვინრო ადგილიდან ისე თავისუფლად და უპრობლემოდ გამიძვედრი, რომ სრულიად სერიოზულად მითხრა: უკვე თავისუფლად შეგიძლია, ავტომანქანით ქალაქში იმოდრაოო.

— როცა პირველად მიუფეხე საკუთარი მანქანის საჭეს, რა შეგრძნება დაგეუფლა?

— ძალიან განვიცდიდი. თავიდან, როცა ქალაქში ვმოძრაობდი, დაქალი დამყვებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ყველა დაბრკოლება წარმატებით გადავლახე, შიში სრულიად გამიქრა.

— პირველად, რა მარკის მანქანა შეიძინე?

— შავი ფერის „ფოლკსვაგენ გოლფი“, რომლის შეძენაში ოჯახი დამეხმარა.

— ახლა რა მანქანა გყავს?

— მწვანე ფერის „ფოლკსვაგენ ბორა“, რომელიც 5 წლის წინ ვიყიდე.

— ამბობენ, რომ მუქი მწვანე მამაკაცური ფერია, რატომ აირჩიე მაინცდამაინც ეს ფერი?

— რა ვიცი, მანქანის მოდელი იმ-

დენად მომეწონა, რომ ფერისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. ისე, ვფიქრობ, რომ ქალს ვერცხლისფერი ავტომობილი უფრო უხდება.

— შენი მანქანა „მექანიკურია“ ან „ავტომატური“ არ გერჩივნა?

— ამას ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, მოდელი მომეწონოს. პირველი ავტომობილიც „მექანიკური“ იყო. ასე რომ, ხელით სიჩქარეების გადართვას მივეჩვიე. სხვათა შორის, მანქანის მართვის სრულყოფილად შესასწავლად ჯობია, მისი ტარება „მექანიკურზე“ ისწავლო.

— ამბობენ, როცა ქალი საჭეს უზის, იოლად იბნევა...

— მანქანის მართვისას შეიძლება, ქალიც დაიბნეს და მამაკაციც. სხვათა შორის, არაერთი მამაკაცი მინახავს, რომელსაც საცობიდან თავის დაღწევა და ვინრო ადგილას მანქანის გაჩერება გასჭირვებია. არ მივეუთვნები ქალბატონების იმ კატეგორიას, რომელიც იბნევა და ამის გამო, ავარიულ სიტუაციას ქმნის. ჩემთვის ხშირად უთქვამთ: ისე პროფესიონალურად დაყენე მანქანა, რომ ბევრ მამაკაცს გაუჭირდებოდაო.

— ლალი, ჩქარი სიარული თუ გიყვარს?

— ძალიან. სამწუხაროდ, ქალაქში ისეთი გადატვირთული მოძრაობაა, რომც შეინდომო, სიჩქარეს ვერ განავითარებ. ჩქარი სიარული მიყვარს, მაგრამ ამავე დროს, ძალიან დაკვირვებული ვარ.

— საჭესთან ჯდომისას, ყველაზე მეტად რის გამო გეშლება ნერვები?

— საშინლად ვბრაზდები, როცა ჩემ წინ მანქანა ნელა მიდის და ამ დროს, ტრასა თავისუფალია. თუ თვითონ არ ეჩქარება, სხვა მაინც გაატაროს!

— ხშირად არღვევ მოძრაობის წესებს?

— ადრე საკმაოდ ხშირად ვარღვევდი, ახლა — ნაკლებად. ჩემი გამოსწორების მიზეზი ვიდეოთვალა (იცი-ნის).

— ე.ი. შეგვიძლია დაფასკვანთ, რომ წესიერი და კარგად მომზადებული მძღოლი ხარ...

— კი, მობილიზებული, ფრთხილი და თავისუფალი. თავდაპირველად, როცა მართვა ახალი ნასწავლი მქონდა, ვცდილობდი, მოძრაობის გარდა არაფერზე მეფიქრა.



„მანქანის მართვა ძალიან ადვილად ვისწავლე“, — ამბობს მოდელი ლალი კოტიკაშვილი, რომელსაც შეუძლია, ისე გაატაროს ავტომობილი, რომ საჭეს ხელი არც მოჰყილოს...

დღეს კი ამ მხრივ პრობლემა არ მაქვს. შემიძლია, საჭესთან ჯდომის დროს, მობილურზეც ვისაუბრო და ტუჩის საცხიც წავისვა. იმ შემთხვევაში, როცა ხელები დაკავებული მაქვს, შემიძლია, საჭე მუხლით ვმართო. მთავარია, ამ დროს პატრულმა არ დაამინახოს (იცი-ნის).

— საცობებს თავს როგორ აღწევ?

— აი, საცობი საშინელებაა! ვიდრე ვიდეოთვალს დააყენებდნენ, საცობში არასოდეს ვჩერდებოდი. ვცდილობდი, ისე ოსტატურად გავმძვინალიყავი მანქანებს შორის, რომ საავარიო სიტუაცია არ შემექმნა. მაგრამ დღეს, ვიდეოთვალის შიშით, საათობით მიწვეს დგომა.

— ოჯახის წევრებიდან შენიშვნას ვინ გაძლევს ხოლმე?

— მეუღლე (იცი-ნის). მაგრამ ვფიქრობ, როგორც მძღოლი, შენიშვნას არ ვიმსახურებ, რადგანაც ბევრ მამაკაცზე უკეთესად შემიძლია მანქანის მართვა. ჰოდა, ოჯახის სხვა წევრებს ჩემთან პრეტენზიები არა აქვთ, პირიქით, დედა სულ იმას გაიძახის, — ლალის მანქანაში თავს ძალიან მშვიდად და დაცულად ვგრძნობო.

— დაბოლოს, რა მარკის ავტომანქანის ყოლას ისურვებდი?

— ჩემი ოცნებაა შევიძინო წითელი „ფერარი“.



საშინლად ვბრაზდები, როცა ჩემ წინ მანქანა ნელა მიდის

ეკა მინლაძე

ვასო ვასალია:

— ეკას სამი დედამიშვილი ვყავართ — ორი და ერთი ძმა. ჩვენ შორის უფროსი ხათუნაა, შემდეგ — ეკა, მერე — ცირა, უმცროსი კი მე გახლავართ.

როგორი ბავშვი იყო ეკა?

— ეკა ჩემზე 13 წლით უფროსია და ცხადია, მისი ბავშვობა არ მახსოვს. გადმოცემით ვიცი, რომ ძალიან აქტიური, ცელქი, პრინციპული, რისკიანი და მიზანდასახული ბავშვი ყოფილა. თურმე, ყოველთვის ცდილობდა, იმ საქმეს შესჭიდებოდა, რაც მისთვის სახიფათო და ძნელად მისაღწევი გახლდათ.

თქვენ შორის რომელი უფრო ბევრით იყო?

— რა თქმა უნდა, ეკა. ეს თვისება დღემდე აქვს.

ეკას გარეგნულად ჰგავხარ. ხასიათიც ერთნაირი გაქვთ?

— დიახ, ორივეს ფიცი ხასიათი გვაქვს, მაგრამ ის ჩემგან განსხვავებით, უფრო მიზანდასახული და მობილჩივებულია.

როგორია ეკა ბესელია ოჯახის წევრებთან?

— თბილი და ყურადღებიანი. განსაკუთრებულად მკაცრი და მომთხოვნია შვილებთან. ის დედამიშვილების მიმართ იმდენად მზრუნველია, რომ ხშირად, მეორე დედასაც კი ვეძახით (იციან).

საუბრდან ჩანს, რომ კარგი დამშობა გაქვთ, ასეა?

— დიახ, ერთმანეთთან შესაშური ურთიერთობა გვაქვს. ჩემთვის დები ყველაზე ძვირფასი ადამიანები არიან. მათ გვერდით თავს დაცულად ვგრძნობ.

შენ მიმართ, ყველაზე მკაცრი რომელია?

— ეკა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მაშინ, როცა სიგარეტს ყველასთან ვწნოდი, მასთან ამას ვერ ვბედავდი. დებიდან ყველაზე მკაცრი და მომთხოვნია ყოველთვის ეკა გახლდათ.

მაინც, ყველაზე მეტად რაზე ლიზინდებ?

— არ უყვარს, როცა ნასვამ მდგომარეობაში, თანაც, გვიან ვბრუნდები. ალბათ, იმიტომ, რომ ნასვამი ადამიანი უფრო მეტად ხიფათიანია, ვიდრე — ფხიზელი. ის მხოლოდ მაშინ მშვიდდება, როცა შინ დაბრუნებულს, საკუთარი თვალით დამინახავს.

თუ შეგიძლია, ეკას დადებით და უარყოფით თვისებებზე გვთხრა რამე.

— ეკა ერთგული, ყურადღებიანი და შრომისმოყვარე ადამიანია. უარყოფითი თვისება არა აქვს (იციან).

ბესო, რთულია სამი დის ძმობა?

მამაჩუნი, ჩოჩოლი მამა ზმსოლიან გვერდთან აქ სიღრმა

„გადაწყვიტა, მასთან ერთად მივლო და საფრთხისგან დამეცა“...



„ოჯახის წევრებს არ გვინდოდა, რომ ის პოლიტიკაში წასულიყო“, — გვითხრა პარტია „ერთიანი საქართველოსთვის“ გენერალური მდივნის, ეკა ბესელიას ძმამ, რომელიც დას არა მარტო ხასიათით, არამედ გარეგნულადაც ჰგავს. თურმე ეკა დედამიშვილების მიმართ იმდენად ყურადღებიანია, რომ ისინი მას მეორე დედასაც კი ეძახიან.

— არა, რას ამბობ? ეს ჩემთვის ძალზე სასიამოვნო რამ არის. საოცარი შეგრძნებაა, როცა ამდენი ადამიანი გიფრთხილდება. სხვათა შორის, მეგობრებიც ხშირად მეუბნებიან: ბედნიერი კაცი ხარ, შენზე ამდენი ადამიანი რომ ზრუნავსო.

ერთმანეთის პირად ცხოვრებაში თუ ერევით?

— არასოდეს. გადაწყვეტილებას ყოველთვის დამოუკიდებლად ვიღებთ, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, სამივე დედამიშვილი, რჩევისთვის მუდამ უფროს დასთან გავრბივართ. ამის გამო, ჩვენ მას ოჯახის ფსიქოლოგი შევარქვით.

რა პროფესიის ადამიანი ხარ?

— ისე მოხდა, რომ ოთხივე იურისტობა ავირჩიეთ. ამჟამად, ეკასთან საადვოკატო კომპანიაში ვმუშაობ.

ეკას პოლიტიკაში წასვლას ოჯახის წევრები როგორ შეხვდნენ?

— საშინელი რეაქცია გვექონდა. არ გვინდოდა, პოლიტიკაში რომ წასულიყო, რადგანაც პოლიტიკოსობა რისკიანი საქმიანობაა. სწორედ ამიტომ, გადავწყვიტე, მასთან ერთად მევე-

ლო და შეძლებისდაგვარად დამეცვა საფრთხისგან. მას რომ რამე მოუვიდეს და მე იმ წუთში იქ არ ვიყო, საკუთარ თავს მთელი ცხოვრება ვერ ვაპატიებ. 7 ნოემბერს, რიყეზე, სადაც შეჯახება მოხდა, ჩვენ ერთად ვიდექით. კარგად მახსოვს, ისე შემეშინდა, ეკას რამე არ მოსვლოდა, რომ დღემდე ვერ ვიხსენებ, როგორ გამოვიყვანე ის სამშვიდობოს.

პოლიტიკაზე თუ გიკამათია?

— კი, როგორ არა?! თავიდანვე არ მომეწონა, ეროვნული საბჭოს წევრებმა ხელისუფლებასთან მოლაპარაკება რომ დაიწყეს, რადგანაც ამ ნაბიჯის გადადგმა არ ღირდა. ბოლოს, სწორედ ამ საკითხზე ვიკამათეთ.

მომავალში შენც ხომ არ აპირებ პოლიტიკოსობას?

— არა, მე ამ ნაბიჯს არასოდეს გადავდგამ! ეს ჩემი საქმე ნამდვილად არ არის.

დაბოლოს, როგორ აფასებ ეკას პოლიტიკურ საქმიანობას?

— დადებითად. ვიცი, რომ მას ბევრი კარგი საქმის კეთება შეუძლია. ■

მას აყვავებს ძილის წინ ჯოჯოხეთი ივანეძე და მოკლედ გააჩვიებს თავი „მკვლევარ“ ყიფიანებს



ყველაზე სწორად დეტექტიური ჟანრის ლიტერატურას კითხულობს. ამბობს, რომ რუსულ კლასიკურ ლიტერატურაზე გაზრდილი და თუ რაიმე არ წაიკითხა, ვერ დაიძინებს. მისი საყვარელი მწერალი ფეოდორ დოსტოევსკია. ასევე, სწორად კითხულობს ბორის აკუნინის ნაწარმოებებს. ქურდობისკენ მიდრეკილება არა აქვს და შესაბამისად, წიგნც არასდროს მოუპარავს. „და ვინჩის კოდის“ წაკითხვის შემდეგ, შიშის გრძობა დაეუფლა და ამ წიგნის სამყაროდან თავის დაღწევას დაიბნანს მოუწდა. ლიტერატურული პერსონაჟებიდან მეგობრად საყვარელი მწერლის გმირს — კინაზ მიშკინს („იდიოტი“) ირჩევს. მას ასე, „ერუდიტი“ სტუმარია პარლამენტის ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, ქალბატონი ელენე თევდორაძე.

თამუნა კვიციანი

— 1986 წლამდე, რომელი ქვეყანა ატარებდა სახელწოდებას „სპილოს ძვლის ნაპირი“?

— მგონი, ზაირი.

— არა, ეს ქვეყანა კოტ-დ'ივუარი გახლდათ. გაიხსენეთ, რომელ ქვეყანაში იყო ფაშის ტიტული?

— ოსმალეთში.

— რომელ ფილმში განასახიერა იპოლიტე ხვიჩიამ თავისი სენია: „თოჯინები იცინიან“, „მხიარულ რომანში“ თუ „არ იდარდოში“?

— „თოჯინები იცინიან“, არა?

— არა. მან იპოლიტეს როლი ფილმში — „მხიარული რომანი“ შეასრულა.

— მგონი, ეს ფილმი ნანახიც არ მაქვს.

— შუა საუკუნეების საფრანგეთში, იერარქულად, რომელი სათავადაზნაურო ტიტული იდგა შერცოგსა და გრაფს შორის?

— მარკიზი.

— რას შეისწავლის სპელეოლოგია?

— ზუსტად არ ვიცი. მგონი, არქეოლოგიასთანაა ასლოს.

— სპელეოლოგები მღვიმეებს შეისწავლიან. ალუ-მინი, თუთია, ვერცხლი, სპილენძი — ამ ლითონებიდან, რომელი დნება უფრო მაღალ ტემპერატურაზე?

— სპილენძი, მაგრამ პასუხში დარწმუნებული არ ვარ.

— თქვენი პასუხი სწორია. რომელი სრუტე აერთებს შავ და აზოვის ზღვებს?

— ვერ გიპასუხებ.

— ქერჩის სრუტე. რომელი სახელმწიფო აკონტროლებს გიბრალტარის სრუტეს?

— დიდი ბრიტანეთი.

— რომელია ტერიტორიულად ყველაზე პატარა კონტინენტი?

— ავსტრალია.

— რომელი სახელმწიფოს დედაქალაქია ბეირუთი?

— სირიის.

— ცდებით. ბეირუთი ლიბანის დედაქალაქია. რომელი სახელმწიფოს წინააღმდეგ იბრძოდა ჯუზეპე გარიბალდის მოხალისეთა კორპუსი?

— ესპანეთის.

— სწორი პასუხია ავსტრიის წინააღმდეგ. რა ფერის პერანგები ეცვათ ჯუზეპე გარიბალდის მიმდევრებს?

— არ ვიცი.

— წითელი. რა იყო ფაშისტური გერმანიის მიერ

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წამოწყებული ომის გეგმის კოდური სახელწოდება?

— „ბარბაროსა“.

— რა ერქვა მმართველს, რომელსაც შაჰერეზადა „ათას ერთ ზღაპარს“ უყვებოდა?

— ვერ გეტყვით.

— შახრარი. რა გვარია მამა იორამი ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონში“?

— არც ეს ვიცი.

— კანდელაკი. „ბურატინოს თავგადასავალში“, რა ერქვა თეატრის ბოროტ მეპატრონეს?

— ყარაბას ბარაბასი.

— რომელ მხატვარს ეძღვნება ალა პუგაჩოვას ცნობილი სიმღერა, მილიონი ვარდის შესახებ?

— ფიროსმანს.

— რამდენი კაცისგან შედგება ავტოპატრულის ეკიპაჟი?

— (იცინის) მგონი, 4 კაცისგან.

— ეკიპაჟი 2 კაცისგან შედგება. რა დააარსა ანტონ შანდორ ლავეიმ 1968 წელს, სან-ფრანცისკოში?

— არ ვიცი.

— სატანისტური ეკლესია. საქართველოს რომელი მეფეა დაკრძალული ყუმში, შაჰ-აბასის გვერდით?

— არ ვიცი.

— როსტომი. 1981 წლიდან, რა აეკრძალათ აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცრებს — ბანქოს თამაში, წვერის ტარება თუ ლოთობა?

— წვერის ტარება.

— რომელი ცხოველის სახეობაა გნუ?

— ანტილოპის.

— რომელ სახელმწიფოში მოხდა მოკრივეთა აჯანყება?

— ასეთი რამ არ მახსენდება. რა „მაგრობა“ კითხვებია (იცინის).

— ჩინეთში. გვირაბი „ინგლიშ ჩენელი“ რომელ სახელმწიფოს აკავშირებს დიდ ბრიტანეთთან?

— საფრანგეთს.

— ესპანეთის რომელ ქალაქში ტარდება (ყოველწლიურად) დალაქთა საერთაშორისო კონკურსი, რომელსაც როსინის ერთ-ერთი ოპერის პოპულარობას მიანერენ?

— სევილიაში. „სევილიელი დალაქის“ წყალობით გამოვიცანი.

— რომელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარეობდა ბაბილონი?

— (ფიქრობს) ვერ გიპასუხებთ.

— ერაცის. ვის გადასცა ლმერთმა „ათი მცნება“?

— მოსეს.
 — რა საქმეს იხილავდნენ ეფეტები ათენის სასამართლოში?
 — არ ვიცი.
 — მკვლელობის. რა ერქვა მართლმსაჯულების ქალღმერთს?
 (ფიქრობს)...
 — პინეზიანი სასწორით ხელში...
 — (მანყვეტინებს) თემიდა.
 — რამდენი წლის ვადით ირჩევა სახალხო დამცველი საქართველოში?
 — 5 წლის ვადით.
 — ბელგია, ინგლისი, ესპანეთი, ჰოლანდია, შვედეთი, იაპონია, ავსტრალია — რა აქვს საერთო ამ ქვეყნებს?
 (ფიქრობს)...
 — ქალბატონო ელენე, ამ ქვეყნებში როგორი წყობილებაა?
 — დიახ, მათ ეს აქვთ საერთო — ყველგან კონსტიტუციური მონარქიაა.
 — რომელი ქვა იცვლის ფერს განათების ან დღე-ღამის მონაკვეთის მონაცვლეობის მიხედვით?
 — შეგიძლიათ, რამდენიმე სავარაუდო პასუხი მითხრათ?
 — ამეთვისტო, საფირონი, ალექსანდრიტი თუ მარგალიტი?
 — (ფიქრობს) პასუხი მაინც არ მაქვს.
 — ალექსანდრიტი. გერმანია, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი — ჩამოთვლილთაგან, რომელია ტერიტორიულად ყველაზე პატარა?
 — დიდი ბრიტანეთი.
 — რომში, ამ თანამედროებაზე, ყოფილი კონსულები 5 წლის ვადით ირჩეოდნენ. ისინი სენატის სიების გადასინჯვას და ხელახლა შედგენას ანარმოებდნენ. ასევე, მეთვალყურეობას უწევდნენ მოქალაქეთა ზნეობრივ ქცევას და საზოგადოებრივ საქმეთა წარმოებას. ეს თანამედროება საქართველოშიც არსებობდა, მაგრამ სრულიად განსხვავებული მნიშვნელობით. რომელ თანამედროებაზეა ლაპარაკი?
 — არ ვიცი.
 — ცენზორები. რომელი სახელმწიფოს გერბზეა თამბაქო გამოსახული?
 — ინდოეთის.
 — ცდებით. თამბაქო ბრაზილიის გერბზეა გამოსახული. ძალლი, მაიმუნი, ბაყაყი, ცხვარი — ამათგან, მედიცინის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, რომელს დაუდგეს ძეგლი პარიზსა და ტოკიოში?
 — ძალღს, არა?
 — ბაყაყს. რომელი ხის ფესვები საუბრობენ ვაჟა-ფშაველას მოთხრობაში — „ფესვები“?
 — არ ვიცი.
 — მუხის. პოეზია გიყვართ?
 — ნაკლებად.
 — „ისევ აყვავდა გული ვარდივით,/ და ისევ მინდა შენზე დაწერო.../ დარიალიდან გადავარდნილი/ ხაზარეთისკენ მიფრინავს წერო“. — ვინ არის ამ სტროფის ავტორი?
 — (ფიქრობს) შემდეგ, როგორ გრძელდება?
 — „...დახანძრული წევს ივერია,/ მტკვარზე წნორები უკრავენ თარებს,/ მეტივეები სადღაც მღერიან,/ სოფლის გუბეში გაჩრილა მთვარე“.
 — ვერ ვიხსენებ.
 — გოგლა ლეონიძე. წარმოშობით საიდან იყო ამადეუს მოცარტი?

— ავსტრიელი.
 — საქართველოს რომელი კუთხის ისტორიული მხარეა ბორჩალო?
 — ქართლის.
 — სამხრეთ დაკოტაში (აშშ), რაპიდ-სიტიდან 40 კმ-ში არის უნიკალური მემორიალი — მაუნტ-რაშმორის მთის კლდეში გამოკვეთილი გიგანტური ზომის, ამერიკის პრეზიდენტების 18მ სიმაღლის სკულპტურული პორტრეტები. მემორიალი როდენის მოსწავლის, ბორგლემის მიერ არის შექმნილი. მან სიცოცხლეში მხოლოდ 4 პრეზიდენტის გამოქანდაკება მოასწრო. დაასახელეთ ეს 4 პრეზიდენტი.
 — არ ვიცი.
 — ვაშინგტონი, ჯეფერსონი, ლინკოლნი, რუზველტი. სად აღმოცენდა პროტესტანტიზმის ნაირსახეობა — ლუთერანობა?
 — გერმანიაში.
 — რომელი ოკეანის აუზშია ბარენცის ზღვა?
 — ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში.
 — კორდილიერები, ურალი, შიმალაი, ანდეზი — ჩამოთვლილთაგან, რომელია ყველაზე გრძელი მთათა ჯაჭვი?
 — ურალი.
 — სწორი პასუხია კორდილიერები. ვინ დაამარცხა სოლომონ I-მა სრესილის ომში?
 — არ ვიცი.
 — ოსმალები. სად მდებარეობდა ძველი ქალაქ-სახელმწიფო კართაგენი — ავსტრალიაში, აფრიკაში თუ ევროპაში?
 — ევროპაში.
 — ცდებით. კართაგენი დღევანდელი აფრიკის ტერიტორიაზე მდებარეობდა. რომელ მმართველს ეკუთვნის სიტყვა: „თუ მე ამ ერის წინამძღოლად ამირჩევთ, ახალ, საყოველთაო წესრიგს დავამყარებ, რომელიც ათასწლეულებს გაუძლებს“, — იულიუს კეისარს, ადოლფ ჰიტლერს, ნაპოლეონს თუ სტალინს?
 — სტალინს გამოვრიცხავ.
 — რატომ?
 — ის არ აურჩევიათ. ჩემი აზრით, ამ სიტყვების ავტორი ადოლფ ჰიტლერი იქნებოდა.
 — დიახ. რომელ წელს ააგეს ბერლინის კედელი?
 — 1961 წელს.
 — ლუი არმსტრონგი, რეი ჩარლზი, ელვის პრესლი, ფრენკ სინატრა — ამ მომღერლებიდან რომელზე ჰქონდათ ეჭვი, რომ ის მაფიასთან იყო კავშირში?
 — ალბათ, ელვის პრესლიზე.
 — ელვის პრესლის მაფიასთან არაფერი აკავშირებდა. ეს მომღერალი ფრენკ სინატრა გახლდათ. რომელმა ამერიკელმა მსახიობმა თქვა უარი „ოსკარზე“, ინდიელთა მხარდასაჭერად?
 — არ ვიცი.
 — მარლონ ბრანდომ. 1895 წელი კინემატოგრაფიის დაბადების წელია. რომელ ქალაქში შედგა პირველი კინოსეანსი?
 — მგონი, გერმანიის ერთ-ერთ ქალაქში.
 — მიგანიშნებთ, ქვეყანა, რომლის დედაქალაქშიც კინოსეანსი შედგა, გოტიკის სამშობლოდაა მიჩნეული.
 — საფრანგეთი. ე.ი. ჩვენება პარიზში შედგა.
 — ბოლოს, დაასრულეთ ბონაპარტეს ცნობილი გამონათქვამი: „ფესზე წამოდგომის მსურველს, იშვიათად უჭერს ვინმე მხარს; იმას კი, ვინც ძირს დასაცემად გამზადებულია...“
 — „...ხელს ბევრნი ჰკრავენ“.



ანტიუპრასენტი

ინფორმაციულ-მედიის სექტორში

ეონი დვალის უბის წიგნაკრები:

1. „ჯაგვი“ და „ფორანი“ სინონიმებია.
2. იაპონიის სამი მეოთხედი მთებს უჭირავს.
3. „პროგნოზ პორტიტ პაგოდუ“, — ამბობენ რუსები.
4. მარები ახალი ზელანდიის მკვიდრი მოსახლეობაა.
5. „ტიტანიკის“ ტრაგედია 1912 წლის 14 აპრილს მოხდა.
6. წვრილსა და მსხვილს შორის საშუალოს ხოშორი ჰქვია.
7. ემოციურ სიცივეს წმინდა ინგლისურ დაავადებად მიიჩნევენ.
8. გალაკტიონ ტაბიძეს დედამისი მოფერებით გატუნის ეძახდა.
9. „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“, — ასეთია ევროკავშირის დევზი.
10. „ცოდნა არ კმარა, უნდა აკეთო, ნდობა არ კმარა, უნდა გაბედო“, — ამბობდა გოეთე.
11. „ჩინოვნიკი ვრემენიე, ა მენია პერეიზბრატ ნელზია!“ — ამბობს მიხაილ ზადორნოვი.
12. „ვინც საკუთარ შეცდომებს მოინანიებს, ის თითქმის უდანაშაულოა“, — ამბობდა სენეკა.
13. ხშირად, აფრიკული ტურები თავს იმკვდარ უნებენ, რათა ფრინველები ახლოს მიიტყუონ.



14. შუა საუკუნეების ვენეციაში ებრაელებს ქონების შეძენა ეკრძალებოდათ. სწორედ ამის გამო, მათ ფული სულ გასესხებულნი ჰქონდათ.
15. დოკუმენტური ფილმები: „გურული ფირალები“ და „მოჯირითეები“ ირაკლი მახარაძის გადაღებულია.
16. „ამერიკამ ორი რამ მისცა მსოფლიო კულტურას: ვესტერნი და ჯაზი“, — ამბობს კლინტ ისტუდი.
17. საშუალო სკოლებში მასწავლებლები სულ უფრო და უფრო ხშირად იწყებენ გაკვეთილს სიტყვებით: „ბავშვებო, გთხოვთ, გამოართეთ მობილური ტელეფონები“.
18. კრისტოფ დეფეი და ოლივიე დეფეი პიერ რიშარის შვილები არიან. მათ მამა უყვართ, მაგრამ სიჯიუტის გამო, მამის გვარს არც ერთი მათგანი არ ატარებს.
19. ინგლისის დედოფალ ელიზაბეტ II-ს ძალიან უყვარს დოღი, ოღონდ 20 გირვანქა სტერლინგზე მეტი ფსონი არასდროს დაუდვია.
20. მათ ძედუნის ძალაუფლება, მუშების ნაცვლად, გლეხობას ეყრდნობოდა, რის გამოც, სტალინი მას „პეშჩერნი მარქსისტს“ ეძახდა.

პრაქტიკაში



ჩრდილისგან გამიჯნული სინათლე

ჩვენს ურნალში „მგლები 4“-ის დაბეჭდვის დასრულების შემდეგ, გოჩა მანველიძის ბესტსელერ ნიგნად გამოიცა. საყვარელ მწერალთან შესახვედრად ერთგული მკითხველები გალერეა „უნივერსში“ შეიკრიბნენ. სანამ ავტორი მათ ახალ ნიგნს წარუდგენდა, შემთხვევით ვისარგებლე და გოჩა მანველიძის მეუღლეს, ქალბატონ ლელა შიპაძეს გავესაუბრე. როგორ იწერება გოჩა მანველიძის რომანები? რჩება თუ არა დრო ოჯახისთვის? როგორი მამა და მეუღლე იგი? — ამ და სხვა კითხვებზე პასუხს ქალბატონი ლელა გაგვცემს.

თამუნა კვიციანი

— უკვე 15 წელია, რაც მე და გოჩა ერთად ვცხოვრობთ. ნანარმოების შექმნის იდეა სულ ჰქონდა და მეუბნებოდა, — მოდი, ერთი ნიგნი დავწეროთო. თანაავტორობას მთავაზობდა (იცინის). ჩვენი შვილი — თორნიკე სამი წლის იყო, როცა წერა დაიწყო. გოჩას პირველი ნანარმოები „სარანგი“ გახლდათ. ამ ნიგნში დიდი შრომა აქვს ჩადებული. თავდაპირველად, რომანის ტექსტი ორჯერ დიდი იყო, ვიდრე დაიბეჭდა. შემდეგ შეკვეცა. როცა მის ხელნაწერს ვკითხულობდი, ისეთ ემოციებში ვიყავი, სიზმრებშიც კი „სარანგის“ ეპიზოდებს ვნახულობდი. ვაშჩენვდი, რომ წერის დროს გოჩაზე დაძაბული იყო.

— როგორია მუშაობის პროცესში ცნობილი ბესტსელერების ავტორი? ოჯახის წევრებისგან სიწყნარეს ითხოვს?

— გოჩა ძირითადად, ღამის საათებში წერს. მას ერთდროულად, წერა და ტელევი-

ზორის ყურებაც შეუძლია. შემოქმედთა იმ კატეგორიას არ განეკუთვნება, რომლებიც სთვლისაც მუშაობის დროს სინყნარე აუცილებელია. ზოგჯერ, წერის პროცესში იმდენად ეფლობა, მის ირგვლივ რა ხდება, ვერც კი ამჩნევს.

— თქვენ ალბათ, ის ადამიანი ხართ, ვინც მის ნამუშევრებს პირველი კითხულობს, არა?


— დიახ. უმეტეს შემთხვევაში, მე ვკითხულობ. პროფესიით ფილოლოგი ვარ და ხშირად, შეცდომებზეც ვუთითებ.

— მასზე, როგორც მწერალზე, რას იტყვით?

— ჩემი მხრიდან, შექება ცოტა უხერხულია, მაგრამ ფაქტია, რომ გოჩას ნანარმოებები საზოგადოების დიდმა ნაწილმა კარგად მიიღო.

— როგორი მეუღლეა?

— ყურადღებიანი. ამ მხრივ, მასთან საპრეტენზიო არაფერი მაქვს. გარდა ამისა, გოჩა უსახლდროდ კეთილი და შრომისმოყვარეა.



საყვარელ მწერალთან შესახვედრად ერთგული მკითხველები გალერეა „უნივერსში“ შეიკრიბნენ

— მისი შრომისმოყვარეობა ეჭვს არ იწვევს: დღესდღეობით ყველაზე პროდუქტიულ მწერლად მიიჩნევა. ოჯახისთვის დრო რამდენად რჩება?

— მიუხედავად იმისა, რომ ბევრს წერს, გოჩა ჩემთვისაც იცლის, შვილისთვისაც, მეგობრებისთვისაც და მეზობლებისთვისაც. ძალიან აქტიური ადამიანია. ახლობლები მისი ახალი წიგნის გამოსვლას ყოველთვის დიდი ინტერესით ელიან, გულშემატკივრობენ.

— როგორი მამაა?
— თორნიკესთან და მის მეგობრებთანაც ძმაცაცობს, მაგრამ თავად თორნიკე ცოტა მორიდებული ბავშვია. ზოგჯერ, როცა უნდა, მას რაიმე სთხოვოს, მასთან მე მიმაგზავნის ხოლმე, შუამავლის როლს ვკისრულობ.

— მამის წიგნებს კითხულობს?
— მან კითხვა ადრეული ასაკიდან დაიწყო. როცა „მგლები 1“-ის კითხვას შეუდგა, გოჩა ეუბნებოდა: შენი ასაკის ბავშვისთვის ამ წიგნის წაკითხვა ადრეაო, მაგრამ თორნიკემ არ დაიშალა (მაშინ 9-10 წლის იქნებოდა).

— მამას შენიშვნებს რამდენად ხშირად აძლევს?

— თორნიკე გონიერი ბავშვია. ხშირად, გოჩა მას ცალკეულ ეპიზოდებს აკითხებს და სთხოვს, საკუთარი აზრი გაუზიაროს.

— რას გრძნობთ მაშინ, როცა თქვენი მეუღლის მისამართით კრიტიკულ აზრს გამოთქვამენ?

— ეს სასიამოვნო ნამდვილად არ არის, მაგრამ ზოგჯერ, გოჩას მეც ვაკრიტიკებ. სულ ვუბნები, — ამდენ ჟარგონულ სიტყვას ნუ იყენებ-მეთქი. ის კი მმასუბობს, — რა ვქნა, ქურდები ლიტერატურული ენით არ ლაპარაკობენო.

— რას გვეტყვიტ მის ახალ, ისტორიულ რომანზე „დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარ“?

— ვგრძნობ, ეს რომანიც ისეთივე პოპულარული იქნება, როგორც მისი სხვა ნაწარმოებები. ჟურნალ „გზის“ მკითხველს წინ დიდი სიამოვნება ელის.

წიგნის პრეზენტაციას გოჩა მანველიძის შემოქმედების არაერთი თაყვანისმცემელი ესწრებოდა. მათ შორის გახლდათ რუსუდან მინთაშაშვილი. მართალია, აქტიურობით არ გამოირჩეოდა და არც კითხვები დაუსვამს საყვარელი მწერლისთვის, მაგრამ ჩემთან საუბრისას აღნიშნა, რომ ავტორის ყველა ნაწარმოები წაკითხული აქვს და მისი წიგნებისთვის კარადაში ცალკე თარო აქვს გამოყოფილი.

— ქალბატონო რუსუდან, თქვენ „მგლები 4“-ის ორი ეგზემპლარი შეიძინეთ...

— დიას, ერთს ჩემთვის დავიტოვებ, მეორეს კი საჩუქრად, საბერძნეთში მყოფ დისშვილს გავუგზავნი. კარგია, წიგნს ავტორის ავტოგრაფიც რომ ახლავს. ვიცი, ამ საჩუქრით ძალიან გავახარებ. გოჩა მან-

ველიძეზე უსაზღვროდაა შეყვარებული. თქვენი ჟურნალის საშუალებით შევიტყვე, რომ „მგლები 4“-ის პრეზენტაცია გაიმართებოდა და ამ დღეს მოუთმენლად ველოდი. თან, საბერძნეთიდან ჩემი დისშვილი „მანუხება“ — გამუდმებით მეკითხებოდა, წიგნი არ გამოვიდაო?

— თქვენი დისშვილი რამდენი წლისაა?

— 20 წლის გახლავთ. 2 წელია, რაც საბერძნეთში ცხოვრობს. თავდაპირველად, იქ მისი მშობლები წავიდნენ და შვილი მე დამიტოვეს. ძალიან ცუდი და მოუსვენარი ბავშვი იყო. ერთადერთი, რითაც მის გაჩუმებას და დამორჩილებას ვახერხებდი, გოჩა მანველიძის წიგნები გახლდათ. განმარტოვდებოდა და კითხულობდა. ის კი არა და, თუ რაიმეზე გამაბრაზებდა, ნამუსზე ვაგდებდი და ვუბნებოდი, — ლუკა (გეგეშიძე) ასე არ მოიქცეოდა-მეთქი. მას „მგლები“-ს ეს პერსონაჟი განსაკუთრებით უყვარს.

— გოჩა მანველიძე, როგორც მწერალი, რომელი ნაწარმოებით გაიცნო?

— პირველად მისი „სარანგი“ წავიკითხე და დღემდე შექმნილი მისი ნაწარმოებებიდან, ყველაზე მეტად ეს წიგნი მომწონს. ამბები ისეთი ოსტატობით აქვს აღწერილი, რომ მკითხველს შთაბეჭდილება ექმ-



გოჩა მანველიძე მეუღლესთან და შვილთან ერთად

ნება, თითქოს ეს ყველაფერი მას შეემთხვა. ყველაზე მეტად კი ის მომწონს, რომ ყველაფერს გასაგები ენით წერს. ბატონი გოჩას წიგნებისთვის კარადაში ცალკე თარო მაქვს გამოყოფილი და თითოეული მათგანი რამდენჯერმე მაქვს წაკითხული.

ქალბატონი რუსუდანისგან განსხვავებით, გიზა ტყეშელაშვილი პრეზენტაციაზე აქტიურობით გამოირჩეოდა. ავტორს ბევრი კითხვა დაუსვა. მან გოჩა მანველიძის შემოქმედებისადმი ინტერესი ასე ახსნა:

— თამამად შემიძლია ვთქვა, რომ გოჩა მანველიძის მკითხველი ვარ. მისი ხელწერა ძალიან საინტერესოა. შემოქმედის მოვალეობაა, სინათლე ჩრდილისგან გამოიწიოს.

— ეი. თქვენი აზრით, გოჩა მანველიძე ამას ახერხებს...

— მე, როგორც მისი ნიჭის თაყვანისმცემელი, შეიძლება, ტენდენციური ვიყო, მაგრამ მიმაჩნია, რომ მის ნაწარმოებებში ეს ამოცანა დაძლეულია!..

ინფორმაციულ-ჟურნალისტური კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკრძან:

21. ვეფხვების განთქმული მომთვინიერებელი ქალი, მარგარიტა ნაზაროვა (მაყურებელი მას კარგად იცნობს ფილმით — „ზოლიანი რეისი“) მთელი ცხოვრება ერიდებოდა სუნამოსა და კოსმეტიკის მოხმარებას, რათა მტაცებლები მძაფრი არომატით არ გაელიზიანებინა.

22. როცა წყლის მოთხილამურე კატერს მიჰყვება, კატერზე აუცილებლად დამკვირვებელი უნდა იმყოფებოდეს, რომელიც მას სისტემატურად მიადევნებს თავს. უკიდურეს შემთხვევაში, კატერის საქარე მინაზე უკანა ხედვის სარკეები უნდა იყოს დამაგრებული.

23. კოლაჟ ნადირაძე ახალგაზრდობაში კარგი მოჩუბარბი იყო და ფიცხი ხასიათითაც გამოირჩეოდა. ეს სიფიცხე მას მოხუცებულობაშიც არ განელებია. ერთხელ, ხანდაზმულმა პოეტმა შენიშვნა მისცა ვილაც ახალგაზრდას, რომელიც მისი აივნის სიახლოვეს იდგა და იგინებოდა. ახალგაზრდამ მასაც შეუკურთხა. გაბრაზებული კოლაჟ შინ შევიდა, მარილით გატენილი ორლულიანი თოფი გამოიტანა და შეურაცხყოფელს ესროლა. ნასროლი მიზანს მოხვდა და ბოლნისტყვეობაც შეწყდა.

24. ლადო გუდიაშვილი ჯერ კიდევ პატარა იყო, როდესაც დედამისმა მისი უფროსი ძმის, ვახტანგის ნახატები მათ მეზობლად მცხოვრებ გერმანელ მხატვარს ნაულო საჩვენებლად. მხატვარმა ნამუშევრები ყურადღებით დაათვალიერა და ერთი ნახატის ბოლოში, კალმით მიხატულ პუშკინის პორტრეტს მიაცქია ყურადღება. ეს აქ ვინ მიხატაო? — უკითხავს. ლადო გუდიაშვილის დედას უპასუხია: ეს ჩემმა უმცროსმა ვაჟმა, ლადომ მიხატა და ამით ძმას ნახატი გაუფუჭაო. — მხატვარი სწორედ ეს იქნებოაო, — უთქვამს გერმანელ ხელოვანს.

25. საფრანგეთში გადახვეწილ ქაქუცა ჩოლოყაშვილს სამშობლოს დარდმა და ნოსტალგიამ სიცოცხლე მოუხსნარაო. მას ფილტვში ძველი ქრილობა გაეხსნა, ამას ტუბერკულოზიც დაერთო და 1930 წლის 27 ივნისს, 41 წლის ასაკში გარდაიცვალა. მომავლადი ქაქუცა მწერალმა — თამარ ჰაპავამ მოინახულა და სწორედ მან შემოგვინახა მისი უკანასკნელი სიტყვები: „გახსოვს, თამარ, ალავერდობა?... გახსოვს, თამარ, 26 მაისი?... ის, პირველი 26 მაისი?... გახსოვს, თამარ, შუამთის დღესასწაული?... გახსოვს, თამარ, ხატობა და ჩემი გაჭრა ტყეში?... გახსოვს, თამარ, ჩვენი საქართველო?... კრუილიც იყოს აქ სიცოცხლე. იქ სიკვდილი განა ბედნიერება არ არის?!“



რას მოგვითხრობენ „ქალაქის ანგელოზები“



თავუნა კვიციანიძე

დედა პარასკევა (ბოცირიძე):

— უკვე 8 წელია, რაც მონასტერში ვცხოვრობ. ჩემი სამონაზვნედ კურთხევა 3 წლის წინ მოხდა, მანამდე, მორჩილი ვიყავი. როგორ მივიღე გადაწყვეტილება, რომ მონაზონი გავმხდარიყავი, ამის ახსნა ძნელია. როცა ეკლესიის წიაღში უფალს უახლოვდები, შემდეგ მისი მსახურების სურვილიც გიჩნდება. ბევრი რამ ერთი ხელის მოსმით არ ხდება, ყველაფერი მკაცრად არის განსაზღვრული და წინაპართაგან მოდის. უკვალოდ არაფერი იკარგება. ჩემი დიდი ბებიაც (მამის ბებია) მონაზონი იყო. იგი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, მნ წლის ასაკში, ბოდბის დედათა მონასტერში წავიდა და მონაზვნად აღიკვეცა. მაშინ ეს ოჯახისთვის სასიამოვნო ფაქტი ნამდვილად არ იყო. მამა გამუდმებით იმაზე ფიქრობდა, ეს გადაწყვეტილება რატომ მიიღო, ხომ არაფერი ვაწყენინე ან დავაკელიო? ეს იმ წლებში მოხდა, როცა ღმერთის რწმენა იკრძალებოდა, ხრუშჩოვი ტელევიზიით გამოდიოდა და საზოგადოებას ჰპირდებოდა, ბოლო ბერსა და მონაზონს ეკრანზე გიჩვენებთო(!)... მე დღესაც ვინახავ ბებიის 35-40 წლის ასაკში მოძღვრის სახელზე დაწერილ წერილს, სადაც ნათქვამია, თუ როგორ ოცნებობდა ბავშვობიდანვე მონაზვნობაზე, მონასტრულ ცხოვრებაზე.

— ბებიათქვენს, თქვენ გარდა, სხვა შვილიშვილებიც ეყოლებოდა.

„მონაზონი“ ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და მარტო მყოფს ნიშნავს. „გნებას განშორება სოფლისგან, პატიოსანო მამაო“ – ამ სიტყვების წარმოთქმისა და სამი ალთქმის (მორჩილება, ქალწულობა, უპოვრობა) დადების შემდეგ, მონაზვნური ცხოვრება იწყება. რატომ უჩნდებათ ადამიანებს „სოფლისგან განშორების“ სურვილი? რა ხდება ამ დროს მათ სულში? ივინყებენ წარსულს, იცვლიან სახელს და ხელახლა, შავი სამოსით იბადებიან... გახლეტირსი ამ პატივისა – ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

„დედამინის ანგელოზებთან“ შესახვედრად, ფერისცვალების დედათა მონასტერს ვესტუმრე, ილემენია მარიამს კრძალვით მივუახლოე და ჩემი სურვილი გავუმხილე. დამლოცა, კურთხევას გაძლევო, – მითხრა ღიმილით და დედა პარასკევასთან გამგზავნა.

„თუ მომეცა, ექლესია ნმინდანად შემრაცხავს...“

რატომ მოხდა ისე, რომ მის ეკლესიურ გზას სხვები არ გაჰყვნენ და ასეთი არჩევანი მხოლოდ თქვენ გააკეთეთ?

— მე და ჩემი მამიდაშვილი 11 წლის ასაკიდან ეკლესიაში ერთად დავდიოდით. მშობლებს ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის მონასტერში დავყავდით. მაშინ წმინდა ნინოს სასწაულმოქმედი წყაროს შესახებ, სოფელში მცხოვრები 2-3 ხანდაზმულის გარდა, არავინ იცოდა. მონასტრიდან წყაროზე ჩამავალი გზა ტყით იყო დაფარული, სასწაულმოქმედი წყალი კი ლითონის პატარა ლარზე მონანწყარებდა. ბოდბის დედათა მონასტერში სიარულით, იქ მცხოვრები დედების შემწეობით, მორჩილი გავხდი. სწორი არჩევანი გავაკეთე. პროფესიით ექიმი ვარ, მონასტერში ჩემი, როგორც ექიმის რეალიზებაც მოხდა.

— როგორი იყო ოჯახის წევრების, ახლობლების რეაქცია, როცა თქვენი გადაწყვეტილების შესახებ შეიტყვეს?

— მარტივად რომ ვთქვა, რთული იყო. ამ აზრთან შეგუება განსაკუთრებით, ოჯახის წევრებს გაუჭირდათ. ხშირია მშობლების მხრიდან შვილების „დასაკუთრების“ მცდელობა. მათ ავინყებდათ, რომ პიროვნება გადაწყვეტილებას თავად იღებს. ჩემი მშობლების წინააღმდეგობა იმდენად დიდი იყო, საქმე უწმინდესამდე მივიდა: კათოლიკოს-პატრიარქს ეახლნენ და სთხოვეს, რომ სახლში დავებრუნებინე.

— რას განიცდიდით ამ დროს? მათი წინააღმდეგობა თქვენზე როგორ მოქმედებდა?

— მათთვის ეს ალბათ გამოცდა იყო. მშობლების მესმოდა. მსგავსი რამ მონასტერში წამომსვლელ სხვა ადამიანებსაც შემთხვევია. მაგრამ იმის გამო, რომ პატრიარქთან მივიდნენ და შეაწუხეს, ძალიან შემრცხვა.

— ეს თქვენგან დამოუკიდებლად, დამალულად მოხდა?

— დიახ, მაშინ ახალი „ფეხადგმული“ ვიყავი — 3 თუ 4 თვე მქონდა მონასტერში გატარებული.

— პატრიარქი როგორ მოიქცა?

— დამიბარა და მითხრა, — შენი მშობლები ამბობენ, რომ უნდა დაბრუნდე, უმაღლესი არა აქვს ჯერ დამთავრებულიო. არადა, უკვე დიპლომი და ლიცენზიაც კი აღებული მქონდა. ჩემ მიმართ მამის დამოკიდებულება ვიცოდი. მას უნდოდა, რომ სწავლა ასპირანტურაში გამეგრძელებინა, საკანდიდატო, სადოქტორო დისერტაციები დამეცვა, კარიერა შემექმნა. უწმინდესს ამის შესახებ ვუამბე. თან ჩემი სურვილიც გავუმხილე, — მონასტერში დარჩენა მინდა-მეთქი. გამამხნევა — არა უშავს, დისერტაციას მონასტერშიც დანერო...

— როგორც ვიცი, დასწეულ ბულ მონაზვნებს მკურნალობთ.

— დიახ, ამჟამად მონასტერში პატარა „სასწრაფო სახლი“ გვაქვს გახსნილი, სულ 4 საწოლია. პაციენტები ძირითადად, მონაზვნები არიან, ჩვენთან სხვა დედათა მონასტრებიდანაც მოდიან. აქ, სულიერი სიმტკიცის ფონზე, ხორციელი ტკივილების დაყუჩება ხდება. ჩვენ ურთიერთობა გვაქვს ონკოლოგიის ეროვნულ ცენტრთან. მის თანამშრომლებთან კონსულტაციებს გავდივართ.

მედიკამენტებით „ავერსი“ გვამარაგებს. მონასტერთან არსებობს მონაწილეობის დების სასწავლებელი, სადაც ახალგაზრდებს, სრულიად უსასყიდლოდ ვასწავლით, თეორიულ კურსთან ერთად, პრაქტიკას „სასწავლო სახლში“ გადიან.

— როგორია გარედან წარმოდგენილი მონასტრული ცხოვრება და ის, რომელსაც მისდევ, როცა მასში თავად ებმები?

— როგორ ვცხოვრობდი მონასტერში წამოსვლამდე, დღეები როგორ გამყავდა, რას ვაკეთებდი — ეს ყველაფერი თითქოს აღარც მახსოვს. სანამ მონასტერში მოვიდოდი, მეგონა, აქ თუ ვიცხოვრებდი, სულიერად დავმშვიდდებოდი, დავწყნარდებოდი. აქ კომფორტი არ არის. მონასტრის შემდეგ საკუთარი თავის მიმართ მეტისმეტად მომთხოვნი ხდები. მაგრამ ის სულიერება, რომელიც შენ გარშემო ტრიალებს, ძალიან ბევრ რამეში გეხმარება. მონასტერში ბევრი რამ მკაცრად განსაზღვრული არ არის. ზოგჯერ ადამიანური სისუსტეებიც იჩენს თავს, მაგრამ ერთი რამ არასდროს უნდა დაგავიწყდეს: მონასტერში ღვთის გულისთვის მოდიხარ და მას უნდა ემსახურო. თუ ასე იქნება, ცდუნება ვერ დაგცემს, არც წინააღმდეგობა იქნება დაუძლეველი და ვერც დაბრკოლებები შეგაფერხებს, პირიქით — ყველაფერს ადვილად მოეწელება.

— რამდენად ხშირია შემთხვევა, როცა მორჩილებიდან ერში ბრუნდებიან?

— სამორჩილე, მორჩილი, სამონაზვნე — ეს ის ეტაპებია, რომლებიც ადამიანმა გამოსაწრთობად უნდა გაიაროს. ამ ხნის მანძილზე საკუთარ თავში უნდა გაერკვე.

— ამ ეტაპების გავლისას, თუნდაც წუთიერად, უკან დაბრუნებაზე არასდროს გიფიქრიათ?

— არასდროს, მაგრამ დღემდე მახსოვს ერთი შემთხვევა: მაშინ მონასტერში ახალი წამოსული ვიყავი, ერთი მორჩილი ჩემზე გამუდმებით კითხულობდა: კიდევ აქ არისო? სულ ვფიქრობდი, ამ ადამიანმა ისეთი რა შემამჩნია, რომ უკან უნდა წავიდე-მეთქი? — თან მშობლების მხრიდან ასეთი წინააღმდეგობა მქონდა გადატანილი... წინასწარ არავინ იცის, მორჩილების პერიოდში ვინ როგორ ჩამოყალიბდება, საკუთარ ადგილს სად დაინახავს. მონასტერში ცხოვრება სულიერი გამოცდის ასპარეზია. თუ შენს რწმენას ყოველდღიურად არ განამტკიცებ, დიდი შანსია იმისა, რომ სადმე წაიფორხილო ან ერში დაბრუნდე. თავისთავად, ერში დაბრუნებაშიც ცუდი არაფერია. ეს იმას ნიშნავს, რომ პიროვნების ჩამოყალ-

ბება მოხდა, ის საკუთარ თავში გაერკვა.

— თქვენი სახელის შერჩევა როგორ მოხდა?

— ვიცი, რომ პარასკევა პატრიარქმა დამარქვა. როგორც შემდეგ მიაბმეს, წლების წინ მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტერში ცხოვრობდა მონაზონი, რომელსაც გამუდმებით ჰქონდა ერობაში მცხოვრებ ადამიანებთან ურთიერთობა. პატრიარქმა მისი სახელი დამარქვა.

— ყველა ქალი დედობისთვის არის მონადებული. ის, რომ საკუთარი შვილი არასდროს გეყოლებათ...

— (მანყვეტიანებს) ვხვდები, რისი თქმაც გასურთ. ის, რომ მონასტერში დედაოს გეძახიან, ამ მოთხოვნების კომპენსირებას ახდენს. აქ ხომ გაცილებით მეტი ადამიანის დედა ხარ, ვიდრე შეგიძლია, ერში იყო. მერწმუნეთ, არანაირი განსხვავება არ არსებობს.

— თქვენი მონაზვნად კურთხევა როდისთვის მოხდება?

— ეს ილუმენიის გადასაწყვეტია. კურთხევის დროს სამი ალთქმა იდებოდა: ეს არის — უპოვრობა, მორჩილება და ქალწულობა.

დედა პარასკევასგან განსხვავებულია დედა ნატალიას ამბავი. თუ როგორ მოხდა კათოლიკურ სოფელში დაბადებული გოგონას სულიერი ფერისცვალება, — ამაზე თავად მოგვითხრობს.

დედა ნატალია (პოჩიკაშვილი):

— წარმოშობით მესხეთიდან ვარ. ადიგენის რაიონის სოფელ უდეში დავიბადე და გავიზარდე. ეს კათოლიკური სოფელია, იქ არცთუ ისე დიდი ხნის წინ, თითო-ოროლა მართლმადიდებელი ცხოვრობდა. მონაზონი თვალთაც არ ენახათ.

— ერში რა გერქვათ?

— ნაწული.

— როგორი იყო ნაწული, სანამ მორჩილი გახდებოდა?

— საკუთარ თავზე ლაპარაკი ძნელია. შემძლია გითხრათ, რომ თითქმის ყოველთვის დამთმობი ვიყავი, ამავე დროს — ხანდახან ჯიუტიც. 29 წლის ვხდებოდი, როცა მონასტერში წავედი.

— შეყვარებული არასდროს ყოფილხართ? ოჯახის შექმნაზე არ გიფიქრიათ?

— არა. მონაზვნობაზე 24-25 წლიდან ვფიქრობდი. ეტყობა, სული „მნიფდებოდა“.

— საკვირველია — კათოლიკურ სოფელში მცხოვრები გოგონასთვის, მონაზვნობაზე ფიქრი...

— კათოლიკურადაც კი ვიყავი მონათლული, მაგრამ ეს, ჩემთვის

გაუაზრებლად, 17 წლის ასაკში მოხდა, რელიგიაში ნაკლებად ვიყავი გარკვეული. ჩემი მშობლებიც კათოლიკეები იყვნენ, ისევე, როგორც ნათესავების უმეტესობა. რა იყო მართლმადიდებლობა და რა იყო კათოლიკობა — ამაში მოგვიანებით გავერკვიე. 27 წლის ასაკში მართლმადიდებლად მოვიანათლე. შემდეგ ჩემმა ძმამ და რძალმაც მომბაძეს. მადლობა ღმერთს, რომ დღეს ჩემი ოჯახის წევრები და ნათესავებიც მართლმადიდებლურად მოინათლნენ. თავდაპირველად, როცა მონასტერში სიარული დავიწყე, მამა მეკამათებოდა: ვერ წარმომიდგენია, ყველა მცდარ გზას ადგას და მხოლოდ შენ ხარ მართალიო?! წლების შემდეგ, თავადაც მორწმუნე გახდა.

— რამდენი წელია, რაც მონასტერში ცხოვრობთ?

— 15 წელი შესრულდა. თავდაპირველად, მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტერში მივედი. 7 თვის შემდეგ, მონაზვნად მაკურთხეს. ჩემი მონასტერში მისვლა ღვთის ნება იყო, ვფიქრობდი, რომ ასე უფრო კარგად მოვემსახურებოდი ღმერთსაც და მოყვასსაც.

— როგორ მიიღეს ეს თქვენმა ახლობლებმა?

— ნერვიულობდნენ. იყო შეგონებები: რისთვის დავამთავრე უნივერსიტეტი?! რატომ მივატოვე ყველაფერი?... მიუხედავად საყვედურებისა, სასტიკი წინააღმდეგობა არავის გაუწევია. თითქოს გრძნობდნენ, რომ ეს ღვთის ნება იყო და არ უნდა შესწინააღმდეგებოდნენ.

— მორჩილობის პერიოდში, საერო ცხოვრებაში დაბრუნებაზე არასდროს გიფიქრიათ?

— არა. მონასტერში დიდი მადლით ხარ მოცული. 15 არჩევანი რომ მქონდეს ცხოვრებაში, 15-ჯერვე ამ გზას ავირჩევდი.

— როგორია მონაზვნის ერთი დღე?

— დილით 5-ის ნახევარზე ვიღვიძებ. 5-დან 9 სთ-მდე ლოცვა გვაქვს. შემდეგ სატრაპეზოდ ვიკრიბებით. ყველა მონაზონს ჩვენ-ჩვენი საეკლესიო კანონები და მორჩილებები გვაქვს შესასრულებელი, რომელსაც სულიერი მოძღვარი და ილუმენია გვიწესებს. შემდეგ — მეორე ტრაპეზი, საღამოს — ლოცვა...

— როცა მონაზვნები იკრებიან, რაზე საუბრობთ? წარსულს რამდენად ხშირად იხსენებთ?

— წარსულს არც ვიხსენებთ, ან რატომ უნდა გავიხსენოთ?! საქმეში იმდენად ვართ ჩართულები, განვლილი დღეები არც გვახსენდება. ჩვენთვის წარსულზე ძვირფასი — აწმყო და მომავალია...

ეთერ უროტაძე 20 წლის წინ გახდა მორჩილი, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მან მონასტერში ცხოვრება ვერ შეძლო. დღეს იგი, კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ახალგაზრდებს საეკლესიო ნაქარგობების ხელსაქმეს ასწავლის. ჩვენს საუბარს მისი მოსწავლეობიც დიდი ინტერესით ისმენდნენ.

ეთერ უროტაძე, მორჩილი:

— 1988 წელს პატრიარქმა მონაზვნობის მსურველები შეგვკრიბა. იგი ახალი დაბრუნებული იყო ვიზიტიდან რუსეთში (ამ წელს რუსეთის საპატრიარქომ გაქრისტიანების 1000 წლისთავი იზეიმა), სადაც მიტროპოლიტ ალექსისტან და ესტონეთის დედათა მონასტრის ილუმენია ბარბარესთან ჰქონდა შეხვედრა. უწმინდესმა გვითხრა, რომ ესტონეთის დედათა მონასტერში წასვლა შეგვეძლო. მართლაც, 18 ადამიანი გავემგზავრეთ. იქ 1 თვე დავეყავით, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტერში წავედით. მაშინ იქ მხოლოდ 5-6 ხანდაზმული

გაზრდებს საეკლესიო ნაქარგობის ხელსაქმეს ვასწავლი. ეს დარგი საქართველოში მივიწყებული იყო.

— რომ არა ავადმყოფობა, მონაზვნად აღიკვეცებოდით?

— დიას. მონაზვნობა მინდოდა. სიმართლე გითხრათ, ამ ავადმყოფობამ ცოტა დამაფიქრა: იქნებ, მონაზვნობის ღირსი არ ვიყავი? მონაზვნის ყველაზე დიდი სათნოება — მორჩილებაა. წმინდა მამები წერენ: თუ მონაზონი ურჩია, ის ჰგავს ცამდე მიბჯენილ კიბეს, რომელზეც ადისარ, მაგრამ ბოლო საფეხური გიტყდება და დაბლა ეშვებიო. ბუნებით ცოტა ურჩი ვარ. იმ 18 ადამიანს შორის, რომელიც სამთავროს მონასტერში წავედით, იყვნენ ილუმენია მარიამი (ნინო მიქელაძე), ჭიათურის მღვიმევის მონასტრის დედები, ბოდბის ილუმენია. ეს პირველი ნაკადი იყო და ჩვენი საქციელი სენსაციად მიიჩნეოდა. ჟურნალ „საქართველოს ქალში“ გამოქვეყნდა სტატია, სადაც ეწერა: 18 ახალგაზრდა გოგო მონაზვნად წავიდა, საქართველო იღუპებო... დედამ მითხრა, — როცა ეს სტატია წავიკითხე, ჟურნალი საგულდაგულად გადავშალე, მამაშენს და შენს ძმას რომ არ ენახათო. ის ფიქრობდა, რომ ჩემი საქციელით ოჯახს თავს ვჭრიდი.

— ამის გამო გაცხსავდნენ?

— ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები — ყველანი წინააღმდეგნი იყვნენ. ბიცოლა პატრიარქს ადანაშაულებდა:

ეს რა გამოიგონა? დედებს შვილები წაართვაო!.. ის დედასთან ერთად, სკოლაში მუშაობდა. მიყვებოდა, — როცა სამასწავლებლოში საუბარი ეკლესიაზე ჩამოვარდება, თვალს დედაშენისკენ გავაპარებ ხოლმე, სახეზე მიტკლისფერი ადევსო. მონასტერში ჩემს წასვლას მთელი ამბები უძლოდა წინ: უშიშროება ჩემი მშობლების მისამართით წერილებს გზავნიდა, სწერდნენ, — შვილი გელუბებათ, ყურადღება მიაქციეთ, ეკლესიაში დადისო. ჩემმა ოჯახმა ამის გამო დიდი შერიგულობა გადაიტანა. დედა შეიღების მეგობარი იყო. მისგან დამალული არაფერი მქონდა. ეკლესიაში წამოსვლის შემდეგ კი ჩვენს ურთიერთობაში დიდი ბზარი გაჩნდა. ვგრძნობდი, რომ მისი სახით ეშმაკი მებრძოდა. ერთხელ მითხრა, — ეს რა გამიკეთე, როგორ მაჯობე,

მამინც ეკლესიაში წახვედი! ამის გამო, შეურაცხყოფილი ვარ, თავს მხოლოდ იმიტომ არ ვიკლავ, რომ მერე შენ მონასტერში სამუდამოდ დარჩებიო. ამ სიტყვების შემდეგ, წამით ჩაფიქრდა და „გამოსავალი“ იპოვა: ჯერ შენ მოგკლავ და მერე თავს მოვიკლავო. მის წინადადებაზე გამეღიმა, — დედა, წმინდა ბარბარეს მამამ თავი მოჰკვეთა; თუ მომკლავ, ეკლესია წმინდანად შემრაცხავს-მეთქი. ამ სიტყვების შემდეგ გაცეცხლდა, დღემდე მახსოვს მისი სახის გამომეტყველება, მაგიდას მუშტი დაჰკრა და მითხრა, — შენ სიკვდილშიც კი გამოსავალი იპოვეო!.. ღვთის შეწევნით, დღეს დედა ჩემზე მეტად ეკლესიურია. მშობლებმა ჯვარი დაინერეს, მარხულობენ. მაშინ კი ყველასგან შერიგებულს, ჩემმა ბიძაშვილმა მურად მთვარალიძემ დამიწერა: „...დამთმეთ, გამრიყეთ, მომიძულეთ, როგორც გენებოთ/ შეჰკარით პირი და ჩამქოლეთ სუყველამ ერთად/ არ მეშინია, აღარაფრის არ მეშინია/ ღმერთია ჩემთან! ღმერთია ჩემთან!“

— შეიძლება, მომავალში თქვენი მონაზვნად კურთხევაც მოხდეს?

— როცა უწმინდესი მორჩილებს მცხეთის დედათა მონასტერში გვიშვებდა, გვითხრა, — თქვენი მთავარი მიზანი, მონაზვნად აღკვეცა არ უნდა იყოს; ჯერ საკუთარ თავზე იმუშავეთ, რომ ამის ღირსები გახდეთო. მისი ეს სიტყვები 18-ივე მორჩილმა მოვისმინეთ, მაგრამ მათგან მხოლოდ მე მახსოვს (ვისაც კი ვკითხე, ვერც ერთმა ვერ გაიხსენა). მგონია, ჩემს გასაგონად თქვა-მეთქი. სამთავროში გვყავდა დედა ეფემია, რომელიც 60 წლის მანძილზე მორჩილი იყო. მონაზვნად სიცოცხლის ბოლო წლებში აღიკვეცა. იმიტომ არ ვჩქარობ; მირჩევნია, მორჩილი ვიყო, ვიდრე მონაზონი მერქვას და ჩემი ჩინი ჩემი ცხოვრების წესს არ შეეხებამებოდეს.

გრიგოლ ღვთისმეტყველი ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს: „პირველი დაბადება ხდება სისხლისგან და ხორცისგან, რის შედეგადაც ადამიანი ჩნდება დედამინაზე და მალევე ქრება; შემდეგ მოდის შობა სულიწმინდისგან, როდესაც განბანილზე ზეციდან გარდამოდის ნათელი. მესამე შობა კი ხდება ცრემლითა და ტკივილით, რომელიც ჩვენში ცოდვებისგან დაბნელებულ ღვთის ხატებას გამოაჩენს. ამ სამიდან პირველი ადამიანს ეძლევა მამისგან, მეორე — ღვთისგან, მესამეში კი თავად არის საკუთარი თავის მშობელი და ამ შობით იგი საყაროს მადლად ეფინება...“



მონაზონი ცხოვრობდა. სამწუხაროდ, მალე ცუდად გავხდი, 10 თვის მანძილზე სხვა მივლიდა, ლოგინად ჩავვარდი. თურმე ობის და ნესტის მიმართ ალერგიული ვყოფილვარ. ის კელია, სადაც ვცხოვრობდი, ნესტიანი იყო. ამიტომ პატრიარქმა კურთხევა მომცა, სამკურნალოდ თბილისში დავბრუნებულიყავი. დედას ჩემი მონაზვნობა არ უნდოდა, ოჯახი წინააღმდეგობას მიწევდა. მიუხედავად ამისა, გამოვჯანმრთელი თუ არა, მონასტერში დავბრუნდი. მალე ისევ ცუდად გავხდი. დედას ჩემი ავადმყოფობა უხაროდა, ჩემთვის კი თვეობით ცუდად ყოფნა, შემანუხებელი იყო. მონასტერში დაბრუნების კურთხევა მოძღვარმაც აღარ მომცა. მან მირჩია, — პატრიარქს სთხოვე, იქნებ, ერში დაგტოვოს და რაიმეთი დაგასაქმოსო. ასეც მოვიქციე. ახლა ახალ-

დღეს ბევრი ქართველი გოგონა თხოვდება უცხოელზე, რის გამოც, მათი მშობლები და ნათესავები, ხშირ შემთხვევაში, უკმაყოფილებას გამოთქვამენ. სოფო ზუზაძე გერმანიაში 2003 წელს, AU-PAIR პროგრამით, სასწავლებლად წავიდა. მან იქ გაიცნო მომავალი მეუღლე, კლაუს შნაიდერი, რომელმაც გოგონას გულის მოგება შეძლო და წვეილი დაქორწინდა კიდევ. სოფო ოთხი წელია, გერმანიაში ცხოვრობს, მაგრამ იქაურობას ვერ ეგუება და მეუღლესთან ერთად, საცხოვრებლად საქართველოში გადმოსვლას აპირებს.



„გერმანია ქანი ქყვანა, გერანა რანი საუბოლო ვინასოღო გხედა“

მარეზ ჭონიშვილი

— ზესტაფონის რაიონის სოფელ საზანოში დავიბადე, გავიზარდე და საშუალო სკოლაც იქვე დავამთავრე. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, au-pair პროგრამაში მივიღე მონაწილეობა, გავიმარჯვე და გერმანიაშიც წამოვედი. ეს პროგრამა გერმანული ენის, კულტურის გაცნობას ისახავს მიზნად. ასევე, გეხმარება გერმანული ენის სწრაფად და საფუძვლიანად შესწავლაში, რადგან უცხო ქვეყანაში გადიხარ ენის კურსებს და ამავდროულად, გაქვს პრაქტიკის მიღების საშუალება — ერთი წლის განმავლობაში გერმანულ ოჯახში ცხოვრობ.

სოფო, როგორ იყო შენი პირველი შთაბეჭდილება გერმანიაზე?

— დღესაც კარგად მახსოვს ის დღე, როცა ფრანკფურტის უზარმაზარმა აეროპორტმა საშინლად დამაზინა და შემაშინა. ახლა კი გერმანია ძალიან მომწონს.

როგორ გაიცანი შენი მეუღლე?

— ჩემი მეუღლე, კლაუს შნაიდერი ჩემი კარის მეზობელი იყო. ხშირად გამოდიოდა თავისი სახლის აივანზე, იდგა და მიყურებდა. მაშინ მისი საქციელი ძალიან მაღიზიანებდა. ერთხელ სასეირნოდ წავედი. ქუჩაში კლაუსი შემხვდა, გამიღიმა და მომესალმა. საერთოდ, გერმანიაში ასეთი წესია: ქუჩაში ვისაც არ უნდა შეხვდე, იცნობს თუ არა, უნდა მიესალმო. იმ დღეს გავიცანი ერთმანეთი, სახალმდე მიმაცილა და მთხოვა, — მოდი, საღამოს გავისეირნოთო. დავთანხმდი... ძალიან დიდხანს ვისეირნეთ. ჩემ შესახებ ბევრი რამ ვუამბე. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს, კლაუსი დიდი ხნის ნაცნობი იყო. იმ დღის შემდეგ, ერთმანეთს ყოველდღე ვხვდებოდით.

რით მოიხილე მეუღლე?

— როგორც თვითონ ამბობს, თავიდან გარეგნულად მოვეწონე. ის ძალიან მანებიერებს, ყურადღებიანია, პატივს მცემს და მიუხედავად იმისა, რომ უკვე დიდი ხანია, ერთად ვართ, ჩემ მიმართ არ შეცვლილა — ისევე ისეთი ყურადღებიანია, როგორც ადრე იყო.

სოფო, როგორ შეხვდნენ შენს გადანწყვტილებას მშობლები?

— დედაჩემი დიდ წინააღმდეგობას მიწვევდა და ისე მგლოვობდა, თითქოს კვდებოდი. ზუსტად ვიცი, დღესაც ვერ მაპატიბ, მისი ნების საწინააღმდეგოდ რომ გავთხოვი. მე და დედას ყოველთვის კარგი ურთ-

ერთობა გვქონდა, ის ჩემთვის მეგობარი იყო. რაც შეეხება მამაჩემს და ძმას, ისინი შედარებით გაგებით მოეკიდნენ ჩემს გადაწყვეტილებას. როცა დედამ ჩემი მეუღლე გაიცნო, მიხვდა, თუ რამე გადაამადგმევინა ეს ნაბიჯი.

როგორც ვიცი, შენ და კლაუსმა ჯვარი საქართველოში დაინერეთ...

— ჩვენ გერმანიაში მოვანერეთ ხელი, მერე კი საქართველოში ჩამოვედით. აქ კლაუსი მართლმადიდებლურად მოინათლა და შემდეგ, ჯვრისწერაც გადაწყვიტეთ. არაჩვეულებრივი ქორწილი გვექონდა. კლაუსმა „ქართულიც“ კი იცეკვა.

ცეკვა შენ ასწავლე?

— არა, ერთხელ „ერისიონის“ კონცერტის ჩანაწერს ერთად ვუყურეთ და დაახლოებით იცოდა, როგორ უნდა ეცეკვა. ჰოდა, მოინდომა და მშვენივრად გამოუვიდა. კლაუსს საქართველო ძალიან მოეწონა.

მის მონათვლას მისი ოჯახის წევრები როგორ შეხვდნენ?

— კლაუსის მონათვლა ჩემი დიდი სურვილი იყო. ის ჩემმა უახლოესმა მეგობრებმა მონათულეს. რაც შეეხება მისი ოჯახის წევრებს, მათი მხრიდან არანაირი პრობლემა არ ყოფილა. საერთოდ, გერმანიაში, მშობლები და შვილები საკუთარ თავს არ აძლევენ

არაჩვეულებრივი ქორწილი გქონდა. კლაუსმა „ქართულიც“ კი იცეკვა



იმის უფლებას, რომ ერთმანეთის საქმეებში ჩაერიონ. ზოგჯერ, როცა კლაუსის დედას ვურყავდი და რჩევას ვეკითხებოდი, ეს ძალიან უკვირდა. ჩვენ ერთმანეთთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს და მე ის ნელ-ნელა, ქართულ წესებს შევავიე. ყოველ შემთხვევაში, ახლა აღარ უკვირს, როცა რაიმეს ვეკითხები.

შენს მეუღლეს საქართველოში ყველაზე მეტად რა მოეწონა?

— იცი, კლაუსმა პირობა მომცა: სწავლას რომ დაამთავრებ, საცხოვრებლად საქართველოში წავალთო. ის აღაფრთოვანა იმ სითბომ და ისე ვარულმა, რაც ქართველ ხალხს გვხასიათებს. ძალიან მოეწონა თბილისი. მას ბევრი ღირსშესანიშნავი ადგილი ვუჩვენე... კლაუსს ჩემი სოფელი ისე მოეწონა, რომ თბილისში ჩამოსვლა აღარ მოინდომა და იქ დავრჩით. ყოველდღე არაყს სვამდა და ქართულად მეუბნებოდა: „სოფია, მე ვარ მთვრალი“ (იცინის).

შენ როგორ შეეჩვიე გერმანული ცხოვრების წეს-ჩვეულებებს?

— არ შეეჩვევივარ და ალბათ, ვერც ვერასოდეს შეეჩვევი. თუ კარგია, ისინი შეეჩვიონ ჩემსას. ვფიქრობ, ქართველებს ბევრად უკეთესი წეს-ჩვეულებები გვაქვს (იცინის).

იქნებ, გერმანულ ტრადიციებზე გვიამბო რაიმე...

— გერმანელებს ბევრი ტრადიცია აქვთ. მაგალითად, შობას ოჯახის ყველა წევრი აუცილებლად ერთად ხვდება. დილით წირვაზე მიდიან, მერე კი ერთად ზეიმობენ დღესასწაულს. საშობაო ვახშმის შემდეგ, უამრავ სანთელს ანთებენ და ერთმანეთს რაღაცებს ჩუქნიან. კლაუსმა შობას ძალიან ლამაზი, თეთრი ოქროს ბეჭედი და ჩემი საყვარელი სუნამო მაჩუქა... ასევე ზეიმობენ ადღგომის დღესასწაულს, რომელიც საადღგომო კურდღელთანაა დაკავშირებული — ბავშვებმა უნდა მოქებონ საჩუქრები, რომლებიც ვითომ, კურდღელმა მოიტანა და დაშალა. ასევე აქვთ ღვინის დღესასწაული, რომელსაც ყველა თაობის ადამიანი ზეიმობს.

გერმანელები ქართველებისაგან რით განსხვავდებიან?

— გერმანელები თავზიანი, მაგრამ ცივი ხალხია. ზედმეტად თავის შენუხება არ უყვართ. ნათესავად მხოლოდ და-ძმა მიიჩნევა. ასევე, არ უყვართ ზედმეტი სტუმრიანობა. თუმცა, გამონაკლისებიც არიან, მაგალითად

— ჩემი ქმარი.

— გერმანიაში მცხოვრებ ქართველებთან თუ გაქვს ურთიერთობა?

— სამწუხაროდ, ბევრ ქართველთან არ ვურთიერთობ. თუმცა, იყო პერიოდი, როცა ძალიან ბევრს ვკონტაქტობდი. უცხო ქვეყანაში გავიცანი ჩემი მეჯვარე და მეგობარი თიკო ხაჩიძე. საერთოდ, საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებში ძალიან ძნელია, ნამდვილი მეგობარი იპოვო.

— ამას რატომ ამბობ, უცხოეთში სხვანაირები სდებიან?

— აქ ქართველები მართლაც, სხვანაირები არიან, მაგრამ რა თქმა უნდა, გამოხატვის ბიძ არსებობენ. როცა გერმანიაში ჩამოვედი, ერთი გოგო გავიცანი, რომელმაც მითხრა, — მიჩვენებ, მყავდეს გერმანელი მეგობარი, ვიდრე ქართველიო. მაშინ მისმა სიტყვებმა ძალიან გამაკვირვა, მაგრამ ახლა მშვენივრად ვხვდები, თუ რატომაც თქვა ეს... ამ საკითხზე ლაპარაკი არ მინდა, რაც არ უნდა იყოს, ქართველები არიან და მათზე ცუდის თქმა მიჭირს. პირადად მე, ძალიან გამიშართლა და კარგი მეგობრები შევიძინე, მაგრამ ცუდიც ბევრი შემხედვარია.

— გერმანელები რას ფიქრობენ ქართველებზე, სახელი ხომ არ გვაქვს გატყუილი?

— გერმანიაში ქართველები ცოტანი არიან და ამიტომაც, ნაკლებად გვიცნობენ. საბედნიეროდ, აქ სახელი ისე არ გვაქვს გატყუილი, როგორც ვთქვით, რუსებს, პოლონელებს და განსაკუთრებით — თურქებს. ისინი აქ ძალიან ბევრნი არიან.

— შენმა მეუღლემ თუ იცოდა რაიმე საქართველოს შესახებ?

— მას საქართველოზე წარმოდგენა არ ჰქონდა, რუსეთი ეგონა.

— კლაუსს ქართული სამზარეულო თუ მოეწონა?


— ყველა კერძი მოეწონა, საცივის გარდა. სოფელში ყოფნის დროს, დედაჩემი ყოველდღე ახალ-ახალ კერძებს უმზადებდა. სამწუხაროდ, მე სამზარეულოში ტრიალი არ მეხერხება. ახალი გაცნობილი მყავდა, როცა გადავწყვიტე, მისთვის ხაჭაპური გამოემცხო. ცომი საფურცლის გარეშე მოვზილე და ხაჭაპური ქვასავით მაგარი გამოვიდა. რა თქმა უნდა, ვერ შეჭამა. შემდეგ, როცა დედაჩემმა გამოუცხო იმერული ხაჭაპური, გაგიჟდა, ისე მოეწონა და თქვა, — ეს რა მაგარი რამე ყოფილაო. კლაუსს ძალიან უყვარს ხინკალიც, ოღონდ ჩემი გაკეთებული — არა.

— კლაუსმა ქართულად ლაპარაკი თუ ისწავლა?

— ყოველდღე რამდენიმე ახალ სიტყვას სწავლობს და ცდილობს, ქართულად ხშირად მელაპარაკოს, რაც ძალიან მახარებს.

— შენ თქვი, რომ მეუღლეს საქართველო ძალიან მოეწონა და საბოლოოდ, საცხოვრებლად აქ ჩამოსვლას აპირებ...

— ჰო, სწავლას დავამთავრებ თუ არა, მაშინვე საქართველოში წამოვალთ. გერმანია კარგი ქვეყანაა, მაგრამ ჩემი სამშობლო ვერასოდეს გახდება. ამ ზაფხულს ჩამოსვლას ვაპირებთ და ალბათ, ბინასაც შევარჩევთ. ■



ამერიკული ვესტერნის უსასულო გმირები

ლელა ჯიყაშვილი

კინორეჟისორი და მკვლევარი ირაკლი მახარაძე ცნობილი ნიგნების: „გურული მხედრები ამერიკაში“, „ერთხელ ამერიკაში — უცნობი გურული მხედრის ჩანაწერები“, „უაილდ ვესთის მხედრები“, „ერთი მუჭა ვესტერნის“ ავტორია. ამ ნიგნებში წლობით ნაგროვები ფაქტებიც არის და ავტორის ემოციაც, უცხოელთა აზრიც და ჩვენი დამოკიდებულებაც. ყველაზე საინტერესოდ ის მომეჩვენა, რომ ირაკლი მახარაძემ მოახერხა, არც მოდას აპყოლოდა, არც ვინმეს გავლენის ქვეშ მოქცეულიყო და ისეთივე გულწრფელობით ჰყვარებოდა ვესტერნი, როგორითაც ადრეულ სიემანვილეში, იმ შორეულ წარსულში ამერიკაში გადახვენილი გურულები რომელთა შესახებ მასალები მისხალ-მისხალ უგროვებია. მერე, ისიც აღმოაჩინა, რომ თურმე ვესტერნის მთავარ ხიბლს — ტრიუკებს, ამერიკელები გურულებს უნდა უმადლოდნენ...

ირაკლი მახარაძე:

— ბავშვობიდან მაინტერესებდა ვესტერნი. ანაგის ქუჩაზე იყო კინოთეატრი „გაზაფხული“, დიდუბეში — „კოსმოსი“. იქ, ომის შემდეგ, გერმანიიდან შემოტანილ ე.წ. „ნადავლ“ ფილმებს, მათ შორის, ამერიკულ სურათებს

უჩვენებდნენ, რომლებმაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ბავშვობაში, გურიაში მსმენია, გურულებმა გადარიეს მთელი ამერიკა, მაგრამ თვითონაც გადარეულები დარჩნენო. 10 წელიწადს ვიკვლევდი ამ ამბავს და ნელ-ნელა გავაცნობიერე, რომ არსებობდა ერთი საინტერესო კავშირი — აღმოვაჩინე, რომ თავად ამერიკელები წერენ: ყველაზე დიდი გავლენა კოვბოების ტექნიკის ჩამოყალიბებაზე რუსმა კაზაკებმა მოახდინესო. რუს კაზაკებს სწორედ ამერიკაში ჩასულ გურულებს

უნოდებდნენ... სხვათა შორის, გასული საუკუნის დასაწყისში ლუკმაპურის საშოვნელად შორეულ ამერიკაში ჩასულ გურულ მოჯირითეებსა და მუშაითებს შორის ქალებიც იყვნენ. ამ მოჯირითე ქალბატონებს გურულ-აჭარულ-ლაზური ჩაქურა ემოსათ ტანთ. მოხერხებულმა და ლამაზმა სამოსმა ამერიკელთა ყურადღება მიიქცია და... სწორედ ჩაქურა დაედო საფუძვლად ამერიკულ ბრიჯებს. — საინტერესო წრე შეიქმნა. თქვენ დაინტერესდით ვესტერნით და იქამდე მიხვედით, რომ ამ ფილმებში ქართველებსაც ჰქონიათ წვლილი შეტანილი...

— მეტიც... ცნობილი შოუმენის ბაფალო ბილ ქოუდის საცირკო სანახაობამ — ვე-



ჩაქურა — ამერიკული ბრიჯის „წინამორბედი“



ლური დასავლეთის შოუმ, კოვბოის მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი, როგორც ახალი მიწების ამთვისებელს, თავისუფალ ადამიანს, უბადლო მსროლელსა და ინდიელებთან მეზობლს. ამ მშვენივრად დადგმულ სპექტაკლებში, რომლებიც ამერიკული შოუბიზნესის საწყისად არის მიჩნეული, კოვბოები ბრძოლისა და ძარცვის სცენებს აჩვენებდნენ, ატარებდნენ შეჯიბრებებს ჯირითში, ლერიეტეს ხმარებასა და მიზანში სროლაში. ამ შოუში მონაწილეობდნენ გურული მოჯირითეებიც. თომას ინსმა, ჰოლივუდის სტუდიური სისტემის ფუძემდებელმა, კონტრაქტი გაუფორმა ველური დასავლეთის შოუს და მის მონაწილე ცხენოსნებს ფილმებში იღებდა. ამიტომ ბევრი ფული აღარ სჭირდებოდა ვესტერნების შესაქმნელად. გადმოცემით ვიცი, გურული მხედრები ამბობდნენ, კინოშიც გვიღებენო. როგორც ჩანს, ვესტერნებში იღებდნენ.

— ეს სადმე ხომ უნდა იყოს დაფიქსირებული?

— რაკი სტატისტიკებს არასოდეს აფიქსირებდნენ, მათი გვარებიც ფილმის ტიტრებში ვერ მოხვდა. ისიც არის, რომ ქართველებმა გვარები გადაიკეთეს. სომხები გვარს არასოდეს იცვლიდნენ, ქართველები კი იოლად აკეთებდნენ ამას... სხვათა შორის, ამას წინათ გავიგე, ერთ ფირცხალაიშვილს ახლახან გვარად სმიტი მიუღია...

— თუ არსებობდა ცხენოსნობის ქართული სკოლა?

— არა, გლეხები ღარიბები იყვნენ, ამის საშუალება საიდან ექნებოდათ? ხშირად ცხენიც არ ჰყავდათ და დაბმულს თუ წააწყდებოდნენ, ახსნიდნენ და ჯირითობდნენ. იმიტომაც ნავიდნენ საქართველოდან, რომ შეჭირვებულნი იყვნენ. თბილისი და ქუთაისი არ ჰქონდათ ნანახი და უცებ ნიუ-იორკში მოხვდნენ, ფული იშოვეს და თავიანთი პროფესიონალიზმით პატივისცემაც დაიმსახურეს. ისეც მომხდარა თურმე, მთვრალი გურული ხმლით შევარდნილა კაფეში და დაუღუნავს ყველაფერი...

— როგორ ფიქრობთ, რატომ არ შეიქმნა ქართული კინო, სადაც ჩვენი ტრადიციული ცხენოსნობის ილეთებს გამოვიყენებდით? აუცილებლად ამერიკაში უნდა ეს არგებლათ გურულების ნიჭიერებით?

— ჩვენთანაც იყო ვესტერნის ზეგავლენით გადაღებული ფილმები, თუნდაც, ივანე პერესტიანის „წითელი ეშმაკუნები“. ამ ფილმის მიხედვით, შემდეგ, რეჟისორმა კეოსაიან-

მა „მოუხელთებელი შურისმაძიებლები“ გადაიღო, საბჭოეთში ძალზე პოპულარული ფილმი.

— საბჭოთა პერიოდში ჩაკეტილი იყო სივრცე და „წითელი ეშმაკუნებს“ ამერიკაში ვინ ნახავდა?

— მართალს ბრძანებთ... სხვათა შორის, 20-იან წლებში ვესტერნი ძალზე პოპულარული ჟანრი იყო ჩვენში, მაგრამ 30-იან წლებში აიკრძალა, ხალხის მესხიერებაში კი დარჩა. მას მერე, ეს ჟანრი მსოფლიო კინემატოგრაფს მოეღო. იმხანად დიდი პოპულარობა ჯაზმაც მოიპოვა, მაგრამ მოგვიანებით, საბჭოთა იდეოლოგიისთვის მიუღებელი აღმოჩნდა და სასტიკად იდევნებოდა. კოვბოი, როგორც პერსონაჟი, ბორის ბარნეტმა — რუსმა რეჟისორმა განასახიერა ერთ-ერთ მუნჯ ფილმში. ყველა კინემატოგრაფისტი სწავლობდა ამ ჟანრს. საქართველოშიც გადაიღეს რამდენიმე კარგი

საშუალება გვექონდა, ერთიც გადაგვეღო და მეორეც. ქართველი ხელოვნები ქედმაღლები არიან. როცა ვესტერნზე ველაპარაკებოდი, ეს რა არისო? — მხრებს იჩენდნენ. როგორ შეგიძლია თქვა, ეს რა არისო, როცა ჯონ ფორდი, კუროსავა მუშაობდნენ ამ ჟანრში. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა სემ ფექინფა, რეჟისორი, რომელსაც ჩვენთან არ იცნობენ და რომელმაც კინოში ძალადობა სულ სხვაგვარად აჩვენა — კაცის მოკვლა სინამდვილეში იოლი საქმე ხომ არ არის, ისე, როგორც ფილმშია ხოლმე ნაჩვენები. რა უძღვის ამას წინ, ეს ხომ საშინელი გრძობაა. ერთი სიტყვით, ვესტერნს, რომელიც 105 წლისაა, დახვეწილი მაყურებლისთვისაც იღებდნენ. ბაფალო ბილი — ველური დასავლეთის შოუსთვის გურულების დამქირავებელი — ლამის ნაციონალური გამირია. მან გაუთქვა სახელი ამერიკელ კოვბოის, თორემ მანამდე



წარწერა, რომელიც ამ ფოტოს უცხოურ პრესაში ახლდა: ბუფალო ბილის ველური დასავლეთი; კაბაკები კავკასიიდან

Buffalo Bill's Wild West. 1. Cossacks of Caucase.

ვესტერნი — „მაცი ხვითა“, „მიზანი“ და სხვ. მაგრამ ჩვენ ერთი სენი გვეჭირს — ბაქიაობა. ყველას გვინდა, ტარკოვსკი, იოსელიანი, მიქელანჯელო ანტონიონი ვიყოთ. ყველას საავტორო ფილმების გადაღება გვინდა.

— არაკომერციულ ფილმებს გულსხმობთ?

— საერთოდ, რა არის არაკომერციული კინო?

— როცა ფილმი კინოს მოყვარულთა მხოლოდ მცირე ნაწილისთვისაა საინტერესო. მე ძალიან მიყვარს იოსელიანის „პასტორალი“, მაგრამ ბევრს არ აინტერესებს...

— მევე რა?! გვექონდეს „მადონალდსიცი“ და დახვეწილი იტალიური რესტორანიც. საბჭოთა დროს

ის უმდაბლესი ფენის წარმომადგენელი იყო.


— ისევე, როგორც საქართველოში კინტოები და ყარაჩოხელები, არა?

— ასეც არის. ძველ თბილისზე ფილმები მაქვს გადაღებული. თავისი სიბლი ჰქონდათ მათაც. რა იყო ცუდი იმაში, კინტო რომ ხილსა და ბოსტნეულს მოგართმევდა შინ? კინტოებს თავიანთი ამქარი ჰყავდათ, თავიანთი ცხოვრების წესი ჰქონდათ. ასევე იყვნენ ყარაჩოხელებიც.

— ქართველები მხოლოდ ყარაჩოხელობას ვიჩვენებთ...

— მევე კარგია? კინოშიც ასე მოხდა, შიგნით ერთი დარჩა და გარეგნულად სხვას იჩემებენ. საშინელებაა.





ლიპა ქაჩაია

ქალაქის „უაზაელი“ ამიკოს 2-დღიანი „კანუზიკ“

„მართალია, თინეიჯერი აღარ ვარ, მაგრამ რომ გითხრა, დაბრძენებული კაცით ვიქცევი და დროს უმეტეს ნაწილს შინ ვატარებ-მეთქი, მოგატყუებ. მეც მიყვარს ლამის ცხოვრება და გართობა“, — მითხრა „ქლაბ-შოუს“ ერთ-ერთმა აქტიურმა სახემ, 20 წლის ამიკო ჩოხარაძემ, რომელმაც მაცურებელთა გული ეკრანზე გამოჩენისთანავე დაიბჟრო. მისმა ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა, ამიკოს სახელზე შემდეგი მესიჯი გამომიგზავნა: „რა დედამ გშობა ამისთანა ნიჭიერი და არაჩვეულებრივი? გაიხარონ შენმა წინაპრებმა იმისთვის, რომ ასეთი ნიჭი დაგაბერტყეს...“ ჩემს რესპონდენტს ეს მესიჯი გარკვეული მიზეზების გამო არ წავაკითხე და იმედია, ეს მისთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იქნება.

„თავს ვაჩვენებდი, ვითომ ინვალიდი გახლდიოდა...“

— ასაკით პატარებთან როგორ ურთიერთობა გაქვს?

— ძალიან კარგი. ჩემთვის ასაკს მნიშვნელობა არ აქვს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დიდთან დიდი ვარ, პატარასთან — პატარა. 3 წლის და მყავს და მასთან ისე ვიქცევი, როგორც მისი თანატოლი. ვცდილობ, მის ხასიათს მოვევრგო და ისე მოვიქცე, როგორც სურს.

— შენი თანატოლები ამბობენ, — საოცრად უკომპლექსო თაობა მოდის, ჩვენ ასეთი თავისუფლები არ ვიყავითო...

— მართალია, მე ისეთი თავისუფალი და უკომპლექსო არ ვიყავი, როგორებიც ახლა არიან. ვფიქრობ, ბავშვს უფროსებმა ყურადღება არ უნდა მოაკლონ, რადგან შესაძლოა, ამ თავისუფლების წყალობით, მოზარდმა ბევრი ცუდი რამ აითვისოს. ახლა ლამის კლუბები სავსეა 14-15 წლის ბავშვებით. როცა მათი ასაკის ვიყავი, ლამის ცხოვრებისგან თავს ვიკავებდი.

— თავს იკავებდი, თუ ამას მშობლები გიკრძალავდნენ?

— რა თქმა უნდა, ეს არც ჩემს მშობლებს მოეწონებოდათ, მაგრამ ამ ყველაფრისგან თავს მეც ვიკავებდი. ვფიქრობდი, რომ ლამის კლუბში ჩემი ასაკის არავინ იქნებოდა, დიდები კი „იგნორს“ გამიკეთებდნენ, ყურადღებას არ მომაქცევდნენ და იქ რა უნდა მეკეთებინა?... აი, დღეს კი ასეთ დანესებულებებში უფროსი თაობის წარმომადგენლებს ვერ ნახავ, იქაურობა ბავშვებთანაა სავსე და თანაც, ისინი ისე იცვამენ და ისეთ მაკიაჟს იკეთებენ, ვერც მიხვდები, რომ პატარები არიან.

— ეს ნორმალურია?

— რა თქმა უნდა, არა. ქართველ თინეიჯერებს ჰგონიათ, რომ მათი უცხოელი თანატოლები ასევე იქცევიან, მაგრამ ეს ასე ნამდვილად არ არის. როგორც ვიცი, საზღვარგარეთ ასეთ დანესებულებებში 18 წლამდე ბავშვებს არ უშვებენ...

— რითი განსხვავდებიან ბა-

თუმელი და თბილისელი მოზარდები ერთმანეთისგან?

— ბათუმში სულმოუთქმელად ელიან ზაფხულს იმისთვის, რომ კარგად გაერთონ, აქ კი პირიქით ხდება — ზაფხულში ყველა დასასვენებლად მიდის, წლის დანარჩენ დროს კი კარგად ერთობიან. თბილისში მეტი გასართობი ადგილია.

— როგორც ვიცი, აჭარელი ახალგაზრდები ზაფხულს იმიტომაც ელიან, რომ დამსვენებლბთან ფლორტი გააბან...

— ჰო, არის ახალგაზრდების ისეთი კატეგორია, რომელიც მართლაც, მხოლოდ ამიტომ ელის ზაფხულის დადგომას. მე მაგალითად, ამ მხრივ არასდროს მიმართებდა, მაგრამ ამის გამო გული ნამდვილად არ მწყდება.

— რას გულისხმობ?

— თითქმის ყველა დამსვენებელს, რომელიც ბათუმში გავიცანი, ან დავეუმეგობრდი, ან დავეუნათესავდი — ნათელ-მირონები გავხვდით.

— გამოწაკისი არ ხდებოდა?

— კი, მაგრამ ძალიან იშვიათად.

— ამიკო, შეყვარებული გყავს?

— მოდი, ეს ამბავი საიდუმლოდ დაეტოვო. ინტრიგა, ინტრიგაა (იცინის).

— ცოლის მოყვანის სურვილი არასდროს გაგჩენია?

— როგორ არა, მაგრამ მალევე გადაიფიქრებია.

— რა მიზეზით?

— როცა ამ საკითხზე სერიოზულად დავფიქრებოდი, ვხვდებოდი, რომ ეს არც ისე ადვილი იყო. იმისათვის, რომ ოჯახი შექმნა, უნდა მუშაობდე, საკუთარი შემოსავალი გქონდეს, მშობლებზე დამოკიდებული არ უნდა იყო; გქონდეს საკუთარი სახლი, მანქანა... მინდა, ამ ყველაფერს ჩემით მივალწიო.

— ასე თუ იფიქრე, შეიძლება, დაუოჯახებელი დარჩე...

— მგონი, ცხოვრების აწყობას დაბერე-

ბამდე მოვახერხებ.

— ისე ამ ტემპით თუ გააგრძელებ...

— (მანყვეტიანებს) ჰო, ნამდვილად მალე მივალწე იმას, რაც მინდა. მაგრამ ვნახოთ, მომავალში რა იქნება.

— ბათუმში რომ ყოფილიყავი, პოპულარობას ვერ მიიღწევდი?

— საქართველოს მასშტაბით, ვერა, თორემ აჭარაში, ნამდვილად პოპულარული გახლდიო. „კავენიდან“ გამიცნეს, მანადე კი ვმღეროდი, ვცეკვავდი ანუ შოუ-ბიზნესში ვიყავი ჩართული.

— სკოლის პერიოდს როგორ გაიხსენებ?

— ჩემი ოჯახი მოსკოვიდან რომ ჩამოვიდა, 6 წლის ვიყავი და ქართულად ლაპარაკი არ შემიძლო. მხოლოდ ერთი ლექსი ვიცოდი და იმასაც, რუსული აქცენტით ვითხულობდი. მერე, ნელ-ნელა ქართული ვისწავლე და სკოლაშიც მიმიყვანეს. კლასში ყველაზე დაბალი ვიყავი და როცა სკამზე ვჯდებოდი, ფეხებს იატაკამდე ვერ ვაწვდენდი, მათ პაერში ვაქნევდი. ჩემი მუსიკალური ნიჭის წყალობით, მასწავლებლების გული ადვილად მოვიგე. როცა რაღაც ღონისძიება ტარდებოდა, მთხოვდნენ, — მასში მეც მიმელო მონაწილეობა. ამ მხრივ, აქტიური და წარჩინებული ვიყავი. ამავე დროს, საოცრად ცელქი გახლდიო, მაგრამ მასწავლებლები „თვალს ხუჭავდნენ“.

— შენი სიცელქე რაში გამოიხატებოდა?

— სკამებს და მაგიდებს ხშირად ვჯვლებ-ნიდი, მასწავლებლებს ვაბრაზებდი, მაგრამ შემდეგ, მათ გულებს ადვილად ვიკებდი.

— ამას როგორ ახერხებდი?

— რა ვიცი, გამოდმოიოდა. ერთხელ, ახალი მასწავლებელი მოვიდა. მას ერთი კვირის განმავლობაში, თავს ვაჩვენებდი, თითქოს, ავად ვიყავი, ვითომ ინვალიდი გახლდიო. ამას ძალიან მაგრად ვთამაშობდი და ისიც, ვერაფერს მიხვდა. თან, კლასელებიც არ მამხელდნენ.

— ლაპარაკი „გიჭირდა“?

— საკმაოდ „მიჭირდა“. პედაგოგი ძლიერ იცებდა, რა მინდოდა. მერე, როცა ეს ყველაფერი მომბეზრდა, 2 დღე მის გაკვეთილებს არ დავესწარი, ხოლო მესამე დღეს ისე ჩავეუარე და მივეხალმე, როგორც ნორმალური ბავშვი მოიქცეოდა. გადაირია. ვუთხარი, — პატივცემულო, ნასული ვიყავი სამკურნალოდ და თქვენს გაკვეთილზე ამიტომაც არ მოვედი-მეთქი. მოკლედ, იმდენი ვლაპარაკე, დავარწმუნე. სიმართლე წლის ბოლოს გაიგო და ნიშანს აღარ მიწერდა.

— როგორ შემოირიგე?

— ტყბილი სიტყვები ვუთხარი და (იცი-ნის)... ბოლოს, შემაქო კიდეც, — მართლა კარგად ითამაშეო. შესაძლოა, ამიტომაც მაპატიო... მეცხრე კლასის შემდეგ, სალამოს სკოლაში ვსწავლობდი, რადგან მინდოდა, საზღვაო აკადემიაში ჩამებარებინა და ამისთვის უნდა მოემზადებულყავი. დღის განმავლობაში ვმეცადინებოდი და სალამოს 6 საათზე სკოლაში მივდიოდი. ლამის სკოლას „რეციდივისტების სკოლა“ დავარქვით, რადგან ვინც გამოგდებოდა იყო ან სწავლა არ უყვარდა, ყველა იქ დადიოდა.

— მერე, როგორ შეეგუე იქაურ „სასტავს“?

— ძალიან კარგად. სხვათა შორის, ჩემი კლასიდან, ჩემ გარდა, ლამის სკოლაში კიდეც 2 ბიჭი გადმოვიდა. ჰოდა, იქაურობა აღებულ იქნა, სხვებზე უარესები ვიყავით. გამოდის, რომ ჩვენც რეციდივისტები ვიყავით. „შატალოებსაც“ ხშირად ვანწყობდით — მივდიოდით მწვანე კონცხზე ან ზღვაზე, სადაც მიგვეკონდა სასმელი და ვერთობოდით.

— მშობლებთან მეგობრობ?

— რა თქმა უნდა?! ზოგჯერ, მშობელი მართალია, როცა შეილს სადღაც არ უშვებს. ახალგაზრდები შარიანიები არიან და ადვილი მოსალოდნელია, რაიმე ხიფათს გადაეყარონ (განსაკუთრებით, სალამოს).

ჰოდა, მშობლებმა ეს ყველაფერი კარგად იციან, რადგან ახალგაზრდები ისინიც იყვნენ და ეს ყველაფერი გამოვლილი აქვთ... გამომართლა, მშობლები ყველაფერი რომ მიგებენ. მინდა, მათ ამისთვის დიდი მადლობა გადავუხადო. ადრე ბათუმში, ლამის კლუბებში „დიჯეიდ“ ვმუშაობდი. მართალია, ჩემმა მშობლებმა იცოდნენ, სალამოს სადაც ვიყავი და რასაც ვაკეთებდი, მაგრამ მაინც, დედა ხშირად მირეკავდა და მეუბნებოდა: რას შერები? რამდენ ხანში გათავისუფლდები? ტაქსით არ წამოხვიდე, მამაშენი წამოგიყვანსო და ა.შ.

— ეს არ გალიზანებდა?

— პირიქით, მსიმოვნებდა კიდეც. ეს იმას ნიშნავს, რომ მშობელს ვესივარ, ვუყვარვარ და ამიტომაც მირეკავს.

— შენგან განსხვავებით, ეს ბევრს გალიზანებდა.

— მსგავსი რაღაცები იმ ადამიანებს ალიზიანებს, რომლებსაც ჰგონიათ, რომ უკვე ზრდასრულები, ძალიან ჭკვიანები არიან და მათ ცხოვრებაში სხვა არ უნდა ჩერიოს. მაგრამ ისინი მწარედ ცდებიან. მშობლებმა და შვილებმა ერთმანეთს უნდა გაუგონ!.. ერთხელ, სამხაეცოსთან ერთად საქეიფოდ წავედი. იქ გოგოები გავიციანით და კარგადაც დავთვევით. მერე, ძმაცაცის სახლში ავედი და მისი დაბადების დღე აღვნიშნეთ. მოკლედ, 2 დღის განმავლობაში მშობლებს არ შევხმინანებია. სიმთვრალემ ყველაფერი დამავინწყა.

— მერე?

— სახლში რომ მივედი, დედაჩემი ნაბტირალები, საოცრად შეშინებული დახვდა. ვიფიქრე, ჩემ გამო რამე არ დაემართოს-მეთქი და ძალიან შევშინდი...

— ისე, რამ შეგიშალა ხელი, შინ რატომ არ დარეკე?

— ეს მშობლის კითხვაა (იცი-ნის). რა ვიცი, ხომ იცოდნენ, რომ გვიან უნდა მივსულიყავი და თავიდან, თავს ამით ვიმშვიდებდი, მაგრამ როცა დავთვევით, აღარაფერი მახსოვდა იმ სიტუაციის გარდა, რასაც ვხედავდი... „შახმელიაზე“ მყოფს კიდეც, იმის თავი არ გაქვს, რომ სადღაც დარეკო. მოკლედ, მიზეზს რა გამოლევს (იცი-ნის).

— სიგარეტის მონვეა როდის დაიწყო?

— ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ძალიან პატარა ვიყავი... ჩემს სახლთან ახლოს, რუსი გოგონები ცხოვრობდნენ. ისინი სიგარეტს ეწოდნენ. მათ „სასტავში“ ბიჭი მხოლოდ მე ვიყავი. ალბათ, იმიტომ მიმიღეს, რომ რუსულად კარგად ვლაპარაკობდი და მათთან ურთიერთობა არ მიჭირდა. როცა 10 გოგო დაჯდებოდა და სიგარეტს ეწეოდა, რატომღაც „მიტყდებოდა“, მე რომ არ ვწეოდი და ერთხელაც, როცა მკითხეს, — ხომ არ ეწევი? ვთქვი: როგორ არა-მეთქი?! ჰოდა, მომიცეს „ელემი“ და მეც, სამარიაყოფ ავიღე. მახსოვს, ქვაზე ვიჯექი და სიგარეტი ბოლომდე მოვწიე. მერე, ადგომა

მომინდა, მაგრამ თავბრუ დამეხვა და ადგილიდან ვერც კი წამოვიწიე. ეს გოგონებს რომ არ შეემჩნიათ, ისე მოვიქციე, ვითომ, ქვის გასწორება მინდოდა. საათ-ნახევარი გაუძმრეულად ვიჯექი და თან, 10 გოგო 20-ად მეჩვენებოდა.

— მერე, კარგი იყო, მათი რაოდენობა რომ გაორმაგდა?

— რაღაც მომენტში, მართლა კარგი იყო (იცი-ნის)...

— სკოლის ასაკში შეყვარებული თუ გყავდა?

— სერიოზულად შეყვარებული არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ბევრი ვიღაც მომწონდა. არ მინდა, მარიაჟობაში ჩამეთვალოს, მაგრამ ხშირად ვინვე გოგონების ინტერესს. ალბათ, ეს ჩემი საქციელიდან გამომდინარე ხდება.

— რას გულისხმობ?

— ყველასთან შინაურულად ვიქცევი, ისეთ ხასიათს ვამჟღავნებ, რომ ჩემთან ურთიერთობის სურვილი უჩნდებათ. ისე, ხომ იცი, ყველაფერი მეგობრობით იწყება.

— ქალისთვის სერენადა არასდროს გიმღერა?

— მეგობრებს ხშირად მივყვებოდი სერენადის სამღერად, ხმებში ვშლიდით სიმღერებს, გიტარაზე ვუკრავდით და ა.შ. ამას წინათ მეგობარს, კობა ბერიკაშვილს (ისიც „კავენშჩიკელია“) გავყვები და მისი შეყვარებულის სახლთან სერენადა ვიმღერეთ. ცოტა ხანში, მან ის გოგონა შეირთო და ახლა, ძალიან მემამყება, რომ მათ სიყვარულში გაუმართალა.

— ე.ი. კარგი ფეხი გაქვს და შესაძლოა, ბევრმა მოგმართოს თხოვნით, რომ მათაც გაშყვე სერენადის სამღერად...

— (იცი-ნის)...

— როცა ვიღაც სერიოზულად შეგიყვარდება (არ ვიცი, იქნებ, ვიღაც გიყვარს კიდეც), მას სერენადას არ უმღერებ? ყვავილებს არ მიართმევ?

— არა, არ არსებობს, არც ვუმღერებ და არც ყვავილებს მივართმევ. ეს არასდროს დამჭირდება.

— რატომ?

— არ მინდა, ადამიანთან ძალიან რომანტიკული გამოვჩნდე. თანაც, შეყვარებულს ყველა ყვავილებს, სათამაშოებს ჩუქნის, მე კი მინდა, ორიგინალური ვიყო. ოღონდ, რას გავაკეთებ, ამას მერე გაიგებთ (იცი-ნის)...

— აქაც ინტროგა, არა?.. დაბოლოს, რას ურჩევდი თინეიჯერებს?

— არაა საჭირო თავი იმაზე უფროსად წარმოაჩინონ, ვიდრე არიან. ნაადრევად დაქალებას თუ დაკაცებას ნუ შეეცდებიან. დიდთან დიდები უნდა იყვნენ, პატარასთან — პატარები, მაგრამ თავიანთი ასაკიც არ უნდა დაავიწყდეთ...

P.S. თუ ამიკოსთან შეხვედრის (ოღონდ, უურნალისტიკა და ფოტოგრაფის თანდასწრებით) ან მისთვის კითხვის დასმის სურვილი გაგაჩნდათ, დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 8(99) 17.35.27. გპირდებით, ის თქვენს ცნობისმოყვარეობას აუცილებლად დააკმაყოფილებს.



გამოხატვა

„ასეთი დაქალი, აღჩა თუ გვიან, უარას იზამს...“



თავუნა (გორი), 19 წლის:

„გამარჯობათ. მეც შემემთხვა მსგავსი რამ და დღესაც არ ველაპარაკები დაქალს, რომელიც სიგიჟემდე მიყვარდა. სიმართლე გითხრათ, ახლა მასთან შერიგებას ვაპირებ. გერასიმე, თქვენს გოგონასაც ვურჩევ, წყენა დაივიწყოს.“

ლაშა:

„შემოგველე, შენი გოგონა და მისი დაქალი ერთმანეთს თუ გაუბრაზდნენ, ალბათ, ამის მიზეზი ჰქონდათ და ჩვენ მათ საქმეში არ უნდა ჩავერიოთ. ვფიქრობ, ეს ჩვეულებრივი ამბავია და მგონია, რომ თავად ყველაფერს უკეთ გაარკვევენ. ღმერთმა ხელი მოუმართოს.“

უცნობი:

„გამარჯობა, ლიკ. მოკლედ, ამ ხალხს პრობლემები არ ელევან ან მათ თავადვე იქმნიან. რა ვიცი, რა ვიცი... რაც შეეხება გერასიმეს მესიჯს, ძნელია, დედამ შორი მანძილიდან ადევნოს თვალყური შვილის, მით უმეტეს, თინეიჯერის ცხოვრებას. გერასიმე, შენს გოგონას მეგობრულად დაელაპარაკე და გამოსავალი ერთად იპოვეთ. ზოგჯერ კაცები არასწორ რჩევას იძლევიან :((“

ნადკა:

„ჰაი“, ლიკ. მე თქვენს რუბრიკას ყოველთვის ვეცნობი, მაგრამ მესიჯს პირველად გწერთ. მინდა, გერასიმეს გამოვეხმაურო: ჩემი აზრით, ჯობია, თქვენმა შვილმა თავადვე მოაგვაროს პრობლემები და მომავალში, დაქალების შერჩევისას, კარგად დაფიქრდეს. ახლა კი ამ სიტუაციიდან გამოსავალი ნომრის შეცვლაა. შემდეგში, ეს ყველაფერი მისთვის გაკვეთილი იქნება. „ჰაკა“.

მარუცაიხ:

„გამარჯობა, ლიკა. გერასიმე, შენი შვილის დაქალი არასწორად მოიქცა — თუ იცოდა, რომ ის პიროვნება მისი მეგობრისთვის არასასურველი ვინმე იყო, მას არაფერში უნდა დახმარებოდა. ასეთი დაქალი, ადრე თუ გვიან, უარეს იზამს.“

„გზის“ №14-ში დაიბეჭდა გერასიმეს მესიჯი, სათაურით — „ჩემი გოგონა გაბრაზდა და დაქალს ეჩხუბა... რა ვქნა?“ გერასიმე, რომელიც ამჟამად საბერძნეთში იმყოფება, გვწერდა, რომ მისი გოგონა დაქალს ეჩხუბა და არ იცის, მათ შესარგებლად რა მოიმოქმედოს.

ცა — თუ იცოდა, რომ ის პიროვნება მისი მეგობრისთვის არასასურველი ვინმე იყო, მას არაფერში უნდა დახმარებოდა. ასეთი დაქალი, ადრე თუ გვიან, უარეს იზამს.“

გორი-გორი:

„ყველაფერს ის აჯობებს, თუ ამ ამბავში არ ჩაერევით. თვითონ გაარკვიონ ურთიერთობა. მის ადგილას მეც გავბრაზდებოდი, მაგრამ ჩხუბით, არ ვეჩხუბებოდი. უბრალოდ, იმ ტიპს წყნარად დაველაპარაკებოდი, მერე კი ტელეფონზე არ ვუპასუხებდი და დანაწარმდებოდა. წარმატებები.“

კიკო:

„თქვენ არაფერში ჩაერიოთ, თქვენი ქალიშვილი დაქალთან ურთიერთობას თავადვე გაარკვევს. მის ადგ-

მიხედავს. არ ინერვიულოთ, მალე შერიგდებიან.“

ტრემლუკა:

„სწორადაც მოქცეულა, თუკი ეჩხუბა. რატომ მისცა ნომერი, თუ იცოდა, რომ ის ადამიანი მისი დაქალისთვის არასასურველი პიროვნება იყო? რა თქმა უნდა, ეს განზრახ გააკეთა!“

9122:

„გერასიმე, სიხარულო, მეც იგივე რეაქცია მექნებოდა. მგონი, ჯობია, ცოტა დრო მისცე იმისთვის, რომ საკუთარი პრობლემა თავადვე მოაგვაროს. მე ასე ვფიქრობ და რა ვიცი, აბა...“

ვებრალი ვებლო:

„რა პრობლემა? — თქვენმა ცუნცულა გოგონამ ნომერი შეცვალა :)). ისე, მაგარი დაქალი ჰყოლია. ამასაც თუ მეგობრობა ჰქვია, რა. ჯობია, გოგონა დაარიგოთ.“

თაო-თაო:

„დაქალი შენი მეორე „მეა“. ასე არ უნდა მოქცეულიყო. რადგან მეგობარს პატივი არ სცა და ის კითხვის დასმის ღირსადაც არ ჩათვალა, ამიტომაც, თქვენი შვილი მართალია!“

სივანე:

„ლიკა, მინდა, გერასიმეს გამოვეხმაურო: ეს ალბათ, უბრალო, ბავშვური ჩხუბია და თუ მართლა მეგობრები არიან, მალე შერიგდებიან. მგონი, მშობლების ჩარევა არ ღირს.“

მის რაალი:

„ჯობია, მათ საქმეში არ ჩაერიო, დაქალები თავადვე მოაგვარებენ ამ პრობლემას. ეგ ჩვეულებრივი მოვლენაა.“

კნოპა:

„გერასიმე, შენმა შვილმა ის ნომერი საერთოდ უნდა გადაადგოს, დაქალი კი გააფრთხილოს, რომ აღარავის მისცეს მისი ახალი ნომერი. ასე რომ, პრობლემაც აღარ შეექმნებათ.“

მუშობანაძილი (იგივე მუკობანიერი):

„გამარჯობა, გერასიმე, როგორ ხარ? შენმა შვილმა ნომერი უნდა გამოცვალოს და იმ ბიჭს არ უნდა დაელაპარაკოს. დამიკავშირდი, ნომერი ლიკასთანაა P.S. ლიკუ, რავა ხარ? თუ ვინმე განწყენინებს, მაშინვე გამაგებინე და ასე ვაძახებინებ: რისთვის გავჩნდი ამქვეყნადო?! ჰო, მარი მომიკითხე და უთხარი, — მესიჯებს ნუ „მიბლოკავს“, თორემ ბანძაში გავათხოვებ.“

„უნდა აკატიოს და შეურიგდეს, შეცდომა ხომ ყველას მოსდის“

ილას მეც გავბრაზდებოდი, მაგრამ არ გავებუტებოდი. შეცდომა ვის არ მოსვლია?! სამწუხაროდ, ის გოგოც შეცდა, მაგრამ არა უშავს. დარწმუნებული ვარ, თქვენს შვილს წყენა მალე გაუვლის და შერიგდებიან. ნუ ღელავთ.“

GREEN GIRL:

„პირადად მე, ჩემს პრობლემას თავადვე ვაგვარებ. სიტუაცია აკონტროლე, მაგრამ მათ საქმეში არ ჩაერიო. ბავშვი ასე დამოუკიდებლად ცხოვრებას ისწავლის. წარმატებები! გაკოცე :))“

ხატი:

„მოგესალმებით ყველას. მინდა, ქალბატონ გერასიმეს გამოვეხმაურო: თქვენს შვილს უთხარით, რომ დაქალს შეცდომა აპატიოს და გააფრთხილოს, რომ თუ მსგავსი რამ განმეორდება, ამას აღარასდროს აპატიებს. თქვენ მხოლოდ ასეთი რჩევა მიეცით, დანარჩენს კი თავად

კასო:

„ნუ შეეცდები, შენი აზრები მოახვიო თავს. მჯერა, შენს გოგონას გაბრაზება გაუფლის და დაქალს შეურიგდება. მათ ასაკში თავადაც ხომ გქონია მსგავსი შემთხვევა? აბა, შენ იცი“.

თინათქაქალი დედა:

„თქვენი შვილის ადგილას მეც ასე მოვიქცეოდი. თუ გოგონას ის მამაკაცი, ვინც მისი ტელეფონის ნომერი გაიგო, არასასურველ პიროვნებად მიაჩნია, არც მის ზარს უპასუხოს და არც — „ესემესს““.

გვანცა:

„მსგავს სიტუაციაში დაქალს არ გავუბრაზდებოდი. კარგი, ჰო, რა მოხდა, ნომერი მისცა. არა უშავს, უნდა აპტიოს და შეურიგდეს, შეცდომა ხომ ყველას მოსდის“.

სპარლემტი:

„ლიკ, მამაკაცი, გვიან რომ გი-

მესიჯებ. მინდა, გერასიმეს ვუთხრა, რომ მისმა გოგონამ უბრალოდ, დაქალს უნდა მოუსმინოს და ის აუცილებლად აუხსნის, თუ რატომ გააკეთა ეს. იქნებ, გოგონა დააბნიეს და ისე ათქმევინეს სიმართლე? მეც მიმიცია მეგობრის ნომერი მისთვის არასასიამოვნო პიროვნებისთვის და შემდეგ, დაქალისთვის ამიხსნია, თუ რატომ გავაკეთე ეს... მოუსმინოს და შემდეგ, ყველაფერი აპატიოს დაქალს, მისცეს შეცდომის გამოსწორების შანსი და მსგავსი რამ კიდევ თუ განმეორდა, ჩხუბს მერეც მოასწრებს. შემეხმინა“.

მზაპრი:

„პრივეტ“, ლიკ. გერასიმე, შენს გოგონას იმ ბიჭის ტელეფონის ნომერი გამოართვი. ჰოდა, იმ ტიპს დაურეკე და გააფრთხილე, რომ აღარ შეაწუხო“.

თინათქაქალი:

„პრივეტ“. იმ გოგონას მშობლებს, რომელიც დაქალს წაეჩხუბა, მინდა ვუთხრა: ნუ ჩაერევიან შვილის საქმეში! დარწმუნებული ვარ, ბავშვები უკეთ მოაგვარებენ თავიანთ პრობლემას“.

მზა:

„პრივეტ“, ლიკ, როგორ ხარ? მინდა, ქალბატონ გერასიმეს ვუთხრა, რომ მისი გოგონას ადგილას მეც ასე მოვიქცეოდი, მაგრამ ვიდრე ამას გავაკეთებდი, ყველაფერს საფუძვლიანად გავარკვევდი. მგონი, საგანგაშო არაფერია“.

უცნობი:

„თქვენი შვილი სასწრაფოდ ჩამოაშორეთ დაქალს, რადგან იმ გოგონას მეგობრობის არაფერი გაეგება“.

გაყიდული ჩილი და „აზიზის“ გამო დაყიდილი სიყიდილი

პანუა, 16 წლის:

„გამარჯობათ. როცა პრანჭიას თავგადსავალი წავიკითხე, ჩემი თავი გამახსენდა. პირველი სიყვარული 13 წლის ასაკში მენვია. მაშინ უბედნიერესი ადამიანი ვიყავი. ჩემი შეყვარებული 17 წლის იყო. მას ხელის გადახვევის უფლებასაც არ ვაძლევდი და მარტონი არასდროს არსად წავსულვართ... 2 წლის ვიყავი, როცა ჩემი მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ და მე დედის მშობლებთან ვცხოვრობდი, რადგან დედა საზღვარგარეთ წავიდა, სამუშაოდ. 13 წლის ვიყავი, როცა მამა ვნახე (ანუ 11 წლის შემდეგ). ყოველამე ვტიროდი, დედა მენატრებოდა, მის გარეშე თავს მარტოსულად ვგრძნობდი... მე მოცეკვავე ვარ. ერთხელაც გასტროლოზე, თურქეთში წავედი და როცა იქიდან დავბრუნდი, თითოეულ ნათესავს საჩუქარი ჩამოვუტანე. შინ მივედი თუ არა, ბებიჩემმა დაჯდომაც არ მაცალა, ოთახში გამიყვანა და მითხრა: რატომ არ მითხარი, შეყვარებული თუ გყავდაო? ამასობაში, ბიძაჩემი შემოვარდა და ყვირილი დამიწყო: ჩვენი ოჯახის სახელს რატომ არცხვენ? დედაშენმა აქედან სასწრაფოდ წაგიყვანოს, ჩემი სახლიდან გაეთრიეო და სილა მტკიცა. არადა, ღმერთს გეფიცებით, იმ ბიჭს ჩემთვის ხელიც კი არ ჰქონდა მოხვეული. ჩანთაში 2 მაისური ჩავაგდე და ატირებული, დეიდაჩემთან გაიქეცი. გარეთ საშინლად წვიმდა. ვერ გეტყვით, როგორ მივედი მის სახლამდე, რადგან გათიშული ვიყავი, ვერ ვხვდებოდი, ჩემ ირგვლივ რა ხდებოდა... მერე გავიგე, რომ თურმე, ერთ ბიჭს ვუყვარდი, რომელიც ჩემებთან მისულა და მათთვის საშინელი რაღაცები უთქვამს იმ მიზნით, რომ შეყვარებულს დაეშორებოდა... როგორც კი დეიდაჩემი სახლიდან წავიდა, ტელეფონს ვეცი და საყვარელ ადამიანს დაურეკე, ყველაფერი ვუამბე და ამით ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დიდი შეცდომა დავუშვი: ვუთხარი, — უნდა

დავმორდეთ-მეთქი. მიპასუხა: შენ არაფრის გამო მშორდები; ნურაფრის გეშინია, მე ვერაფერს მიზამენ, ვისაც უნდა, მოვიდეს და დაველაპარაკებო... მე კი უარზე ვიყავი, რალაცის მეშინოდა და ამიტომაც, დავმორდე... იმ პერიოდში მთელი ღამეები არ მეძინა, სულ მასზე ვფიქრობდი... ერთმანეთი სიყვარულის დღეს, 14 თებერვალს გავიცანით და 23 მაისს დავცილდით. მართლაც, არაფრის გამო დავკარგე საყვარელი ადამიანი... მაღე, დედაჩემი საქართველოში ჩამოვიდა და მეც საზღვარგარეთ წამიყვანა. მას შემდეგ ორი წელი გავიდა, მაგრამ ჩემს გულს ვერავინ მიეკარა, ვერავინ შევიყვარე... ამ ყველაფერს დაემატა ის, რომ გავიგე, თურმე, ნაშვილები ვყოფილვარ. დედამ დამსვა და ყველაფერი მიაშბო. თურმე, ორი და და ერთი ძმა მყოლია. ქალს, რომელმაც გამაჩინა, სამშობიაროშივე გაუყვიდივარ, ოჯახის წევრებისთვის კი უთქვამს, — ბავშვი მკვდარი დაიბადაო. დედამ მითხრა: გარეგნულად იმ ქალს ჰგავხარ, ისიც შენსავით ლამაზი იყოო. ამ ოჯახის ტელეფონის ნომერი გავიგეთ. ძალიან მინდა, ჩემი დედამიშვილები ვნახო, გავიცნო და გულში ჩავიკრა, მაგრამ ძალა არ მყოფნის იმისთვის, რომ მათ შევხვდინა... აქ ერთი ბიჭი გავიცანი და უკვე 5 თვეა, ერთად ვართ. მას ძალიან ვუყვარვარ, ოჯახის წევრებაც გამაცნო. სხვათა შორის, მამამისი ქართველია, დედა — ბერძენი. კარგი ქალია, ძალიან მიყვარს. ეს ბიჭი 18 წლ-

ისაა. მან თითქმის შეძლო, ჩემთვის შეყვარებული დავეინყებინა, მაგრამ რატომღაც, ზოგჯერ მგონია, რომ არ ვუყვარვარ. თან, მე ვარ მხიარული, ბავშვური და ყველაფრის მიუხედავად, ცხოვრების იმედი არ დამიკარგავს, ეს კი მთხოვს, დავერიოზულდე, რალაცების ჩაცმას მიკრძალავს, მარტო არსად მიშვებს. სანამ გავიცნობდი, სამოდლო საააგენტოში დავდიოდი, მაგრამ გაცნობიდან 2 თვის შემდეგ მითხრა: იქ სიარულს თავი დაანებე, თორემ დავმორდებო. ალბათ მეტყვიით, მისთვის არ უნდა დაგეჯერებინაო, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა — ამ ადამიანს ქალიშვილმა ჩავაბარე. არ ვიცი, ეს ყველაფერი როგორ მოხდა. მაშინ თავის მოკვლაც კი გადაწყვიტე, მაგრამ... ეს ამბავი არავინ იცის. ბევრჯერ გადამიწყვეტია, დავმორებოდი, თუმცა ამის გაკეთება არ შემეძლია. ხშირად ეჩხუბობთ. ისე, სადაც მიდის, ყველგან მიყვარვარ. მის ძმაცაცებს დად მივაჩნივარ. მგონია, რომ ოჯახს ვერ შევქმნით და მერე, მართლა აღარ ვიცი, როგორ ვიცხოვრებ. რაც მოხდა, ამას ძალიან ვნანობ. არაფერი მაკლია — არც ჩაცმა, არც დახურვა, რასაც ვინატრებ, ყველაფერი მაქვს, მაგრამ სიყვარული? მირჩიეთ, რა ვქნა? ამ ყველაფრის მოყოლას ვერავისთან ვებდაე და ამიტომაც, თქვენი დახმარება ძალიან მჭირდება. წინასწარ დიდი მადლობა. დაბოლოს, მინდა, ყველას წრფელი, ნამდვილი სიყვარულის პოვნა გისურვოთ“.

P.S. თუ პანუას წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს... და კიდევ თქვენ მიერ გამოგზავნილი „ესემესები“ ჩვენამდე არასრულად აღწევს (ანუ სადღაც წყდება და შესაბამისად, მის შინაარსს ვერ ვიგებთ) და მათ დაბეჭდვას სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ ვახერხებთ. გაითვალისწინეთ, თუ ვრცელი „ესემესის“ გამოგზავნა გსურთ (ერთი მესიჯი 160 სიმბოლოს იტევს), ის რამდენიმე მესიჯად უნდა გამოგზავნოთ.

მსოფლიო სიმფონიური ორკესტრის ჩაითვლი ნეხი, პიხვედი ვიოლინო და აუდიენცია ნიდელანდების დედოფალთან



ემა ბუხიაშვილი

— ვიდრე სერ გეორგ შოლტის პროექტი მოხვდებოდა, ვუკრავდი სახელმწიფო კამერულ ორკესტრში ლიანა ისაკაძესთან, შემდეგ — ევგენი მიქელაძის სახელობის სიმფონიურ ორკესტრში, ვახტანგ მაჭავარიანის ხელმძღვანელობით. იმხანად, თბილისში ჩამოსული იყო შოლტის პროექტის მენეჯერი, ლონდონის სიმფონიური და ლონდონის სამეფო ორკესტრის მენეჯერი, ჩარლზ კეი. ის ჩვენს კონცერტს დაესწრო, კარგი პროგრამა გვქონდა, მალერის სიმფონიას ვუკრავდით, სადაც სოლოს ვასრულებდი. კონცერტის დასრულების შემდეგ, ჩარლზ კეისგან მივიღე შემოთავაზება, მსოფლიო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად დამეკრა. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა სიხარულს მომანიჭებდა ეს წინადადება, მით უფრო, რომ ამ ორკესტრში საქართველოს ერთადერთი წარმომადგენელი ვარ. პირველად, მსოფლიო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, 2003 წელს დავეუკარი. ეს მოხდა სააღდგომო ფესტივალზე მოსკოვში. კონცერტი გვქონდა მუსიკის საერთაშორისო სახლის გრანდიოზულ დარბაზში და მას ესწრებოდა მოსკოვის ელიტა. ამ გასტროლის დროს, კონცერტი გავმართეთ პეტერბურგში, „თეთრი ლამების ფესტივალის“ ფარგლებში და გამოვედით პეტერბურგის მარინის თეატრში. აქვე მიინდა გითხრათ, რომ სერ გეორგ შოლტის გარდაცვალების შემდეგ, მსოფლიო სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელობა, ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ დირიჟორს, ვალერი გერგიევს შესთავაზეს. ის პეტერბურგის მარინის თეატრის და როტერდამის ფილარმონიის სამხატვრო ხელმძღვანელი, ლონდონის სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი გახლავთ. ვალერი გერგიევი ეროვნებით ოსია, დაბადებულია

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიური ორკესტრის კონცერტმასტერი, პირველი ვიოლინო ლელა მჭედლიძე, ერთადერთი ქართველია, ვისაც მსოფლიო სიმფონიური ორკესტრის წევრობა სვდა წილად ამ ორკესტრის შექმნის იდეა გამოჩენილ უნგრელ დირიჟორს, სერ გეორგ შოლტს ეკუთვნის და სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ მუსიკოსებს აერთიანებს. არსებობის ცამეტი წლის განმავლობაში, შოლტის ოცნებად წოდებულმა პროექტმა კლასიკური მუსიკის ბევრი თავყვანისმცემლის გული დაიპყრო, მათ შორის გახლავთ ნიდერლანდების დედოფალი ბეატრიქსიც, ვისთან აუდიენციის პატივიც, ქართველ მევიოლინესაც სვდა წილად.

ჩრდილოეთ კავკასიაში, ხოლო განათლება მიღებული აქვს მოსკოვში. გერგიევი რუსეთის პრეზიდენტთან, პუტინთან დაახლოებული პირია. მათ ნათელმბრონობა აკავშირებთ. მუსიკალური კარიერის დასაწყისში, გერგიევი თბილისშიც ცხოვრობდა და ჯანსუღ კახიძის ორკესტრს დირიჟორობდა. მის ქართველ მეგობრებს შორის, ლექსო თორაძე და მისი და, ქალბატონი ნინო არიან. გერგიევს მსოფლიო მასშტაბით ბევრი თავყვანისმცემელი ჰყავს, მათ შორის — ჰოლანდიის დედოფალი ბეატრიქსი. როგორც უკვე გითხარით, ვალერი გერგიევი როტერდამის ფილარმონიის მთავარი დირიჟორია და პერიოდულად, ჰოლანდიის მთავრობის მხარდაჭერით, კლასიკური მუსიკის ფესტივალს მართავს. გასული წლის სექტემბერში, მსოფლიო სიმფონიური ორკესტრის წევრები სწორედ ამ ფესტივალის დროს შევიკრიბეთ და კონცერტი გავმართეთ როტერდამში, დოელენის დარბაზში. წინასწარ ვიცოდით, რომ კონცერტს ჰოლანდიის დედოფალი დაესწრებოდა, ხოლო კონცერტის შემდეგ, ორკესტრის რამდენიმე წევრს შეხვდებოდა. როდესაც დედოფალს მუსიკოსების სია წარუდგინეს, მან არჩევანი ოთხ ადამიანზე შეაჩერა და მათ შორის მეც ვიყავი. როდესაც ამის შესახებ შემატყობინეს, რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა, მაგრამ ამავე დროს დავინწყე ფიქრი იმაზე, თუ როგორ წარვმდგარიყავი ამ დიდებული ქალბატონის წინაშე. რჩევა ვთხოვე ოპერის ხელმძღვანელს, დათო საყვარელიძეს და გადაწყვიტეთ, ჰოლანდიის დედოფალთან აუდიენციის შესახებ, ჩვენი ქვეყნის პირველი ლედიც ყოფილიყო ინფორმირებული. თავის მხრივ, ქალბატონმა სანდრამ გამოთქვა სურვილი, რომ დედოფლისთვის საქართველოდან სამახსოვრო სუვენირი გაეგზავნა. ეს გახლდათ ტიხრული მინანქრის გულსაბნევი, რომელიც ჰოლანდიის დედოფალს საქართველოს პირველი ლედის და ქართველი ხალხის სახელით გადაეცემა.

— საინტერესოა, რაზე გესაუბრათ დედოფალი?

— გამოგიტყდებით, ვფიქრობდი, რომ დედოფალთან აუდიენციას ოფიციალური შეხვედრის სახე ექნებოდა. ჩემდა გასაკვირად, ბეატრიქსი ძალზე უშუალო კონტაქტში შემოვიდა მუსიკოსებთან; მითხრა, რომ ყოველთვის ინტერესით ადევნებს თვალს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და მთხოვა — მომიყევი, ახლა რა ხდება საქართველოშიო. მე, როგორც მუსიკალური სამყაროს წარმომადგენელმა, კმაყოფილება გამოვხატე იმის გამო, რომ ბოლო დროს, ჩვენში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა კლასიკური მუსიკისა და ზოგადად კულტურის განვითარების ხელშეწყობისთვის. ვუამბე იმის შესახებაც, რომ მისმა თანამემამულემ და ჩვენმა პირველმა ლედიმ, კლასიკური მუსიკის რადიოარხი დააფუძნა. თავის მხრივ, დედოფალმა მითხრა, რომ გამორჩეულად უყვარს ჩვენი ქვეყანა, გასული საუკუნის 70-იან წლებში ნამყოფია საქართველოში, მისი ჰობია არქეოლოგია და ამ თვალსაზრისით, მის დიდ ინტერესს იწვევს ჩვენი ქვეყანა. ბეატრიქსმა ისიც გამიხილა, რომ უახლოს მომავალში საქართველოში ჩამოსვლას გეგმავს. დედოფალთან აუდიენციის დროს ვერევილობდი, მიწბოდა მასთან შეხვედრის ამსახველი ფოტომასალა მქონოდა, მაგრამ ასეთი შეხვედრისას, ფოტო და ვიდეოგა-



გისრული მინანქრის გულსაბნევი ჰოლანდიის დედოფალს საქართველოს პირველი ლედის და ქართველი ხალხის სახელით გადაეცემა



ქართული საზოგადოება ძალიან მომთხოვნი და კრიტიკულია, საჭირო მაღალი დონის მსმენელი გვყავს

დადება ყველასთვის ნებადართული როდია. სად არ შეხვდები დღეს ქართველს! მგონია, რომ როტერდამის ფილარმონიის დარბაზში ერთადერთი ქართველი ვარ და ამ დროს მესმის: ფოტოკამერით აღჭურვილი ქალი ქართულად მიმართავს პოლანდიელ მამაკაცს. აღმოჩნდა, რომ ის, პოლანდიაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე და როტერდამის ფილარმონიის ფოტოგრაფი ნინო ფურცხვანიძე იყო, ხოლო მამაკაცი — მისი მეუღლე. ნინომ გადაამიღო ეს ისტორიული ფოტოები და თბილისში გამოიგზავნა.

— ხშირად მართავს კონცერტს მსოფლიო სიმფონიური ორკესტრი? თქვენს კონცერტზე დასწრება ალბათ ძვირი სიამოვნებაა, არა?

— ნამდვილად ძვირი სიამოვნებაა, რადგან ამ ორკესტრში უკრავენ ისეთი კორიფეები, როგორიცაა ვენის ფილარმონიული ორკესტრის პირველი ვიოლინო, შვეიცარიის ტონჰალეს სიმფონიური ორკესტრის პირველი ვიოლინო, რომელიც სტრადინივარიუსის ვიოლინოზე უკრავს. სხვათა შორის ამ ვიოლინოზე უკრავდა თავად პაგანინი. მსოფლიო ორკესტრის წევრები არიან აგრეთვე, პუცინის ნაციონალური სიმფონიური ორკესტრის კონცერტმანისტერი, პარიზის ნაციონალური სიმფონიური ორკესტრის კონცერტმანისტერი; მუსიკოსები ლონდონის სიმფონიური ორკესტრიდან. მსოფლიო სიმფონიური ორკესტრი იკრიბება იშვიათად, მხოლოდ ძალიან ღირსშესანიშნავ ღონისძიებებთან დაკავშირებით, წელიწადში ერთხელ ან ორ წელიწადში ერთხელ. 2005 წელს, ვიყავით ლონდონში და გავმართეთ კონცერტი „როიალ ალბერტ ჰოლში“. ეს არის ნებისმიერი ხელოვნის ოცნება, რომ არათუ სცენაზე, „როიალ ალბერტ ჰოლში“ დარბაზში მაინც შედგას ფეხი. ჩვენი კონცერტის ჩანაწერი გააკეთა ტელეკომპანია „ბიბი-სიმ“ და დოკუმენტური ფილმიც მოამზადა ჩვენს ორკესტრზე. შარშან საკონცერტო ტურის გვიქონდა ლონდონში, მოსკოვში, ბერლინსა და ჩინეთში. კონცერტის შემდეგ, ჩინეთში გაგვიმართეს საუცხოო მიღება, რომლის მსგავსიც არსად მინახავს. კონცერტი გვიქონდა დახურულ

საიმპერატორო ქალაქში, ფუკრადით კულტურის სასახლეში. მიღება კი გაიმართა რესტორანში, რომელიც წყალზე იდგა. უკრავდა ჩინური ნაციონალური ორკესტრი, ყველგან დაფრინავდნენ დრაკონები და საერთოდ, მიღება იყო კოსტიუმირებული. ჩვენს პატივსაცემად გამართულ საღამოს, ჩინეთის კულტურისა და ტურიზმის მინისტრები ესწრებოდნენ.

— კლასიკური მუსიკა დიდ შრომას მოითხოვს. როგორ ახერხებს მსოფლიო სიმფონიური ორკესტრი რეპეტიციების გავლას? ორკესტრის წევრები ხომ ფაქტობრივად, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობთ?

— როგორც ამბობენ, ეს უკვე „უმაღლესი პილოტაჟის“ წყალობით ხდება. აქამდე ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, მხოლოდ ორი რეპეტიციით, მაღალი საკონცერტო შესრულების მიღწევა. მსოფლიო ორკესტრთან ერთად კი პირველივე რეპეტიცია უკვე კონცერტია. ხშირად ხდება ისე, რომ მუსიკოსები რეპეტიციაზე პირდაპირ აეროპორტიდან, ჩემოდნით ხელში მივიდვიართ.

— თქვენ ბრძანდებით თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიური ორკესტრის კონცერტმანისტერი, პირველი ვიოლინო...

— ეს დიდი პასუხისმგებლობა და ვალდებულებაა, რომელსაც დამსახურებაც უნდა და მოფრთხილებაც. ბევრი სასიკეთო რამ ხდება ამჟამად ოპერის თეატრში, რაც ერთიორად აადვილებს ხელოვნის მოღვაწეობას. როდესაც ხვდები, რომ ვიღაცას სჭირდება, ამაზე დიდი სტიმული ხელოვნისთვის არ არსებობს. არადა, ისეთი პერიოდიც მახსოვს, როდესაც გაყინულ დარბაზში, ქურქებსა და ხელთათმანებში გამოწყობილები გავდიოდით რეპეტიციას. სიცივეში ვიოლინო ხმას კარგავს და შემდეგ, ვერც შეაკეთებ და ვერც ააწყობ. ამავე დროს, ქართული საზოგადოება ძალიან მომთხოვნი და კრიტიკულია, საკმაოდ მაღალი დონის მსმენელი გვყავს. ბოლო სამი წლის განმავლობაში, ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა ოპერისა და ბალეტის თეატრში. მხოლოდ ის რად ღირს, რომ დაიდგა ვერდის „ატილა“, სადაც მსოფლიოს ორი უდიდესი მომღერალი, პაატა ბურჭულაძე და მიშელ კრაიდერი მონაწილეობდნენ. თბილისის ოპერის სცენაზე იმღერეს მონსერატ კაბალიემ, ხოსე კარერასმა. როდესაც ოპერისა და ბალეტის თეატრში პრეზიდენტის ინაუგურაციის აღსანიშნავი კონცერტი იმართებოდა, ხოსე კარერასს თაიგული მიართვეს, მან კი უტიკეტის შესაბამისად, სცადა თაიგულიდან ერთი ვარდი ამოეღო და პირველი ვიოლინოსთვის — ანუ ჩემთვის მოერთმია. რა იცოდა კარერასმა, რომ ჩვენში თაიგულებს

საგულდაგულოდ „სკოჩავენ“, ვერაფრით ამოიღო, ვარდის კოკორი მოუწყდა და ყვავილის ფოთლები ზედ დაამყარა. კარერასმა უხერხულობის გამოსწორება იუმორით სცადა და გადმომილაპარაკა: ახლა ნამდვილ პრინცესას ჰგავხარო...

— ცოტა ხნის წინ, თეატრი ამერიკული გასტროლიდან დაბრუნდა, როგორ ჩაიარა უცხოურმა ტურნემ?

— საბალეტო დასს ამერიკაში ხანგრძლივი გასტროლი ჰქონდა, ორკესტრის წევრები კი მოგვიანებით შეეუერთდით. სპექტაკლი, რომელშიც ორკესტრიც მონაწილეობდა, ბრუკლინის მუსიკის აკადემიაში გაიმართა. წარმოდგენილი იყო ძალიან საინტერესო პროგრამა, მათ შორის, ჯორჯ ბალანჩინის მიერ დადგმუ-



შევეყანა, ცოტა ხნით მაინც დაგვებრუნებინა ისინი მშობლიურ მიწაწყალზე



ბევრი სასიკეთო რამ ხდება ოპერის თეატრში, რაც ერთიორად აადვილებს ხელოვნის მოღვაწეობას

ლი სპექტაკლები; რატმანსკის მიერ, სპეციალურად ნინო ანანიაშვილისთვის დადგმული ერთაქტიანი ბალეტი და პოსოხოვის, ქართულ მოტივებზე შექმნილი ბალეტი — „საგალობელი“. პუბლიკაში უამრავი ქართველი ემიგრანტი იჯდა და ჩვენი შემოქმედებით შევეცადეთ, ცოტა ხნით მაინც დაგვებრუნებინა ისინი მშობლიურ მიწაწყალზე.

თანდაყოლილი გულის მანკი - დაავადების მასშტაბები და თავიდან ასწილავის ხერხები

თბილისში, დილოში, გვი უვანას სახელობის პედიატრიულ კლინიკაში უკვე 11 წელიწადია ფუნქციონერებს ჯო ენის სახელობის სამედიცინო ცენტრო, სადაც გულის მანკით დაავადებული არაერთი პატარა მკურნალობს. ექიმები ბევრ მათგანს შევლიან, ბევრსაც სრულიად განკურნებულს ისტუმრებენ შინ, მაგრამ არსებობს მანკის ისეთი სახეობებიც, რომლებსაც თანამედროვე მედიცინა ვერ უმკლავდება. ასეთი სენით იყო შეპყრობილი 10 წლის ზუკა კაპანაძე, რომლის შესახებაც ამ რამდენიმე ხნის წინ შევიტყვეთ, მაგრამ სამწუხაროდ, კლინიკაში მისულეს გვაუწყეს, რომ ზუკა უკვე გარდაცვლილიყო. კლინიკის სამედიცინო დირექტორს, კარდიოქირურგ ანთონ დილ ცინცაძეს იმ მიზნით შევხვდით, რომ გაგვეჩვენა, თუ რამდენად დიდია საქართველოში გულის მანკით დაავადებულთა რიცხვი და რა კეთდება ამ სენით შეპყრობილი ბავშვების გადასარჩენად ან მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.



ნათია ქვიციანი

— მნიშვნელობა არა აქვს, საქართველო იქნება თუ სხვა რომელიმე ქვეყანა, მთელი დედამინის მასშტაბით, ყოველი 100 ახალშობილიდან ერთი, თანდაყოლილი გულის მანკით იბადება. ეს აბსოლუტურად ბუნებრივი მოვლენაა. მეორე საკითხია, რამდენად სრულად ხდება მათი დიაგნოსტიკა. ჩვენი კლინიკა უკვე მეთერთმეტე წელია, ფუნქციონირებს (მანამდე, გულის მანკის დიაგნოსტიკა საერთოდ არ ხდებოდა) ვცდილობთ, მთელი საქართველო მოვიცვათ და თანდაყოლილი მანკით დაავადებულ რაც შეიძლება მეტ ბავშვს შეძლებისდაგვარად, დავუმარტოთ.

— თუ არსებობს პასუხი შეკითხვაზე: მუცლად ყოფნის დროს, რამ შეიძლება გამოიწვიოს გულის მანკით ნაყოფის დაავადება?

— გულის მანკის გამომწვევი ბევრი მიზეზი არსებობს. მაგალითად, შესაძლებელია, დედას, ორსულობის პირველ „ტრიმესტრში“, რაიმე სახის ვირუსული დაავადება შეხვდეს; ასევე, თუ დედა ორსულობის პირველი სამი თვის განმავლობაში ძლიერმოქმედ მედიკამენტებს მიიღებს, ეს ყველაფერი ბავშვის გულზე უარყოფითად იმოქმედებს და შედეგად, იგი თანდაყოლილი მანკით დაიბადება და ა.შ. ასობით სხვადასხვა ფორმის გულის თანდაყოლილი მანკი არსებობს. ზოგიერთი მათგანი სიცოცხლესთან შეუთავსებელია და ჩვილის გაჩენისთანავე ვლინდება. ხშირია შემთხვევა, როცა ბავშვის მუცლად ყოფნის დროსაც (ექოსკოპიის მეშვეობით) კი ვიგებთ, რომ მას გულის მანკი აქვს. ზოგჯერ, ეს დაავადება არ ფიქსირდება, ბავშვი ჯანმრთელი იბადება, ვითარდება, მაგრამ მოგვიანებით, მსგავსი პრობლემა იჩენს თავს.

— შესაძლებელია თუ არა, რომ გულის თანდაყოლილი მანკით დაავადებული ბავშვი განკურნოს?

— ეს შესაძლებელია! ქირურგიული ჩარევით შეგიძლია, გულის სრული კორექცია მოვახდინოთ, მაგრამ ზოგჯერ, ბავშვი ისეთი სახის მანკითაა დაავადებული, რომლის ანატომიური კორექციაც ვერ ხერხდება. ამ შემთხვევაში, ე.წ. ჰემოდინამიკურ კორექციას მივმართავთ.

— ახალშობილისთვის გულის ოპერაციის გაკეთება შესაძლებელია?

— რა თქმა უნდა?! სულ ცოტა ხნის წინ, 7 დღის ბავშვს, რომელიც სულ კილონახევარს იწონიდა, გულის ოპერაცია გავუკეთეთ. მას რთული, კომბინირებული მანკი ჰქონდა. ამჟამად, მისი მდგომარეობა სტაბილურია. იმედი გვაქვს, მალე გამოჯანმრთელდება.

— რამდენად ხშირია გულის მანკით დაავადებულ ბავშვთა გარდაცვალების ფაქტი?

— ეს გულის მანკის ფორმაზეა დამოკიდებული. არსებობს მანკი, რომელიც სიკვდილიანობას არ იწვევს და ასევე, არსებობს მანკი, რომლისგან განკურნებაც შეუძლებელია... თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენს დაწესებულებაში მანკისგან განკურნების შედეგები ზუსტად ისეთივეა (ზოგჯერ, უკეთესიც კი), როგორც ევროპაში.

— მიუხედავად ამისა, ვისაც შესაძლებლობა აქვს, ურჩევნია, ბავშვი სამკურნალოდ საზღვარგარეთ წაიყვანოს...


— შინაურ მღვდელს რომ შენდობა არ აქვს, ეს მხოლოდ ქართველებისთვის კი არა, ნებისმიერი ერისთვისაა დამახასიათებელი: თუ ქართველს უნდა, რომ მის შვილს ოპერაცია გერმანელმა სპეციალისტმა გაუკუ-

თოს, გერმანელი თავის მხრივ, ინგლისელს უფრო ენდობა და ა.შ. ერთადერთი ოპერაცია, რომელიც საქართველოში არ კეთდება, გულის გადანერგვაა. ეს ტექნიკური კი არა, ორგანიზაციული პრობლემაა. შექმნილი გულის მანკისას, უმეტესწილად, გულის სარქველების გამოცვლაა საჭირო. ჩვენ საუკეთესო სარქველები გვაქვს და ასეთ ოპერაციასაც ხშირად ვაკეთებთ.

— თქვენს საავადმყოფოში 10 წლის ზუკა კაპანაძე გარდაიცვალა. რაში მდგომარეობდა მისი პრობლემა და რატომ სურდათ ბავშვის მშობლებს, რომ იგი სამკურნალოდ საზღვარგარეთ წაეყვანათ?

— ბავშვის ნასაყვანად ფულს აგროვებდნენ და საკმაო თანხაც შეუგროვდათ, მაგრამ გამგზავრება ვეღარ მოასწრეს, რადგან პატარა გარდაიცვალა. ზუკას რთული, კომბინირებული მანკი ჰქონდა. რამდენიმე ოპერაცია გავუკეთეთ კიდეც იმისათვის, რომ მისი სისხლის მიმოქცევა ნორმალურად მიხლოებული ყოფილიყო, რადგან სხვებს თუ გულზე ორი პარკუჭი აქვთ, ზუკას — ერთი ჰქონდა. ასეთ პაციენტებს მძიმე გართულებები უვითარდებათ და მათ გადასარჩენად მხოლოდ ერთი გზა — გულის გადანერგვა რჩება, რაც უამრავ პრობლემასთანაა დაკავშირებული: საზღვარგარეთის ვიზა და საკმაოდ სოლიდური თანხაა საჭირო.

— რა უნდა გააკეთოს ორსულმა ქალმა იმისათვის, რომ ჩვილის



დაავადება თავიდან აიცილოს?

— ვიდრე ქალი დაორსულდება, მან და მისმა მეუღლემ გამოკვლევები უნდა ჩაიტარონ. ისინი არ უნდა იყვნენ ვირუსის მატარებელი. გარდა ამისა, მუცლად ყოფნის პერიოდში აუცილებელია ექოსკოპიის გაკეთება, რომელიც გვიჩვენებს — აქვს თუ არა ჩვილს გულის მანკი და თუ აქვს, რა სახის...

— გულის მანკით დაავადებულთა მკურნალობას სახელმწიფო თუ აფინანსებს?

— რა თქმა უნდა! სახელმწიფო, თანდაყოლილი მანკით დაავადებული თითოეული ბავშვის მკურნალობას 100 პროცენტით აფინანსებს.

აპერიკალი ონკოლოგი თამაჯოს კოპანიასთან თანამშრომლობა



როგორც New York Times წერს, ფილტვის კიბოს ადრეული დიაგნოსტიკის მიზნით ჩატარებული მასშტაბური კვლევა სიგარეტის მწარმოებლებმა დააფინანსეს. გამოცემის ცნობით, ნაშრომის ნამყვანმა ავტორმა, ვილ კორნელის სამედიცინო კოლეჯის თანამშრომელმა კლაუდია ჰენშკემ მსხვილი გრანტი სიგარეტის მწარმოებელი Liggett Group-ის სათავე კომპანია Vector-ისგან მიიღო. უფრო კონკრეტულად კი 2000-2003 წლებში ჰენშკეს ჯგუფისთვის Vector-მა შემოწირულობის სახით, მთლიანობაში 3,6 მილიარდი დოლარის საერთო თანხა გაიღო. ეს ფული ფილტვის კიბოს შემსწავლელი საქველმოქმედო ფონდის ანგარიშებზე ირიცხებოდა და პუბლიკაციებში სპონსორადაც ის მოიხსენიებოდა.

ნამყვანი ამერიკელი ონკოლოგები მათი კვლევების Liggett-თან თანამშრომლობის ფაქტმა სერიოზულად შეაშფოთა. „ჭუჭყიანი“ ფულის გამოყენებისას საზოგადოების გაფრთხილება სავალდებულოა, — განაცხადა კიბოს კვლევის ამერიკული საზოგადოების წარმომადგენელმა ოტის ბროულიმ.

კლაუდია ჰენშკეს ზემოთ აღნიშნული ნაშრომი 2006 წელს, New England Journal of Medicine-ში იყო გამოქვეყნებული. ჰენშკესა და მისი კვლევების მიერ ჩატარებულმა კვლევამ კი აჩვენა, რომ მწველთა შორის კომპიუტერული ტომოგრაფიის მასობრივ ჩატარებას ფილტვის კიბოთი სიკვდილიანობის 80%-ით შემცირება შეუძლია. მეცნიერთა ამ დასკვნამ სამედიცინო საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და მწველთა პროფილაქტიკური კვლევების ჩატარების ინიციატივას მთელმა რიგმა საქველმოქმედო ფონდებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმაც დაუჭირეს მხარი.

ამჟამად New England Journal of Medicine-ს რედაქცია აცხადებს, რომ არ ფლობდა ინფორმაციას სპონსორობასთან დაკავშირებული კონფლიქტის თაობაზე. New York Times-თვის მიცემულ ინტერვიუში კი ჟურნალის რედაქტორმა ჯეფრი დრაიზენმა იმასაც გაუსვა ხაზი, რომ თამაჯოს მწარმოებელ-

თა მხარდასაჭერი პუბლიკაციების გამოქვეყნებაზე თანხმობას არასდროს მიეცემდით. თავს მხრივ, ჰენშკე და მისი კოლეგები სამედიცინო ეთიკის დარღვევაში თავს დამნაშავედ არ ცნობენ და ირწმუნებიან, რომ Vector-ისა და Liggett-ისგან ფულის მიღების ფაქტის დამალვა არც კი უფიქრიათ. თამაჯოს მწარმოებელი კომპანიები კი თავის მხრივ, სამედიცინო კვლევების დაფინანსების შესახებ თავიანთ პრესრელიზებში იტყობინებოდნენ.

ნიკოტინური დამოკიდებულების გენეტიკური მემკვიდრეობის შეფასების კიბოს რისკს ზრდის

ჟურნალ Nature and Nature Genetics-ის ცნობით, მეცნიერთა სამმა დამოუკიდებელმა ჯგუფმა გამოავლინა გენების ვარიანტები, რომლებიც ხელს უწყობს ნიკოტინური დამოკიდებულების განვითარებას და, იმავედროულად, მწველებში ფილტვის კიბოს განვითარების რისკსაც ზრდის. მეცნიერებმა, მთლიანობაში, ევროპული წარმოშობის 35 ათასი ადამიანის გენი გააანალიზეს და მე-15 ქრომოსომაზე განლაგებული და ნიკოტინურ დამოკიდებულებასა და ფილტვის კიბოს განვითარებასთან უშუალოდ დაკავშირებული ორი მონაკვეთიც აღმოაჩინეს. მათ ასევე დაადგინეს, რომ გენების მითითებული ვარიანტები ძალიან ხშირად, თითქმის ყოველ მეორე ევროპული წარმოშობის ადამიანში გვხვდება.

კვლევების შედეგად გაირკვა, რომ მითითებული გენეტიკური ვარიანტების ერთი ასლის მატარებელ მწველებში, რომლებიც დანარჩენებთან შედარებით დღე-ღამეში საშუალოდ ერთი სიგარეტით მეტს ეწევიან, ფილტვის კიბოს განვითარების რისკი 28%-ით იზრდება. ხოლო მითითებული გენეტიკური ვარიანტების ორი ასლის მატარებელ მწველებში, რომლებიც დღე-ღამეში საშუალოდ ორი სიგარეტით მეტს ეწევიან, ფილტვის კიბოს განვითარების რისკი მთელი 80%-ით იზრდება. ანუ ფილტვის კიბო ამ ჯგუფში შემავალ ყოველ მეოთხე ადამიანს უვითარდება. აქვე, შედარებისთვის ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ გენების მითითებული ვარიანტების არმქონე მწველებში კიბოს განვითარების რისკი მხოლოდ 14%-ს შეადგენს. თუმცა თვით ეს მაჩვენებელიც კი არამწველი ადამიანების მაჩვენებლებს 10-ჯერ მაინც აღემატება.

„გენების არასახარბიელო ვარიანტების მატარებლობა ნიკოტინური დამოკიდებულების განვითარებას უწყობს ხელს და მონევაზე უარის თქმას ართულებს“, — აცხადებს კვლევების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ანდერსონის (ჰიუსტონი) ონკოლოგიური ცენტრის პროფესორი კრისტოფერ ამოსი.

კვლევების ავტორები გენების არასახარბიელო ვარიანტების მატარებლობასა და კიბოს განვითარების რისკს შორის კავშირს სხვადასხვაგვარ ახსნას უძებნიან. ისლანდიური კომპანია deCODE Genetics-ის წარმომადგენლების აზრით, ფილტვის კიბოს მომატებული რისკი მოწვეული სიგარეტების რაოდენობის გაზრდასთანაა დაკავშირებული. თუმცა კემბრიჯისა და ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტების კიბოს მკვლევარ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ნიკოტინურ რეცეპტორებზე

მოქმედ ნიკოტინის უჯრედების უკონტროლო დაყოფის გამოწვევა და კიბოს რისკის უშუალო გაზრდა შეუძლია.

მკვლევართა თქმით, ახალი მონაცემები იმის ახსნის საშუალებასაც იძლევა, რატომ ცოცხლობს ზოგიერთი მწველი 90 წლამდე და კიბოთი არ ავადდება; და იმ ფაქტისასაც — თუ რატომ ხდება, რომ ზოგიერთ მწველს ნიკოტინური დამოკიდებულება საერთოდაც არ უვითარდება. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ეს ინფორმაცია მომავალში მათ ფილტვის კიბოს განვითარების მომატებული რისკის წინაშე მდგარი ადამიანების გამოსავლენი სკრინინგული ტესტებისა და, აგრეთვე, ნიკოტინურ დამოკიდებულებასთან ბრძოლის ახალი მეთოდების შემუშავებაშიც დაეხმარება.


აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად

ინტერნეტ მაღაზია

www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 კვ. ფაჩი	6 თვე
1. თჯახის მკურნალი	0.80	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.00	36.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.00	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.00	66.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.00	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	50.95	305.6
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3



პრესის
გავრცელების
სააგენტო
„ელვა“

ქ. თბილისი
იოსებძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74

აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

E-mail: elva@kvispalitra.com

მსოფლიოში ყველაზე დღაბრკალი მამაკაცები ისლანდიაში სხოვრობაზე

ჩვენი პლანეტის მოსახლეობის მამრობითი ნაწილის სიცოცხლის ხანგრძლივობის მიხედვით, ისლანდია მსოფლიოში პირველ ადგილზე გავიდა. სტატისტიკის თანახმად, ამ ქვეყანაში გასულ წელს მამაკაცების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ 79,4 წელი შეადგინა. „ეს მსოფლიო რეკორდია. ისლანდიელმა მამაკაცებმა ამ მაჩვენებლით თვით იაპონელებსაც კი გაუსწრეს“, — განაცხადა APF-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ისლანდიის სტატისტიკის ბიუროს პრესმდივანმა ოლოფ გარდარსდოტირმა. „ამ მოვლენისთვის ასსნა ჯერ ვერ მოგვიძებნია“, — დასძინა ისლანდიელმა მეცნიერმა. შედარებისთვის: იაპონელი მამაკაცების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა — 78,6 წელი, ქალებისა კი 85 წელს შეადგენს. ისლანდიელი ქალების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ გასულ წელს იაპონელ ქალებზე ოდნავ ნაკლები, 82,9 წელი შეადგინა. ხოლო ისლანდიელთა სიცოცხლის საერთო ხანგრძლივობამ 91 წელს გადააჭარბა, რაც იაპონელთა სიცოცხლის საერთო ხანგრძლივობას მხოლოდ ერთი წლით ჩამოუვარდება.

ისლანდიამ, რომლის მოახლეობის რაოდენობა 314 ათასამდე ადამიანს შეადგენს, 2007 წელს გაეროს სიცოცხლის ხარისხის რეიტინგში პირველი ადგილი დაიკავა.

ტაილანდელ ჯიშებს მოჰარდავის კასტრირება აუკრძალეს

ტაილანდის ჯანდაცვის სამინისტრომ 18 წლამდე ასაკის პირებისთვის კასტრაციის ოპერაციის ჩატარება დროებით აკრძალა. აკრძალვის ინიციატივა ეკუთვნის ადგილობრივ სამართალდამცავებს, რომლებიც არასრულწლოვანთათვის ასეთი პროცედურების ჩატარების საშუალებად შეზღუდვის მიღწევასაც ცდილობენ.



ბოლო დრომდე ასეთი ოპერაცია, მშობლების ნებართვის შემთხვევაში, არასრულწლოვან ვაჟებს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე უტარდებოდათ. მათ არცთუ მცირე ნაწილს კი იმის იმედიც ჰქონდა, რომ მამაკაცური სასქესო ჯირკვლების ადრეული ამოკვეთა სქესის სრულად შესაცვლელად ჩასატარებელი შემდგომი ოპერაციების შედეგიანობას აამალებდა. საშუალო დონის ტაილანდურ კლინიკაში მგავსი რეკურენტული მოზარდის ფასი 130 დოლარს არ აღემატებოდა, რაც ბევრ მოზარდს ოპერაციის ფასის დამოუკიდებლად გადახდის საშუალებასაც აძლევდა.

ტაილანდის სამართალდამცავი ორგანოები განსაკუთრებით იმით იყვნენ აღშფოთებულნი, რომ არცთუ იშვიათად, კლინიკებში მოზარდების კასტრაცია უფროსი ნათესავების ან მეურვეების ნებართვის გარეშე ტარდებოდა.

მოზარდების კასტრაციის დროებითი აკრძალვა ტაილანდის ჯანდაცვის სამინისტროს იმ ახალი ინსტრუქციის გამოჩენამდე გასტანს, რომელზეც ამჟამად ქვეყნის სამედიცინო საბჭოსთან არსებული ეთიკის კომისია მუშაობს.

ტაილანდური საზოგადოება ტრანსსექსუალებს იმდენად გულმონყაყად ეკიდება, რომ სქესის შეცვლის ოპერაციები ამ ქვეყანაში ლამის უკვე ჩვეულებრივ მოვლენადაც კი იქცეს.

სიასლა!

ჩანართი გათოვის, ვისაც

პედიატრიული ჩანართი თქვენს ქურნალში

სასლში პაპარა ჰყავს

ოჯახის პედიატრი



-  შეკითხვები პედიატრს
-  0-დან 1-მდე
-  ბავშვის ფსიქოლოგია
-  როგორ შევურჩიოთ ბავშვს ფაფა

შეაბროვე და აკინძე




მუსიკონილები

10.04. - 16.04.2008

პირველი სიყვარული

6 თვის შემდეგ
 წაიფანეს ჩემი
 'ხაქრილ ბახარა' და
 გაყიდა. ჩემი 'ხაქრილ'
 დღესაც მახსენდება.
 განსაკუთრებით
 - მისი მავი თვალები...



კონსულტაცია



სათამაშო სახლში მან
 5.000 დოლარი მოიგო.
 პარტნიორებმა აფერაში
 დასდეს ბრალი და დახვრიტეს

გზავნილ-სტუდია

ახლა უნივერსიტეტში
 გოგონების საფეხბურთო
 გუნდი შექმენი. სხვა
 უნივერსიტეტებს
 ვინვევთ სათამაშოდ...



პირველი სიყვარული

**ბაზარში
გაყიდული პირველი
სიყვარული,
მზეჭაბუკის ამბავი
და მგლის შიშით
გაწყვეტილი ცხვარი**

მარი ჩაშარიძე

ატმის ყვავილივით ნაზი

„გაზაფხულის ლამაზი დღე იყო, ჩუმი და თბილი. საოცრად თბილი... მაშინ პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, ატმების ბაღში. აქამდე ტელეფონით იცოდა მხოლოდ მისი ხავერდოვანი ხმა. ძალიან, ძალიან უნდოდა ახლა ამ ყველაფრის დანახვა, თუნდ ერთი წამით, მაგრამ მაინც... ვერ ხედავდა, მაგრამ შეიგრძნო. მთელი არსებით შეიგრძნო ეს სილამაზე. უზომოდ ბედნიერი. უმწეო ბავშვივით, თავბრუ დაეხვა, ცოტა მოემვა სხეული. არა, ეს ის არ იყო, რაც წარმოედგინა, ეს უფრო მაღალი განცდა იყო, არამქვეყნიური და ყველაფერზე ძლიერი. ატმის ტოტი მოტეხა ბიჭმა, გამოწვდილ ხელებში ჩაუდო ფრთხილად. შენსავით ლამაზიაო, ჩასჩურჩულა. ნაზად მიეფერა მთრთოლარე თითებით პატარა ყვავილს, მიუაღერსა, გულში ჩაიკრა. ატმის ყვავილებივით ნაზი იყო და საოცარი, მაგრამ... მაშინ პირველად იგრძნო, თუ რა იყო სიყვარული, პირველად შეეხო საოცნებო ტუჩებს. ნეტარების ჟრუანტელმა ააცახცახა. მაშინ ხომ პირველად აუხსნეს სიყვარული და სამუდამოდ ერთად ყოფნა შეპფიცეს ერთმანეთს. მერე? მერე იყო ლამაზი ფიქრები, ოცნება ბედნიერ მომავალზე, ერთად გატარებული საოცარი წამები და... მერე კი ცრემლები, უსამველო მოლოდინი, უსაზღვრო მონატრება და უიმედო, ჯოჯოხეთივით მტანჯველი ლამეები. ის წავიდა და თან გაიყოლა უზომოდ დიდი სიყვარული. მხოლოდ ჭრილობები დარჩა, უღმობელი და მოუშუშებელი იარები. არადა, შეპპირდა, დავბრუნდებიო, მაგრამ ცხოვრებამ ირონიულად გაუღიმა. ამით კი ყველაფერი იყო ნათქვამი. ნისლისფერმა სევდამ დაუბინდა შავი, საოცარი თვალები. დაუკითხავად გადასერა მარგალიტის ცხელმა



დიდი ხანია, ვფიქრობდი, რომ „პირველი სიყვარულის“ თემა შემომეთავაზებინა, მაგრამ იმის გამო გადავდე, რომ ვიცოდი, მგზავნელები მესიჯებით „დამბობავდნენ“, მე კი ყველას დაბეჭდვას ვერ მოვახერხებდი და ბევრი ნაწყენი დარჩებოდა. ვფიქრობდი და მართალიც აღმოვჩნდი (მე ხომ კარგად გიცნობთ). ჰოდა, ახლა ძალიან მწყდება გული, რომ უასრავი კარგი ამბავი ამ ნომრის „გზავნილების“ მიღმა რჩება. თუმცა, გპირდებით, რომ მომავალ ნომერში მათ უმეტესობას აუცილებლად დავბეჭდავ. ასე რომ, თუ თქვენი მესიჯი ამჯერად ვერ იხილეთ, მომავალ კვირაში დაელოდეთ. ახლა დროს და ადგილს აღარ დავკარგავ და თქვენს პირველ სიყვარულზე მოსულ მესიჯებს გაგაცნობთ.

ცრემლმა ლოყა... ძალიან ლამაზი გაზაფხული იყო მაშინ, ახლაც და ასე იქნება მუდამ, სანამ ცხოვრება გაგრძელდება, მაგრამ გააჩნია, ვისთვის... როგორ... მაესტრო-21“.

ტყუილად ნაწვალები

„პირველად რომ შემეყვარდა, 11 წლის ვიყავი. იმ ბიჭს პაატა ერქვა, მწვანე თვალები ჰქონდა და ცხვირზე ჭორფლი. :-) სამი წლით დიდი იყო ჩემზე. ჩემს კარის მეზობელთან, დათოსთან მოდიოდა და იქ ვხედავდი ხოლმე, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი. ერთხელ, შევდივარ მეზობელთან და მესმის დათოს ხმა: მაგ პაატას თეონა უყვარსო... და არ ვიცი, მაგასავით იმოქმედა ამ სიტყვებმა. მეც მაშინვე შემეყვარდა. სადაც დავინახავდი, ელეთმელეთი მომდიოდა. ჰოდა, მერე აღმოჩნდა, რომ ჩემს მეზობელ გოგოსაც პაატას მეზობელი ბიჭი უყვარდა და შევქმენი გუნდი. ბიჭებს ჩემი ბინის გვერდზე ჰქონდათ ბირჟა. იქვე თუთის ხე იდგა. ჰოდა, მივაყუდებდით კიბეს, ავიჩაჩხებოდით

თუთის ხეზე, თან თუთას ვჭამდით და თან თუთისგან გაშავებულ-გალურჯებული პირით ვეჯღანებოდით. ასე გამოვხატავდით სიყვარულს (ბავშვები ვიყავით და აბა, სხვა რა უნდა გვექნა?). მაგრამ ბოლოს როგორც აღმოჩნდა, სულ ტყუილად მიწვალა ამდენი. იმ ბიჭს თურმე სულ სხვა თეონა ჰყვარებია. მთელი ათი წელი დამჭირდა, რომ ასე შემთხვევით შეყვარებული ადამიანი დამევიწყებინა. ასეთია ჩემი ტრაგიკული კომიკური პირველი სიყვარულის ამბავი. მელაკუდა“.

მატყუარა საქმრო

„პირველი სიყვარული ბაღში მეწვია. მაშინ 4 წლის ვიყავი. სამ ბიჭს უყვარდი, ჩემი სიმპათია კი ერთ-ერთი მათგანისკენ იხრებოდა. ჰოდა, ერთ საღამოს, ბალიდან დაბრუნებულმა, ოჯახს გამოვუცხაადე, ვთხოვდები და იცოდეთ-მეთქი. ჩემს წინადადებას ოვაციებით შეხვდნენ სახლში. — ვის მიჰყვები, როდის, დედამთილს რომ არ მოეწონო? — დამაყარეს კითხვები. ზეგ ვთხოვდები, ჩემს ჯგუფელზე

და ცალკე ვიცხოვრებთ-მეთქი. მეორე დღესვე დეიდამ მწვანეთვალ-იანი, ლამაზი ბეჭედი მიყიდა. ბაღში მისულმა კი ჩემს კავალრებს კიდევ ერთი გამოცდა მოუწუნე — ვინც მეტ ჭიამაიას მიპოვის, ცოლად იმას გავყვები-მეთქი. უნდა გენახათ, ცოტა ხანში ყვავილნარი მიწასთან გაასწორეს ბიჭებმა, ჭიამაიების ძებნაში. პოულობდნენ და მე მუჭში ვაგროვებდი. თან ითვლიდნენ, მერამდენეაო. ჩემი „საქმრო“ ძალიან აქტიურობდა. უცებ მომინდა, ამდენი ჭიამაია ერთად მენახა და მუჭი გავხსენი. ჭიამაიებთან ერთად რამდენიმე ფერადი კენჭიც მედო ხელის-გულზე. ვილაც მატყუებდა. კიდევ რომ მოიბრინეს, სამივეს ვთხოვე, მუჭი გავხსნა. ჩემს საქმროს ნირი წაუხდა, ხელისგულზე ფერადი კენჭი ედო. განაწყენებულმა ჭიამაიები სახეში შევაყარე. მახსოვს, ბევრი ვიტირე მაშინ, გავებუტე და ცოლობაზე უარი ვუთხარი. მას შემდეგ სერიოზულად გათხოვებაზე აღარც მიფიქრია. ასე დასრულდა ჩემი პირველი სიყვარული... :)ფინტიკოზა“.

ხელოვანი

„სკოლიდან კლასელები რუსთავის პარკში გავიპარეთ და ბედნიერები ვიყავით. 13 წლისებს თავი დიდები გვეგონა. სიხარულისგან გულელები გვიცემდა, რადგან მართლები ჩვენს ნებაზე დავრობდით და ვიცინოდით. იქიდან ფეხით წამოვდით. მტკვართან რომ გამოვიარეთ, გავშტერდი. მხატვარი ბიჭი იდგა და რალაცას ხატავდა. შემოვხვებით გარშემო. მე მათგან განსხვავებით, მხატვარი მაინტერესებდა. რალაც მინდოდა მეკითხა, მაგრამ ის ისეთი სიტყვაძუნნი აღმოჩნდა... მისი დასვრილი თითები სხვადასხვა ფერის საღებავით იყო შეღებილი. საფეთქლებთანაც კი საღებავის ლაქა ჰქონდა. დაჭმუჭნილი ცხირსახოცი, გაცვეთილი ჯინსი და ჟილეტი, უცნაურად დაზოლილი სვიტერი გონებიდან არ ამომდიოდა... მრავლისმეტყველი

თვალეები ჰქონდა, ყოველთვის რალაც ათვლის წერტილს რომ ეძებენ, ისეთი. მიზანდასახული ადამიანი ჩანდა. მაღალი შუბლი და ოდნავ მოგრძო ცხვირი, თხელი ტუჩები, თვალის ფერიც უცნაური ჰქონდა — ლურჯი, მწვანე, ნაცრისფერი, თაფლისფერიც ერია. თვითონ თვალეები ჰგავდა ტილოს და ფერთა შეხამების ცოცხალ დასტურს წარმოადგენდა. ეტყობოდა, ბევრი რამ იცოდა. მას ყველაფერი უყვარდა და სძულდა... მომინდა მასთან დამეგობრება. მან

თუში

„პირველი სიყვარულის ინფექცია პირველ კლასში მოვიხადე. თუშის გოგო იყო, სასაცილო ნაწინავებითა და ნიკვინა ხმით. — თინას ჰყავდა მამალიო, რომ დაინყებდა, გული ამიდულდებოდა ხოლმე. მაგარი დრო იყო. ყოველ დილით სასუსნავს მომიტანდა და თუ არ შეეჭამდი, მებუტებოდა. მერე კი რუსეთში წაიყვანეს ჩემი თამუნია და ძალიან ბევრი ვიტირე. მისი წასვლაც მენყინა და სასუ-

პირადი ეშაფოტი

„სიყვარული, თანაც პირველი... მხოლოდ სიტყვასაც კი ტკივილი მოაქვს, არამცთუ თავად გრძნობას 10-წლიანი დაკვირვებიდან გამომდინარე, ერთი „ვინრო“ დასკვნა გავაკეთე — არ ღირს! არც პირველი და არც მომდევნო(ები)! ამიტომაც, ჩემს პირად ეშაფოტზე მამაკაცების 3 წყება ავიდა უკვე თანამოაზრენიც არ მეღევა. დუჩი და პარიჟანკა უკანასკნელ სურვილს ეკითხებიან და შეძლებისდაგვარად უსრულებენ განწირულთ. აღარ ვაპირებ ღამეების თევას, ტკივილის ფურცლისთვის განდობას, ცრემლით ჭრილობის ბანას, მთვარესთან ჩურჩულს... დაე, იფუნქციონიროს პირადმა ეშაფოტმა! დაე, დავეო მარტომ მთელი ცხოვრება! მე ვწყვეტ მგლის შიშით, ცხვარს! ვალიარებ — მეშინია... ილინი“.

კი ახლოსაც არ გამიკარა. — „პატარავ, მინდა გაგაფრთხილო, რომ შენისთანა ლამაზ გოგოსთან ვერ ვიმეგობრებ, ვიცი, შემიყვარდება, რაც საერთოდ არაფერში მჭირდება!“ — ამ სიტყვებმა გამამწარა და სულ სირობილით დავედევე კლასელებს. მართალია, ეს სიყვარული მხოლოდ ერთ თვეს გაგრძელდა, მაგრამ მაინც პირველი იყო! იმის მერე ბევრჯერ მიყვარდა, მაგრამ ყოველთვის მას დავეძებ. მაინტერესებს, ისევ ისეთი იღუმალია? ესეც ჩემი პირველი სიყვარული და უპასუხოდ დარჩენილი კითხვა. ფარვანა“.

სნავის დაკარგვაც. მეორედ რომ შემიყვარდა, უკვე მოზრდილი ბიჭი ვიყავი, 15 წლის. ნოემბერი იდგა, რაგბის წრიდან მოვდიოდი. ისეთი ქარიანი წვიმა იყო, მეორედ მოსვლა გვეგონებოდა. დავინახე, გოგო მოდიოდა შილიფად ჩაცმული და ამინდისგან უმწეოდ ატირებული. გავეცანი ჯენტლმენურად, ქურთუკი გავიხადე და მოვასხი. ბოლოს, ორივე ამ ქურთუკის ქვეშ აღმოვჩნდით. მაშინ გაიღვიძა ორივეში ფაქიზმა ენერგიებმა, რაც სიყვარულის მაღალ ხარისხში გადაიზარდა. მერე კი მუხანათი წუთისოფლის წყალობით, 6 თვე ციხეში აღმოვჩნდი და ჩემი „ლოვე“ მომტაცეს. პუშკინი წერდა: წავიდა სიყვარული, მოვიდა მუზა... მე კი ვიტყოდი — წავიდა სიყვარული, დარჩა ტკივილი... 3 წელია, არავინ მყვარებია, ახლა კი ჩემს გულში სიყვარულისთვის ვაკანტური ადგილი თავისუფალია და თუ ვინმე დაიკავებს ამ ადგილს, მერე მესამე სიყვარულზეც მოგწერთ. განძის მაძიებელი, თელავიდან“.



ამაყი იმისთვის გამოიგონეს, რომ მოსვლას მსოფლიოში მამაობს.

მიამიტი

„ყოველ ზაფხულს ბებიასთან და ბაბუასთან ვატარებ, სოფელში. 11 წლის ვიყავი, როცა აღმოვაჩინე, რომ შეყვარებული ვიყავი. ისიც ჩემსავით, დასასვენებლად ჩამოდიოდა ხოლმე. მე, პატარა და მიამიტმა ბავშვმა, ეს ამბავი ყველა ჩემს მეგობარს ვუთხარი. ერთ-ერთმა კი სახალხოდ განაცხადა, რომ მე ის ბიჭი მიყვარდა. ის ბიჭიც იქ იყო და აი, სწორედ მაშინ დაიწყო ჩემი ტანჯვა. 11 წლის ბავშვი ვიტანდი ზიზლით სავსე თვალებს, გულის გამგმირავ სიტყვებს. მიუხედავად ამისა, 3 წელი მიყვარდა. ახლა 16 წლის ვარ და ამ ყველაფერს როცა ვიხსენებ, მგონია, რომ ეს სიყვარული არც იყო“.

დედუნას სიყვარული

„გზავნილებს“ ყოველთვის ვკითხულობ, მაგრამ არასოდეს დამიმესიჯებია. სერიოზული სიყვარული ჯერ არ მწვევია, მაგრამ ვგონებ, ჩემი დედუნა ამჟამის მსხვერპლი. ინტერნეტით გაიცნო ქუვეითში მყოფი მამაკაცი და... ნავიდა ესემესები... კაი ხანია, დამწვარ, უმარილო, მლაშე და უმწვანო საჭმელს ვჭამთ. ამას უკვე აღარ ვჩივი. კვირას ისეთი რამ დავმართა, თვითონაც გულიანად იცინა საკუთარ თავზე. გამაჯინებდა მეთქვა, რომ მშობლები გაშორებულები არიან. დილით დედუნამ აიღო ნაგვით სავსე პარკი და გავიდა გადასაყრელად. გავიდა ათი წუთი, ოცი, ნახევარი საათი... ფაფუუ... არ არის. ერთიც, მოცუნცულებს და ნაგვის პარკი ისევ ხელში უჭირავს. შემოვიდა სახლში და თავდალუნული პირდაპირ სამზარეულოში შევიდა. ცოტა ხანში ისტერიკული სიცილი მომესმა. დედა იჯდა სკამზე, ხარხარებდა და ლაპალუპით აფრქვევდა ცრემლებს. თურმე რა დამართვია: ჩაფიქრებული, ნაგვის პარკით „შეიარაღებული“ და ქოშებში გამოწყობილი, სამარშრუტო ტაქსიში ასულა. გამორკვეული და დარცხვნილი კარგა შორს ჩამოსულა. სახლისკენ მომავალი ისევ გაფრენილა ვარდისფერ ღრუბლებში და „პატივცემული“ ნაგავი ისევ სახლში მოაბრძანა. ღრუბლებიდან მაშინ მოადინა ტყაპანი, როდესაც სახლში მოსულს, ცელოფანის პარკიდან კარტოფილის ნაფცქვენებმა შემოანათეს. აი, ასე იცის, 35 წლის ასაკში მოფრენილმა პირველმა სიყვარულმა“.

პირველი, სვანურ-სომხური სიყვარული

„ეს სიყვარული ჩემთვის პირველი ხომ იყო, მაგრამ მგონი — უკანასკნელიც. აბა, წმინდა სისხლის სვანს რომ ასევე წმინდა სისხლის სომეხი შეგიყვარდება, აღარაფრის დამატება არაა საჭირო. ალბათ ყველას კარგად მოგვეხსენება სომეხების და სვანების „სიყვარულის“ ამბავი. მეც თავი ვუღივებ მეგონა და კბილებით ვიცავდი ჩემს რომეოს. თან ყველას გულის გასახეთქად გავიძახოდი, მშვილი უნდა გავუჩინო და სომეხები გავამრავლო-მეთქი. ღამეები არ მეძინა და მენინგიტი რომ დაემართა, შიმშილობა გამოვაცხადე. ინფექციურში რომ მივედი მის სანახავად, ექთანებმა სთხოვეს, შენ ადექი და ეს გოგონა დაანვინე, შენზე ცუდადააო. ვისაც არ უნარებოდა, ყველა მე მატყუებდა, ცოლი მოიყვანაო და სეირობდნენ ჩემი ისტერიკით. მას შემდეგ საერთოდ, სომეხი და სომხური, ჩემი სისუსტეა და მათ დაცვაში მგონი, სიცოცხლესაც გამომასალმებენ. ჩემი რომეო? ის კი რუსეთში ისე ნავიდა, არც დამემშვიდობა. ალბათ უკვე მოიყვანა ცოლიც. მე კი მის სიყვარულში ისე დავიხარჯე, გული აღარ მილღვება. თაკო.“

ლიპუცა

„პირველად გნერო და მინდა, ჩემი პირველი სიყვარულის შესახებ გიამბოთ. მე და გვანცას ერთმანეთი 7 წელი გვიყვარდა და ამ 7 წლის მანძილზე იმდენჯერ გვიჩხუბია, რომ... ერთხელ გვანცას ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა და სამკურნალოდ მოსკოვში გაემგზავრა, მე კი თბილისში დავრჩი და გიუს ვგავდი. ღამის მეც სამკურნალო გავხდი. როგორც იქნა, ჩამოვიდა ჩემი ტურფა, მაგრამ ძალიან შეცვლილი და ძალიან დაქლებული. არადა, სულ 10 დღე იყო იქ. ორ დღეში ისევ ვიჩხუბეთ. გავიდა 2-3 თვე, ერთმანეთი არ გვენახა.“

ერთ მშვენიერ დღეს კი ვნახე ჩემი ტურფა. უკვე პატარა ლიპუცაც ჰქონდა: 3 თვის ორსული ყოფილა. აი, ასე დაგვირგვინდა პირველი სიყვარული! გიკა“.

უბრალო ბიჭის ცოლი

„შემოდგომა იდგა. ყვითელი ფოთლების ხალიჩაზე ხელიხელჩაკიდებულები დავსვირნობდით და პოეზიაზე, ცხოვრებასა და სილამაზეზე ვსაუბრობდით. ეს იყო 19 წლის წინ. თუმცა, სიყვარულზე სიტყვა არ გვითქვამს, მაგრამ მე ნამდვილად ვიცოდი, რომ მიყვარდა. ასე მეგონა, იმიტომ თენდებოდა, რომ ის არსებობდა ამქვეყნად; იმიტომ ღამდებოდა, რომ იმ ქვეყნადაც ის უნდა მენახა. მე ვუთხარი, რომ ერთ უბრალო ბიჭს და მის ოჯახს მოვწონდი. ო, როგორ მინდოდა გაბრალებულიყო და ეთქვა, რომ ჩემს თავს არავის დაუთმობდა და ჩემ გვერდით ბედნიერი კაცი იქნებოდა, მაგრამ... მან ძალიან წყნარად და აუღელვებლად მკითხა, რას ვფიქრობდი იმ ბიჭზე. მე მხრები ავიჩიქე და სახლში წამოვედი. ამის შემდეგ, ზუსტად 4 თვეში, მე იმ უბრალო ბიჭის ცოლი ვიყავი. მას ჩემს შესანარჩუნებლად თითო არ გაუნძრევია. მხოლოდ ჩემი ჯვრისწერის დროს, ეკლესიაში წავაწყდი მის თვალებს. გალაკტიონის თვალებით მიყურებდა და ალბათ გულში „შენ ჯვარს იწერდი“-ს კითხულობდა. მე ისევ მიყვარდა, მაგრამ მხდალი კაცის გვერდით ცხოვრება არ ვისურვე. მერე გავიდა დრო და მივხვდი, რომ ამქვეყნად ყველაფერი ღვთის ნებაა და მე ბედნიერი ვარ, რადგან მყავს არაჩვეულებრივი შვილები, მოსიყვარულე მეუღლე და თბილი ოჯახის წევრები. ის კი დღესაც მარტოა და ძალიან მწყდება გული. მინდა, რომ მანაც იპოვოს თავისი ბედნიერება. იტყვი, რომ სათანადოდ არ მიყვარდა, თორემ არ გავთხოვდებოდი, არა? მეც



ჯასის მხოლოდ მხდალობა აწმარტებენ.

ბევრჯერ დამისვამს ეს კითხვა საკუთარი თავისთვის, მაგრამ აბა, რა ჰქვია იმ ტკივილს გულში? აბა რა ერქვა იმ ოცნებას? ან იმ სიზმრებში ვისთან ერთად დავფრინავდი ცაში? დღემდე, როცა მესაუბრება, მის ხმაში სითბოს, სინანულს ვგრძნობ, თითქოს პატიებას მთხოვს, რომ არ ვუყვარდი. მე კი მსურს, სახალხოდ ვუთხრა და დავამშვიდო, რომ დიდი ხანია,

მომეხერხებინა ცრემლის შეკავება, რომ არა ერთი ბიჭი, რომელმაც ჩამირბინა და მთელი ძალით მომწინა თმა. აქ კი უკვე ისე ვიბლავლე, სახანძროს სირენა მიმიქარავს. აი, ასეთი იყო ჩემი პირველი სიყვარული. :) P.S. ისე, ახალი ვარ. თუ მიმიღებთ და მარიც დამიბეჭდავს წერილებს, კარგი. თუ არა და, ასეთები გადაგვიტანია? :) მეგრელკა“.

შავი ზაქროს სიყვარული

„ბავშვობაში სოფელში სზირად ჩავდიოდი და ჩემს ტოლებთან ათასნაირ თამაშს ვთამაშობდი. ერთხელ ერთმა გოგომ თქვა: — იცით, მე შეყვარებული მყავს, სახელი ზაქრო ჰქვიაო. შემშურდა მისი ძალიან, რადგან ზაქროს ვიცნობდი. ისეთი შავტუხა იყო, ნახშირზე შავი. სახლში უხასიათოდ დავბრუნდი ბებომ მკითხა, რა მოგივიდაო? არაფერი-მეთქი. იმას ხომ არ ვეცოდით, რომ თითისტოლა ბაღს შეყვარებული მინდოდა მყოლოდა მაგრამ ბებმა გამილიმა და ჩვენმა კამჩმა ზაქი მოიგო რა თქმა უნდა, ზაქრო დავარქვი და მიხაროდა, რომ ხვალ სათამაშოდ გასული, მეც ვიტრაბახებდი, შეყვარებული მყავს-მეთქი. თუმცა, ვინ გაცალა სიხარული? 6 თვის შემდეგ წაიყვანეს ჩემი ზაქრო ბაზარზე და გაყიდეს. ჩემი ზაქრო დღესაც მახსენდება. განსაკუთრებით კი მისი შავი თვალები. პირველი სიყვარული ყოველთვის მტკივნეულია და დაუწინა-რო. P.S. მარო, თუ შენ გაგეცინება, მხოლოდ მაგ შემთხვევაში დამიბეჭდე გრუზინკა“.

ალარ მიყვარს იმ სიყვარულით. ახლა მე მხოლოდ პოეზია მიყვარს მასში. იდუმალა“.

შეჭაბუკი

„ჰმ, ჩემი პირველი სიყვარული ისეთი კრახით დამთავრდა, გახსენებაც არ მინდა. მაშინ მე პირველ კლასში ვიყავი, ის კი სკოლას ამთავრებდა. :) ჩემთვის იდეალს წარმოადგენდა. მალალი, ქერა, ცისფერთვალება (მაშინაც მეტყობოდა, კარგი გემოვნების პატრონი რომ ვიყავი). ჰოოოდა, რას ვამბობდი... ყოველდღე სკოლის კართან ვხვდებოდი. ისიც ხელში ამიყვანდა ხოლმე და ძალიან მიხაროდა... ;) მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული. ერთ მშვენიერ, მზიან დღეს დამთავრდა ჩემი ბედნიერება. ჩემმა შეჭაბუკმა სკოლის კართან ისე ჩამიარა, არც კი შემომხედა. ვილაც დიდი გოგოსთვის გადაეხვია ხელი და მიდიოდა, მე კი ვიდექი. ცოტაც და ავტირდებოდი, მაგრამ მედგრად შევხვდი ამ ბედის დაცინვას და იქნებ

„ალა მინდა ქმალი“ ...

„პირველი სიყვარული დავიხადე თუ არა, მაშინვე მენვია. აკვნიდანვე დავინიშნე. მომართვეს ბელგა, რომელშიც იყო გამონასკვეული „ოქროი საათი, თავი ოქროი სამაჯურითა, ოქროი „ცუპი“, თავი ოქროი კულონითა“. ერთიც კი არ მკითხეს, გათხოვება თუ გინდა ან დანიშნული თუ მოგნონსო? მე უტვინო, ბრჭყვიალა ნივთებით შემაცდინეს. როცა 3 წლის გავხდი, მივხვდი, რა საფრთხის წინაშეც ვიყავი — უსიყვარულოდ მათხოვებდნენ და ხმა ამოვიღე, პირველად — ალა მინდა ქმალი-მეთქი. დედაჩემი გაგიჟდა, ბავშვმა ეს რა თქვა, ამას გავათხოვებ, უსიყვარულოდო? მოგიკვდეს დედა, ძლივს არ თქვა ბავშვმა, გულში რაც ჰქონდაო? სანყალმა ჩემმა დანიშნულმა კი დაალო პირი, მაგრამ დედაჩემი რას გადაიფიქრებდა? — ვთქვი და გავათავო. აბა, რა ეგონა, უსიყვარულოდ გავყვებოდი? გრუზინკა“.

უტა

„მახსოვს, სკოლაში რაღაც ღონისძიება ტარდებოდა, სიყვარულის დღისადმი მიძღვნილი... გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენიდან“ ერთი ეპიზოდი უნდა დაგვედგა. ის უტა იყო, მე — შორენა. ვეცდები, ზუსტად გავიხსენო ის სიტყვები, რომელსაც მაშინ მეუბნებოდა: „მე შენ იმაზე ადრე მიყვარდი, ვიდრე შევიცნობდი, თუ რა იყო კაცი და ქალი. შენ რაინდებზე ადრე მიეახელი მეფის ავაზას. შენ ისეთი ლამაზი ხარ“... ამბობდა ამ სიტყვებს და ჩემი ხელები ეჭირა... მინდოდა, უსასრულოდ გაგრძელებულიყო რეპეტიციები. სკოლა დავამთავრეთ. საახალწლო სუფრა გვექონდა, მეგობართან. მე და ის ვცეკვავდით. გულში ვყავდი ჩახუტებული და თითქმის არ ვმოდრაობდით, არც ხმას ვიღებდით. იცვლებოდა მუსიკები, ჩვენ კი მაინც ძალიან ნელა ვცეკვავდით. არაფერი გვესმოდა, ერთმანეთის სუნთქვის გარდა. რამდენიმე საათი გავიდა ასე... ღმერთო, დამიბრუნე პირველი სიყვარული ისე, რომ ამით არავის მივაყენო ტკივილი. მენატრება... ჩხავანა ბაღლი“.

ბედნიერი დასასრული

„სურვილი გამიჩნდა, ჩემს პირველ სიყვარულზე მომენერა და აი, მოგწერეთ კიდევ, თუ რაღა თქმა უნდა, მარი დამიბეჭდავს. დღემდე ვერ ვხვდები, რით მომხიბლა ამ ერთი შეხედვით ჩვეულებრივმა მამაკაცმა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს შეძლო. ის უეცრად, სრულიად მოულოდნელად შემოიჭრა ჩემს სულში და ფიქრებში. უკვე სიგიჟემდე მიყვარდა, როცა გავიგე, რომ ნარკომანი ყოფილა. თითქოს ჩემში რაღაც მოკვდა. შემხვდა და ყველაფერი ამიხსნა. თან მითხრა: მე შენი ღირსი არ ვარ, მინდა, ბედნიერი ქალი იყო, ამას იმიტომ გეუბნებიო — და წავიდა. წავიდა და სულში უსაშველო დარდი და ტკივილი დამიტოვა. მთელი 1 წელი ვიტანჯებოდი და თითქმის ცოცხალმკვდარი ვიყავი. მწამდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს დამიბრუნდებოდა, სრულიად ჯანმრთელი და... მადლობა უფალს, ჩვენ დღეს ერთად ვართ, ბედნიერები და ლალები. მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლე! ცრემლუკა“.

გვიანია

„სკოლაში ერთი პარალელურკლასელი მიყვარდა, მაგრამ მისთვის სიყვარული არ ამიხსნია. მეგობრებმა იცოდნენ, რომ მიყვარდა. საიდუმლო ვერ შემინახეს და იმ გოგომაც გაიგო, მაგრამ თვითონ ყურადღებას არ მომაქცია. მესამე კლასიდან მოყოლებული, ლოგონვეროზი (მეტყველების დარღვევა) მექონდა. ამის გამო ცოტას ვლაპარაკობდი და წყნარი ბიჭი ვიყავი. თინეიჯერ გოგონებს კი მორიდებული ბიჭები (ორ სიტყვას ერთმანეთზე რომ ვერ აბამს) არ მოსწონთ. სკოლა რომ დავამთავრეთ, ის გოგო ერთ წელიწადში გათხოვდა. მე სტუდენტი გახდი, თბილისში ჩამოვედი, ფსიქოლოგთან ვიარე და ახლა გამართულად ვლაპარაკობ. უფრო თავდაჯერებული და თამამი გახდი. ბევრი გოგო მომეწონა მას შემდეგ, მაგრამ ისეთი სიყვარულით აღარავინ შემყვარებია. ასე მგონია, ის გოგო გათხოვილი რომ არ იყოს, თავს შევაყვარებდი, მაგრამ უკვე გვიანია. გოგა“.

ახლა თემაზე მოსულ მოკლე მესიჯებს გავუცნობ.

მქსოველი მასწავლებელი

„პირველი სიყვარული? რომელ პირველ სიყვარულზეა ლაპარაკი? ისიც კი არ ვიცი, ამ გრძნობას რა ფერი, გემო ან სუნი აქვს. ალბათ უსიყვარულობა მიწერია? ისე, პენსიონერივით მეც მანუხებს უცნაური აზრები, ოღონდ პენსიონერო, მე მინდა ალპინისტივით დავლაშქრო 9-სართულიანის კედელი და ისე გავუქცე უბედურ საქმროს თუ ქმარს. ეჰ, ჯერ ძილი და მერე სიზმარიო. ოცნების გიჟი“.

„აა, გამახსენდა ახლა ჩემი პირველი გატაცება. მისი კლასის წინ როგორ „ჩავაპოდიუმები“ ხოლმე, თქვენ ის უნდა გენახათ. მესამე სართულიდან რომ „გადმოვეფინებოდი“, კლასში ველარ მაგდებდნენ. მაგარია, ბავშვობა“.

„ჩემი სიყვარული პირველიც აღმოჩნდა და უკანასკნელიც, რადგან დღეს მე მისი ცოლი ვარ და იმაზე მეტად მიყვარს, ვიდრე თავიდან მიყვარდა. კნობკა“.

„პირველად 15 წლის ასაკში შემიყვარდა. კარგი ბიჭი იყო, მაგრამ ვერ ვიტყვი, ისიც გიჟდებოდა-მეთქი. ჰოდა, ერთხელ შემხვდა გზაში. მე ღვეზლის საყიდლად მივდიოდი, მაგრამ ისე დავიბენი,

რომ დამავინყდა, რაზე მივდიოდი და ხელცარიელი დავბრუნდი. სენტიმენტალური გოგო“.

„პირველი სიყვარული სიკვდილზე ძლიერია, რომლის დავინყებაც შეუძლებელიაო, ამტკიცებს ბრძენი, მაგრამ ნება მიბოძეთ, გითხრათ, რომ ცდება. განუმეორებელი არავინაა და კიდევ — სიყვარული სისულელეა, სასიამოვნო სისულელე. ვბოდავ, არა? ჩორნა“.

„მინდა, ჩემი პირველი სიყვარული მოვიკითხო. ტიტო, მინდა ყველაფრისთვის პატიება გთხოვო. იმისთვის, რა ტკივილიც მოგაყენე. დამიჯერე, მეც არანაკლებ ვიტანჯები იმის გამო, რომ ვილაც არაკაცს ცხოვრება დავანგრევი და შენ, რომელსაც წრფელი სიყვარულით გიყვარდი, ხელი გკარი. ზოგადად ვიგებ შენს ამბებს. ვიცი, რომ ცხოვრება არც შენ აგნყო. მხოლოდ ერთ რამეს გთხოვ, დამირეკე. ნომრის გაგება არ გაგიჭირდება. ლიკა“.

„ჩემს ნაცნობ ახალგაზრდებში ყველას პირველი სიყვარული დიმა ბილანია. გაგიჟდება კაცი! ამას წინათ შევესწარი, ერთ გოგოს მოატყუეს, მოკვდაო და ტირილით თვალები დაისივა. ბავშვები ნატრობდნენ, ნეტავ, კლონი ჰყავდეს, ორიო (სამი დაქალია), მაგრამ ახლა „ორიგინალი“ ვერ გაიყვეს. რა თაობა მოდის! რას გვიშვრება ეს მთავრობა! მისის-იპი“.

„ჩემმა პირველმა სიყვარულმა ცოლი მოიყვანა და ვერ ვრეკავ, მისალოცად. იაგო, გილოცავ გაბედნიერებას და ბედნიერ მომავალს გისურვებ. პირველი სიყვარული მართლა დაუფინყარია. მე ისევ შენზე ვფიქრობ და მიყვარხარ. 8260“.

„ეს მოხდა 3 წლის წინ. მაშინ პირველ კურსზე ვიყავი. კონსერვატორიის კარი სიფრიფანა გოგონამ შემოაღო. ისე მინდოდა, ის ჩემი კურსელი ყოფილიყო... ამაში გამიმართლა. მერე დიდხანს მიყვარდა, სანამ არ მივხვდი, რომ ის ვერასოდეს შემეყვარებდა. ახლა III კურსზე ვართ. ის გათხოვილია. ასე რომ, ბოლო იმედიც მოკვდა. ყოველთვის მემახსოვრება, როგორც პირველი და უიღბლო სიყვარული. -(სუპერსთარი“.

„პირველი სიყვარული 3 წლის წინ მეწვია, მაგრამ უკვე დამთავრდა, დაქალის დამსახურებით. მას შეუყვარდა და ჩემს სიყვარულზე უარი ვთქვი, რადგან დაქალი მეტრალეობდა. შეყვარებულს კი ვაგრძნობინე, რომ სხვა მიყვარდა და ამით თავი შევაპულე (რასაც

ძალიან ვნანობ). დაქალმა ბოლოს კლანჭები გამოაჩინა და დაშორდნენ. ჩემზე საზიზღრობებს ეუბნებოდა, თურმე. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩემსავით არ შეცდეთ დაქალის არჩევაში. ყველას ბედნიერებას გისურვებთ. უიღბლო“.

„მას შემდეგ, რაც ჩემს გულს თქვენი პერპენდიკულარი დაემთხვა, ჩემს გულს აღარ აქვს რადიუსი, რომ გრძნობათა აღელვებული წრე შემოხაზოს. არავითარ ლოგარითმულ სახაზავსა და ორუცნობიან განტოლებათა ფესვების ამოღების ხერხს არ შეუძლია, ამოიღოს ჩემი გულიდან თქვენი სიყვარულის ფესვი. თქვენ ჩემკენ გადმოიხარეთ 180-გრადუსიანი კუთხით და გეფიცებით ნიუტონის კანონს, რომ თქვენთან დაკავშირებული ვიქნები, როგორც ფუნქცია. მე შემოგფიცეთ სიყვარული და არქიმედეს კანონის თანახმად ჩავიძირე სიყვარულის მორევეში. თქვენი გულის გრძნობათა კვადრატი უდრის ჩემი გულის გრძნობათა კვადრატების ჯამს, საიდანაც ფესვი არ ამოიღება. თქვენ ჩემთვის ისევე საჭირო ხართ, როგორც ალგებრისათვის „+“ და „-“ ნიშანი. გერასიმე“.

„პირველი სიყვარული? ჰო, ეს ძალზე დიდი ხნის წინ იყო. მე მეექვსე კლასში ვიყავი, ის კი მეცხრეში. მე მას არ ვიცნობდი. რომ დავინახე, გადავირიე. ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება. სასწაულს ჰგავდა ყველაფერი. არა, მე მას დღესაც არ ვიცნობ, ოთხი წელი მიყვარდა, ცალმხრივად, მაგრამ საოცრად მავსებდა ეს სიყვარული და მახალისებდა... მერე სხვა შემეყვარდა... დღეს კი მოსიყვარულე და ალერსიანი მეუღლე მყავს და ძალიან ბედნიერი ვარ. თუმცა, პირველს სხვა ხიბლი ჰქონდა... ანტალია“.

„...მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელიო... მართალი ყოფილა. მოვიდა და... არა, უფრო სწორად, ტაიფუნივით შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში, სიყვარულის წყალდიდობით დატბორა ჩემი გული და პირველი სიყვარული კი არა, საკუთარი თავიც დამავინყა. ჰოდა, ჩემო იუბილარო ღიპუც, ვერ დაგპირდები, რომ იდეალური მეუღლე ვიქნები, ვერც იმას, რომ ხვალ უფრო მეტად არ მეყვარები; ვერც იავნანას გიმღერებ ძილის წინ, მაგრამ გპირდები, აღარ გაგაბრაზებ, აღარ ვიქნები „აგრესიონერა“, ჩაიში შექარსაც ჩაგიყრი და არც „კოპერატივს“ მოგთხოვ, მთვარეზე „ვინეგრეტსაც“ მოგიშაბებ უსტაფილოდ.

არ მიყვარს, მაგრამ შენთან ერთად გავსინჯავ, გპირდები. ჰო, კიდევ, ჯანდაბას ჩემი დიეტაც და ყოველდღე თაფლს შევჭამ, ენა რომ დავიტიკო. ნუთუ ბედნიერებისთვის ეს ცოტაა, ა?“

„თოვო ბიძაშვილმა გაგვაცნო. ის ძალიან სიმპათიური და ამავე დროს, მორცხვი ბიჭი იყო, თუმცა მის ყურადღებას ჩემდამი მუდამ ვგრძნობდი. შემდეგ მოხდა ისე, რომ ჩემდა უნებურად შემიყვარდა და მაშინ, როცა სიყვარულში გამოვუტყდი, გაკვირვებული სახით შემომხედა და მითხრა: ეკა, მე შენ დასავით მიყვარხარო. დასავით მიპაჭუნებდა თვალებს? ჰა, თოვო? მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და ახლა ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან ჩემ გვერდით ის ადამიანია, რომელიც ძალიან მიყვარს! შენ კი თოვო, გეტყვი, რომ ჩემს ცრემლებად არ ღირდი! კამელია“.

„პირველი სიყვარულიო? რად გამახსენე მარი, ჰა? მე კიდევ მის დავინწყებას ვცდილობდი. ჩემი პირველი სიყვარული ბანაკში გავიცანი და ჩვენი ურთიერთობა ისევე მალე დასრულდა, როგორც დაიწყო. სულ რაღაც, 2 თვე ვიყავით ერთად. ახლა ეს სიყვარული ლამაზ მოგონებად დამრჩა, რადგან ის მართლაც შესანიშნავი და ძალიან კარგი ადამიანია. მის გვერდით ბედნიერი ვიყავი. მოვიკითხავ და ბედნიერებას ვუსურვებ. P.S. მგზავნილებო, მიყვარხართ და გუფერებით. ლელუჩია“.

„ერთადერთი, ვინც მიყვარდა (უფრო სწორად, მომწონდა), გოგა იყო. ზაფხულის თბილ საღამოს შამპანურით ხელში, წყნარი მუსიკის ფონზე მისი ხელების შეხებას და თბილ სუნთქვას რომ ვგრძნობდი, მეგონა, დრო გაჩერდა. ცაზე მხოლოდ ჩვენი ანათებდა ვარსკვლავები და საღამოს უფრო სასიამოვნოს ხდოდა. სამწუხაროდ, გოგა დავკარგე. მასზე მხოლოდ ტკბილი მოგონებები შემომრჩა, რომელიც მახსენებს, რომ ბედნიერება ის წამია, რომელსაც ცხოვრების ბო-

ლომდე ვერ ამოშლი გულიდან და გონებიდან. მაკარენა“.

„ჩემი პირველი სიყვარული ვინ იყო, არ მახსოვს. სამაგიეროდ კარგად მახსოვს, პირველად დედიკომ საბავშვო ბაღში რომ მიმიყვანა, ერთ ბუთხუზა ბიჭუნას ისე მოვეწონე, რომ მომეწონა და ლოყაზე მიკბინა. რატომღაც ყველას ეგონა, რომ მაკოცებდა, მაგრამ ნურას უკაცრავად, ჩემი პირველი „შეყვარებული“ სადისტი აღმოჩნდა. P.S. ვაფანატებ ჩორიზე და მამაც თოჯინაზე. ჩემი ცხოვრების ნათელი სხივები ხართ. მუდამ გულში მეყოლებით. იჭო-სიხჩო“.

„პირველი სიყვარული დეტალებში მახსოვს. 5 წლის ვიყავი, ისიც ბაღში დადიოდა. თამუნა ერქვა. თმა ჰქონდა მეგრებიანივით, ოღონდ მაგარი შავი. სიყვარულსაც მაგრად გამოვხატავდი. ჩვენი მასწავლებელი ყოველდღე რაღაცას ქსოვდა, რაღაცნაირი, ბრჭყვიალა ძაფით, ოღონდ ამ ბრჭყვიალებს აძრობდა და ძირს ყრიდა. ჰოდა, მეც ვაგროვებდი, ლამაზად ვნასკვავდი ერთმანეთში და ვჩუქნიდი. :) ოჩოპინტრე“.

„ჩემი პირველი სიყვარული დღემდე მიყვარს და ვიტანჯები, რადგან მას დამაშორეს. მართალია, ახლა სხვა შეყვარებული მყავს, მაგრამ ის ბიჭი არ მიყვარს. უფრო მეტი — ვერ ვიტან. მის ქცევებს სულ ყოფილი შეყვარებულისას ვადარებ და სულ მასზე ვფიქრობ. ამ ბიჭის შეყვარებული რატომ ვარ, არ ვიცი. ალბათ ასეა საჭირო და ასე უნდა მომხდარიყო. P.S. ნიკს ვიცვლი და ანი პუპსიკუნა ვიქნები, რადგან ასე ჩემი პირველი და დაუვინყარი სიყვარული მეძახდა. პუპსიკ, არ გეწყინოს, მე ნიკს არ გართმევ. შენ პუპსიკა ხარ, მე — პუპსიკუნა. :) უბრალოდ, არ მინდა, ჩემმა შეყვარებულმა მიცნოს. ჩემი ძველი ნიკი იცის. პუპსიკუნა“.

„მინდა, ჩემი მეგობრის პირველ სიყვარულზე მოგწეროთ. ეკუნას და დათოს სიგიჟემდე

უყვარდათ ერთმანეთი. ეკასთვის პირველი სიყვარული იყო. მისთვის დათოთი ინყებოდა და მთავრდებოდა ყველაფერი. ერთ დღეს, მე და ეკუნა მისი მანქანით მივდიოდით და ავარიში მოვყვეით. ორივე მძიმედ დავშავდით, ეკამ კი ფეხები დაკარგა, დაინვალიდა. ამასთანავე, დაკარგა პირველი სიყვარული. ყველანი ძალიან მიყვარხართ. თქვენი ერთგული მკითხველი ვარ, დღეიდან კი მუდმივი მგზავნილიც გავხდები. ლიზა“.

„პირველი სიყვარული 16 წლის ასაკში მენწვია, თუმცა, ჩემთვის არცთუ ისე შესაფერისი, რადგან 20 წლით დიდი იყო ჩემზე. ასაკის გამო პრობლემა არ მქონია ოჯახში, მაგრამ პირველი სიყვარული ბუნდოვნად მახსოვს... :) ეგ ის არ არის, ღიმილით რომ ინწყება და ტირილით მთავრდება? თუ გასურთ, ამას გადაურჩეთ, გაითვალისწინეთ ჩემი ბრძნული რჩევები. :) 1. მალე ნუ დაიჯერებთ, რომ უყვარხართ. 2. განათლების სამინისტრო გაფრთხილებთ: შეჩვენა (და არა სიყვარული) მავნებელია, თქვენი განათლებისთვის. პარიჟანკა“.

ყველაფერზე, თემის გარდა

„გაზი პინეზული“

„აუ, ადრე გამელვიძა, ადგომა მეზარება და ეგრევე „გზას“ გადავწვდი. „ავფურცლე“, „ჩავფურცლე“ და რაზე გავჩერდი, არ იცი? მის რეალის სურათზე. აქამდე არც დავკვირვებებო, ნორმალურად, მაგრამ ხომ იცი, დილაობით თავი კარგად მუშაობს ხოლმე და მომეწონასავით. :) დიდუ, რავარი ზიზია ბალანე ყოფილა. არ არი წანწლააა? გოუდის ზიპინი. რომ შეხედავ, თვალი და გული ზედ დაგრჩება (ყოველ შემთხვევაში მე მასე მომდის. მგონი, ნახევარი საათია, აბდალივით მივშტერებო, ამხელა ყაზილარი), მარა რად გინდა... „რეალიო“. ვინ გადარია ეს ანგელოზივით ბალანე, „ბარსა“ მაინც წაენერა. :(მარა რას ვიზამთ, იდეალური არავინაა და თითო ნაკლი ყველას აქვს. დამიბუჭდე რა, მარ, ეს ერთი მარტო და დანარჩენებს თუ გინდა, „ვაფშე“ ნუ წაიკითხავ. მგონი შემაქანა. :) თავს რაღაც, უცნაურად ვგრძნობ. ან მის რეალის ბრალია, ან მაგრად მომშვივებია. :) ოჩოპინტრე“.



ჭაოსის მისწავლებლად მისი საწყვიტოსი წიგნი იყარავს.

პასუხები მგზავნელებს

„ახლა მინდა, უპასუხო კითხვებზე გავცე პასუხები მგზავნელებს. ნაწილზე, რა თქმა უნდა. თეკოთი დავინწყებ. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ კვერცხი პირველი გაჩნდა და მზად ვარ, ამაზე ნებისმიერ დროს, ნებისმიერ დონეზე დავიცვა დისერტაცია,

თან, ეს რაც დაბეჭდე და რასაც არ დაბეჭდავდი, წარმომიდგენია, რა საზიზღრობა იქნებოდა. არა მგონია, რომელიმე ბიჭს მოეწონებოდა, რომ არ იყვნენ, „გასაბერი ქალების“ ბიზნესს დავინწყებდიო. ესეც შენი ევროპა და გენდერი, თუ რალაც ჯანდაბა. ქალს ქალობა აღარ ეტყობა. იცი, რა გამახსენდა? ალბათ შენც მოსმენილი გექნება, ძვეელ კონცერტებზე, ტატიშვილი

ტის, მგზავნელების სიყვარულით ანთებული თვალები, დავინახო მისი საოცარი ღიმილი და ის ლამაზი, დაუღალავი თითები, რომლებიც ჩვენს სიხარულს ემსახურება. მარ, ჩემი ყოველი სიტყვა გულიდან მოდის და არა თავიდან. სიტყვა „მიყვარხარ“ არაფერია იმასთან შედარებით, რასაც შენსა და მგზავნელების მიმართ ვგრძნობ. ალბათ ამიტომაც მანუხებს გული. ის ხომ პატარაა და შიგ თქვენი სიყვარული არ ეტევა. ხუთშაბათს დილით „გზა“ ვიყიდე თუ არა, ეგრევე შევევარი მეტროში და ხალხს თვალი გადავაველე. მეგონა, სხვებსაც ექნებოდათ შეძენილი და იქნებ მათში მგზავნელი ამოვიცნო-მეთქი, მაგრამ ნურას უკაცრავად... ელისოს ბიჭის დაბადება ისე გამიხარდა, ჩემმა „ურამ“ ყველა მგზავრი ჩემკენ მოახედა. — „ბიჭია, ბიჭი!“ — გაუზიარე მათაც სიხარული, მაგრამ მათ სინანულით გამიღიმეს. მე კი გადაშლილი „გზა“ მუხლებზე დავიდე. ვფიქრობდი, იქნებ თვალი მაინც გაეპაროს ვინმეს-მეთქი, მაგრამ — ნურას უკაცრავად... ვილაც გოგოს ხელში ჟურნალი დავლანდე და მასთან გადავჯექი. დავხედე გაღიმებულმა და სპორტული გაზეთი არ შემეჩრა? მერე ვითომ ჩემი ჟურნალი გამიცურდა და მისას ზედ გადავაფარე იმ იმედით, რომ „გზავნილების“ დანახვაზე სიხარულით შეხტებოდა, მაგრამ უკვე მესამედ — ნურას უკაცრავად, არც უცდია დაეხედა, ისე თავაზიანად დამიბრუნა უკან... ეჰ, არც კი იცი, რა საცოდავი ხარ-მეთქი, გავიფიქრე. აბა, სხვა რა ვთქვა იმ ახალგაზრდაზე, რომელიც ხუთშაბათს შინიდან გამოვა და „გზის“ ნაცვლად სხვა ჟურნალს იყიდის? თქვენ არც კი იცით, რამდენ ლამაზ ხუთშაბათს კარგავთ. მიყვარხართ, მგზავნელებო! მარიზე კი მაბოდებს! კამელია“.

SECURITY

„მეტროთი გადაადგილება ხშირად მიწვეს ერთ დღეს რატომღაც სამხედროების „შემოსევა“ იყო სადმე აღლუმზე თუ მიდიოდნენ :) ყველას თავისი გვარი ეწერა პუჯაკზე, ნუსხაბეზრ ერთი ცნობისმოყვარე ბებო ყველას სათითაოდ კითხულობდა ჰოდა, იქვე დაცვის ბიჭიც იდგა ბებოს მისი „გვარის“ ამოკითხვა ცოტა გაუჭირდა და მოურიდებლად ჰკითხა — შვილო, სადაური ხარ, „SECURITY“ რომელი კუთხის გვარაო? აჰ, მაშინ კი დარჩა სანყალი ქალი უპასუხოდ, რადგან ყველა ჩაბურჭული იყო სოიფ“.

თუ საჭირო იქნება. „დალშე“ — კანიბალკას ვეტყობდი, რომ რევოლუციამდელი ბავშვი გონებაჩლუნგი ნამდვილად არ იყო. ამაში დარწმუნდები, თვალს თუ გადაავლებ ქართულ ინტელიგენციას, რევოლუციამდე და მას შემდეგ (შემთხვევით, ვარდების რევოლუციას ხომ არ გულისხმობდი?). მამალს რა სარგებლობა მოაქვს, ყველამ იცის. :) აი, ეშმაკუნას რაც შეეხება, პირველ კითხვას უპასუხოდ დავტოვებ. ცოტა არ იყოს, მერიდება. ბიჭები ფეხებს იმიტომ არ იპარსავენ, რომ გეის იარლიყი არ აირტყან და კაისაც შვრებიან. გოგოების ფეხებზე ყურება კიდევ, გომობა ნაღდად არაა. რა თქმა უნდა, მიშტერება არ ითვლება და ყველა დამეთანხმება, რომ გოგონები მინის და შორტებს მარტო კომფორტისთვის არ ატარებენ და არც ფეხების დემონსტრირებას ახდენენ შემთხვევით. თვითონვე სწყინთ, თუ მთელი დღის განმავლობაში არავინ გააყოლებს თვალს. კიდევ, ვილაცას აინტერესებდა, სიყვარული უფრო ძლიერია თუ შიშიო. უმეტეს შემთხვევაში — შიში და ამ შიშს, უმეტესად, რამისადმი ან ვინმესადმი სიყვარული იწვევს. დანარჩენ საკითხებში კომპეტენტური არ ვარ. რამხელა გამოვიდაა! მეტი არაა ჩემი მტერი, რომ ამას დაბეჭდავ... მოკლე ჩართვა რომ ნავიკითხე, კინაღამ ცუდად გავხდი. ხალხი რაებზე ოცნებობს, თურმე.

რომ მღეროდა: „გაფუსნარით ამერიკას, განა კონსტიტუციითა, აქეთ ნარკომანიითა, იქით — პროსტიტუციითა“. ვისაც არ ეკუთვნის, ნუ ეწყინება. რას გვერჩოდნენ? ამ მხრივ მაინც ხომ გვეკუთვნოდა ნატოში შესვლა? ოჩოპინტრე“.

შეყვარებული კამელია

„დილა მშვიდობისა, მარი, უთვალავი ადამიანის სიხარულო და სიყვარულო. იმედია, კარგად ხარ. ორი დღით თბილისში ვიყავი, მაგრამ არ შეგეხმინან, რადგან შაბათ-კვირას ისევ სოფელში ვიქნებოდი და შენთან კი ამ დღეებში მქონდა „მოსანვევი“. შენ ჩემი კეთილი ფერია ხარ, რადგან შეძელი და ერთ უბრალო გოგონას იმის იმედი მიეცა, რომ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს (ლამეს) ოცნება აუხდეს. იმედი მაქვს, მალე შევძლებ, ვნახო ყველაზე ლამაზი, ჭკვიანი და კეთილი ჟურნალის-

ქუთაისური „პლაშოვკა“

„თაის, რაოო? ქუთაისელი ხაარ? და მთელი ქუთაისის

ვინეულოვები
სამსონიანდოსცემისთვის
დაყარული ხსობის.



საოცარ ხიბლში რამდენი სას-
წაული გამოგრჩაა... :) არ
გრცხვნიან? ნუთუ შენს განწყო-
ბილებზე არაჩვეულებრივად
არ მოქმედებს აქა-იქ ნაზად
მიმოხეული, ახალგახსნილი
„პოპულის“ პარკებით დამ-
შვენებული ხეები, რომლებსაც
კვირტებზე რომ აღარაფერი
ვთქვათ, ტოტებიც არ უჩანთ...
ან გადამწვარ ცენტრში საყვარ-
ლად მცოხნავი ძროხების ჯო-
გები, რემები, გუნდები და ა.შ.
:) ჰო, სხვათა შორის, უმოწყალ-
ოდ გამოტოვე ქუთეისელების
გრძნობის მომრევი ზმანი. კერ-
ძოდ, „პლაშოვკა“ შარვლებზე
წვეტიანი, პრიალა ტუფლი,
ტყავის ქურთუკი და რალა თქმა
უნდა, პლანმისატული ბენდენა,
კისერზე ამყად შემოჭერილი,
ჯინსის კეპითურთ და ამ ყვე-
ლაფერს მოდი და გაუძელი.
:) მე მაქვს უპასუხო კითხვა:
ქუთაისს ეშველება რამე? მიყ-
ვარხართ ყველა. RAINBOW“.

უაზრო კითხვები

„ინტერნეტით დასაქმების
საიტებზე ვეძებ საოფისე სამსახ-
ურს (არასაოფისე ისედაც მაქვს)
და CV-ებს ვგზავნი. ზოგიერთ ორ-
განიზაციას თავისი კითხვები აქვს
და მათ კითხვებს უნდა უპასუხო. მე
„პროკრედიტ ბანკის“ CV დამამახ-
სოვრდა, რომლის კითხვებზეც
ასეთი პასუხები გავეცე: 1. გყავთ
თუ არა ნათესავი ან მეგობარი
„პროკრედიტ ბანკში“? — ნეტავი,
მყავდეს, CV-ს კი არ გამოგზავნი-
დი, პირდაპირ იმასთან მივიდოდი
და სამსახურს ვთხოვდი. 2. რატომ
გინდათ „პროკრედიტ ბანკში“
მუშაობა? — რა უაზრო კითხვაა?
ბანკში მუშაობა ვის არ უნდა? 3.
რა გსმენიათ „პროკრედიტ ბანკის“
შესახებ? — დასავლური ბანკია.
გოგა“.

მტირალა

„რომ არ ვიცი, როგორ დავი-
წყო (პრინციპში, უკვე დავიწყე
და ეგაა)? ახლა რომ შემეძლოს,
ყველას ჩაგოცნიდით. მინიმუმ,
ჩაგჩემედით მაინც. :-) მაგარი
საყვარლები ხართ, მგზავნელებო.
ჩემი ანტიდეპრესანტები ხართ.
იმიტომ, რომ რალაც ვირუსი
შემეყარა. გაზაფხულია და...
მგონი ტარიელმა გადამდო.
აი იმან — ნახეს უცხო მოყმე
ვინმე, ჯდა მტირალი, წყლისა
პირსაო... წყლისა რა გითხრათ,
მაგრამ ტირილით, იცოცხლე,

ამაში საერთოდაც ძან ყოჩალი
ვარ. ახლა ზუსტად ჩემი ბალი-
შის გწურვას ვაპირებდი. ისე,
რა სადისტობაა? მე ტირილი
მინდოდა, ბალიში რა შუაში
იყო? ჰოდა, ამ სევდიანობაში
შემომეკითხა პირველი გზავნილი,
მერე მეორე, მესამე... და ახლა
უკვე მაგარ ხასიათზე ვარ. ძალ-
იან, ძალიან დიდი მადლობა,
ასეთი დადებითი ენერგიით რომ
ხართ დამუხტულები. მე ერთი
გამოუსწორებელი რომანტიკოსი
და ნამეტანი ქართველი ბავშვი
ვარ. სმაილუშკა“.

„გრეჩისა“

„ვერ ვიტან „გრეჩისის“ გარჩე-
ვას. ერთ დღეს გადავწყვიტე მისი
მომზადება და დიდი ენთუზიაზ-
მით შევუდექი მის გარჩევას (რაც,
დამიჯერეთ, პირველად ხდე-
ბოდა). ტვინში გენიალური იდეა
ამომიტივტივდა და შევუდექი
მის განხორციელებას. მადულა-
რათი წყალი ავაღულე და შუშის
ჭიქაში ჩავასხი, აქაფეფებულ
სითხე, წინიბურასთვის რომ

სევდიანი

„ბავშობიდან გულჩათხრობილი
და სენტიმენტალური ვიყავი. იმის
მიუხედავად, რომ დედა მთელი
არსებით მიყვარდა და მის გარემე
სუნთქვაც კი მიჭირდა (18 წლის
ვარ და დღემდე მასთან მეძინა),
მაინც ყოველთვის მინდოდა, მამა
ჩვენთან ყოფილიყო. სულ ვოც-
ნებობდი, რომ ძილის წინ დე-
დასთან ერთად მამაც მოსულიყო
და შუბლზე ეკოცნა. სიგიჟემდე
მინდოდა, ჩემთვის რჩევა მოეცა,
მომფერებოდა, თუნდაც ეყვირა,
მაგრამ არა და არა, ბედმა დედა
და მამა ისე დააცილა, რომ მეც კი
ვერ შევძელი მათი გაერთიანება.
ერთი თვის წინ ჩემი დედიკო
შორს, სადღაც, ჩემგან საოცრად
შორეულ ქვეყანაში გავაცილე თან
ჩემი გული და სული გავატანე,
ათასი ცრემლი ვღვარე იმის გამო,
რომ ლამე მეღვიძება და ხელით
მას ვეძებ. შეიძლება იფიქროთ,
ჭირვეული ბავშვიო, მაგრამ
არა, უბრალოდ ადამიანი ვარ,
რომელსაც ყოველდღე იმდენი
უპასუხო კითხვა უგროვდება, რომ

„კარტოქნიკი“ მელოგინე

„ქუთაისის სამშობიარო სახლს თბილისიდან
კომისია ეწვია შუა ზაფხულია, ცხელა, მაგრამ რა
ცხელა კომისიის წევრები სხედან მთავარი ექმის
კაბინეტში, სიცხის გამო ფანჯრები ღია იყო ერთ-
ერთი ფანჯრიდან ისმოდა დიალოგი ნამშობიარვე
ქალსა და მის მეუღლეს შორის
— რაფა ხარ, მარკა, რაფა ბალანე? ხომ
მაგარი ბიჭი მყავს?
— კარგადაა, თლათ შენ გგავს, ქამა უყვარს
შემსავით.
— რა გინდა ახლა, რა მოგიტანო?
— ხლი და ბულიონი დედაჩემსა მომიტანა.
მანონი მინდა და ფული, ფული გამოგზავნე!
— რაის ფული, ქალო, ხომ არ გადვიროვ
გუმნ არ გამოგიგზავნე?
— არ მეყო, ბატონო და გამოგიგზავნე
კილო.
— მე კი გამოგიგზავნი, მარა, რაია, მაქანე
კარტს ხომ არ თამაშობ, შე შობელძაღლო?
ლუნტა“.

დამესხა. ჭიქას ძირი გასძვრა და
ქვაბში ჩავარდა. აუუ, არ გინდა,
ასეთი საჭმელი აჭამო ოჯახს?
არადა, დამშეულები მოვლენ.
ჰოოდა, ვიპოვე გამოსავალი.
გადავსახე ქვაბს პირჯვარი და
გულდამშვიდებულმა ვაჭამე დამ-
შეულ ოჯახს. ექსპერიმენტები
კი იმ დღიდან ჩემგან შორს!
ჭრიჭინა“.

აღარც კი იცის, სადამდე შეძლებს
მათზე ფიქრს. ყოველდღე ფეხით
ვსეირნობ და ვუყურებ ადამიანებს,
რომელთა მოღუშული სახეები
უფრო მადარდიანებს. მინდა, ერთ
დღეს გავიღვიძო და დავინახო
ხალხი ისეთი ბედნიერი და სიყ-
ვარულით სავსე, როგორიც მგზა-
ვნელები არიან. კილო ჯადოქარო,

თუ სადმე არსებობ, გთხოვ, იყოს გოგონების პრობლემა ცელუ-ლიტი, ჭარბთმინანობა, ზედმეტი წონა, გემრიელი საჭმელი ისევ ასუქებდეს. მხოლოდ ამას გთხოვ, ცოტათი უფრო მეტი ბედნიერება გამოგვიგზავნე ადამიანებს. გთხოვ, იმდენად დაგვითბე გულელები, რომ მარტო სიკეთე ვაკეთოთ. გთხოვ, გამითენე ისეთი დილა, ქუჩაში რომ გავალ, მხოლოდ ღიმილი დავინახო და ბედნიერების სურ-ნელი ვიგრძნო. მარიკუნა, ნიკს ვიცვლი, რალაც მიზეზთა გამო. ამიერიდან ფარვანა ვიქნები. ძა-ლიან მიყვარხარ და მაპატიე, ამ კვირას სევდიანი ვიქნები“.

ნარკუშა

„ყველას მეგობრული სალაში. განსაკუთრებით, მგზავნელების გულის ვარდოს, მარის. ქე ამიჩ-ქარდა ეს ნელი, რაჭული გული, როცა ჩარჩოში ვნახე ჩემი მესიჯი. გეხარე, ბოშო! რაჭველობის გამო მოგვიანებით მოგნერთ, უპასუხო კითხვაზე. ქუთაისში ბირჟაზე ვდგა-ვართ. მოვიდა მეგობარი, განგრეულ კაიფში, თან მოჰყვა თბილისელი სტუმარი, უარეს კაიფში. ამ დროს, მოდის ახლობელი მანქანით, ნასვამი და დაუმიზნა სტუმარს. ძმაკაცმა რომ შეაბყო, ეტაკებო, დაუყვირა: ე, ბიჭო, უტიე, უტიეო. ვერ გაიგო თბილისელმა და მანქანამ გვერდი გაჰკრა. მივცვივდით. ქუთაისელმა უთხრა — რაია სიმონ, კასკადიორი ხარ, შე ჩემა? ხომ გითხარი, სიმონ, უტიეო? მძლოლმაც — ვერ მიტიე, სიმონო? დაზარალებულმა თავი წამოსწია და თქვა ბოი...შვილი ვიყო, თუ ვიცოდე, უტიე რა არის, თქვენ ხომ არ გაუტიეთო? ჩავსვით თბილისის „მარშრუტკაში“ და გამოვუშვით. „პერევეალზე“ რომ გააჩერა მძლოლმა, ნარკუშას გავლა ნდომებია და ჩამოვიდა. მერე შეშ-ლია და ისევ ქუთაისის „მარშრუტ-კას“ გამოჰყოლია და შუალამისას მოგვადგა. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ თბილისელ სტუმარს უტა ერქვა და ქუთაისში უტაიეს ეძახდნენ. რაჭველი“.

უცნაური ბებია და შვილიშვილი

„მატარებელში, მორიგ გაჩერ-ებაზე უცნაური ბებია და შვილიშ-ვილი ამოვიდნენ. ბებია ბუბიას ჰგავ-და, შვილიშვილიც შვილიშვილს, მაგრამ უცნაური ის იყო, რომ ბავშვს თავი მთლიანად ჰქონდა დაბინტული და მხოლოდ თვალები და ცხვირ-პირი უჩანდა. — შენ

კი მამიკვტითი! — ამოსვლისთანავე გაუქანა და ხეთქა თავში, ასე, 7-8-კილოგრამიანი მსუქანი ხელი ბუბიამ შვილიშვილს. — ვაი, — აღმოხდა ვილაცას, მაგრამ რა ჩემი საქმეაო, ხმა აღარ ამოუღია. — შენ კი მამე-სპიი! — ისევ ხია ბუბიამ ბიჭს თავში გაშლილი ხელი. — ალბათ ნერვიუ-ლი ქალია, დაასკვნა მეორემ. ცოდვა არაა, ბავშვი? ამისთანებს შვილიშ-ვილები არ უნდა ჰყავდეთ. ესენი ამ მსჯელობაში იყვნენ, რომ მიმავალმა თაობამ ისევ ლენა მომავალს ტორი შებინტულ თავში. — ქალბატონო, — ვლარ მოითმინა ერთმა — ამ სანყალ ბავშვს, ალბათ თავი აქვს გატეხილი ან გაბზარული და თქვენ თუ ასე ურტყით ყოველ 30 მეტრში, ცოდვა არაა? — „სვარშჩიკთან“ მიმყამს ქალაქში, ადგილობრივს არ ვენდობი, — უპასუხა ბუბიამ. — „სვარშჩიკთან“ რატომ მიგყავს? — ნაღდად უბერავსო, იფიქრეს ისევ მგზავრებმა. — იიი, რათა და ჩასკდეს ესაა, — კიდევ ბეთქა გაშლილი ხელი. — გაუტყდა არა, კიდევ ისა, ამის თავს რა გატეხამს? ომობანას თამაშობდნენ ეზოში, ქაა, ამიი კასკა რომ ვერ უშოვია, თავზე ჩემი „გარშოკი“ დაუხურამს, გაეჭყდა და ვლარ ვხდი. მეც „უგარშოკოდ“ დამტოვა და ახლა „სვარშჩიკთან“ მიმყამს, იქნებ შამააჭრას. ბინტი შე-მოვასვიე, მატარებელში „შიშველი“ გარშოკით ხომ არ ამოვიყვანდი? ხულიგანკა“.

რეპორტაჟი ბორჯომის სამშობიაროდან

„ჯერ ისევ სამშობიაროში ვარ და ამ მესიჯს გწერ. აქ ისეთი ამ-ბები ხდება, სიცილს ვერ ვიკავებ და მერე ვტირი, რადგან მუცელზე ნაკურები მტკივა. მოკლედ, პირველი კურიოზი: ბორჯომში, სამშობი-აროში წყალი არ აქვთ. საერთოდ არ მოდის და მელოგინების პა-ტრონები ეზიდებიან. დღეს რომ სიჩუმეში უცებ ფოიედან მამაკაცის დაფეთებული, მაგრამ ომანინი ხმა გაისმა: „მასპინძელო!“ — ვისაც შეეძლო, პალატიდან გაიხედა. კაცმა იკითხა, თვალის ექიმი მინდაო. ეს სამშობიაროაო, მიუგეს. სასწრაფოდ გავარდა. გუშინ კი ორი ბიჭი მოვიდა, მეუღლეების სანახავად და ჩვენი პალატის ფანჯრების ქვევი-დან (ეზოდან) მეორე სართულზე ელაპარაკებოდნენ გოგონებს. მე და დედაჩემს დიალოგი გვესმოდა. — რას აკეთებთ, რით ერთობით? სამი თუ ხართ, მეოთხე დაიმატეთ და ჯოკერი ითამაშეთ, თუ იცით ან ზაროო. მერე ჩაილაპარაკეს, აქ

მორფი ექნებათო. დედას ვუთხარი, ახლა უნდა ავდგე, გავყო ფანჯარაში ჩემი „ქსივა“ და ვუთხრა — საპა-ტრულო პოლიცია! მერე ნახე, მგონი ერთმანეთს ასწრებდნენ-მეთქი. აბა, რას წარმოიდგენდნენ, მელოგინე პატრულს? ფანჯრის რაფაზე მაგ-ნიტოფონი შედგა. დაინახეს და ცოლებს ჰკითხეს, მუსიკა არ გაქე-თო? იმათ უპასუხეს, არ შეიძლებაო. — აბა, იქ რომ აქვთო?! — ხელი ჩემი ფანჯრისკენ გამოიშვირეს. მე კი „ვიპ პალატაში“ ვიყავი და რა იცოდნენ? ლამის გაგიჟდნენ. მერე ფეხზე წამოვდექი, ფანჯარასთან მივედი და დავინახე, ქვემოდან ბულა მოდიოდა ზმუილით, აქედან — მოხუცი ქალი და 2 გოგო. ერთს წითელი პარკი ეჭირა ხელში. მოტრიალდა ეს ბულა და გაედევნა. იმათაც რომ მოწინეს და გაიქცნენ, ლამის ძირს დავვარდი, იმდენი ვიცინე. ელისო“.

„გზას“ უყურე!

„მარი, რატომ არ მიბეჭდავ ჩემს გზავნილებს? ხუთშაბათს გავვარდი ბაზარში, „გზის“ საყიდლად, არიქა, მარიმ გზავნილი დამიბეჭდა-მეთქი, მაგრამ სადაა? ვინ დაგიბეჭდა? მარის სად სცალია ჩემთვის? მა-გრამ მაინც დიდი სიხარულით ვკითხულობ „გზავნილებს“. მოვ-დივარ ბაზრიდან და თან „გზას“ ვკითხულობ. აუ, ჩვენთან ისეთი გზებია, იცოცხლე, ფრთხილად უნდა იარო, რომ კისერი არ მოი-ტეხო, მაგრამ ვის ეცალა ამისთვის? გამწარებული ვკითხულობდი. ამ დროს ძმაკაცმა მითხრა: გოგო, გზას უყურე, გზას, ფეხი არ წამოჰკრაო. მეც გამწარებულმა ვუპასუხე — „გზას“ უყურებ, „გზას“-მეთქი. დაბ-ნეული მიყურებდა, რას ამბობსო? აი, მარი, რას გვიშვრები. სად დაფ-დივართ, ვლარ ვხვდებით. კნობკა, ქობულეთი“.

„ფანდარასტი“ მიშა

„ძმაკაცი მყავს ერთი, ჩვენი პრეზ-იდენტის სეხნიაა, მასავით ბრგვა, ახოვანი და ენერგიის ისეთ დოზას აფრქვევს, საჭაერო ხომალდს ყოფა კოსმოსში სასეირნოდ. აი, ცოდ-ნის დიაპაზონით და გონებრივი პოტენციალით კი ტიპური ჯუგ-ლაძეა („ჩიფსების თაობის“ გმირი). გულუბრყვილო და მიმნდობია, ოლონდ არ უნდა გააბრაზო, თორემ მტრისას! ცხოვრებას თავისი ბნელი მხარეებიც აქვს და ძმაკაცები როცა დეპრესიაში ვართ, ანტიდეპრესან-ტად მიშას ვიყენებთ და მერე ისიც ჩვენთან ერთად ხალისობს ხოლმე.

ერთხელ, დეპრესიის მორიგი შეტევისას მიშას დაურევ: — ძმაო, სხვა უბნის ბიჭებთან „ჩეპე“ ავნიე და საქმე უნდა გაირჩეს, მე დანარჩენ ბიჭებს ვნახავ, შენ კი ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე დაგველოდე, სადაც კაცები სამუშაოს მოლოდინში დგანან-მეთქი. ასე დავაყენე ჩვენი მიშა „სვიდოზე“ და ჩვენს ბიჭებს დაურევ. „ქსია“ ასეთი იყო: — აუუ, ეს რა გავიგე, თურმე მიშას იმიტომ აქვს პრობლემები, რომ ორიენტაცია აქვს შეცვლილი, ყოველდღე ცირკთან აბირუავენ და გეიდაქალოჩებთან ერთად უკანალს აქირავენ-მეთქი. ზოგმა ეჭვი გამოთქვა, ზოგმა დაიჯვრა, ზოგმა — არა. ბოლოს, ჩემი რჩევით ფაქტის დასაზუსტებლად, ორ მანქანაში „ჩაზვილი“ 11 კაცი ცირკთან ავედით და ცისფრებისგან მოშორებით გაჭირდით, დასაზვერად. მიშა იქვე იდგა. — აუ, მოვკლავ ამ ჩემისას, — გაცოფებული ბიჭები ჰიჩკოკის ფილმიდან გადმოსულ დემონებს ჰგავდნენ. მიშა კი „ფორმა“ მანქანიდან გადმოსულ ბუნჩულა ბიძებს ცვეტში ჰყავდათ და ისიც ყველას ლიმილით რალაცას უხსნიდა. ეტყობა ფიქრობდა, სხვა მუშებისგან ძლიერი პარამეტრებით გამოვირჩევი და ჩემი წაყვანაც ამიტომ უნდათო. ბიჭებში კი აგრესიამ ზღვარს მაშინ მიაღწია, როცა მანქანიდან გადავიდნენ და მიშა ლიმილითა და ხელების ქნევით მათკენ გამოეშურა. მე კი რაკი მივხვდი, მაზოხისტურ სიამოვნებას არავინ შემარჩენდა, ტრაგიკულ ფინალამდე მოვასწარი და იქიდან მოვხიე. მოკლედ, როგორც ხდება ხოლმე — გემი იძირება, ვირთხები კი გარბიან. P.S. სხვათა შორის, წლით ვირთხა ვარ. განძის მაძიებელი, თელავიდან“.

ამკვლელეული

„ერთი მეზობელი მყავს, თამუნა. ცოტა „ლეტნადაა“. ჰოდა, ბიჭმა დაურევა. მათი საუბარი კი ასეთი იყო:

- გოგონი, რა გქვია?
- თამილაი, შენა?

— მე — გიორგი. სად ცხვრობ?

— ნებოძირში, შენა?

— მე ბათუმში. რამდენი წლის ხარ?

— თექვსმეტი. შენა?

ამ ბიჭს ნერვებმა უმტყუნა და უთხრა:

— გოგო, რა მოხდება, ყველაფერს „შენა“ რომ არ დააყოლო? გეტყობა, მართლა სოფელი ხარ.

თამუნამ ტონი შეიცვალა:

— ბიჭო, ეეე... ავმკვლელდები ახლა, ჩემი...

ბიჭმა უთხრა — ეგრე სჯობია და ცოტა ვერა ხარ, ხომ იცი, „შენა“.

— ე, ბიჭო, ახლა მართლა ავმკვლელდები, გაიგე, შენა?

P.S. მარ, ნუ მბლოკავ, თორემ ავმკვლელდები, გაიგე შენა? ლუნიტა“.

ლოგო

„ამ დღეებში სამარშრუტო ტაქსით დასავლეთიდან თბილისისკენ ვიმგზავრე (ვიძაგაგე) მაგასაც თუ ტრანსპორტი ერქვა... გარეთ თვალს აბრმავებდა, შიგნით კაცს. იმდენი გვაჯაყვავა, თვლები მკერდთან მოგვიტანა და გული — მუხლებთან. რიკოთზე რომ ჩავიდა მძლოლი სასადილოში, ერთი საათი დასჭირდა, თავისი გასახეთქი კუჭის დასაწყნარებლად. მერე ეტყობა მიხვდა, მაგვიანდებო და ისე დააჭირა აქსელერატორს ფეხი, ნომრამდე გაიტანა და რაც თვითონ ჭამა, ჩვენ მოგვანებინა. ფანჯრიდან მაცქერალმა, თვალი მოვკარი სააკაშვილის 5-ნომრიანი პლაკატებით „განუპილი“ შენობის გრძელ კედელს, რომელთათვის დროს და ოპოზიციას ვერაფერი დაეკლო. მათ ქვევით კი ვილაც ქალს ყვავილები და გვირგვინები ჩაემწკრივებინა, მთელ სიგრძეზე (გასაყიდად) გვიან მიმხვდარა ის ქალბატონი, გვიან... მიშა რამდენი ხანია, რაც მოგვიკვდა და მხოლოდ თავის ერთი მუჭა ხალხისთვის ცოცხლობს. მოკლედ, მიშა რა მოსატანია, იმ მძლოლმა

ისე გვანამა და გვიშალა ნერვები. საცოდავმა კაცებმა იმდენი უხათუნეს ქერს, მინას და ერთმანეთს თავები, ტრანსპორტიდან ჩასული, ყველა ტყუპისცალივით ჰგავდა ჯონდის. ერთმა მგზავრმა კი საცოდავად ამოიკვინესა — რაც მე თბილისში ჩამოსვლაზე ვინვალე, ამდენი დაბადებისას არ მიწვალაო. მე კი ისე ჩამოვლასლასდი, ხმის ამოღების თავიც არ მქონდა, რადგან პირველი არხის ლოგოს ფორმა მქონდა მიღებული. კამელია“.

„მგონი ბელნან მეცნობა... ბელა, თუ სამედიცინოზე, „სტომატოლოგიურის“ მეორე კურსზე ხარ და თან კახეთთანაც რაიმე გაკავშირებს, გამაგებინე, დაიკო, O.K.? ილინი“.

„გამარჯობა, მარი. ძალიან მაგრად მომენატრეთ. „გზა“, რა ხანია, არ წამიკითხავს, რადგან სტამბოლში ვიყავი, მაგრამ ჩემს აბლახანუმს თურმე მთელი სამი თვის მანძილზე უგროვებია და მაგრად გამიხარდა. ყველანი მართლა ძალიან მიყვარხართ. „კაროჩე“, ჩემს ძველ „კლიჩკას“ ვერ ვიშორებ და... დორე სოფო“.

„ჩემო კარგო მარი, ერთი რამ უნდა გითხრა. ძალიან მინდა, სანთელთან და ბუსუსუნასთან ინტერვიუ ჩაწეროთ. ბუსუსუნაში იმხელა სულიერება დავინახე, ძალიან შემეყვარდა, ისიც და სანთელიც. გაიხარონ, კარგი წყვილია. გერასიმე“.

„წინა ნომერში ინდირა განდიზე რომ იყო მესიჯი, მაგრად ვიცინე და მერე ერთი ამბავი გამახსენდა: იმ დროს, ჯერ კიდევ ყოფილ საბჭოთა კავშირში ჯავაჰარლალ ნერუ იყო ჩამოსული, ინდოეთის პრემიერი. ჰოდა, დილით სოფელში ერთმა ჩვენებურმა, „მოსიარულე იუმორმა“ ბიძამ ჩამოიარა და მობირუავენს რიხიანად აცნობა: ბიჭებო, გაიგეთ, ჯაბა ჰარლი-ჰარალე ჩამოსულაო. მთიელი“.

„აუ, რა ვიცინეეე! ჩემმა „უნარების“ მასწავლებელმა ტაქსი გამოიძახა. რომ მოვიდა, უთხრა, დღეს 1-ელი აპრილიაო. ტაქსის მძლოლი უნდა გენახათ, თვლებით იგინებოდა, ცხრასართულიანს. EMILY“.

„გუშინ ჩვენმა დამრიგებელმა მადლობა გადაგვიხადა, შატალოზე წასვლისთვის და კითხვები დაგვყარა — რატომ მოიქეციით ასეო? პასუხი, რომ ვერ მიიღო, უფრო განაწყენდა. დარიკო მასწ, ბოდიში რაა, არ გვინდოდა, მაგრამ ის რა იყო, რომ გვითხარით, თუ შატალო გინდოდათ, გაკვეთილების მერე წასულიყავითო? რობინ ჰუდი“.

„მიკა, არ გინდა, ჩვენს კლუბში განვერდე? უკვე საიტიც გავაკეთეთ და შენც თუ შემოგვიერთდები,



ზოგიერთი ჩაოსტოვის სიამაშის
საიღებლო ცხვარების შოლოდუ
საიღებლოდ ჩივს.

მაგარი იქნება. აბლახანუმ, არ გინდა, გავიცნოთ ერთმანეთი ბათუმელებმა? მე, ვერმასტი და ბუბუსიკა ძალიან ხშირად ვნახულობთ ერთმანეთს. ძალიან მაგარი იდეები გვაქვს და იმედია, შემოგვიერთდებით. მის რეალ, გილოცავ დაბადების დღეს, ზღვა სიხარულს და ულამაზეს სიყვარულს გისურვებ. არ მიცნობ, მაგრამ მეც ხომ ამ დიდი ოჯახის წევრი ვარ? :-) ყველანი ძაან მაგრად მიყვარხართ. ლელუჩია, კანიბალკა, სესი, მომენატრეთ. გაკოცეთ უამრავი. კიკო“.

„ვინმე გოჩა მანვილიძის „მგლებს“ თუ კითხულობს? ძალიან მიყვარს მგლების პერსონაჟი ლუკა ანუ მგელო. არ ვბაძვ ნიკით, მაგრამ მისდამი სიყვარულს ასე ვაძლავნებ. მე უკვე 2 წელია, მგელო გავხდი და ყველას ვუბნები, ტექნიკურად ნუ მახვეთ ნიკს. მგელკაცა და მგელქალა... აქ მგელო მე ვააარ! აი, ხომ ხედავთ, რა პოპულარულია მგელი? არ მინდა, რა! ყველა მგელი გახდა ახლა. სად იყო ეს ხალხი მანამდე? ახლა დამწამებენ, მეგრული მგელო ავია და ბოროტი და რა უფლება აქვს, რომ მგლობას გვიკრძალავსო? დიას, გვიკრძალავთ! ყველა მგელოა ახლა და ნაღდი ვინეგრეტია, რაა. ჩორმა და მესტრომ თქვეს, მგელოც იყო მგზავნელების შესხედრაზეო. არადა, ეგ რისი ბრალია, იცით? იმის, რომ იმდენი მგელია, ვლარ არჩვენ. ჩემი ნიკი იმიტომ მომწონდა, რომ ორიგინალური იყო. ახლა მაგარი „გამიპარშივს“. ყველას გთხოვთ, ნიკი მგელი დატოვეთ! მეგრული მგელო“.

„გამარჯობა, მარი, მე ნანყენი ვარ, არც კი გენატრები. იყო დრო, ყველა გზავნილს მიბეჭდავდი, მაგრამ ახლა? თუ ექიმები არ გიყვარს? მე ხომ ძალიან მიყვარხარ... მარად თქვენი ერთგული, ფსიქოლოგი Y-20. PS. უკანასკნელად ვცდი. თუ დამიბეჭდავ, გავაგრძელებ დამესიჯებას, არა და, მაგრად ვიტირებ და „გზას“ აღარასოდეს ვიყიდ“.

„დღეს მესტრო და დუჩი გავიცანი. :) ძალიან საყვარლები იყვნენ. თუმცა, ჩემი ცუდი განწყობილების გამო, მათზე ალბათ კარგი შთაბეჭდილება ვერ მოვახდინე. გიომ „მაკდონალდსში“ დაგვაპტიყა. ცოტა ვიჭორავთ და წამოვდით. ორივეს მოფერებები და კოცნები ჩემგან. ახლა, რაც შეეხება თემას: ნამდვილი სიყვარულით არავინ მყვარებია, მაგრამ იყო ჩემს ცხოვრებაში ისეთი ეპიზოდი, როცა ერთ ადამიანზე საექვოდ ბევრს ვფიქრობდი. :) მიუხედავად ჩვენი გრძნობის ორმხრივობისა, ერთმანეთისთვის არაფერი გვიგრძნობინებია. ახლა? ახლა

ვმეგობრობთ და ძალიან ვაფასებ. ის დრო კი ლამაზ მოგონებად დარჩა. მიყვარხართ ყველა. ნილობსანი“.

„მე და განძის მაძიებელი ვხუმრობდით, ვის დაუბეჭდავსო, მაგრამ ეს ხუმრობის ფარგლებს არ გასცდენია. ასე რომ, მარი, კვლავაც შენებური იუმორის შარმით შერჩეული მესიჯები ბეჭდე, არ აქვს მნიშვნელობა, ჩემი თუ სხვისი... გაიხარეთ ყველამ, ძალიან მიყვარხართ, მგზავნელებო. თელავის კლუბი „დილეტანტი გენიოსები“ სტარტზეა და ველი ახალ წევრებს. გაუმარჯოს თელავს! მის რეალი“.

„ჩემმა „ჟმოტმა“ მეზობელმა იმდენი ინერვიულა, ნეტავ რამდენი მოვა სახლის ტელეფონზე გადასახადიო, რომ სიზმარში ნახა, 37 ლარი და 25 თეთრი. გუშინ მოვიდა ქვითარი და ნახა, ზუსტად ასე იყო. ნათათო“.

„ოჩოპინტრე, მე ვარ უნივერსიტეტელი მგზავნელი და თუ გინდა, მარის ჩემი ნომერი გამოართვი. გაგიცნობ, რა პრობლემაა? :) ჰოოდა, მერე სხვა უნივერსიტეტელებსაც გაგაცნობ. ლორელია“.

„მარი, მარ, მარიკოო!... რა გჭირს, გოგო, არ გესმის, რომ გეძახი? დავიჯერო, ასეთი უჩინარი და უინტერესო ვარ, რომ ვერ მამჩნევ? კაი, აღარ ვინუნუნებ. მესმის, რომ ჩვენ ბევრი ვართ, შენ კი ერთი და ყველას ვერ დაგვიბეჭდავ მესიჯებს. მარ, იცი, როგორ გამახარებ, ერთს მაინც თუ დამიბეჭდავ? მშუა, შენ, ცხვირუკაზე. კახელო-616“.

„ვანო (ჩემი კლასელია) სურამის გალამაზებას აპირებს, მაგრამ ერთი პრობლემა აქვს — ფული არ აქვს. სკოლამ ერთი დღით „დირექტორად“ დანიშნა და ისე შეიფერა (აბა, ჩანჩურა კაცი კი არ ვარო)... ჰოოდა, ამ ინტელიგენტ, მომავალ „სურამის ამყავებელს“ არ სჯერა, რომ „გზაში“ ჩემი მესიჯები იბეჭდება. მუუბნება, რაღაცას მელადავებო. ჰოოდა, ახლა რაღას იტყვი, შენზე ერთ რამეს რომ მოუყვები, ჩემს მარის და მგზავნელებს? ბავშვებო, ერთხელ ვანო რუსულის გაკვეთილზე ყვირილით შემოვიდა: „ია ვოლკ, ია ვოლკ!“ ჰოოდა, მასწავლებელმა უთხრა — „ვოლკი“ კი არა, „კურიცა“ ხარო. მარ, დამიბეჭდე, ვანოს ჯინაზე. ლუნიტა“.

„ერთმა მასწავლებელმა თავისი განრისხება ვერ დაფარა და მოსწავლეს, რომელიც მასზე ლამის 3 თავით მაღალი იყო, ნიხლი ამოარტყა (ქალმა) თან შშობელი მამა დაიბარა და საყვედურებით აავსო: შენი შვილი თავზედია, გაუზრდელი და ნამდვილი ვირიო. კაცმა ვლარ მოითმინა და ბრალდებაზე უპასუხა — ვირი ვინ არის, ზედ ეტყობაო.“

მისის-იპი“.

„არა, არა, ვეტყვი თქვენს „სასტავს“ აუცილებლად სჭირდება და აი, მეც აქ ვარ. მიყვარხართ ყველა. დ.ი.კა“.

„მგზავნელების სულ მიკვირდა, რანაირად უნდა ჩაიციკლო და გააკეთო ყველაფერი, რომ ოღონდ „გზა“ ჩაიგდო ხელში ან როგორ უნდა შეგიყვარდეს ასე ძლიერ-მეთქი, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში მოხდა ისეთი რამ, რომ არა „გზავნილები“ და თქვენ, მგზავნელები, ალბათ ვერ გადავიტანდი და ჭრილობებსაც ვერ მოვიშუშებდი. ახლა მესმის თქვენი, რადგან მეც ბევრჯერ „გზის“ გულისთვის უკანასკნელი თეთრები გამიმეტებია დაუნანებლად. ასე რომ... მაპატიეთ, მგზავნელებო, თქვენს გულწრფელ სიყვარულში ეჭვი რომ შევიტანე. მაპატიებთ? ყველა უზომოდ, უზომოდ მიყვარხართ მართლა, დედას გეფიცებით. თაქუსულა“.

„მე გიპასუხებ, ოჩოპინტრე, მარი თუ არა. :-) აქვთ საიტი „მგზავრებს“: www.mgzavrebi.pico.com. ძაან მაგარი საიტია. პუშკუნა“.

„ახლა ძველ „გზას“ ვათვალიერებდი, 2 წლის წინანდელს. მაშინ „გზავნილები“ 2 ფურცელი ძლივს გამოდიოდა. ახლა იმდენი არიან (ლმერთმა გამრავლოთ), რომ „გზის“ საათობრივ გამოშვებას ითხოვენ. ლან, გთხოვ, შენი სურათი გამოაქვეყნე, რა... ილინ, კანიბალკა, ლელუჩია, ფინტიკოზა, პენსიონერო, შენირულო, კამელია, მაგრები ხართ! მაკარენა“.


„მინდა, მგელ-კაცას ვუთხრა, რომ მაგარია და ნიკი არავის გამო არ შეიცვალოს. მგელო, კახეთში კიდეც ბევრი მგელია, ხომ არ გაცილობდი?“

„მარ, მიშველე რამე, რა, მგზავნელებს გოგო ვგონივარ. ლიმონ, არაა შენი ბრალი, ალბათ ნიკი მაქვს ასეთი. ადრე სესისაც ასე ეგონა. სეს, მოკითხვა. აბსურდა“.

„ვმარხულობ და ბებიჩემი სულ იმას ნერვიულობს, რა უნდა ვჭამო ხვალ. ჰოოდა, ერთხელ მთელი დღის ფიქრის შემდეგ მომდევნო დღის მენიუ გამცნო. ქეთო, ხვალ მანწის კერძს მოგიზადებ, ზეთითო. სიცილისგან მუცელი მტკიოდა. ბებო კი ვერაფერს მიხვდა, სანამ არ აუხსენი, რა მაცინებდა. პეტრუშკა“.

„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ — ანგარებით ქორწინება. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marrita77@yahoo.com კითხვა მოკლე ჩართვისთვის: რას არ მისწერდით შეყვარებულს?

დააკვირდი ფოტოს რამდენიმე წუთის განმავლობაში და დაიმახსოვრე, რა გაიფიქრე ამ დროს. შემდეგ შეგიძლია, ქვემოთ მოყვანილი ტესტის პასუხები წაიკითხო და გაიგო, გაგიმართლა თუ არა მეორე ნახევრის შერჩევაში.



1. თუ ფოტოს დანახვისას უსიამოვნო მოგონებები აგეშალა, სავარაუდოა, რომ შენი ოჯახური ცხოვრება არ შედგა. ძნელია თქმა, ვინ იყო დამნაშავე, მაგრამ ფაქტია, ცოლქმრულ ცხოვრებას ირონიით უყურებ და მიიჩნევ, რომ შენი ბრალი ნამდვილად არაფერია. თუ ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის დაჯარგულთი, ჯობს ჯარგად დაფიქრდე და შეხედულებები შეიცვალო.

2. თუ ფოტოზე დააკვირვების დროს ამოიოხრე და გაიფიქრე, რომ ოჯახი მძიმე ტვირთია, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს და ეს ტვირთი ბოლომდე უნდა ათრიო, სავარაუდოდ, რეალის-

ტი ხარ და ცხოვრებას ფხიზელი თვალით უყურებ; იცი, რომ იდეალური ქორწინება არ არსებობს და მეუღლის ნაქლოვანებებს შეგუებული ხარ.

3. თუ სასიამოვნოდ გაგელიმა, ტელეფონს დასწვდი და მეუღლის ნომერი აკრიფე, რათა უთხრა, როგორ გიყვარს, ალბათ, საკუთარ მეორე ნახევარს ჯარგად არ იცნობ, ანდა სულ ახალი დაქორწინებული ხარ და თქვენი თაფლობის თვე ჯერ კიდევ არ დასრულებულა. თუ დიდი ხნის ოჯახი გაქვს, გილოცავ! გაგიმართლა და ეგაა, მომგებიანი ლატარიის ბილეთი შეგხვედრია.

ინსტრუქცია თანამდებობის პირი შეაკაცებისთვის

ქვემოთ მოყვანილი ინსტრუქცია ხუმრობა არ გვგონოთ, ის 1943 წელს, ამერიკელი მამაკაცებისთვის გამოიკვამ. მოხედდავად იმისა, რომ მას შემდეგ ძალიან დიდი დრო გავიდა, ვფიქრობ, მასში მოცემული მითითებები დღესაც აქტუალურია და მათი ცოდნა არც ქართველ მამაკაცებს აწყენდა.



1. ეცადე, სამსახურში ახალგაზრდა, გათხოვილი ქალები მიიღო. გაუთხოვრებთან შედარებით, მათ პასუხისმგებლობის გრძნობა ზომიერად მეტად აქვთ განვითარებული და ფლირტის მიმართ გულგრილნი არიან. მათთვის სამსახური აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ინტერესიანები და ენერგიულები არიან და შესასრულებელი სამუშაოს მიმართ — ყურადღებიანნი.

2. თუ ასაკოვანი თანამშრომელი გჭირდება, ყურადღება მასზე შეაჩერე, ვისაც სხვა სამსახურში მუშაობის გამოცდილება აქვს. თუ ასაკოვან ქალბატონს არსად უმუშავია, ჯუჯღუნა იქნება. ზედმეტი არ იქნება, თუ ასაკოვან თანამშრომელს შეახსენებ, რომ ზრდილობის წესები უნდა დაიცვას და კოლექტივში მეგობრული ურთიერთობა შეინარჩუნოს.

3. გამოცდილებამ აჩვენა, რომ პუტკუნა ქალბატონები გაცილებით ნიჭიერები, ერთგულები და შრომისმოყვარენი არიან, ვიდრე — გამხდრები.

4. აიყვანე ექიმი, რომელიც მომავალ თანამშრომლებს გამოკვლევებს ჩაუტარებს. ეს საშუალებას მოგცემს, მომავალი თანამშრომლების ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობა წინასწარ შეისწავლო და ის ნიუანსები გამოავლინო, რომელიც დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში ხელს შეუშლის.

5. თანამშრომელ ქალბატონებს თავიდანვე განუმარტე დროის ფაქტორის მნიშვნელობა და აუხსენი, რომ ყოველი დაკარგული წუთი შესრულებულ

სამუშაოს ეფექტურობას უკარგავს და შესაძლოა, სერიოზული პრობლემები შეექმნას. ვიდრე ამ ფაქტორს არ შეაგნებინებ, მუშაობის ტემპი დაბალი იქნება.

6. ყოველ ახალ თანამშრომელს თავიდანვე განუმარტე მისი უფლებები, მოვალეობები და შესასრულებელი სამუშაოს რაობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის წამდაუნუმ კითხვებით შეგანუხებს. ბევრმა ორგანიზაციამ პრაქტიკიდან გამომდინარე, დაასკვნა, რომ ქალები დაგეგმილ სამუშაოს უკეთ ასრულებენ, რადგან მათ ინიციატივა არ ჰყოფნით საიმისოდ, რომ დამოუკიდებლად გადაჭრან ესა თუ ის საკითხი.

7. შეძლებისდაგვარად, მიეცი საშუალება, შეცვალონ შესასრულებელი სამუშაო. მონოტონური საქმე მათ ნერვებს უშლის.

8. წინასწარ განსაზღვრე დღის მანძილზე შესვენებების რაოდენობა. ამ დროს ქალის ფსიქოლოგია უნდა გაითვალისწინო: ქალები გაცილებით თავდაჯერებულნი არიან და დაკისრებულ მოვალეობას უკეთ ასრულებენ, თუ დღის განმავლობაში თმის შესწორებასა და ტუჩზე პომადის დამატებას რამდენჯერმე მოახერხებენ.

9. მათთვის ინსტრუქციის ჩატარება და გაკრიტიკება ტაქტიკურად გმართებს, რადგან ძალიან მგრძობიარენი არიან. მამაკაცებისგან განსხვავებით, უხეშობას მტკიცვეულად განიცდიან. არასოდეს დასცინო მათ, რადგან განწყენდებიან და სამუშაოს ეფექტურად ვერ შეასრულებენ.

10. ქალთა კოლექტივში ბილნი სიტყვებს ნუ გამოიყენებ. თუნდაც შინ ქმრისგან ან მამისგან გამუდმებით გინებას ისმენდენ, სამსახურის შერჩევის დროს უპირატესობას იმ კომპანიას ანიჭებენ, სადაც მათ მიმართ პატივისცემას გამოხატავენ.

11. თუ სამსახური სპეცტანისამოსის ტარებას ითვალისწინებს, ქალებს საშუალება მიეცი, რომ არჩევანი გააკეთონ. მოუშადა, რაც შეიძლება მეტი ტანისამოსი და მიეცი უფლება, თუნდაც 100 ეგზემპლარი მოისინჯოს. ქალის კარგი განწყობილებისთვის ამ მომენტს დიდი მნიშვნელობა აქვს.

მოკლე ჩართვა

რატომ ავირჩია ეს ნიკი

- 5 იანვარს არჩევნებზე მივედი და საარჩევნო სიაში ნინოს ნაცვლად კიკო ეწერა. მომეწონა და ნიკად ავირჩიე. მანამდე კი ბათუმელი ნინი ვიყავი. კიკო.
- ბავშვობიდან ტომ სოიერივით განძის პოვნაზე ვოცნებობდი და ამ სურვილის რეალიზებისთვის ბრძოლაში ბევრჯერ დავმარცხებულვარ. ბრძოლას ვაგრძელებ და ამიტომ ისევ „განძის მაძიებელი“ ვარ. როცა ვიპოვი, ნიკს გამოვიცვლი და მგზავნელებს შამპანურში გალივლივებთ, მარი ჯაფარიძის თამადობით. თელავი.
- ვიფიქრე, ბევრი „მისია“ „გზაში“ და ერთი „მისის“ მაინც იყოს-მეთქი. თან რაღა დროს ჩემი მისობაა, ქალი „დავბერდი“. მისის-იპი.
- იმიტომ, რომ არც ვიყო გრუზინკა და არც მერქვას? საშინლად მინდა, დაბადებით „გრუზინკა“ ვიყო ამის გაგება ასე ძნელია? გამიგეთ, რა გრუზინკა. >>>32



თორ ყორღანაშვილი (მამაცი თოჯინა)

ერთ საღამოს მობილურზე მესიჯი მივიღე. ვილაც სიყვარულს მეფიცებოდა. თან მორცხვობდა და ვინაობას არ მიმხელდა — ვიცი, ხელს მკრავო. ამას სატრფიალო ლექსები მოჰყვა. ის იყო, ჩემს გულში სასიამოვნო სიტბომ შეაღწია, რომ ადრესატმა განმიცხადა, ლიმონა-მანიუ ვარო. მას შემდეგ, ჩვენს საყვარელ მგზავნელს მე რომეოს ვეძახი, ის — ჯულიეტას. ახლა საშუალება გეძლევათ, უკეთ გაიცნოთ სუსათი სქესის რომეო, იგივე თეონა ლემონჯავა.

— თეო, მკითხველს საკუთარი თავი გააცანი. ვინ ხარ, საიდან მოხვედი „გზავნელებში“?

— თეო გახლავართ, ლემონჯავების ოჯახიდან. როცა დავიბადე და ნანატრი ბიჭის მაგივრად გოგო „გავეძვრე“, დედამ თაია დამარქვა, მაგრამ ბაბუაჩემს არ მოეწონა და დაბადების მოწმობაში თეონა ჩამიწერა. თურმე, „პაჩტი“ ექვსთვიანი დავიბადე და სიკვდილს ძლივს გადავურჩი. ახლა დავლასლასებ თბილისის ქუჩებში. გასული წლის დეკემბრის დასაწყისში გავიგე ურნალ „გზის“ არსებობის შესახებ, მგზავნელების „ნაშრომები“ წავიკითხე და ვიფიქრე: მიდი, ლიმონ, შენც დაამესიჯე, შენი ამბები-მეთქი. გავუშვი თუ არა პირველი მესიჯი, მაშინვე

ამჯერად, კვლავ მამაცი თოჯინას მიერ მომზადებულ ინტერვიუს გადავზოხობთ. მოხარული ვარ, რომ მგზავნელები ძალზე აქტიურობთ. მერწმუნეთ, მეც თავად დიდი ინტერესით ვკითხულობ ხოლმე თქვენ მიერ მოწოდებულ მასალას. ჟურნალისტებს მინდა ვთხოვო, რომ რესპონდენტებს უფრო მეტი კითხვა დაუსვან პირადი ცხოვრების შესახებ, რადგან ინფორმაციის სიმწირე დაუკმაყოფილებლობის გრძნობას იწვევს. ახლა კი მამაცი თოჯინას და ლიმონას საუბარს შემოგთავაზებთ

დაიბეჭდა. მას მერე არ გავჩერებულვარ, მაგრამ „პროსტა“ მარი მბლოკავს — მოწოდების სიმალღებზე ვერ ხარო.

— რა სიმბოლური დატვირთვა აქვს შენს მეტსახელს?

— რაც თავი მახსოვს, ლიმონას მეძახიან, რადგან ჩემი გვარი მეგრულად ლიმონის ხეს ნიშნავს. კლასში 4 თეო ვიყავით. მე ცოტა წელში მოხრილი დავდიოდი და „ბლატნოი“ „ვიდზე“ ვიყავი (სკოლა და უბანი ლიმონასიამეთქი, ვფიქრობდი). ცოტა მოგვიანებით გავაცნობიერე, რომ გოგო ვიყავი და ასე მოქცევა არ შეიძლებოდა. „მანიუ“ ჩემი საყვარელი ფეხბურთის გუნდის, „მანჩესტერ-იუნაიტედის“ შემოკლებული სახელია.

— ფეხბურთის გულშემატკივარი ყოფილხარ...

— ფეხბურთი და ლიმონა განუყოფელია. უბნის ახალგაზრდები ფეხბურთის საყურებლად ჩემს სახლში იკრიბებოდნენ ხოლმე. ახლა ფეხბურთს მეც მაგრად ვთამაშობ. ხანდახან „წავითამაშებ“ ხოლმე, უბანში. ახლა უნივერსიტეტში გოგონების გუნდი შევქმენი. სხვა უნივერსიტეტელებს ვინვევთ სათამაშოდ.

— რომელ ფაკულტეტზე სწავლობ?

— იურიდიულზე. უნივერსიტეტის გაზეთშიც ვმოდვანეობ, რალაც-რალაცებს ვწერ.

— ლექსებს აღარ წერ? კარგად მახსოვს შენი ლექსი მგზავნელების შესახებ.

— ვწერ ლექსებს, ჩანახატებს, ნოველებს და ყველაფერს, რასაც ჩემი მუზა მომანვდის. „ბედისწერის ფილოსოფია“ — ეს იმ

რომანის სახელია, რომლის გამოქვეყნებაც „გზაში“ მინდა. ვნახოთ, რას იტყვის მარი.

— შენი აზრით, რას იტყვის? რომანი რაზეა?

— ერთი პატარა, სევდიანი სიყვარულის ამბავია. ფინალში კი ცხარე ცრემლითაც იტირებს კაცი. მარი, რას იტყვი?

— თეო, შეყვარებული გყავს?

— „სნიკერსი“ და ჩურჩხელა მიყვარს, ნამეტნავად. როცა ცუდ ხასიათზე ვარ, მეგობრებს მოაქვთ ხოლმე. იციან, როგორ გამომიკეთონ გუნება. რაც შეეხება შეყვარებულს, ჯერ მაგისტვის არ მცხელა. ჩემს პრინცს ველი. უფრო სწორად, თანამედროვე ცოტნე დადიანს. ჩემი რჩეული მას უნდა ჰგავდეს. „მე შენ მაგონებ იმ დადიანს, ცოტნეს, სოცარს, ვდგავარ და გიცქერ მონინებით, როგორც სალოცავს“... ჩემს მომავალ შეყვარებულზე დავწერე, წინასწარ. თუ ასეთი ვერ ვიპოვე, მომიწევს შინაბერობა. ჩემს ჯონდის არ იცნობ?

— როგორ, ჯონდი კიდევ გესიზმრება? ლიმონ, შენს ხასიათზე გვიტხარი რამე, 1-2 სიტყვით.

— მხიარული, ემოციური, ენერგიული, ამბიციური, მეგობრული, ამაყი და პრინციპული ადამიანი ვარ და მამიკოს ჯიუტი შვილი. არ მიყვარს, როცა მატყუებენ, მეუხეშებიან და მაყვირებენ.

— მგზავნელებიდან ვინ მოგწონს განსაკუთრებულად?

— ყველანი ერთნაირად მიყვარხართ, მაგრამ ჩორი — ყველაზე მეტად. წინასწარ ვიცი ხოლმე, რომ პარიჟანკას, კარდიოლოგის, შენი, კამელიას და ილინის მესიჯები მაგარი „ხობმა“ იქნება.

— კლუბ „მგზავრების“ ნეფრი ხარ. რა არის ახალი, რა გეგმები გაქვთ?

— „მგზავრებზე“ არაფერი ვიცი. თუ გინდა, მოგიყვები, მე რა გეგმები მაქვს. მინდა, ჩვენი კლუბის სახელით კარნავალ-„ფართი“ მოვანყო, რომელსაც „მგზავნელების“ სამეფო კარი“ ერქმევა. გაუყალბებელი არჩევნების საფუძველზე ავირჩევთ „დედოფალს“, „ესემეს-მინისტრს“, „ჭამის მინისტრს“. კიდევ ბევრი ნომინაცია იქნება. ჰოდა, იაქტიურეთ, მგზავნელებო!



უზრნალი „ბარი“ აღარ იქნება?

ამ ბოლო დროს უამრავს მკითხველმა დამიმესიჯა და მთხოვა გამერკვია, მართალია თუ არა, რომ უზრნალი „ბარი“ აღარ გამოვა. ამ თემაზე მოსული მესიჯები ისე მომრავლდა, რომ გადაწყვიტე, მკითხველის ინტერესი დამეკავშირებინა. მით უმეტეს, რომ „გზა“ და „ბარი“ ერთი მედიაჰოლდინგის პროდუქტია. სრული ინფორმაციის მისაღებად მედიასახლი „კვირის პალიტრის“ კრეატიულ დირექტორს, ქალბატონ მარიკა დარჩიას მივმართე.

— ქალბატონო მარიკა, უამრავ მკითხველს აინტერესებს, მართალია თუ არა უზრნალ „ბარის“ შესახებ გაფრცვლული ჭორო, რომ ის უქმდება?

— ჭორო ნაწილობრივ შეესაბამება სიმართლეს. საქმე ის გახლავთ, რომ მედიასახლი „კვირის პალიტრა“ ფართოვდება. მან 2, ერთმანეთის კონკურენტი ახალგაზრდული უზრნალი, „ბარი“ და „ოსკარი“ შეიძინა. გამომცემელთა გადაწყვეტილებით, ამ 2 უზრნალის შერწყმა მოხდება და ერთ-ერთის — „ოსკარის“ სახელწოდებას შეინარჩუნებს.

— მაშასადამე, ერთი უზრნალის შექმნით მკითხველი 2 უზრნალის რუბრიკებს ერთდროულად გაეცნობა?

— დიახ, სწორად მიხვდით. ამ 2 უზრნალს ძირითადად ერთი და იგივე აუდიტორია კითხულობს. მათთვის გაცილებით მოსახერხებელი იქნება ერთი უზრნალის შექმნა. „ბარის“ ყველა რუბრიკა შეუერთდება „ოსკარს“ და 14 აპრილიდან, ყოველ ორშაბათს განახლებული „ოსკარი“ გამოვა, რომელშიც ბარის გვერდებიც იქნება. რუბრიკები თემებით, პოსტერებითა და სხვა საინტერესო იდეებით შეივსება და მუდმივად სიახლის ძიებაში იქნება.

— გამოდის, „ბარის“, როგორც ცალკე გამოცემის გაუქმება შესაშვითებული კი არა, სასიხარულო ამბავი ყოფილა.

— რა თქმა უნდა. სწორედ ამიტომ შაბათს, 5 აპრილს, „ბითლზკლუბში“ „ოსკარის“ დაბადების დღესა და 2 უზრნალის გაერთიანებას საზეიმოდ აღვნიშნავთ. ყველა ერთგულ მკითხველს საზეიმო შეხვედრაზე ვუპატიუებით.

— განახლებულ „ოსკარს“ „გზის“ კოლექტივის სახელით წარმატებებს ვუსურვებ.

— გმადლობთ.



10 ყველაზე სასაცილო სარჩელი

ბრიტანულმა გაზეთმა ყველაზე სასაცილო სარჩელების რეიტინგი შეადგინა: იდეა ჯი მას შემდეგ გაჩნდა, რაც პრესაში ერთ-ერთი სასამართლო პროცესის შესახებ დაიწერა. ჯერძოდ, ახალგაზრდა მამაკაცი სტრიპტიზბარის მოცეკვავე ქალბატონს იმის გამო უჩიოდა, რომ ამ უკანასკნელმა ცეკვის დროს თვალში ფეხსაცმლის ქუსლი მოარტყა.



1. 1999 წელს 27 წლის დანიელ დიუქსი ოკეანერიუმის აუზში დაიხრჩო. მისმა მშობლებმა ოკეანერიუმში მცხოვრებ ზვიგენს უჩივლეს იმის გამო, რომ მან „არაადამიანურად“ მოკლა მათი ვაჟი და დაწესებულებისგან რამდენიმე მილიონ დოლარს ითხოვდნენ.

2. 1997 წელს ამერიკელმა მამაკაცმა სახელი და გვარი შეიცვალა და ჯექ ასი გახდა (რაც ვირს ნიშნავს). შემდეგ „მტვ“-ის უჩივლა იმის გამო, რომ შოუ „ჯეკასი“ მის სახელს უკანონოდ იყენებდა.

3. 1995 წელს ვინმე ანა აილამ ერთ-ერთ რესტორანს იმის გამო უჩივლა, რომ მათ მიერ მირთმეულ სოუსში ადამიანის მოჭრილი თითი აღმოაჩინა. გამოძიებით დადგინდა, რომ თითი ქალბატონმა თვითონ მოიტანა და სოუსში ჩააგდო. მას 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

4. 2000 წელს სერფინგის მოყვარულმა მამაკაცმა თავის კოლეგას იმის გამო უჩივლა, რომ ამ უკანასკნელმა ტალღა მოჰპარა. უცნაურ მოსარჩელეს საქმის აღძვრაზე უარი იმის გამო უთხრეს, რომ მისთვის განკუთვნილი ტალღის დასაკუთრებით გამოწვეული „ტკივილისა და ტანჯვის“ შეფასება შეუძლებელი იყო.

5. 1995 წელს ახალგაზრდა ქალბატონმა შეფს უჩივლა. სარჩელში ნათქვამი იყო, რომ ის სამსახურის მიერ მოწყობილ საზეიმო საღამოზე უზომოდ დათვრა, მერე მანქანის საჭეს მიუჯდა და ავარია მოახდინა. მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ

შეფს მისთვის ნასვამ მდგომარეობაში საჭესთან დაჯდომის უფლება არ უნდა მიეცა. ლინდამ სასამართლო პროცესი მოიგო. ამის შემდეგ, მას სამსახურმა 300 ათასი დოლარი გადაუხადა.

6. 2006 წელს, შავკანიანმა ამერიკელმა, ალენ ჰეკარდმა მაიკლ ჯორდანს და ფირმა „ნაიკის“ დამაარსებელს უჩივლა. ჰეკარდმა განაცხადა, რომ ჯორდანთან (რომელიც „ნაიკის“ რეკლამირებას ახდენს) მისი გარეგნული მსგავსება „ტკივილსა და ტანჯვას“ აყენებს. რამდენიმე თვის შემდეგ ჰეკარდმა სარჩელზე უარი განაცხადა და სასამართლო პროცესი შეწყდა.

7. 1991 წელს, ლუდის მოყვარულმა რიჩარდ ოვერტონმა ლუდის სახარშ გიგანტურ კონცერნს უჩივლა და მორალური ზარალის ასანაზღაურებლად 100 ათასი დოლარი მოითხოვა. მან აღნიშნა, რომ რა ოდენობითაც უნდა დალიოს ამ კონცერნის მიერ გამოშვებული ლუდი „ბუდი“, მის გარშემო ახალგაზრდა, ბიკინიში გამოწყობილი გოგონები არ ჩნდებიან. არადა, სარეკლამო რგოლში სწორედ ამას ჰპირდებოდნენ. მან კომპანია არარეალურ რეკლამასა და დაპირების არშესრულებაში დაადანაშაულა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ოვერტონმა 100 ათასი დოლარი მიიღო.

8. ერთ-ერთ სპორტულ ტელეგადაცემაზე მოწვეულმა სტუმარმა ტელეარხს იმის გამო უჩივლა, რომ გადაცემის მსვლელობის პროცესში,

მაყურებლების დარბაზში გადაყრილმა საფეხბურთო მაისურებმა მას მორალური და ფიზიკური ზარალი მიაყენა, რადგან ერთ-ერთი მათგანი თვალში მოხვდა.

9. 1999 წელს, კანადელმა ტურისტმა ნიუ-იორკის ერთ-ერთ სასტუმროს უჩივლა. მან განაცხადა, რომ სასტუმროს ნომერში ტუალეტის დასაჯდომი გაუმართავი იყო და როდესაც მან ქალაქისთვის ხელი გაიწოდა, დასაჯდომი გაცურდა, მისი პენისი ქვეშ მოიყოლა და უნიტაზის ნაპირს მიაჭყლიტა. მან „პერმანენტული დაშავებისთვის“ 1 მილიონი დოლარი მოითხოვა, ხოლო მისმა ცოლმა 500 ათასი, იმის გამო, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში სექსის გარეშე დარჩა. ცოლ-ქმარმა სასამართლო პროცესი მოიგო.

10. ამერიკელი მამაკაცი უშედეგოდ ცდილობდა ქალაქ სან-დიეგოს ხელისუფლებისთვის 5 მილიონი დოლარი მოეგო „ემოციური ტრავმისთვის“, რომელიც ელტონ ჯონისა და ბილი ჯოელის კონცერტის შედეგად მიიღო. მომღერლები არაფერ შუაში იყვნენ. მისი სარჩელის მიზეზი ის ქალბატონები გახდნენ, რომლებმაც ქალების ტუალეტთან დიდი რიგის გამო, მამაკაცების ტუალეტით ისარგებლეს. მოსარჩელემ განაცხადა, რომ ამის გამო მისი პირადი საიდუმლოს უფლება დაირღვა, რადგან რამდენიმე ქალბატონმა მისი პენისი საგულდაგულოდ შეათვალიერა.

პროზა



სასიამოვნოა, რომ ანას თავგადასავალმა მკითხველების ინტერესი გამოიწვია, ხოლო თვით ანამ თქვენი სიმბათია დაიმსახურა. ვაგრძელებთ მისი ამბის თხრობას. ვიდრე თხრობას განვაგრძობ, აქამდე განვითარებულ მოვლენებს შეგახსენებთ. ანას ქმარი, მახო რუსეთში 7-წლიანი ვოიაჟის შემდეგ შინ დაბრუნდა. ცოლი მასზე გაბრაზებული გახლდათ და მასთან, როგორც ქმართან ურთიერთობაზე უარი თქვა. ამის შემდეგ ანამ ქმარზე შურისძიება და საკუთარი ცხოვრების სხვა კალაპოტში გადაყვანა გადაწყვიტა და თვალი მეგობრის, მაიკოს ახალგაზრდა, უცოლო შეფს დაადგა. მან მოახერხა და მუშაობა იმავე დაწესებულებაში დაიწყო. წინა კვირა მისი პირველი სამუშაო კვირა იყო. პირველი დღის შესახებ დაწვრილებით გაიმბეთ და თხრობა იქ შევწყვიტეთ, როდესაც სალამოს, შინ წამოსასვლელად გამზადებული ანა შეფმა ცოტა ხნით შეაყოვნა.

დასაწყისი — „გზა“, №11-14
მარი ჯაფარიძე

— გისმენთ, — ოფიციალური ტონი გავურიე ხმაში და ჩემს სკამზე მოვკალათდი. ახლა მე შეფის პოზიცია მეკავა, მას კი — ხელქვეითის. ცოტა უხერხულად კი ვიგრძენი თავი, მაგრამ არ შევიმჩნიე, თავი გავიმხნევე და თვალეში გაბედულად შევხედე.

— ჰმ, — ჩაახველა და ფეხი ფეხზე გადაიდო. მივხვდი, რალაც მნიშვნელოვნის თქმას აპირებდა.

— ჰმ, — ჩავახველე მეც და ზუსტად იგივე გავიმეორე.

— რალაც მინდა, გითხრა, — როგორც იქნა, ხმა ამოიღო. მდუმარედ ვუყურებდი და ველოდი, როდის განაგრძობდა ლაპარაკს. როცა მიხვდა, ხმის ამოლებას არ ვაპირებდი, ისევ ჩაახველა და გააგრძელა: — არ ვიცი, რატომ, მაგრამ შენი მუშინია, — ამოღერლა ბოლოს.

გაოცებისგან თვალეები დავაჭყიტე. ამის გარდა ყველაფერს ველოდი. ხმაამოუღებელივ ავდექი, ტანის

ნარნარი რხევით მთელი ოთახი გავიარე, შემოსასვლელი კარის გვერდით დაკიდებულ სარკესთან მივედი, ჩავიხედე, მივბრუნდ-მოვბრუნდი, ჩემი თავი სარკეში კარგად შევათვალიერე, მერე უკან დავბრუნდი, სკამზე მოვკალათდი და მხრები ავიჩიჩე.

— ნუთუ ასეთი საშიში ვარ?

— რა თქმა უნდა, გარეგნობას არ ვგულისხმობ, პირველი შეხვედრისთანავე დამაშინე. თითქოს არაფერი, თითქოს ჩვეულებრივი ქალი ხარ, მაგრამ სინამდვილეში ძალზე საშიში, — ერთი ამოსუნთქვით მომაცარა სათქმელი.

— ეს იმას ნიშნავს, რომ მე თქვენი თანამშრომელი აღარ ვარ? — ისე მინდოდა ამ სამსახურში დარჩენა, რომ პასუხის მოლოდინში ლამის გული გამისკდა.

— არა, ეს მაგას არ ნიშნავს. მინდა, რომ აქ დარჩე და იმუშაო, მაგრამ ვგრძნობ, რომ ეს ჩემთვის საშიშია.

— თუ იმას გულისხმობთ, რომ გითხარით, თქვენს მოხი-

ბვლას შევეცდები-მეთქი, უნდა დაგამშვიდოთ, ეს უბრალოდ, ხუმრობა იყო.

— ნუთუ? ეჭვი მეპარება, რომ ხუმრობდი.

— ვიცი, რომ საყვარელი გყავთ, — ბოლომდე „თქვენობით“ ფორმას ვინარჩუნებდი — ისიც ვიცი, რომ ის ქალი ძალიან გიყვართ. ასე რომ, შეგიძლიათ მშვიდად იყოთ, თქვენი იდილიის დარღვევას არ ვაპირებ, — რალაცნაირად, ფიცხად ნათქვამი გამომივიდა. აშკარად ავლელდი.

— ჰო, მართალია, ევა მიყვარს...

— ჰოდა, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ!

— ე.ი. ჩემს მოხიბვლას არ ცდილობ? — რალაცნაირად, დანანებით იკითხა.

— მოდი, პირდაპირ მითხარი, რა გინდა. მგონი, უბრალოდ, ჩემთან ლაპარაკი გინდოდა, — მეც „შენობით“ მივმართე, გაცხარებულმა, — შინ არ გამიშვი და ახლა რალაც სისულელეებზე მელაპარაკები. მე უფრო ის მგონია, რომ შენ გადაწყვიტე ჩემი მოხიბვლა

და უბრალოდ, გადმოვრალე-
ბას ცდილობ, თავი დამნაშავედ
რომ არ იგრძნო.

— ნუ ვიჩხუბებთ, ანა.

— არ ვჩხუბობ. უბრალოდ,
შენმა ნათქვამმა გამაღიზიანა.
თუ შენი ხელში ჩაგდება გა-
დავწყვიტე, ამას მოვახერხებ
კიდეც.

— მართლა? ასე იოლი
გგონია?

— მოდი, ამ თემაზე
ნუ ვილაპარაკებთ, უაზრო
საუბარი გამოგვივა. თუ გინდა,
ხვალიდან აღარ მოვალ და
აღარც არავისი შეგეშინდება
და იმ შენს ეკასთანაც მშვიდად
გააგრძელებ ურთიერთობას.

— რატომ შეიჯავრე ეკა
პირველი შეხვედრისთანავე?

— ამაზე ლაპარაკს აზრი
არ აქვს, მაინც არ დამეთანხ-
მები. დღეიდან მისი სახელის
ხსენებას ჩემთან ნულარ ეცდები
და ნურც რაიმეს მკითხავ.
შევთანხმდით? — თავადვე
გამიკვირდა, ასეთი თამამი
განცხადება რომ გავაკეთე.

— კარგი, მაგრამ ახლა მი-
ვხვდი, რატომ მეშინია შენი.
ამის თქმას 100-დან ვერც
ერთი ქალი ვერ გამიბედავდა.
შენ რალაცნაირი, პირდაპირი
ადამიანი ხარ, ყველაფრის
პირში მიხლა იცი და სწორედ
სიმართლის გაგების მეშინია,
ალბათ.

— სიმართლეს თვალი უნდა
გაუსწორო. შენ თუ თვალებს
დახუჭავ, სხვა ყველაფერს
ამჩნევს და ხედავს. ამის გამო
კი შესაძლოა, ცუდ სიტუა-
ციაში აღმოჩნდე. გინდა, სი-
მართლე გითხრა?

— კიდეც?

— ჰო, კიდეც. მაიკოს
დაბადების დღეზე ეკას გამოხ-
დომები ხომ გახსოვს? შენ მაშინ
სიმართლეზე თვალები დახუჭე.
ისე იქცეოდი, თითქოს არაფერი
ხდებოდა. შენი თანამშრომლები
კი ჭორაობით კვდებოდნენ.
ზურგს უკან დაგცინოდნენ და

სეირს უყურებდნენ. ამიტომ
გადავწყვიტე, იქაურობისთვის
გამეცილებინა. იმის გამოც
გკილავენ, ყოველდღე აქ რომ
მოდის და გამუდმებით კონ-

გავეცი პასუხი. ახლა კი ნავალ,
თუ ნებას დამრთავ, რადგან
ბავშვი ინგლისურის მასწავლე-
ბლიდან უნდა გამოვიყვანო და
ვერ დავაგვიანებ, — ვთქვი და

დღეიდან მისი სახელის ხსენებას ჩემთან ნულარ ეცდები და ნურც რაიმეს მკითხავ

ტროლის ქვეშ ხარ. მის გამო
თანამშრომლების პატივისცემას
კარგავ. ამას პირდაპირ არა-
ვინ გეტყვის. მე კი გეუბნები,

წამოვდექი. მაგიდაზე დადე-
ბულ მანქანის გასაღებს ხელი
წამოვავლე და ოთახიდან ისე
გამოვედი, დათოს აღარ დავმშ-



რადგან ჩემი აზრით, პირველ
რიგში, მამაკაცური ღირსება
დგას, მერე კი — პროფე-
სიონალიზმი, თანამდებობა
და კაბინეტის ზომა. მაპატიე,
ასეთი პირდაპირობისთვის,
მაგრამ მგონი, ბევრ კითხვას

ვიდობებივარ და არც მის ნე-
ბართვას დავლოდებივარ.

სალომეს გაუფარე და იქიდან
ჩემს ოფისში წავედი. გამუდ-
მებით ვეკითხებოდი საკუთარ
თავს, სწორად მოვიქეცი თუ
არა. სალომეც კი შენიშნა,
რომ უგუნებოდ ვიყავი. მე
ხომ არ მიბრაზდებო? მკითხა.
ბავშვი დავამშვიდე და საქმეს
შევუდექი. რამდენიმე წუთის
მერე მაიკომ დარეკა — მე და
მამუკა რესტორანში გეპატი-
ფებითო. ახლა რესტორანში
წასვლის გუნებაზე არ ვიყავი,
მაგრამ დაქალთან ჭორაობა
ისე მინდოდა, რომ უარი
ვერ ვუთხარი და დავთანხ-
მდი. მერე სალომეს ძიძას
დავურეკე, რომელიც ჩვენთან



ქალები და მამაკაცები რომინის
მხოლოდ იმაში ვიანხმებთან, რომ
ქალის ნდობა არ შეიძლება.

ცხოვრობდა, მაგრამ იმ დღეს თავის მშობლებთან იყო წასული. — გამოგივლი და შინ წაგიყვანთ-მეთქი, შევეუთანხმდი და ოფისიდან წამოვედი.

სალომეს, მეც და მაიკოც ვუმალავდით მამუკას არსებობას, რადგან არ მინდოდა, ბავშვის თვალი და ყური იმას შესჩვეოდა, რომ შესაძლებელი

დავმთვრალიყავი და უარი არც ერთ ჭიქაზე არ მითქვამს. ძალდაუტანებლად ვყლურწავდი მათრობელა სითხეს და მისით გამოწვეული სასიამოვნო ურუანტელი თანდათან მიჯდებოდა სხეულში. თითქოს მოვიტენთე კიდეც, მაგრამ დარბაზში ატეხილმა ხმაურმა და განევ-გამონევამ

მაიკო. თუმცა, მაიკოს ჩანთა იქვე იდო და მივხვდი, რომ მალევე დაბრუნდებოდნენ.

— მათ მოსვლამდე თითო ჭიქა დავლიოთ, — დათომ ღვინო დამისხა და თავისი ჭიქაც შეავსო.

— დავლიოთ, — თავი დავუქნიე თანხმობის ნიშნად.

— მოდი, გულახდილობას გაუმარჯოს, ყველაფერს — გაცხადებულს და გამხელილს.

— შენ ცდილობ, რომ გულახდილობის გუნებაზე დამაყენო?

— არა, უბრალოდ, შენი სადღეგრძელოს შესმა მინდა.

— ჰოდა, მაშინ მე გამიმარჯოს! — ავიტაცე მისი იდეა და ჭიქა მოვიყუდე.

— უჩვენოდ სვამთ, არა? — მამუკა და მაიკო უეცრად დაგვადგნენ თავზე. — თუ საიდუმლო არ არის, ვისი სადღეგრძელო დალია ქალბატონმა ანამ ასეთი მონღოლებით?

— მე გამოვიცნობ, თავისი სადღეგრძელო იქნებოდა, — უცებ ამოიციწო მაიკომ.

— ასე უყვარს თავი?

— თავი ძალიან უყვარს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ დათო შესთავაზებდა. სხვა სადღეგრძელოს არ დალევდნენ, ჩვენი არყოფნის დროს. ასეა?

— ასეა, ასე, — გაიცინა დათომ.

მამუკას და მაიკოს დაბრუნებამ დაძაბულობა მომიხსნა და თავი უფრო თავისუფლად ვიგრძენი, მაგრამ რატომღაც იქ ყოფნა აღარ მინდოდა და წასვლა გადავწყვიტე. არავის თხოვნა არ შევისმინე და გარეთ გამოვედი. ჩემი მანქანა მოვძებნე, საჭეს მივუჯექი და ის იყო, დაქოქვას ვაპირებდი, რომ ფანჯარაზე ვილაცამ მომიკაკუნა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში.

მე უფრო ის მგონია, რომ შენ გადაწყვიტე ჩემი მოხიბვლა და უბრალოდ, გადმობრალებას ცდილობ, თავი დამნაშავედ რომ არ იგრძნო.

იყო, გასათხოვარ ქალს საყვარელი ჰყოლოდა. გოგონას მკაცრად ვზრდი, აღზრდის საკუთარი პრინციპები მაქვს და მიმაჩნია, რომ სწორად ვიქცევი. თუმცა ხშირად მსაყვედურობენ იმის გამო, სალომე თავისი ასაკის გოგონებთან შედარებით მიამიტი და ბავშვურია და ეს მისთვის საზიანოაო. მე კი ჩემი გოგონა სწორედ ასეთი მინდა, რომ იყოს. ცხოვრების უკუღმართობას მერეც გაეცნობა და რაც უფრო გვიან მოხდება ეს, მით უკეთესი.

მაიკო და მამუკა უკვე რესტორანში მელიოდნენ. მანქანის გასაჩერებელი ადგილი ძლივს მოვძებნე და რესტორნის დარბაზს მივაშურე, რადგან ვიცოდი, მამუკას კუბეში ჯდომა არ უყვარდა. ძალზე გაოცებული დავრჩი, როდესაც მათ მაგიდასთან დათოც აღმოვაჩინე.

— ოო, მოხვედი, როგორც იქნა? — ოვაციით შემეგება მამუკა და გადამკოცნა. შენი ახალი სამსახური უნდა აღვნიშნოთ, „მშრალად“ ხომ ვერ ჩავატარებთ? — მამუკას გვერდით სკამი გამოსწია და დამსვა.

სალამომ მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. დათო არაფერს იმჩნევდა, ჩვეულებრივად იქცეოდა და მშვიდი სახით მილიმოდა. დარბაზში მსხდომნი უკვე კარგად შეზარხოშებული იყვნენ და ცეკვა-თამაში ჰქონდათ გაჩაღებული. სასმელს მივეძალე. რატომღაც, ძალიან მომინდა,

გამომაფხიზლა. მთვრალეები ჩხუბობდნენ და ერთმანეთს მამლაციწებვივით ეძიძგილავებოდნენ. მოცეკვავეები დაილაღნენ, ჩხუბში რესტორნის დაცვა ჩაერია და „მამლაციწები“ გარეთ გაიყვანა.

მუსიკოსებმა ნელი მუსიკა დაუკრეს.

— ვიცეკვოთ, — ინიციატორი მე ვიყავი და დათოს თავაზიანად დაფუკარი თავი. კავალერი ჩემს ნებას დაჰყვა და ფეხზე წამოდგა. როდესაც ხელები წელზე მომხვია, მთლიანად მივენდე მის მკლავებს და ხმაამოუღებელი შევიგრძნობდი მისი ხელისგულების სითბოს. თანდათან შეუმჩნევლად მიკრავდა მკერდზე და სულ უფრო ახლოს ვგრძნობდი მისი სუნამოს სურნელს. მუსიკა ძალიან მალე დამთავრდა და თითქოს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დამრჩა.

— კიდეც შევუკვეთ ვალსს, — ჩამჩურჩულა დათომ.

— არა, აღარ მინდა ცეკვა, — მოვიტყუე და ადგილზე დავბრუნდი. სუფრასთან არც მამუკა დაგვხვდა და აღარც

თუ „ჩვენის ჯალს“ ზმავზე
მეცად გაბეჭდა, უიწო
ასაკოვანი გამოჩნდება.



უცნაური გამოხვეუები, ბუდისნა თუ ირუმალებით მოცული მისცია?



1992 წელს, ფრანგმა მხატვარმა, რენე შარბონომ მერი რუანის შეკვეთით „ჟანა დ'არკი, კოცონზე“ დახატა. მისი მენატურე ახალგაზრდა სტუდენტი, ჟანა ლენუა გახლდათ. დასრულების შემდეგ ტილო საგამოფენო დარბაზში ჩამოკიდეს. მეორე დღესვე უნივერსიტეტის ქიმიურ ლაბორატორიაში, სადაც მენატურე ჟანა იმყოფებოდა, რეაქტივი აფეთქდა. მან გამოსვლა ვერ მოახერხა და დაიწვა.

ბრაში თარხანი

ფსიქოლოგი კლოდ არნო მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირს წლების მანძილზე იკვლევდა.

— მოვარგოვე უამრავი ფაქტი, როდესაც ადამიანების ბედზე არა მარტო სიტუაციები და მდგომარეობა, არამედ ციფრები, სახელები, გვარები და სხვადასხვა თარიღი ახდენდა გავლენას, — ამბობს პროფესორი, — მაგალითად, ავსტრალიელი ბებიქალი, რომლის გვარიც ტრიპლეთი გახლავთ (რაც „სამმაგს“ ნიშნავს), 3 მარტს დაიბადა, №3 სახლში, მესამე სართულზე ცხოვრობს. მისი ტრიპლეთი სამჯერ გახლდათ გათხოვილი და 3 შვილი ჰყავს. უფრო მეტიც, მის ხელში 23-ჯერ დაიბადა 3 ტყუპი...

ამერიკაში, ლუიზიანის შტატში 3 მამაკაცს სასიკვდილო განაჩენი კლავ დორიტის სასტიკი მკვლელობისთვის მიუსაჯეს. გარდაცვლილი სტილროუდ-ფლეისის ქუჩაზე ცხოვრობდა. გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ მკვლელების გვარები — სტილი, როუდი და ფლეისი იყო.

ინდოეთში აფეთქებულმა ორმა სამგზავრო მატარებელმა 220 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. აფეთქების მიზეზი მგზავრის მიერ გადაგდებული სიგარეტის ნამწვი აღმოჩნდა, რომელიც მან სწორედ იმ ადგილას გადაადგო, სადაც მატარებლის რელსებთან ახლოს გამავალი მილიდან ბუნებრივი აირი ჟონავდა. ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ ორივე მატარებელს, რომლებიც ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით მიქროდნენ, ერთი და იგივე ნომერი ჰქონდა. სპეციალისტების აზრით, მსგავსი დამთხვევის ალბათობა ნულის ტოლია.

ერთხელ მარჩელო მასტროიანი ვახშმად მიიწვიეს. საერთო მხია-

რულების დროს მომღერალმა უეცრად ყველასგან მივიწყებული სიმღერა — „ის სახლი დაიწვა, რომელშიც ბედნიერად ვცხოვრობდი“ — წამოიწყო. მან სიმღერის ბოლომდე დასრულებაც ვერ მოახერხა, როდესაც შეატყობინეს, რომ მენ ტონში მისი ვილა დაიწვა. მოგვიანებით მარჩელომ აღიარა, რომ ბოლოს ეს სიმღერა მოსწავლეობისას შეასრულა.

ბუდაპეშტის მცხოვრები, დერდ შერფეზი მეათე სართულის ფანჯრიდან გადმოვარდა და ქუჩაში მიმავალ ლასლო ქარვამას თავზე დაეცა. ზუსტად ერთი წლის მერე დერდი ისევ გადმოვარდა ქალაქის მეორე ბოლოში მდგარი სხვა სახლის მეხუთე სართულიდან და ისევ იმავე მამაკაცს დაეცა. ამჯერადაც ორივე ცოცხალი გადარჩა.

რამდენიმე თვის წინ სოფიაში ნამდვილი ტრაგიკომედია გათამაშდა. ქურდმა მილკო სტოიანოვმა მდიდარი მოქალაქის ბინა გაძარცვა. ნაძარცვი ზურგჩანთაში ჩააწყობა და დროის მოგების მიზნით, უკაცრიელ ქუჩაზე გამავალი ფანჯრიდან გადასვლა და წყალსადენ მილზე ჩაცოცება გადაწყვიტა. როდესაც ქურდი მეორე სართულის ფანჯრებს გაუსწორდა, ამ დროს პოლიციის სასტვენის ხმა მოესმა. ამან ძალზე დააბნია, მილს ხელი გაუშვა და ტროტუარზე მიმავალ ახალგაზრდა მამაკაცს თავზე დაეცა. პოლიციელებმა ორივე დააკავეს და განყოფილებაში წაიყვანეს. აღმოჩნდა, რომ მამაკაცი, რომელსაც მილკო თავზე დაეცა, პოლიციის მიერ ძებნილი ქურდი იყო და უკვე დიდი ხანია, სამართალდამცავები ვერ იჭერდნენ. ყველაზე საოცარი ის გახლდათ, რომ მეორე ქურდის სახელი და გვარიც მილკო სტოიანოვი იყო.

ბარსელონაში მცხოვრები ძმები, რამირესები დისკოთეკიდან მიტოციკლით ბრუნდებოდნენ. მონკადას ქუჩაზე მათ ტაქსი დაეჯახა. ძმები საავადმყოფოში მრავალი მძიმე მოტეხილობით მიიყვანეს. მათ მკურნალობას რამდენიმე თვე დასჭირდა. საავადმყოფოდან გამოსულმა ძმებმა მეორე დღესვე მეგობრების მონახულება გადაწყვიტეს. მონკადას ქუჩაზე მათ ისევ ის ტაქსი დაეჯახა, რომელსაც იგივე მძლოლი მართავდა.

1944 წელს მოკავშირე ჯარების ნორმანდიაში გადასმის დროს, გაზეთმა „დეილი ტელეგრაფმა“ საინტერესო კროსვორდი დაბეჭდა. ის საიდუმლო ოპერაციის კოდურ სახელწოდებებს შეიცავდა — ისეთს, როგორიცაა, მაგალითად — „ნეპტუნი“, „იუტა“, „ომახა“, „იუპიტერი“. ინფორმაციის წყაროს დასადგენად კვლევას სამხედრო კონტრდაზვერვა აწარმოებდა, მაგრამ დიდი მოწადინების მიუხედავად, კროსვორდის გამოქვეყნების მიღმა ვერანაირი ცუდი განზრახვა ვერ აღმოაჩინა. კროსვორდის შემდგენელი მოხუცი მასწავლებელი აღმოჩნდა, რომელიც ასეთი დამთხვევის გამო, დაზვერვის თანამშრომლებზე მეტად გაოცებული თავად დარჩა.

ხშირია ერთმანეთისგან დამოუკიდებელი მოვლენის მისტიკური დამთხვევის ფაქტებიც. 1900 წელს არნახული სიძლიერის ტროპიკულმა ქარიშხალმა ამერიკის ქალაქი ჰალვესტონი თითქმის მიწასთან გაასწორა. მექსიკის ყურეში, ქარის სიძლიერით წარმოქმნილმა ტალღებმა უზარმაზარი შენობების ნგრევა გამოიწვია. ამ ქარიშხალთან, რომელსაც

შემდგომში „საუკუნის ქარიშხალი“ უწოდეს, ცირკის ცნობილი აკრობატის, მაიკლ უილიამსის სიკვდილია დაკავშირებული. ქარიშხლამდე 1 წლით ადრე, ის ჰალვესტონში საგასტროლოდ ჩავიდა. ერთ-ერთი გამოსვლის დროს მოულოდნელად დიდი სიმაღლიდან ჩამოვარდა, სახით ქვევით მდგარ სავარჯიშო მოწყობილობას დაეცა და გარდაიცვალა. გარდაცვლილის სახე



ძალზე დამახინჯებული იყო, რის გამოც ჰერმეტიკულად დახურული, ცინკის კუბოთი ადგილობრივ სასაფლაოზე დაკრძალეს. ერთი წლის შემდეგ ქარიშხალმა არც ჰალვესტონის სასაფლაო დაინდო. ერთიანად გადარეცხა და უილიამსის კუბო ოკეანეში წაიღო. გარდაცვლილმა ოკეანეში 9 წლის განმავლობაში „იმოგზაურა“ და ბოლოს, წყალმა ერთ-ერთ სანაპიროზე გამოირიყა. უცნაური კი ის იყო, რომ უილიამსის კუბო მისი ძირითადი საცხოვრებელი ადგილიდან 1 მილის მანძილზე გამოირიყა.

არანაკლებ საოცარი ამბავი გადახდა თავს ამერიკელ კოსმონავტს, ნილ არმსტრონგს. 1969 წელს, როდესაც მთვარეზე გადასულმა ნილმა პირველი ნაბიჯი გადადგა, ხმამაღლა აღმოხდა: — ნარმატებებს გისურვებთ, მისტერ გორსკი! — ფრენის მართვის ცენტრის სპეციალისტები ვერ მიხვდნენ, ვის გულისხმობდა კოსმონავტი მისტერ გორსკში. მოგვიანებით ნილმა მათ თავისი ბავშვობიდან ერთი საინტერესო ეპიზოდი უამბო. თურმე, მეგობრებთან დამალობანას თამაშისას მეზობლების — გორსკების ეზოში დამალულა. ღია ფანჯრიდან ცოლ-ქმრის ჩხუბის ხმა ისმოდა.

— საზიზლარი იმპოტენტი ხარ, — ლელავდა მისის გორ-

სკი, — ჩვენი მეზობლის ბავშვი, ნილი, მთვარეზე გაფრენას უფრო მოახერხებს, ვიდრე შენი ქალის ვნების დაცხრობას...

როდესაც არმსტრონგი მთვარეზე დაეშვა, სწორედ ეს ფრაზა გაახსენდა და ამიტომაც უსურვა ნარმატება მისტერ გორსკის.

იტალიელი ჯაკომო ფელიჩე (ბედნიერს ნიშნავს) დედაქალაქის ცარიელ ტრასაზე 120 კმ/სთ სიჩქარით მიქროდა. უეცრად, საპირისპირო მხრიდან მომავალი მანქანის ანთებული ფარები შენიშნა. ორივე მძღოლი დიდი სიჩქარით მოძრაობდა, რის გამოც შეჯახება გარდაუვალი გახდა. თავისი მანქანის ნამსხვრევებიდან გამომძვრალი ფელიჩე მაშინვე მეორე მანქანას მივარდა და დაინახა, რომ მეორე მძღოლიც უვნებლად გადარჩენილიყო. ამ ფაქტით გახარებული ჯაკომო მეორე მძღოლს წარუდგა, მას კი გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა, როცა თვითონაც ჯაკომო ფელიჩე აღმოჩნდა.

საგზაო პოლიციელი, დინო კუდარი რომის გარეუბანში გადაჭარბებული სიჩქარით მიმავალ მანქანას დაედევნა. როდესაც დევნილმა მოსახვევში დაამუხრუჭა, პოლიციის მანქანა უკნიდან შეასკდა. პოლიციელს ფეხის არტერია დაუზიანდა და ალბათ სისხლისგან დაიცლებოდა, რომ არა შემთხვევით გამვლელი მძღოლი, რომელმაც ჭრილობა შეუხვია და სიკვდილს გადაარჩინა. ამის შემდეგ 3 წელი იყო გასული, როდესაც კუდარის რაციით ავტოავარიის შესახებ შეატყობინეს და დასახმარებლად უხმეს. მან მძღოლს, რომელსაც მასავით ფეხის არტერია ჰქონდა დაზიანებული, პირველადი დახმარება აღმოუჩინა და სიკვდილისგან იხსნა. როდესაც დაზარალებულს კარგად დააკვირდა, მასში სწორედ ის ადამიანი ამოიცნო, რომელმაც 3 წლის წინ სიცოცხლე შეუნარჩუნა.

როდესაც შვედურმა გაზეთმა „დაგენს ნიუხეტერმა“ საინტერესო თავგადასავალზე კონკურსი გამოაცხადა, არავინ იცოდა, რომ ამით კიდევ ერთ იდუმალებით მოცულ დამთხვევას გამოააშკარავებდა. რეტეპორგელმა მფრინავ-

მა, იენე ბრენდემ, მათთან თავისი გადარჩენის ამბავი გაგზავნა.

გასული წლის დასასრულს, ის ჰავაის კუნძულების თავზე მიფრინავდა, როდესაც ძრავამ უმტყუნა. ბრენდემ კატაპულტირება მოახერხა და ოკეანეში დაშვებული, მშველელის გამოჩენამდე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში რეზინის ნავით დაცურავდა. სარედაქციო ჟიურის წევრებს ნაამბობი მოეწონათ და ამბის ჭეშმარიტებაში დარწმუნების შემდეგ, მას პირველი ადგილი მიანიჭეს. გამოქვეყნების შემდეგ რედაქციაში ნორვეგიელი პენს ბრენდეს წერილი მივიდა, რომელიც ირწმუნებოდა, რომ ამბავი, რომელიც მან წაიკითხა, მისი თავგადასავალი იყო და არა — იენესი. თუმცა, მისი ამბის დასასრული ცოტა განსხვავებული გახლდათ.

ფრანგი შარლ ფოსე გამუდმებით მოგზაურობდა. პოკერის აზარტული მოთამაშე გახლდათ და „შულერად“ იცნობდნენ. ერთ-ერთ კერძო, სათამაშო სახლში მან 5 ათასი დოლარი მოიგო. პარტნიორებმა აფერაში დასდეს ბრალი და დახვრიტეს. მიუხედავად იმისა, რომ მისი სისხლიანი გვამი იატაკზე ეგდო, მოთამაშეებმა თამაშის გაგრძელება გადაწყვიტეს. ყველა მოთამაშეს სჯერა, რომ „შულერის“ კუთვნილ ფულს უბედურება მოაქვს. ამის გამო, ფულის განაწილება არ ისურვეს და ახალგაზრდა მამაკაცს, რომელიც კუთხეში მარტო იჯდა და ვისკის მიირთმევდა, თამაში შესთავაზეს. ის სიამოვნებით დათანხმდა თამაშზე და ფსონად ფოსეს კუთვნილი ფული დადო.

მოთამაშეები იმედოვნებდნენ, რომ ახალი პარტნიორი ფოსეს კუთვნილ ფულს წააგებდა და ამ გზით ისინი თავიანთ ფულს დაიბრუნებდნენ, მაგრამ ახალი მოთამაშე ისევ და ისევ იგებდა. პოლიციის მოსვლამდე მან კიდევ 2 ათასი დოლარი მოიგო. პოლიციელებმა დამნაშავეები დააკავეს, მიიჩნიეს, რომ ფოსემ ფული კანონიერად მოიგო და ახალ მოთამაშეს 5 ათასი დოლარის დაბრუნება მოსთხოვეს, რათა გარდაცვლილის უახლოესი ნათესავისთვის გადაეცათ. გაირკვა, რომ უცნობი ახალგაზრდა გარდაცვლილის შვილი იყო. მან გზააბნეული მამა ვერ იცნო, რადგან უკანასკნელად ის 20 წლის წინ ნახა.

შენი სახელობის მშენი

ის ძალზე მიმზიდველია, ცნობენ ყველგან, სადაც კი გამოჩნდება. მილიონობით ადამიანი აღმერთებს და ყველასგან განსხვავებულია. ალბათ გაიფიქრე, რომ რომელიმე სუპერმოდელზე ვლავარაკობ? სულაც არა. ეს ერთი ბოთლი რომელიმე ცნობილი, გამაგრებელი სასმელია, მაგრამ ბრენდინგის ჯანონი მხოლოდ სავაჭრო ნიშნის სასარგებლოდ არ გამოიყენება. ჭკვიანი ადამიანები ამით ჯარიერას იკეთებენ.

ამა თუ იმ სავაჭრო ნიშანს მალაღობი ხარისხის გამო კი არა, ხშირად ინდივიდუალობის გამო ვცემთ პატივს. სწორედ ეს თვისება აერთიანებს წარმატებულ ბრენდსა და წარმატებულ ადამიანს.



ბრაში მარხანი

თანამედროვე ეკონომიკა მიიჩნევს, რომ უნიკალურობა წარმატებისთვის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. თუ მასიგან არაფრით განსხვავდები, ვერაინ შეგამჩნევს. მსგავს სიტუაციაში საკუთარი პიროვნებისგან ბრენდის შექმნა მხოლოდ სასიკეთოდ წაგადგება. აი, რას ამბობს თანამედროვე ბრენდინგის გურუ, თომას გედი: „ბრენდინგი ფასს მატებს ყველაფერს, მიუხედავად იმისა, რას სთავაზობ მომხმარებელს — პროდუქტს თუ მომსახურებას“. უბრალო ენით რომ ვთქვათ, თუ გინდა, მეტი მიიღო, გარშემო მყოფებს უნდა დაუმტკიცო, რომ „ძვირი ღირხარ“.

პიროვნული ბრენდინგი ითვალისწინებს შენი პიროვნული ღირსების, როგორც გასაყიდი საქონლის წარმოჩენას. უნდა შექმნა იმიჯის ისეთი კონსტრუქცია, რომელიც დანიშნულებაში დაგხმარება. მისი დანიშნულებაა, სხვებს შენზე კარგი წარმოდგენა შეუქმნას.

ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ ადამიანები წარმატებას მხოლოდ იმის გამო ვერ აღწევენ, რომ არ იციან, რა უნდათ. შენი ბრენდი წარმატებული მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ ზუსტად გეცოდინება, როგორ გინდა საკუთარი თავის წარმოჩენა. ამისათვის, წარმატებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იმ „სცენარის“ შექმნაა, რომლის მიხედვითაც იმოქმედებ. შეადგინე საკუთარი ცხოვრების გეგმა, როგორზეც მუდამ ოცნებობდი. იმ სიტყვების კოლაჟი კი, რომელიც შენს საოცნებო ცხოვრებას აღწერს, კედელზე, გამოსაჩენ ადგილზე ჩამოკიდე.

ამის შემდეგ შეგიძლია, მომავალი ბრენდი აღწერო. თომას გედმა საამისოდ უბრალო, მაგრამ ეფექტური მეთოდი შეიმუშავა,

რომელსაც ბრენდ-კოდი ეწოდება. ის იმ როლის შესახებ მოგიხსრობს, რომლის თამაშიც გაურს. ბრენდის კონსტრუირების დროს ნათელი გახდება, რომელი თვისება გაქვს შედარებით ძლიერად განვითარებული და რომლის განვითარება და დახვეწა მოგიწევს მომავალში.

• პირველი ნაბიჯი საკუთარი თავისთვის კითხვის დასმა იქნება: რით განსხვავდები სხვებისგან? რაში მდგომარეობს შენი უნიკალურობა? პასუხი ისე ჩამოაყალიბე, რომ ზუსტად აღწერო, რა შეგიძლია ისეთი, რაც სხვებს არ შეუძლიათ ან სხვებზე უკეთ გამოგდის. აქცენტი მხოლოდ ერთ ან ორ თვისებაზე გააკეთე. მაგალითად, ადამიანები, რომლებსაც სხვების დარწმუნება შეუძლიათ, წარმატებას ვაჭრობის სფეროში აღწევენ. ანალიზის უნარი და ქაოსში კანონზომიერების დანახვის ცოდნა გამომძიებლებისა და ჟურნალისტებისთვის ფასდაუდებელი თვისებაა. კრეატიული აზროვნება კი სარეკლამო აგენტებს სჭირდებათ.

• მეორე კითხვა: რას წარმოადგენს შენი, როგორც სპეციალისტის ღირებულება?

ამ კითხვაზე სრული პასუხის გასაცემად პროფესიული ტესტი გამოიყენე. ურიგო არ იქნება, თუ კომპეტენტური ადამიანის აზრს გაიზიარებ.

• მესამე კითხვა: რა სარგებლობის მოტანა შეგიძლია იმ კომპანიისთვის, რომელსაც საკუთარ თავს შესთავაზებ?

მაგალითად, გაყიდვების ნიჭიერ მენეჯერს შეუძლია, ფირმას მნიშვნელოვანი ფინანსური წარმატება მოუტანოს. პედანტიური და ნაკითხი ქალბატონისგან კი კარგი ანალიტიკოსი დადგება.

• მეოთხე კითხვა: როგორ

შთაბეჭდილებას ახდენ გარშემო მყოფებზე?

მოიფიქრე, როგორი ადამიანი იქნება ყველაზე მისაღები. საქმიანი სტილი არ ნიშნავს, რომ პიჯაკზე ყველა ღილი შეკრული უნდა გქონდეს. სახელის კნინობითი ფორმა, როგორიცაა თიკო, თათკა, მიშკა, ნატკა და სხვა, საქმიან იერს ვერ მოგანიჭებს.

• მეხუთე კითხვა: რა არის ცხოვრებაში შენთვის მთავარი?

დაფიქრდი, გაქვს თუ არა ცხოვრების კრედიო, საყვარელი აფორიზმი? სწორედ ისინი გამოხატავენ შენს ინტერესს.

• მეექვსე კითხვა: ვინ იქნები 5, 10, 15 წლის მერე? როგორია შენი პერსპექტივა?

წარმატებულ ადამიანებს მომავალზე მკვეთრი და მკაფიო წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ. ისინი მომავალს გეგმავენ და არ ეშინიათ მიზნისკენ სწრაფვის. დაადგინე ვადა, რომლის განმავლობაშიც გარკვეულ წარმატებას უნდა მიაღწიო. კონკრეტული თარიღის შეცვლა შესაძლოა, სხვა ფაქტორების ზემოქმედებამ გამოიწვიოს, მაგრამ სწორად არჩეული მიმართულება მიზნის მიღწევაში დაგხმარება. რაც უფრო მკაფიოდ გაქვს წარმოდგენილი მომავალი, მით მეტი შანსი გაქვს, რომ ჩანაფიქრს სისრულეში მოიყვან.

თვითანალიზის ეს გზა ყველას არ მოსწონს, რადგან მათ სიმართლისთვის თვალბუნი შეხედვის ეშინიათ. თუ მაინც გადაწყვიტე, ჩემს რჩევებს ყური მიაპყრო, მაშინ შესაძლოა, პირადი ბრენდინგი შენი აღმასვლისკენ მიმავალ გზაზე პირველ, წარმატებულ ნაბიჯად იქცეს.




მობილური-სიყვარული

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილ-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

წინა ნომრის შავორიბი ქალბატონი 25-ე მესიჯის ავტორია, 70 ხმით. მეორე ალბილგე მე-2 ნომერი, – 28 ხმით, ხოლო მესამე ალბილგე – მე-9 მესიჯის ავტორი, 21 ხმით. რას შეეხება მამაკაცებს, მათ შორის ყველაზე დიდი მოწონება 29-ე მესიჯის ავტორმა ლიანასურა, 30 ხმით. მეორე ალბილგე 43-ე მესიჯის ავტორი, 18 ხმით, ხოლო მესამე ალბილგე, მე-49 მესიჯის ავტორი, 14 ხმით.

საქართველო



1. მინდა გავიცნო ჩემი შესაფერისი მამაკაცი. ვარ ქმარს გაცილებული, 30 წლამდე.
 2. ვარ 32 წლის, ვმუშაობ რაიონში, პედაგოგად. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სერიოზულ მამაკაცს. ვარ შავგვრემანი, სუსტი, საშუალო სიმაღლის, უმაღლესი განათლებით.
 3. მე ნინო ვარ, 40 წლის, სასიამოვნო და მოხდენილი, ქვრივი ქალი. ყოველმხრივ სუფთა, ელევანტური, რომანტიკული და მორწმუნე. წლებია, სიყვარულის გარეშე ვცხოვრობ და მინდა, ვიპოვო გულის სწორი. მხოლოდ თბილისელი, მხოლოდ ქვრივი, სიმპათიური და დასაქმებული მამაკაცი. ვცხოვრობ რაიონში და ველოდები საოცნებო ადამიანს.

4. ჩემი ნომერი შეატყობინეთ 49-ე მესიჯის ავტორს. ვარ 24 წლის, ქუთაისელი, მორწმუნე, მშვიდი გოგო.
 5. თქვენი არსებობის მანძილზე პირველად გნერთ. თუმცა, თქვენი ერთგული მკითხველი ვარ. გთხოვთ, დამაკავშიროთ 45-ე მესიჯის ავტორს. ნანა.
 6. ვარ 23 წლის. სამეგობროდ გავიცნობ 30 წლამდე მამაკაცს. სასურველია, ცისფერთვალება. ცქმუტა.
 7. გოგონა, რომელიც მხოლოდ დიდი სიყვარულისთვის და ლამაზი ოჯახისთვის მოველინა ქვეყანას, 36-ე გაზაფხულს ისევ მარტო ხვდება. იჩქარეთ, მიანიჭეთ მასაც და თქვენს თავსაც ბედნიერება.
 8. მინდა გავიცნო ოჯახის შექმნის მიზნით პატიოსანი და ერთგული მამაკაცი. ვარ განათხოვარი, შვილი არ მყავს. ვცხოვრობ ქობულეთში.
 9. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30-38 წლამდე თბილისელ, სერიოზულ, სულიერად

ლამაზ, დასაქმებულ მამაკაცს. ვარ 28/172, პატიოსანი, წყნარი, თბილი, ყურადღებიანი გოგო. გასართობად არ შენუხდეთ.

10. ვეხმაურები 34-ე მესიჯის ავტორს. მყავს მისი გემოვნების შესაფერისი მეგობარი.
 11. გამარჯობა. მყავს ძალიან კარგი ამხანაგი, გასათხოვარი. სახელად მაიკო ჰვია და 31 წლისაა. ოჯახის შექმნის მიზნით დაუმესიჯეთ.

12. თხოვნა მაქვს. გამომიგზავნოთ 29-ე მესიჯის ავტორის სატელეფონო მონაცემი ან თვითონ გამომეხმაუროს.

13. ვარ განქორწინებული, 25 წლის, დასავლეთიდან. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით 30 წლამდე ასაკის, ჩემს მდგომარეობაში მყოფს. ჯანმრთელი.

14. ვარ 38 წლის, ქართველი გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ქართველ მამაკაცს. დაბლები და შეუხედავები ნუ გამომეხმაურებით. მხოლოდ — სერიოზულად.

15. ვარ 19 წლის, სერიოზული გოგო. გავიცნობ ზომიერად სიმპათიურ, ზომიერად სერიოზულ, მონესრიგებულ, თბილისელ მამაკაცს, 23-26 წლისას. ყურადღებიანს. კარგი ადამიანი ვარ. :)

16. ვარ მაღალი, ხეუული თმითა და ცისფერი თვალებით, დასაქმებული, მხიარული... ქორწინებაში არ ვყოფილვარ. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე ასაკის, მაღალ, შევერცხილ, დასაქმებულ მამაკაცს.

საქართველო



17. ვარ 25/170/60, გიჟი და მშვენიერი ბიჭი. ფლირტისთვის გავიცნობ თბილისელ ან რუსთაველ, ლამაზ გოგონას. ვარ ყველაფრით უზრუნველყოფილი და გამგებიანი. გიო.

18. ვარ 32/182/90, სიმპათიური მამაკაცი. ვარ ცოლს გამორებული. ვმუშაობ უცხოეთში. ვეძებ 25 წლამდე ასაკის, სუფთა წარსულის მქონე, ეკლესიურ მანდილოსანს, ვინც სიყვარულს და სითბოს ელის.

19. „გზა“ №12, მე-4 მესიჯის ავტორის ნომერი მინდა. გმადლობთ წინასწარ.

20. ვარ 20 წლის, 88 კილო, 191 სმ სიმაღლის. მინდა სამეგობროდ გავიცნო ლამაზი გოგონები. უმჯობესია, ქერა, 22 წლამდე. გთხოვთ, დამიმესიჯეთ.

21. ვარ 38 წლის, ცოლს გაცილებული მამაკაცი. სამეგობროდ გავიცნობ სიმპათიურ მანდი-

ლოსანს, ყველაფრით უზრუნველყოფილი ვარ.

22. გავიცნობ სულთ ლამაზ გოგოს. ვარ 38 წლის, დასაქმებული. დანარჩენი — პირადად.

23. მინდა გავიცნო პატიოსანი, 23-28 წლამდე ასაკის გოგო, რომელიც თანაცხოვრების დროს მაჩუქებს შვილს. ვარ 188 სმ სიმაღლის, 88 კგ, სიმპათიური, 32 წლის, უმაღლესი განათლებით. რამაზი.

24. ვარ 19 წლის. მინდა გავიცნო სამეგობროდ ლამაზი, ქერა გოგონები დამიმესიჯეთ მარტო მე. გელოდებით, ბექა.

25. გავიცნობ თბილი და ალერსიანი ურთიერთობისთვის მალაღ, სიმპათიურ და ეშხიან თბილისელ, 23 წლამდე გოგოს. ვარ 23 წლის, სიმპათიური ბიჭი.

26. მარი, გთხოვ მომცე „გზის“ მე-14 ნომრის 29-ე მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი. შეიძლება გაუფგოთ ერთმანეთს და ლამაზი ოჯახი შექმნათ. ბომბორა.

27. სიამოვნებით გავიცნობ „გზა“ №14, 25-ე მესიჯის ავტორს, ანუშკას.

28. დასაქმებული და სერიოზული მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ნესიერ და შეგნებულ ქალბატონს.

29. ვარ 39 წლის, 190/80, სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობდი 36-45 წლამდე ასაკის ქალბატონს. გრინგო.

30. გთხოვთ მისცეთ 25-ე ნომერს, სლაგური ტიპის ანუშკას ჩემი ნომერი. გმადლობთ.

31. გავიცნობ ისეთ გოგონას, რომელსაც მუქი შავი, ნახშირივით თმა ექნება, ლამაზი თვალებით, დახატული, თავისებური ელფერის მქონე სახე, ჩამწვდომი, შემგრძნები, მეტყველი გარეგნობა ექნება.

32. ვარ 32 წლის, სიმპათიური მამაკაცი. დასაქმებული. ვცხოვრობ ქუთაისში. სამეგობროდ გავიცნობ სიმპათიურ და კარგი ხასიათის მქონე ქალბატონს.

33. თბილისელი გოგონებო, გაუთხოვრებო, დამიმესიჯეთ! არ გინდათ ჩემი გაცნობა? აბა, არ დააგვიანოთ. ვარ 31 წლის, ქალაქელი მამაკაცი.

34. რუსთაველ გოგონებს, ქალბატონებს, ვისაც სურს, მივანიჭებ ენით აღუწერელ სიამოვნებას, ყველანაირად. დამიმესიჯეთ.

35. გოგონებო, თუ გასურთ გყავდეთ სიმპათიური, წყნარი, მოსიყვარულე მეუღლე, დაუმესიჯეთ ჩემს მეგობარს. მოსწონს გამხდარი გოგონები. არის 36 წლის, ცხოვრობს იმერეთში.

36. გავიცნობ 35 წლამდე ასაკის, სიმპათიურ და ვნებიან მანდილოსანს, ფარული ურთიერთობისა და მეგობრობისთვის. ვარ მალაღი, სიმპათიური, 34 წლის. დამიმესიჯეთ.

37. გავიცნობ ლამაზ და ალერსიან, 18-25 წლის გოგოს. მქვია გიგა, ვარ 24 წლის, სამსახურითა და მანქანით უზრუნველყოფილი. მჭირდება ლამაზი სიყვარული. გელოდით. პატივისცემით, გიგა.


38. გავიცნობ თბილისელ, სექსუალურ, ვნებიან და უკომპლექსო გოგოს, ვნებიანი და ალერსიანი ურთიერთობისთვის. ვარ 22 წლის.

39. ვარ 168/68/32, ბინიან-სამსახურიან-მანქანიანი. ვინც ლამაზია და გათხოვება უნდა, ველოდები.

40. მარი, გთხოვ მომცე „გზის“ მე-14 ნომრის, 25-ე მესიჯის ავტორის, ანუშკას ნომერი.


41. სამეგობრდ გავიცნობ 35-45 წლამდე მანდილოსანს, რომელსაც არ აქვს არც ბინა, არც ფული, არც მანქანა და არის 175 სმ სიმაღლის, ლამაზი და ჭკვიანი. შემეხმანე.

42. გთხოვთ მომცეთ „გზა“ №13, 23-ე მესიჯის ავტორის, 37 წლის ქალბატონის ნომერი. გიორგი.



43. ვეძებ დათო კუტალაძეს. რამდენადაც ვიცი, ცხოვრობს ვარკეთილში და 30-35 წლამდე უნდა იყოს, წლოვანებით. გთხოვთ, თუ გეცნობათ სახელი და გვარი, გამომეხმარეთ.

44. ვეძებ ჩემს სიხარულს, ვალიკო ტაბატაძეს. იქნებ ვინმემ იცის მისი ადგილსამყოფელი და დამეხმაროთ? იმედი მაქვს, მალე გამოჩნდები, თორემ უშენობა მტანჯავს. ლიკა.



• რატომ მიმატოვე ბედის ანაბარად, ღმერთმა ჩემი თავი შენ ხომ ჩაგაბარა, შენ კი ხელი მკარი, ჩუმად გაიპარე და ჩემს სიყვარულზე გული აიყარე. უსაყვარლეს მეგობარს, ეკა ნიკლაურს, მეგრელოსგან. ათენი.

• კვირას მე და ჩემი დაქალები მესამედ ავედით აკროპოლზე. უკანასკნელად გადავხედე ზემოდან ჩემთვის საყვარელ ათენს. მინდოდა, უკანასკნელად გულში ჩამეკრა დამეკოცნა ყველა კუთხე-კუნჭული. ძალიან მინდოდა, ჩემ გვერდით ყოფილიყო ყველა ათენელი მგზავნი. ისინიც დამტკბარიყვნენ ათენის სილამაზით,

აკროპოლიდან. მშვიდობით, ჩემო კარგო მგზავნელებო. მინდა, ხშირად მისწეროთ მარის. მე ყოველთვის ნავიკითხავ თქვენს მესიჯებს და გავიხარებ. გკოცნით ყველას და ყველანი მიყვარხართ. გფარავდეთ ღმერთი და გაუფრთხილდით ერთმანეთს. მივიჩქარი სამშობლოში. ჩემი ქუთაისი მელოდება. გერასიმე.

• ვაიმე, როგორ მომენატრეთ სუყველა, ბავშვებო, თქვენი ნომრები დაკარგე და ვინც იცით ჩემი ნომერი, შემეხმანეთ რა, გთხოვთ. ჩორი-ჩორი, შენც აუცილებლად, რა? როზიკელა, შენც გამოჩნდი, რა? lily19.

• „გზაში“ პირველად მოგწერეთ. მთელი კვირა მიხაროდა. ვიფიქრე, დამიბუქდავენ-მეთქი, მაგრამ მანდ ალბათ რჩეულები ხვდებიან. მაპატიეთ, თუ შემოგეჭრით. დატანჯული გოგო.

• მოგესალმებით ყველას! dancers მინდა ვუთხრა, რომ ეშლება. მე ის არ ვარ. არც ჩათბოქსზე ვარ და არც სხვა ჩათზე მაქვს ჩემი სურათი დადებული. პაცანა.

• მოვიკითხავ ყველას, უკლებლივ. მართალია, ჯერ ისევ „იგნორებით“ მიწევს „მგზავრობა“, მაგრამ მოთმინებით ველი სრულუფლებიანი წევრობის მანდატს. სახელად გუგა. deep heart.

• მარიშ, მთელი ჩემი deep heart-ით ვუერთდები მილოცვას, პატარა გიოს ღირსეულ ქართველობას ვუსურვებ და ვიჩაღიჩებ, რომ ჩემს დაჩისტან იძმაკაცოს. p.s მართლა, მართლა. deep heart

• მის რეალი შენ ხარ, ლიკ? აუ, რა მაგარია! წინასწარ გილოცავ დაბადების დღეს. ნინო რომ არის მალაზიაში, ის მომიკითხე. შენი დაიკოც. უბრალოდ, თათა (ჯერჯერობით).

• დიდი იმედი მაქვს, რომ მგზავნელები გულთბილად მიმიღებთ. ახლა ძალიან მჭირდებით. ძალიან მიყვარხართ, განსაკუთრებული (მაგადი) ხალხი ხართ. გკოცნიით. უბრალოდ, თათა.

• აუ, რომ იცოდეთ, რა დამეპართა, ჩემი მესიჯები „გზაში“ რომ ვნახე! ჩემი და მასულიერებდა. მიყვარხართ და „გზამ“ სიცოცხლის სიყვარული დამიბრუნა. დატანჯული გოგო.

• ოჰო, რა ხდება ვასას, ვინ განყენინა? ენჯი, შენს გზავნილზე ლამის ვიტირე, მართლა. ხალხო, გაგიგონიათ? სიყვარულის გამონახვის მრცხვენია (ეჰ, რამდენი მაკლია!). 9122.

• მისს რეალ, მეც მოგიკითხავ, ჩემო რეალის თოჯინავ. :) 9122, ფან-კლუბზე იმას ვშვრებით, რომ 12-ში შევხვდებით, რუსთაველის მეტროსთან. ashley pcd.

• მილიი, მიკალქალ, გახ-

არებავ. მე ქეთი მქვია. ვასასი, იმედია ბოლმა ხალხში მე არ მგულისხმობ. :) ashley pcd.

• იეს! იეეს! ეგრე! ურააა! ყოჩაღ, ფენერბახე! იფ, ეგრე! იმედია, „ჩელსის“ გულშემატკივრები არ გამინანწყენდებიან. უბრალოდ, ემოციას ვერ ვძალავ. ურააა! 9122, ნათია.

• ეჰ, ძალიან დამივიწყეთ, არა? მე ყოველთვის თქვენთან ვარ. აბა, როიორ ხართ? გახსოვართ? როზი.

• lily-19, ძალიან დაგვივიწყეს. არგელოდი, სად დაიკარგე? შენი ნომერი ძალიან მინდა. როზი.

• შეწირულო, ფინტიკოზა, განძის მაძიებლო, მანსტრო-21, ილინ, ძალიან მიყვარხართ და მიმანია, რომ „გზავნილების“ ლამაზი, დეკორატიული ფონი ხართ.

• ვეხმაურები პეკინეს ჩაპის პატრონს. ჩემიც 4 წლისაა და პუჩა ჰქვია. ოლონდ, დეკორატიული პუდელია. :პუჩ, ბედი გაგეხსნა! მის რეალ, მეც მოგიკითხავ. ashley pcd.

• ცის კამარაზე უკუნი იდგა, გადაუღებლივ წვიმდა და წვიმდა, თვალეში შენი აჩრდილი მიდგას, დარჩი... არ გაქრე... მე შენთან მინდა! თიში.

• ჰოდაა, ახლაც კი პირველ და გრანდიოზულ სიყვარულს ველოდები... ვასასი.

• მის რეალ, გილოცავ დაბადების დღეს. ღმერთმა მრავალს დაგასწროს. ძალიან საყვარელი ხარ. რა ვიცი აბა, სირცხვილით თავს ველარ ვყოფ. „მილანზე“ და „ბარსაზე“ ვკაიფობდი და „რეალმა“ აქეთ ჩამიტარა. მაგარ გატეხილში ვარ, მაგრამ ლიგას მაინც მოიგებს და მაგით მაინც გაგვახარებს. შენი ნომრის გაგება ვერ მოვახერხე და იქნებ შენ მაინ შეძლო.

• მიყვარხარ და მეყვარები, სანამ ეს დრო გვატარებს, სანამ ჩვენი სიყვარული მინას არ მიგვაბარებს. მარი, ძალიან მიყვარხარ. მუდამ წყნარი და თავაზიანი, საყვარელი ხარ.

• იქნებ მგელკაცამ კეთილი ინებოს და თავისი ნომერი მითხრას. მინდა რომ ვკითხო: დანით დაჭრილი ნაიარევი როგორ აქვს? ადამიანის მიერ მიყენებული. გრუზინკა.

• ედელვაისო, გილოცავ დებიუტს „გზავნილებში“ და გისურვებ მაგ „გენიოსების ბუდეში“ ღირსეული ადგილის დამკვიდრებას. გააქტიურდი, არ გაჩერდე... ეიიეე... განძის მაძიებელი.

• ნათათო და ნუგო, გაიხარეთ! მე მეგი მქვია. ნეტავ, ჩემი სეხნია არავინ ხართ? შე მართლა მავნე, მიყვარხარ! ნიკოლ, მომენატრე, ნელკა, შენც. :) ashley, რო-

გორ ხარ, გიჟო? ბაო-ბაო.

• ცხოვრების სწორ გზაზე ოცნებით გეფრინოს, გზა-სავალს პატარა ვარდები გეფინოს, იყავი დღეგრძელი, მარადუამს გელხინოს, სიხარულს, სიყვარულს, სულ შენთან ეფრინოს.

• ხატია კაპანაძე, კახეთის დედოფალო, რა ლამაზი ხარ, ატმის ყვავილივით. რა თეთრი და საყვარელი ხარ, თვალი ვერ მოგწყვიტე. მალე მოგიტაცებ და ჩემი გახდები. ნუ მემალები.

• ახედე ზეცას, ქარმა ღრუბლები საით წაიღო, წვიმამ ზარები მოიპარა, 7-ჯერ დარეკა, დღეს ყველაფერი აგისდება, რასაც ინატრებ, დღეს საოცარი დღეა, რამე ინატრეთ.

• სალამი, მარი, ძვირფასო, აღარ გეკითხები, როგორ ხარ, რადგან ყოველ კვირა დღეს ვყიდულობ „გზას“ და ნოსტალგიით გამოწვეულ სევდას დროებით მიყურებს. 2 წელი და 6 თვეა, საქართველოდან წამოსული ვარ. ძალიან მიმიძიმს, მაგრამ ჩემი შმაგის უნახაობა გაუსაძლისი გახდა. ის უკვე 18 წლისაა. ისევ შმაგისთვის დავთმე ყველაფერი, რომ გაჭირვება არ ეგრძნო. მარი, დამეხმარე, მადლობა ვუთხრა ჩემს კარის მეზობლებს, ნათელას და გელას, რომლებიც ჩემს ერთას, შმაგის შვილივით უვლიან და უჩემობას არ აგრძნობინებენ. მე თუ ვერა, ღმერთი გადმოხედავს, სიკეთისთვის. მადლობა, მარი. ღია, წნორიდან.

• მარი-მარი ჩემი სახელიდან გამომდინარე ავირჩიე. ხან მარ-ათენი ვარ. ალბათ ხვდებით, რატომ — ათენი და არა მილანი. საინტერესოა ჟურნალის კითხვა ჩემი ჰობია, მაგრამ წერის რა მოგახსენოთ... სხვათა შორის, მარი, ჩემი საყვარელი ბიჭუნაც ჯაფარიძეა. ისე მიყვარს ეს გვარი, რომ ჩემი უნდა გადავიკეთო და მეორე მარი ჯაფარიძე გეყოლებათ. ასე რომ, ტყუილად არ დამიწყო — სახელს ნუ „მახევ“ და გვარს ნუ „მანერო“. ბოლო-ბოლო, კანონი მაძლევს უფლებას. :) მარი-მარი.

• გამარჯობა, მარი, მრავალ ხარებას დაგასწროს ღმერთმა, ისარე და იბედნიერე. ჩემს გოგონას პირველი სიყვარული ბაღში ეწვია. ოთხი წლის იყო, როცა ბაღში მივიყვანე. მასთან ჯგუფში ერთი რიჟა რეზო იყო. ერთხელ ჩემმა გოგონამ, ბალიდან რომ მომყავდა, მკითხა: დედა, მამიკო გიყვარსო? — კი-მეთქი. — ჰოდა, მე რეზოზე მიყვარსო. ახლაც მეცინება ამ ამბავზე. გოცნით, გერასიმე.

• გამარჯობა, „გზავ“ და მგზავნილებო! როგორ ხართ, სიხარულებო? როგორ მომენატრეთ... ყველას დიდი მადლობა,

ვისაც ვახსოვვარ. უფალი გფარავდეთ. 13.07.

• ათენში ძალიან ცივა. სანოლში შემძვრალი „გზას“ ვკითხულობ და უცებ ახალი თემა! ეჰ, რაღა დროს ჩემი სიყვარულია, მაგრამ მიუხედავად 15-წლიანი ოჯახური სტაჟისა, მე მაინც მახსოვს და შენ წარმოიდგინე, ისევ ისე (გულის ცალკე კუნჭულში) მიყვარს. უკან რომ შემქმლოს დაბრუნება, ბევრ რამეს შევცვლიდი და ჩემს სიყვარულთან დავრჩებოდი. ნატო.

• სალამი, მარიკუნა, როგორ ხარ? მგზავნილები ხომ არიან მაგრად? ლიმონა-მანიუ, დიდი მადლობა, სიხა, მაგრამ ჩემი ბოტოტა მირჩევნია. ბოტოტა-17.

• ashley pcd, ვერ მივხვდი, მაგით რას მეუბნები? 20 აპრილს დაბადების დღე მაქვს. არავის არ გაქვთ ამ რიცხვში და თვეში დაბადების დღე? გაკოცეთ. ბოტოტა-17.

• გუ-ათენი, ომონიაზე, ეკლესიასთან, O.K? ბიჭი ხარ თუ გოგო? ყველა ქართველს სალამი. მარიკუნა, ჯიგარი ხაააარ! გაკოცეთ. ბოტოტა-17.

• ქუთაისელებო, როგორ ხართ? პასილოკელებო, მიყვარხართ და მენატრებით. ქუთაისის გეპეი მაგარია! ბოტოტა-17.

• პირველი სიყვარული მაგარია, რადგან არასდროს გავიწყდება. ნიკს რაც შეეხება, ჩემმა ძმაცაქმა შემარქვა და ძალიან მომწონს. ბოტოტა-17.

• ბალის მოსწავლეც კი არ აუხსნის გოგოს სიყვარულს ჟურნალის საშუალებით. მინდა გითხრა, რომ ტყუილად ირჯები. ათენში ან მნახავ, ან — არა. მიხოს საყურადღებოდ! ეკა-ათენი.

• პრივეტ, პირველი სიყვარული, არა? იფ, როგორ ჩავამწარე მეგობრის ძმაცაცს! ჩემს დეიდაშვილს ეგ ვაჟკაცი არ ასვენებდა. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს დაბადების დღეზე, სანამ გიოს დედამისი ეძახდა — პირიდან შეგივიდა, ცხვირიდან გამოგივიდაო (ღვინოზე), გოგონები ამბობდნენ — ამან დალია, იმან დალია, ვინც არ დალია, ცეცხლი დალიაო, მე გავიპარე და გიოს მანქანის საბარგულში ჩავჯექი. სულ ცოტა ხანში მძლოლიც გამოჩნდა და ავტო დაძრა. მეც მაშინვე ავიღე ტელეფონი, დავრეკე პატრულში და ვაცნობე, რომ მომიტაცეს. ჩავანერინე მანქანის ნომერი და ადგილი, სადაც დაახლოებით ვიქნებოდი. ჰოდა, ჩვენი სწრაფი პატრულის წყალობით, სულ რაღაც 15 წუთში მესმის: გადმოეთრიე, გააღე საბარგული ნაბიჭვარო, სად არის ბავშვი? გიო სიცილით მოკვდა და თავისუფლად გააღო საბარგული. ხალხო, მისი თვალეები უნდა

გენახათ, როცა ტირილით ჩავეხუტე ერთ-ერთ პოლიციელს. მართალია, მერე ყველაფერი გაირკვა, მაგრამ გიომ საბოლოოდ თქვა, რომ ჩემს დეიდაშვილს შეეშვება (იმდენი საშინელება გავუკეთე). ახლა ჩემზე — ერთმა პირველმა „ლოვემ“ ორქიდეა მაჩუქა (ორქიდეა ბერძნულად ყვავილს ნიშნავს, ხოლო „არხიდეა“ — მამაკაცის გამრავლების ორგანოს). ჰოდა, უნდა გენახათ, ორი დღე რა სიამაყით ვყვებოდი ბერძენ მეგობრებთან (ცნობისთვის, 14 წლის ვარ), კოსტამ რა ლამაზი „არხიდეა“ მომართვა (ხალხი სიცილით იგუდებოდა). 2 კვირაც და „გზავნილებს“ უკვე საქართველოში წავიკითხავ. მამიდა წევს და ბუზღუნებს, რა ვქნაო. მაინც არ წავიკითხებ თქვენს ამბებს, რადგან მერე დამესიჯებას მოინდომებს, გამოაქვეყნებს ჩემთვის არასასურველ, ჩემს ამბებს და მომჭრის ქალს თავს, ევროპის მასშტაბით. კიდევ ერთი მადლობა უცნობს, კვირას „გზა“ უფასოდ რომ დამითმო (ნეტავ ვინ იყო, ჰააა?). კალომირა.

• მამაკაცის ცბიერებას კიდევ რა უშავს? დედაკაცისას ბოლო არ უჩანს... არ ვიცი, რატომ, მაგრამ ერთ ინდიელ ტიპს შევეყვარდი. რომ გაიგო, 18 წლის ვარ და ბოიფრენდი არ მყოლია, არ დაიჯერა. არადა, თავისუფალი გოგო ვარ და ჩემი ეშხით ბევრი უკან ფინიასავით დამყვება. ეს რომ ჩემმა ძმამ გაიგოს, დამახრჩობს, ომონიის ცენტრში. უკარება.

• მარი, ცუდად ვარ. ჩემი მამიკო გარდაიცვალა. ღმერთმა წაიყვანა. მამი, უზომოდ მენატრებოდი. აწი რომ ვერასდროს გნახავ, რა მეშველება უშენოდ? მიყვარხარ, მა. ბოტოტა-17.

• ჩემო საყვარელო შვილებო, აკაკი, თაკო და გოგიტა, უზომოდ მენატრებით. იმეღია, მალე ჩაგებუტებით. ძალიან მიყვარხართ. თქვენი მონატრებული დედიკო, რუსუდანი, იტალიიდან.

• ახლა ბებო მივაძინე და როგორც იქნა, მოვიცალე, რომ „გზავნილები“ წავიკითხო. მარი, ჩვენი გახარებისთვის ღმერთი გაგახარებს. მოკითხვა მგზავნილებს, ათენიდან.

• როგორ ხართ, ჯიგრებო? რას შვრებით, ხომ ხართ ჯიგრულად? ათენში მცხოვრებო ქართველო ემიგრანტებო, „გზის“ მეშვეობით მაინც გავიცნოთ ერთმანეთი. გამომეხმაურეთ. კობრა.

• ხალხო, მთელი ათენი არის ქართველებით სავსე და ათენში შეიქმნა პატარა საქართველო. ახლა საბერძნეთს უნდა მოვთხოვოთ ავტონომია, რომ ჩვენს კუთხეში ვიყოთ. კობრა.

• გიოს, სულოს, ლელას,

მაგოს, ჩვენი თამადობით ყველა ემინგრანტს გაუმარჯოს! დუშეთს გაუმარჯოს! მარი, მიყვარხარ. ბალახაძე, ათენი.

• დიიდი ინტერვალის მერე მეც დავბრუნდი, ჩემო მურაბა ხალხო. თემა არ ვიცი, მაგრამ ეს დათოს ბრალია, ჟურნალი არ შემინახა. უკარება, ათენიდან. გკოცნით ყველას.

• ისეთი თავპირისმტვრევით გავრბივარ „გზის“ საყიდლად, რომ გადამაქვს ფეხით ქალი თუ კაცი, მაგრამ რა გინდა გააკეთო? ჩემი მესიჯი ისევ არაა. მენატრება საქართველო და რა გავაგებინო ბერძნებს? აი, ქართული გინება კი ვასწავლე. ახლა ველარც ვაგინებ და ასე ვსკდები გულზე. ცუდი გოგო.

• თეონა შევარდნაძეს ვულოცავ 13 აპრილს, დაბადების დღეს, ყველაფერს კარგს გისურვებ, სიხარულო. თამუნა, ათენი.

• აქ რომ ზღვა არის, ჩვენი არაა, აქ რომ ქარია, სულ სხვა ქარია, მანდ ერთი სიტყვა გულს გაგვიმრთელებს, აქ არაფერი არ გვიხარია. ხონდრულა, ათენიდან.

• ლამეს ვათევ, რომ „გზის“ წაკითხვა მოვასწრო და მესიჯი გამოგვზავნო. დიდი მადლობა, რომ გამახარე და დამიბეჭდე ჩემი მესიჯი. ახლა კიდევ, თხოვნით მოგმართავ: ხომ ხედავ, ათენში მყოფებს გვინდა, ერთმანეთი გავიცნოთ. ჰოდა, დაგვხმარე და ნომრები გაგვაგებინე, ერთმანეთის. გთხოვ, რა... ვარდენა.

• მინდა გავიცნო ადამიანი, რომელიც იშვიათი კაცის სახელით მოგვევლინა. კაი ბიჭი ხარ, ასე რომ ფიქრობ. ქალი და კაცი მისთვის გაჩნდა, რომ ერთმანეთს სჭირდებიან. აბა, კაცის ნეკნიდან რომ გაჩნდით, ეგ მაინც გავიხსენოთ გოგონებმა და მიხვდებით. მინდა, ვიმეგობროთ, იშვიათო კაციო. ველი პასუხს. ვარდენა (გოგო).

• დათუჩა, ჩემი სიყვარული და მონატრება ხარ. როცა შორს ხარ, მონატრება უფრო მაგიუებს და ვითვლი შენი მონატრების უხმო ნაბიჯებს! ბუზუნძელა.

• თუკი ლოდინი გარგუნა ღმერთმა, ნურც გაიფიქრებ, რომ ბედი არ გაქვს, უბედური ხომ მხოლოდ ის არის, ვისაც ლოდინის მიზეზი არ აქვს. გოჭი, მაგრამ მიყვარხარ. შენი ბუზუნძელა.

• ძალიან შორიდან მინდა ვუთხრა ჩემს ცხოვრებას, რომ მაგრამ მენატრება და მიყვარს. შენი ბუზუნძელა.

• ყველას მოგესალმებით, ეს მე ვარ, კოხი-20. როგორ ხართ, ჩემი სიხარულები? ყველას მადლობა, ვინც ამ 3 თვის მანძილზე ჩემ გვერდით იდგა. გკოცნით და გეფერებით, თქვენი კოხი.


• ოლეგარიო, ნონ-სტოპი, აფხაზეთის პრინცესა, მეგრული მეგლო, კანიბალკა, ზაზუ, მონასტრის ბიჭი, პუჰსიკუნა — თქვენ განსაკუთრებული მადლობა. ძალიან მიყვარხართ. კოხი-20.

• მარი, არ გამიტეხო, რა და დამიბეჭდე, გთხოვ. მე ხომ 5 თვეა, არ დამიმესიჯებია და ყველანი მომენატრეთ, იცით? გკოცნით და გეფერებით. წინასწარ მადლობა. კოხი-20.

• მის 13.07, მაგრამ მომენატრე. მინდა, გულში ჩაგიხუტო. ღმერთი გფარავდეს, ჩემო დაიკუნა. კოცნას გიგზავნი „გზის“ ფურცლებიდან. შენი გარეკილი კოხი ვარ.

• მარი, ჩემო კარგო, ღმერთმა დაგლოცოს, ასეთი კეთილი საქმისათვის. რამდენი ქართველის გულს ახარებ კვირაობით, თუ იცი? ძალიან მენატრება ჩემი მინა. გკოცნი, გეხვევი. ათენი.

მონატრება



• მენატრებით და მიყვარხართ, ოჯახო, მეგობრებო, ლარიბო საქართველოვ, მაგრამ ლამაზო და ტკბილო. გკოცნით და გეფერებით, თამუნა, ათენიდან.

• ჩემს საყვარელ შვილს, ლუკა სეფერთელაძეს, მინდა ვუთხრა: ჩემი ცხოვრება და სიხარული ხარ. მიყვარხარ და მენატრები ძალიან. შენი დედა, თამუნა. ათენი.

• ჩემო პატარა ანგელოზებო, აკაკი, თაკო და გოგიტა დროულსოვებო, ძალიან მენატრებით და მიყვარხართ. მიჭირს უთქვენობა, მაგრამ რა უნდა ვქნა? თქვენს გაზრდაში ხომ დიდი წვლილი მიმიძღვის და საკუთარი შვილი რომ მყავდეს, თქვენზე მეტად არ მომენატრებოდა. ახლა ვხვდები, თქვენი დედიკო როგორ იქნება თქვენზე მონატრებული. მას ხომ 4 წელია, არ უნახავხართ. გწამდეთ, რომ ჩემი გული გლოცავთ. მიყვარხართ, თქვენი ნონიკო დეიდა, ათენიდან.

• მალლაკელო გიგა ჟორჯოლიანო, ჩემი ცხოვრება ხარ. მიყვარხარ და მენატრები. უშენოდ მაგრამ ვიტანჯები, ჩემო ანგელოზო. ღმერთი გფარავდეს. დიდი სიყვარულით, ფიქრია, ათენიდან.

• მონატრებული სალამი მარინა მამიდას, სოფოსა და ლიკასაგან. მამიდა, რამდენი ხანია, არ გვინახავხარ და ძალიან მოგვენატრე. სოფო არაბული.

• გიო მგალობლიშვილო, გეფიცები, არ მეგონა, თუ ასე მი-

ყვარდი. ვგიჟდები უშენოდ. ცოტაც გაუძელი და მალე ერთად ვიქნებით. ჩემი სიყვარული გაგაძლიერებს. გკოცნის მეუღლე.

- გიო მგალობლიშვილო, ჩემო ცხოვრების აზრო, უშენობა უკვე მაგიჟებს. მენატრება ჩვენი ერთად გატარებული დღეები, შენი მოფერება და ღიმილი. მეუღლე გაღმერთებს. მაკა.

- ვიჯექი მარტო და ცას ავხედე, შენ გამახსენდი, თქმა ვერ გავბედე, მოსწყდა ვარსკვლავი, ნატვრა ვისურვე, კარგო, ჩემ გვერდით მე შენ გისურვე... მიყვარხარ, დიმააა!

- იიარგიონა, მიყვარხარ მაგრად. მინდა, ვიყვირო თავგამეტებით და იქნებ, მერე მაინც გაიგო და ყვირილითვე პასუხი მომცე. იცი, რა, ტკბილო, ტირილი მინდა, ისე მენატრები. ამ სააკაშვილმა ეს ამნისტიები მაინც გამოუშვას მასიურად, რომ რამე გეშველოს და მეც ეგრევე გამოფრინდები... სიხარულო, ნეტავ წამიერად მენახე და თუ გნახავდი, ხომ ველარაფერი დაგვაცილებდა ერთურთს.



- თბილისში, კახა შერმადინს ვულოცავთ დაბადების დღეს, 7 აპრილს. კახა, გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. ღმერთი იყოს შენი მფარველი, ყველგან და ყოველთვის. დიდი სიყვარულით, ამირანი და თამუნა, ათენიდან.

- ჩემს საყვარელ ადამიანს, ინგა ქარაზანიშვილს მინდა მივულოცო შეილის დაბადების დღე, 25 აპრილი. ღმერთი გფარავდეთ. დიდი სიყვარულით, მეგრელო, ათენიდან.

- ილია ფერხულს ვულოცავ დაბადების დღეს, 5 აპრილს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წამდვილ სიყვარულს, სურვილების ასრულებას და ყოველივე კარგს. თეონა, ათენიდან.

- გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ცხრათვალა მზეს, მზის შუქის ყველა ფერს, სიხარულს, სიყვარულს ბევრს და მაინც გისურვებ ერთს — უზომოდ უყვარდე ღმერთს. ფერხულ ილიას. თეო.

- ჩემს საყვარელ და მონატრებულ დედას, ია ნატრიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას. დედა, მიყვარხარ სიგიჟედ. გკოცნი და გეფერები. ათენიდან, ფიქრია.

- დღევანდელ დღეს ვულოცავთ ინესა ლალიაშვილს — დაბადების დღეს, პირველ აპრილს. ვუსურვებთ ყოველივე კარგს, ოჯახთან და ყველა კეთი-

ლის მსურველთან ერთად. უფალი ფარავდეს მას და მის ოჯახს. ნონა და ლუიზა. ათენი.

- მალლაკში მცხოვრებ ნათელა ყორყოლიანს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, ტრისტანთან ერთად. მინდა ვუთხრა: გიგა მიყვარს. ფიქრია, ათენიდან.

- ჩემს ძვირფას და საყვარელ ადამიანებს, ჩემს მონატრებულ შვილებს, თამოს, ვანოს, ნინოს, ნანას და თამარიკოს ვულოცავ სიყვარულის დღეს და ვუსურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერებას, თავიანთი კეთილი ხალხით. გკოცნით და გეფერებით, შორეული ათენიდან. ნანული.

- სიძე-სიმამრს, ნიკუშას და ოთარს ვულოცავ დაბადების დღეს და სიყვარულის დღეს. დაესწარით მრავალს, ჯანმრთელები და გახარებულები, თქვენს ცოლ-შვილთან ერთად. გფარავდეთ უფალი და ყოველდღე მინდა მარიამი. ნანული, ათენიდან.

- ნინიკო ნიკლაურს ვულოცავ სიყვარულის დღეს. სიყვარული, სიხარული და ჯანმრთელობა არ მოგაკლოს მაღალმა ღმერთმა. გისურვებ სწავლის გაგრძელებას და ლამაზ სიყვარულს. შენი იმედი მაქვს, ჩემო მონატრებულო და მამიკოს იმედად გაჩენილო პატარავ. გკოცნის მონატრებული დედიკო, ათენიდან. ნანული.

- მინდა, გოჩა და ნონა ბოტკოველებს შეილის გაბედნიერება მივულოცო. ღმერთმა სულ ბედნიერები და გახარებულები ამყოფოს. მეგრელო, ათენიდან.

- მონატრებულ და საყვარელ რძალს, ითურიძე ქეთინოს დაბადების დღეს ულოცავს თავისი დედამთილი, ნაზი პაპიაშვილი. ბედნიერი და ჯანმრთელი ყოფილიყავი, შენს ქმარ-შვილთან და მამის სახლთან ერთად. გკოცნი და მიყვარხარ ძალიან. ნაზი. ათენი.

- ჩემს საყვარელ და მონატრებულ მეუღლეს, გიგა შალიკაშვილს მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მენატრება და მიჭირს მასთან სიშორე. სიხარულო, ვიცი, რომ შენც გიჭირს უჩვენოდ, მარტოდ-მარტო ყოფნა, მაგრამ მერწმუნე, გაივლის ეს სატანჯველი წლები და ისევ ერთად ვიქნებით. მინდა გჯეროდეს, რომ ჩემი აქ წამოსვლა სატანჯველი გახდა. მიყვარხარ და მენატრები, ჩემო სიხარულო, ჩემი ცხოვრების აზრო და იმედო. ნონიკო, ათენიდან.

- თბილისში თათია ჭრელაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, 13 აპრილს. თათია, ჩემო კარგო, გისურვებთ დღეგრძელობას, უღვე სიხარულს და ბედნიერ მომავალს, შენს საყვარელ ადამიანებთან ერთად. დიდი სიყვარულით, ამირანი და თამუნა. ათენი.

- ჩემს მონატრებულ დას, ანი გიორბელიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ უღვე სიხარულს, ოჯახთან ერთად. ქეთო, ათენიდან.

- ჩემს პატარა ბიძაშვილს, ვახო ამბროლაძეს მინდა მივულოცო დაბადების დღე. ვუსურვებ ყოველივე კარგს. გკოცნი და გეხუტები, შორიდან, ჩემო პატარავ. ეკა.

- ზალიკო ბრეგვაძე, დაბადების დღეს გილოცავთ, ჩვენო მონატრებულო შვილო. მრავალს დაესწარი, შენს ლამაზ და საყვარელ ოჯახთან ერთად. ბედნიერებით სავე ყოფილიყოს შენი ცხოვრების კალენდარი. გვიყვარხარ და გვენატრები. უფალი ფარავდეს, შენს პატარა ოჯახს. შენი მონატრებული მშობლები, მზია და მიშა ბრეგვაძეები.

- სიყვარულის დღეს გილოცავთ, მგზავნელს, დიდსა თუ პატარებს, მარიამულს, „გზის“ დედოფლის სახელს რომ დაატარებს, უღვე სიხარულს გისურვებთ, დარდი ქარს გაატანეთ, ეს ცხოვრება ბედნიერად, ჯანმრთელად გაატარეთ. მრავალს, მრავალს დაესწარით, სიყვარულის დღეობას, ყოველივე კარგს გისურვებთ, „გზის“ მთელ მოსახლეობას. მისის-იპი.

- ათენში მყოფ, ჩემს საყვარელ მეგობარს, ლილი გულბათაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს ოჯახთან ერთად. გკოცნი. მიყვარხარ. დალი.

- ლილი დეიდა, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ყველაფერს საუკეთესოს. ბედნიერი დედა იყავით. არასოდეს მენახოთ მოწყენილი და დარდიანი. გკოცნით.

- 24 აპრილს 23 წლის ხდები, თამუნა ხაჩიძე და გულით და სულით გილოცავ, ხაშურიდან იტალიაში. უფალმა ბედნიერი გამოყოფოს, მეუღლესთან ერთად. ერთს გეტყვი: მიყვარდი და მეყვარები, სიცოცხლის ბოლომდე. როცა ვლოცულობ, უფალს ვთხოვ, ბედნიერი გამოყოფოს და სიკვდილის წინ ერთი წუთით მაჩვენოს შენი თავი. შენი კეთილმსურველი რამაზი, ხაშურიდან.

- 15 აპრილი, სიყვარულის დღე მინდა მივულოცო ჩემს დიდ სიყვარულს, ლაგოდებში. შენ მთელი ჩემი სიცოცხლე ხარ, ღმერთი იყოს შენი მფარველი. გკოცნე შენი ტასიკო.

- 15 აპრილს დაბადების დღეს და სიყვარულის დღეს ვულოცავ უშუალოდ ვაჟკაცს, სიმონა ჭელიძეს. კაცურად გველოს ამ ქვეყანაზე. სალი.

- ჩემს დაიკოს, ეკა პავლიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ეკუმ, ჩემო სიხარულო, გისურვებ ბედნიერებას და უღვე

ყურადღება!

„მობილი-ზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №39-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 39-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

სიხარულს, შენს ლამაზ ოჯახთან ერთად. შენი მაკუშა.

- 13 აპრილს გილოცავთ, ინგა, იგივე ირმა. მრავალს დასწრებოდე, უკეთესად. გაკმაროს ტკივილი ღმერთმა. მეგობრები, ქუთაისიდან.

- ჩემს ერთადერთ და განუმეორებელ სიყვარულს, ჩემი ოცნების მამაკაცს, ვალიკოს ვულოცავ სიყვარულის დღეს. ტკივილამდე მენატრები და მიყვარხარ. შენი ლიკა. ვალიკო, ჩემი ცხოვრების აზრი ხარ და სიგიჟემდე მიყვარხარ. შენ შეიძლება შეგიყვაროს ჩემზე ლამაზმა, მაგრამ ვერავინ შეგიყვარებს, ჩემებრ ლამაზად. შენი ლიკა.

- დიდი სიყვარულით. მინდა დაბადების დღე, 16-აპრილი მივულოცო სვან გოგონას, ზენაბ ჩარკვიანს. ბედნიერად გველოს, შენი პატარა პიპიათი. მიყვარხარ და მენატრები.

- პატარა ქეთი მალანიას ვულოცავთ დაბადების დღეს, 10 აპრილს. ცხოვრების ლამაზ გზაზე გველოს მუდამ. დედა ღვთისმშობელი გფარავდეთ შენ და გიორგის. გოცნით, ლიზი და გუგა.

- ჩემს საყვარელ მეგობარს, დარეჯან ბერიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ჩემო მეგობარო, გილოცავ და გისურვებ უღვევ სიყვარულს და სიხარულს, შენს გელასთან და ანუკისთან ერთად.

- ჩემო საფიცარო ნუგზარ მანჩაშვილო, გილოცავ ათენიდან, 18 წლის იუბილეს. გისურვებ წარმატებებს, ყველაფერში. ძალიან მენატრები. გოცნი და გეფერები. ციური ბებო.

- დაბადების დღე, 26 აპრილი მინდა მივულოცო ჩემს თავს და ვუსურვო სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება. კიდევ, ყველას, ვინც აპრილშია დაბადებული, ვულოცავ დაბადების დღეს. გაიხარეთ! გერასიმე.

- ელისოს ვულოცავ ვაჟუკის დაბადებას. ბედნიერ დედობას გისურვებ, ჩემო კარგო. იხარე და იბედნიერე, ლამაზ ოჯახთან ერთად. გერასიმე.

- გაა ბებიაშვილს! ჩემო საყვარელო გაა, გილოცავ დაბადების დღეს, ბედნიერება და სიხარული იყოს შენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი. დეიდა თინა. გოცნი. ათენი.

- გამარჯვებაში, მახო და მაკა გოგოჭურებს ვულოცავ სიყვარულის დღეს, 15 აპრილს. მრავალს დაესწარით. დიდი სიყვარულით, მეგრელო, ათენიდან.

- ეკა ნიკლაურს ვულოცავ სიყვარულის დღეს, 15 აპრილს. მრავალს დაესწარი, ჩემო ლამაზო გოგო. დიდი სიყვარულით, მეგრელო ლალი, ათენიდან.

- გამარჯვებაში, ლომფხვი მინდიკაურს და კობა ჭინჭარაულს

ვულოცავ სიყვარულის დღეს, 15 აპრილს. გისურვებთ უღვევ სიხარულს და უღამაზეს სიყვარულს. მეგრელო, ათენიდან.

- ხევსურთა კოლორიტს, ნათია ჭინჭარაულს ვულოცავ სიყვარულის დღეს, 15 აპრილს. სიხარულს და ბედნიერებას გისურვებ. მეგრელო.

- ჩემს საყვარელ შვილებს, სოფიკო და ლიკა არაბულებს ვულოცავ სიყვარულის დღეს, 15 აპრილს. მრავალს დაესწარით, სულ ჯანმრთელები და ბედნიერები. თქვენი მონატრებული დედა.

- 13 აპრილს, ჩემს საყვარელ დედიკოს, გუგული ბუჟანიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. დე, გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს. მენატრები მაგრად. შენი მონატრებული შვილი, თამუნა. ათენი.

- თიანეთის პოლიციის იმედს, დავით სულხანიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ, ოჯახთან ერთად. ყოფილი აღმასრულებელი, ათენიდან. ნანა ჯიმიტაშვილი.

- ათენში დროებით მცხოვრებ ნანა ქუთათელაძეს 17 აპრილს ვულოცავთ დაბადების დღეს. ჩვენო საყვარელო ნანა, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიყვარულს, სიხარულს და უღვევ ბედნიერებას. შენი ცხოვრების თითოეული წამი ყოფილიყოს ბედნიერებითა და სიხარულით სავსე. ათენიდან, მანანა, ლარისა, ლელა.

- ჩემს საყვარელ ადამიანს, ციურა ხახლაურს ვულოცავ დაბადების დღეს, 5 მაისს. ღმერთმა მოგცეს ჯანმრთელობა, გამძლეობა და ღმერთის წყალობა. დიდი სიყვარულით, ლალი მეგრელო.

- მინდა, ჩემს საყვარელ დედიკოს, ნინო გოგელაშვილს მივულოცო დაბადების დღე და ვუთხრა, რომ მაგრად მიყვარს და გაძლებას ვუსურვებ, საბერძნეთში. დე, მრავალს დაესწარი.

- ჩვენს პატარა სიცოცხლეს, მიშიკო ბრეგვაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი, სიხარულო. 100 ლამაზი დღე დაეთვალოს შენი ცხოვრების კალენდარს, შენს მშობლებთან ერთად. გაიხარდე, გაიხარე და ჩვენც გაგვახარე. შენს მოფერებას, მონატრებას მონატრებული ბებო და ბაბუ, მზია და მიშა ბრეგვაძეები, ათენიდან.

- ნესტან და ზალიკო, შვილის დაბადების დღეს გილოცავთ. ღმერთმა ბედნიერი და გახარებული გამყოფოთ, თქვენს პატარა მიშოსთან ერთად. წმინდა მიხეილის და ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეთ. მზია და მიშა ბრეგვაძეები, ათენიდან.

მოსოკალენდარი

მშშსაი



ამ დღეს მოულოდნელ-
მა შეხვედრამ შესაძლოა,
გეგმები შეგიცვალოს. ნუ
შეუშინდები ცვლილე-
ბებს, რადგან მას შენ-
ვის სასარგებლო და
საინტერესო მოვლენები
მოჰყვება. სასურველია,
სიმშვიდე და თავდაჭერი-
ლობა შეინარჩუნო.
მიმდინარე მოვლენები
შენგან მაქსიმალურ მობი-
ლიზებას მოითხოვს.


სამშსაი

ეს დღე სიყვარულს,
წარმატებას გპირდება. სამ-
სახურში ახალ წინადადე-
ბას შემოგთავაზებენ, მაგრამ
მაშინვე ნუ დათანხმდები.
შენი შეხედულებები ცხოვრე-
ბაზე შეიცვლება. დღის მეორე
ნახევარში არჩევანის წინაშე
დადგები. ჯობს, გულის კარ-
ნახს მიენდო და ყველაფერი
კარგად იქნება.



მობშსაი

ბევრი საზრუნავი
გაგიჩნდება. ისეთი შეგ-
რძნება დაგეუფლება,
თითქოს დრო არ გყოფ-
ნის, მაგრამ თუ გეგმის
მიხედვით იმოქმედებ,
მნიშვნელოვან საქმეებს
აუცილებლად მოასწრებ,
საპირისპირო სქესისგან
აღიარებასაც მიიღებ და
თავს საჭირო და მნიშ-
ვნელოვან პროცენტად
იგრძნობ.



სერიოზული

შენი ძირითადი ამოცანა სხვების დახმარება იქნება. ამავდროულად, იგრძნობ, რომ ვიღაც შენს ცხოვრებაში ხელს აფათურებს, რაც ძალიან გაგალიზიანებს. არ ღირს ნერვების მოშლა. ჯობს საკუთარ საქმეებს მიხედო. ყბედი დაილლება და გაჩუმდება.




წამსხეული



უამრავი ახალი იდეა გაგიჩნდება, რომელთა განხორციელებასაც დიდი დრო დასჭირდება. მართალია, დაუღალავად შრომობ, მაგრამ ამ დღეს შენ მიმართ უმადურობას გამოიჩენენ. კოლეგების მხრიდან ლალატის შანსი დიდია. დღის მეორე ნახევარი გაცილებით მშვიდი და წყნარი იქნება. ამ დღეს სტუმრად წასვლას არ გირჩევ. ჯობს, საღამო მშვიდ, ოჯახურ გარემოში გაატარო.

შესანი

დიდი ხნის მოუგვარებელი პრობლემის მოგვარებას შეძლებ. მაქსიმალურად გააკონტროლე ხარჯი. ნუ დაგეგმავ შორ გზაზე წასვლას, თუ გადაუდებელი საქმე არ გაქვს. მეგობრების იმედი ნუ გექნება. შენ გამო თავის საქმეს არავინ გადაადებს.



სერიოზული

გელის წარმატება, რომელზეც დიდი ხანია, ოცნებობ. საყვარელ ადამიანთან შეხვედრა სიმშვიდეს მოგგვრის. იყავი ლმობიერი და თუ მცირე შეცდომების მიტევებასაც შეძლებ, ყველაფერი შენს სასიკეთოდ შემობრუნდება.





ჩოგორ ცაჩეოიღუცა საჩკე

როდესაც უძველესმა ადამიანმა გუბეში დამდგარ წყალში, მდინარესა თუ ტბაში ჩაიხედა და სახუთარი გამოსახულება იხილა, სარკის წარმოშობის ამბავიც სწორედ მაშინ დაიწყო. საათობით სარკეში ყურება მხოლოდ ქალების პრეროგატივა არ გახლავთ. ბერძენი ფილოსოფოსი, სოკრატე სარკეში ყურებას ახალგაზრდა მამაკაცებს ურჩევდა.

პირველი სარკე ჩვ.წ-ალ-მდე III საუკუნეში წარმოიშვა. გამოსახულება მკვეთრი რომ ყოფილიყო, მინის ზედაპირს, რომელიც აუცილებლად მრგვალი ფორმის იყო ბრინჯაოს, ვერცხლის ან ოქროს ნაერთს უსვამდნენ. ასეთი სარკის უკანა მხარე სხვადასხვა ორნამენტით იყო მოხატული. სარკე ჩვენი წელთაღრიცხვით I საუკუნეში, რომში გაჩნდა, მაგრამ ის ეკლესიამ აკრძალა. მათ მიაჩნდათ, რომ სამყაროს, სარკიდან ეშმაკი უყურებდა. სარკის ახალი დაბადების თარიღად XIII საუკუნე მიიჩნევა. იმ დროს სარკის დასამზადებელ, ამრეკლავ შენაერთში ოქროსა და ბრინჯაოს ურევდნენ. ასეთი სარკე გამოსახულებას ამრუდებდა. საუკეთესო სარკეს ვენეციაში ამზადებდნენ და ძალზე ძვირი ღირდა, დაახლოებით იმდენი, რაც ერთი საზღვაო ხომალდი. ვენეციელი ხელოსნები შიშობდნენ, რომ სარკის დამზადების მათეულ საიდუმლოს ვინმე დაეუფლებოდა, ამიტომ ყველა ხელოსანი კუნძულ მურანოზე გადასახლდა, სადაც იზოლირებულად ცხოვრობდნენ და გარე სამყაროსთან ურთიერთობა ჰქონდათ განწყვეტილი.

ვენეციური სარკის სიძვირე გარკვეულწილად საფრანგეთის ხაზინაზე აისახა. არისტოკრატები მზად იყვნენ, იტალიურ ნაკეთობაში უამრავი ფული გადაეხადათ. როდესაც საფრანგეთის დედოფალი მეფლისზე სარკის ნატეხებით მორთული კაბით გამოცხადდა, ფინანსთა მინისტრს თავზარი დაეცა. — „კიდევ ერთი ასეთი მეფლისი და საფრანგეთი გაკოტრდება!“ — გაიფიქრა მან და გადამჭრელ ზომებს მიმართა. მისი ბრძანებით სასახლის კარის აგენტებმა რამდენიმე ვენეციელი ხელოსანი მოიხსივდეს, კუნძულიდან მოიტაცეს და საფრანგეთში ჩამოიყვანეს. მალე საფრანგეთში სარკის პირველი მანუფაქტურა შეიქმნა.

ფრანგებს სარკის დამზადების ტექნოლოგია საიდუმლოდ არ შეუნახავთ და ევროპაში სარკის მწარმოებელი უამრავი საამქრო წარმოიშვა. ვერსალში ააშენეს გალერეა, რომელში 306 სარკე იყო.

ამ დროიდან მოყოლებული, სარკემ ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა და ყველა ოჯახისთვის აუცილებელ ნივთად გა-

დაიქცა. ახლა მის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია.

დღესდღეობით სარკემ სხვა ფუნქციაც შეითავსა. მისი საშუალებით ელექტროენერგიასაც იღებენ.

რამდენიმე რჩევა, თუ როგორ უნდა მოვუაროთ სარკეს.

- სარკეს მზის „ეშინია“, ამიტომ ის ისეთ ადგილზე უნდა დაკიდოთ, სადაც პირდაპირი სხივები არ ხვდება.
- მისი განმენდა რბილი, მშრალი ჩვრითა მიზანშეწონილი. ის სარკის ზედაპირს არ დაჩხაპნის.
- სარკის განმენდა მხოლოდ ცივი წყლითა შესაძლებელი. შეგიძლია, მასში ჩაის ნაყენი ჩაამატო. სარკე უჩვეულოდ იბრწყინებს.
- სააბაზანოს სარკე იოლად გაიწმინდება, თუ მას ცარციტ ან კბილის ფხვნილით განმენდ.

<<< 14

მოკლე ჩართვა

ჩათო ავირია ას ნიკი

• იმ დღიდან, რაც მამიკომ მანქანის საჭე მანდო, ოცნებად მექცა „ჰამერი-ჩვ“, ნომრით — ბელ-555 (ვარ ბელა და ვარ 5 რიცხვში დაბადებული). აი, ასე ბელ-555.

• მთელი 1 წლის განმავლობაში ცრემლებად ვიღვრებოდი უდიდესი სიყვარულის გამო. აი, ამიტომ ვარ ცრემლუკა.

• ნიკი მიკა იმიტომ ავირჩიე, რომ მიკას სიმღერები მომწონს, უბრალოდ თან კარგად უღერს მიკა.

• ეკაბეკა დამარტყეს ერთერთ ჩათში და იმის მერე ყველგან ეკაბეკა ვარ. :)

საქართველოში მუშაობით «ნასიამოვნები» ტოპიოლარი ხანგრძლივ დასვენებას აპირებს

„ფედერაციის პრაზიდენტმა მთხოვა, რომ მათ ახალი მწვრთნელის მოძებნაში დაეხმარო“

სასაცილოა, საკვირველი რომ არ იყოს, — ამაზეა ნათქვამი: საქართველოში ორწლიანი მოღვაწეობის დამლევსთვის, ირლანდიაში წაგებული მატჩის შემდეგ, კლაუს ტომპიოლერმა ჯერ გვითხრა, წასვლას არსადაც არ ვაპირებო, შემდეგ ფინანსური პრეტენზიები წაუყენა ფეხბურთის ფედერაციას, შემდეგ ამ ფედერაციის პრეზიდენტს ათქმევინა, — ყველა საკითხი მოგვარებულიაო, სამშობლოში ჩასულმა კი, ერთ-ერთი ავტორიტეტული გერმანული გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში ბრძანა, — ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტი ჩემი ინიციატივით დაეტოვე, რადგან... ფული არ გადამიხადესო!



ლაშა თაბაგარი

აი, აღნიშნული ინტერვიუს ტექსტი: — საქართველოს ნაკრები რატომ დატოვეთ? — კონტრაქტის განწყვეტა თავად ვითხოვე. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი ფაქტორი — ხელფასის გადაუხდელობა იყო. 2006 წლის ოქტომბრის შემდეგ, აღარაფერი მიმიღია. ამის შესახებ ქართულ მხარეს არაერთხელ მივმართე და ფიფასაც შევატყობინე. სპორტის მინისტრმა დამამშვიდა, რომ საქმე გამოსწორდებოდა, მაგრამ ახალი წლის დადგომასთან ერთად, მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. — საქართველოს ფეხბურთის

ფედერაცია უკმაყოფილოა ნაკრების მიერ ნაჩვენები შედეგებით. რას იტყვით ამ კრიტიკაზე?

— ეს არასწორია. ჩვენ ერთმანეთს მეგობრულად დავშორდით და ამიტომ, სიმართლე უნდა ვილაპარაკოთ. როცა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ჯგუფში ტურნირის ფავორიტებთან — საფრანგეთთან და იტალიასთან და ასევე, მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალისტთან — უკრაინასთან თამაშობ, ნარმოდგენელია, ნარუმატებლობად შეაფასოს ის, რომ ფინალურ ეტაპზე ვერ გახვედი.

— არ შეიძლება, რომ მომავალში ვითარება შეცვლილიყო?

— პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ მოთამაშეები იზვიათად ჩამოდიოდნენ ნაკრების მატჩებზე. მარტში ჩრდილოეთ ირლანდიაში ვითამაშეთ და 20-დან 10-მა ფეხბურთელმა შეგვატყობინა, რომ ვერ ჩამოვიდოდა. გარდა ამისა, კიდევ ორი ფეხბურთელი სასტუმროში დარჩა, რადგან ავად გახდა, ხოლო სამმა ვიზა ვერ მიიღო. ყოველივე ამის გამო, მოედანზე 19-დან 21 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მოთამაშეთა გაყვანა მოგვიხდა.

— ასეთ პირობებში სრულყოფილად მომზადება, ბუნებრივია, რთული უნდა იყოს...

— ეს იყო უმთავრესი პრობლემა, რომელიც მთელი ორი წლის განმავლობაში ხელს გვიშლიდა. ძირითადი შეზღვევების მოთამაშეებს ხშირად, ურჩევნიათ, საკუთარ გუნდებში დარჩნენ, სადაც ქვეყნის ჩემპიონობისთვის, ჩემპიონთა ლიგაში ან უეფას თასისთვის იბრძვიან. ეს კიდევ ერთი მიზეზი იყო იმისა, რამაც გვაიძულა, გვეთქვა — მუშაობა უნდა დავამთავროთ!

— იურისტების დახმარება რისთვის დაგჭირდათ?

— ადვოკატი იმიტომ დავიქირავე, რომ მეორე მხარე კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებას არ ასრულებდა. მე განვაცხადე, რომ ასეთ სიტუაციაში ვეღარ ვიმუშავებდი. კონტრაქტის განწყვეტა ჩემი ინიციატივით მოხდა.

— თქვენი მუშაობის რომელ ასპექტებს შეაფასებდით პოზიტიურად?

— ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ, რათა მომავალი თაობის აღზრდის საქმე ფეხზე დაგვეყენებინა და ქვეყანაში სკაუტინგის სისტემა დაგვეწერა — 15-დან 17 წლამ-

დე ასაკის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები შეექმენით და მწვრთნელთა მომზადება დაიწყო.

— საქართველოს ნაკრებში გატარებულმა პერიოდმა რა მოგიტანა?

— არაერთი ქვეყანა მოვიწახლეთე, რაც არაჩვეულებრივი იყო. თვით საქართველოში ძალზე დიდ პატივს მცემდნენ. გადასარევი ქვეყანაა. ამიტომ, ნაკრებიდან წამოსვლის გამო, ცოტა გული მწყდება. ნაკრების მწვრთნელად პირველად ვიმუშავე და არნახული სიამოვნება მივიღე.

— მომავალში რომელიმე სხვა ნაკრებს ხომ არ ჩაიბარებთ?

— ქართულ მხარეს ძალიან მეგობრულად დავშორდი და სიტყვიტაც და საქმიტაც მათ გვერდზე ვიდგები. ფედერაციის პრეზიდენტმა მთხოვა, რომ მათ ახალი მწვრთნელის მოძებნაში დაეხმარო. რაც შეეხება ჩემს სამომავლო გეგმებს, — ახლა დიდი ხნით პაუზა უნდა ავიღო...

ფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია...

ამიტომ, უბრალოდ შეგახსენებთ, ჩვენი ნაკრების თავკაცის პოსტზე გერმანელი სპეციალისტის ორწლიანი მოღვაწეობის რამდენიმე საკვანძო მომენტს. მთავარ მწვრთნელად ის 2006 წლის 1-ელ თებერვალს დაინიშნა. მისი ხელმძღვანელობით ნაკრებმა 24 მატჩი ჩაატარა, რომელთაგან 7 მოიგო, 4 ფრედ დაასრულა, 13 კი წააგო.

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში, ტომპიოლერის შეგირდებმა 7-გუნდიან ჯგუფში მე-6 ადგილი დაიკავეს და მხოლოდ ფარერის კუნძულების ნაკრებს აჯობეს.

ტომპიოლერი საქართველოში მარტო კი არა, არამედ „კომპლექტში“ — თანაშემწეებთან ერთად ჩამოვიდა: რალფ მინგესა და ჰაინც ტომპიოლერს (ეროვნული გუნდის ექსთავაკაცის ძმას) სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ნაკრებთან უნდა ემუშავათ და, ტომპიოლერ-უფროსთან ერთად, ჩვენი ფეხბურთის განვითარებაში გადამწყვეტი როლიც უნდა ეთამაშათ. თუ რა შედეგებით დასრულდა მწვრთნელთა გუნდის მოღვაწეობა, — სამწუხაროდ, ყველამ კარგად ვიცით.

ახლა გავიხსენოთ ის კომენტარი, რომელიც ყოფილი მთავარი მწვრთნელის თავგამოდებულმა „ადვოკატმა“, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა რამდენიმე დღის წინ გააკეთა და გერმანელი სპეციალისტის ზემოთ მოყვანილ ინტერ-



გიუს შვედაროთ.

ნოდარ ახალკაცი:

„ორი დღის განმავლობაში, ყველა საკითხზე — როგორც ფინანსურ-სამართლებრივ, ასევე სპორტულზე — მასთან (მთავარ მწვრთნელთან. — ავტ.) გულწრფელი საუბარი გვქონდა. შედეგად, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ კლას ტოპმოლეური საქართველოს ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი აღარ იქნებოდა. მინდა, ამ ადამიანს მადლობა გადავუხადო განუთლი სამუშაოსთვის. იგი შეგვიბრდა, რომ ეროვნული ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელთან ითანამშრომლებს და ჩვენი გუნდის შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციას მიაწვდის. განვლილი პერიოდის განმავლობაში მასთან კარგი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა და როგორც მეგობრები დავმორდიტ“. შემდეგ, ჩვენთან საუბრისას, ბატონმა ნოდარმა აღნიშნა:

„მიუხედავად იმისა, რომ ტოპმოლეურს მუშაობის გაგრძელების სურვილი ჰქონდა, ეს გადაწყვეტილება ორივე მხარემ ყველა გარემოების გათვალისწინებით, ერთობლივად მივიღეთ. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ აღნიშნული ნაბიჯი ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ გადავდგით. ცხადია, ამ დროს ყველა ნიუანსი გავითვალისწინეთ და ავნიონ-დავნიონეთ“.

შეგახსენებთ — ცოტა ხნის წინ, გერმანელმა მწვრთნელმა განაცხადა, რომ მას ბოლო ერთი წლის ხელფასი არ აუღია და სასამართლოში ჩივილითაც დაიმუქრა. მაშინ, ტოპმოლეურმა აღნიშნა, რომ თუ სასამართლოში სარჩელს შეიტანდა, მის ასლებს ფიფას, საქართველოს პრეზიდენტსა და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს გაუგზავნიდა.

მისი განმარტებით, 2007 წლის ზაფხულში ნოდარ ახალკაცი, ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის ექსპლანეტრმა გიორგი გაბაშვილმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლის თანახმაც, ეროვნული ნაკრების მწვრთნელებს კუთვნილი ხელფასი გასული წლის 25 სექტემბრამდე უნდა მიეღოთ. თუ ტოპმოლეურს დაუუჯერებთ, ამის მაგივრად, მან ბოლო ხელფასი წინა წლის ოქტომბერში მიიღო და ეს თანხა 2006 წლის გასამრჯელოს დარჩენილი ნაწილი იყო.

ახალკაცის თქმით, ტოპმოლეურთან ყველა ფინანსური საკითხი ახლა უკვე გადაწყვეტილია და საქართველოს ნაკრების ექსტავკაცი ჩივილს არსად აღარ აპირებს, რადგან გერმანულ გამოცემაში გამოქვეყნებულ ინტერვიუში სასამართლოში ჩივილის საკითხი ჰაერშია გამოკიდებული. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ტოპმოლეურს საქართველოში მუშაობით სიამოვნება მიუღია, უნდა ვივარაუდოთ, რომ ახალკაცის მიერ მონოდებული ბოლო ცნობა სინამდვილეს შეეფერება — ე.ი. „გადავრჩით“...



მახარებლის ჟეჟი ღაწყაული ნაცნობობა ღა სკანზა ბუყვარებული უიღლო ხანაღული

რა არ სიამოვნებთ ქმრებს და რატომ ეშინიათ ჭკვიანი ქალების შერთვის

აღბათ, ყველას კარგად ახსოვს კლუბის — „რა? სად? როდის?“ ზამთრის სეზონის თამაში, სადაც ერთ-ერთი მოაზროვნე ანდრო სოლოლაშვილი გახლდათ. მისი მეუღლეც, ნათია მანიაც ამავე კლუბის წევრია, რომელიც თამაშში საშემოდგომო სეზონზე ჩაერთვება. ისინი ერთმანეთს სწორედ ამ კლუბში შეხვდნენ. როგორც ჩანს, „რა? სად? როდის?“ მხოლოდ მოთამაშეების აზროვნებაზე კი არა, მათ თედოიღბალზეც ურუნავს.

ნათია ქვიძია

— ამ კლუბში თამაში როდის დაიწყეთ?

ანდრო:
— 1995 წელს მეგობრისგან შევიტყვე, რომ საზრიანთა კლუბი არსებობდა. ამით მაშინვე დავინტერესდი.

ნათია:
— ჩემი დეიდაშვილი ერთ-ერთ გუნდში თამაშობდა და მას ვგულშემატკივრობდი ხოლმე. მოგვიანებით, ჩემმა ძმამ გადაწყვიტა, საკუთარი გუნდი შეექმნა. მაშინ ის ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობდა და რასაკვირველია, მისი გუნდის წევრებიც მისივე თანატოლები იყვნენ. ვეხვეწებოდი, — მეც მათამაშეთ-მეთქი, მაგრამ მეუბნებოდა: შენ ჩვენი „ბებერი“ ხარო (8 წლით მასზე უფროსი ვარ), მაგრამ მევე, გუნდის წევრი დააკლდათ და მიმიღეს. თამაში 2001 წელს დაიწყო.

— აღბათ, მაშინ უკვე სტუდენტები იქნებოდით.

— მართალია, უკვე სტუდენტი ვიყავი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, იბერიულ-კავკასიური ენების სპეციალობაზე ვსწავლობდი. ახლაც სტუდენტი ვარ, იმავე უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ვსწავლობ.

ანდრო:
— მეც სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფილოლოგიის ფაკულტეტი დავამთავრე, მაგრამ როცა ამ კლუბში თამაში დაიწყო, სტუდენტი ჯერ კიდევ არ ვიყავი.

— როდის და როგორ გაიცანით ერთმანეთი?

— 6 წლის წინ, ქობულეთში საზრიანთა კლუბის ამიერკავკასიის ჩემპიონატი ტარდებოდა. მე და ჩემმა მეგობრებმა ბილეთები შევიძინეთ — მთელი კუპეს ალება მოგვისდა, მაგრამ ორი მათგანი ვერ წამოვიდა და შესაბამისად, ცარიელი ადგილები გვქონდა. ნათიას და მის მეგობარს კი ბილეთები არ ჰქონდათ და ისინი ჩვენს კუპეში შემოსახლეს. ასე, შემთხვევით გაიცანით ერთმანეთი.

ნათია:

— მე და ჩემი დაქალი ქობულეთში, ჩემი დეიდაშვილის საგულშემატკივროდ მივდიოდით. ძალიან განვიცდიდით, ბილეთები რომ არ გვქონდა, მაგრამ საბედნიეროდ, გაირკვა, რომ ანდროს კუპეში ადგილები იყო. ყველაზე საინტერესო ის გახლდათ, რომ იმავე კუპეში იჯდა ერთი კანადელი ბიჭი, რომელიც ძალზე გულდაწყვეტილი იყო: თურმე, სვანი შეყვარებული ჰყოლია. კანადიდან სვანეთში მისი ხელის სათხოვნელად ჩასულა, მაგრამ გოგოს მშობლებს უარით გამოუსტუმრებიათ. მისი სიყვარულის ამბავი ცუდად დამთავრდა, ჩვენი კი, იმავე კუპეში, კარგად დაიწყო... მაშინ ვერაფერს მიცხვდი, მაგრამ მოგვიანებით შევიტყვე, რომ ანდროს დანახვისთანავე ჩაყვარდი გულში, მე კი საერთოდ არ მომწონებია...

ანდრო:

— მთელი ღამე ველაპარაკებოდი, ის კი დაწვა და ისე დაიძინა, თითქოს არაფერი მომხდარიყო. მე რაღა დამძინებდა?!

ნათია:

— ანდრო ქობულეთშიც სულ ჩემ ირგვლივ ტრიალებდა, კომპლიმენტებს მეუბნებოდა. ერთხელ, დისკოთეკაზეც კი დამპატიჟა...

ანდრო:

— საერთოდ, ცუკვა არ მიყვარს, მაგრამ

იმწუთას, ცეკვაზეც თანახმა ვიყავი, ოღონდ, ნათია შინ არ წასულიყო.

ნათია:

— საბოლოოდ, იმ დისკოთეკაზე მაინც არ დავრჩი. მოგვიანებით კი შევიტყვე, რომ თურმე, ანდრო ყველას უყვებოდა, თუ როგორი განსაკუთრებული, გადასარევი და ლამაზი გოგო გაცივო. ხალხი კი ჩემზე ეუბნებოდა, — განსაკუთრებული არაფერი აქვსო. თამაშის დროსაც ხელი შევეშალე. ანდრო სულ მე მიყურებდა და თამაშს გამოეთიშა. ამის გამო, მისმა გუნდმა საპრიზო ადგილი ვერ აიღო. თბილისში დაბრუნებისას, ერთმანეთს რკინიგზის სადგურში შევხვდით. ანდრომ მითხრა, რომ ჩემთან სალაპარაკო ჰქონდა და ცალკე გავედი. ძალიან გაკვირვებული ვიყავი, რადგან ვერ წარმომედგინა, რა საქმე უნდა ჰქონოდა ჩემთან. მან კი მითხრა: შენ ალბათ გგონია, რომ სიყვარულს აგისხნი, მაგრამ ამას არ ვაპირებ, ტელეფონის ნომერსაც არ გკითხავ. ვიცი, მალე საფრანგეთში წახვალ (ასწავლებლად ვაპირებდი გამგზავრებას). უბრალოდ, ბედნიერი ვარ, რომ ამ ქვეყანაზე არსებობს ისეთი გოგო, როგორიც შენ ხარო.

ანდრო:

— თბილისში რომ ჩამოვედი, სხვები დასასვენებლად წავიდნენ, მე კი პირველსავე გაზეთების ჯისურთან მივედი და ტელეფონების ცნობარი მოვიძიე. საბედნიეროდ, მანია იშვიათი გვარია და ნათიას ტელეფონის ნომრის გაგება არ გამჭირვებია. თანაც, გამიართლა — ნათიას ნომერი თავის სახელზე ჰქონდა გაფორმებული.

ნათია:

— მიუხედავად ამისა, ორი კვირის განმავლობაში, ანდროს ჩემთვის არ დაურეკავს.

ანდრო:

— იმიტომ, რომ ფსიქოლოგიურად ვეზადებოდი.

— ანდრო, ნათიამ თავიდან რით მოგხიზლა?

— კონკრეტულად ვერ გეტყვით. თბილისში რომ ჩამოვედი და ჩემს მეგობარ გოგოს ნათიას შესახებ ვუამბე, მითხრა: ალბათ, თვალები ძალიან უბრწყინავდა და სიარულის დროს თმა რომანტიკულად ერქეოდაო. ამას გარდა, კიდევ 5 მიზეზი ჩამოთვალა, რაც მისი აზრით, ნათიაში მომეწონა. საოცარი ის იყო, რომ თითოეული ეს მიზეზი რეალური გახლდათ...

— **მერე, როგორ განვითარდა მოვლენები?**

ნათია:

— თბილისში დაბრუნებიდან ორი კვირის შემდეგ, ანდრომ დამირეკა და კინოში დამპატიჟა. მიპატიჟება მაშინვე მივიღე. როგორც მერე მითხრა, ჩემი თანხმობა სწყენია...

ანდრო:

— დარწმუნებული ვიყავი, რომ უარს მეტყოდა და ამის გამო, მისი დასათანხმებელი ტექსტი წინასწარ შევადგინე. ნათიას თანხმობამ კი შრომა წყალში ჩამიყარა. იმ დღის შემდეგ სისტემატურად ვხვდებოდით ერთმანეთს და ვსერირობდით.

ნათია:

— მიუხედავად იმისა, რომ სულ ვხვდებოდით, მაინც ვუუბნებოდი, — აჯობებს,

მეგობრებად დავრჩეთ-მეთქი. ერთი წლის შემდეგ კი გამოვუტყდი, რომ მეც მიყვარდა. მოკლედ, ანდრომ საკმაოდ დიდი მოთმინება გამოიჩინა. მაგრამ მერე, უკვე მე ვიჩინდი მოთმინებას — ცოლობას აღარ მთხოვდა... რაც პირველ წელს მე ვტანჯე, მეორე წელს ამინაზღაურა.

ანდრო:

— ცოლის მოყვანა საკმაოდ სერიოზული ნაბიჯია. ალბათ, მამაკაცში გენეტიკურადაა ჩადებული, რომ თავისუფლებას შეზღუდვას ვერ ვეფუებით და ასეთი გადაწყვეტილების მიღება ამიტომაც გამიჭირდა.

ნათია:

— ისე, ოფიციალურად ცოლ-ქმარი დღესაც არ ვართ. უბრალოდ, 3 წლის წინ ერთად ცხოვრება გადავწყვიტეთ და შოვში გავემგზავრეთ. იქიდან რომ დავბრუნდით, საცხოვრებლად ანდროსთან გადავედი. უახლოეს მომავალში ჯვარს აუცილებლად დავინერო.

— **როგორც ვიცი, ახლა შვილს ელოდებით. ალბათ, ისიც პატარა მოაზროვნე იქნება...**

ნათია:

— ჩემი აზრით, როცა ოჯახის წევრები წიგნებს კითხულობენ და მეცნიერებით არიან დაინტერესებულნი, შვილებიც მათ კვალს მიჰყვებიან. ალბათ, ჩვენს შვილსაც ეყვარება წიგნი, მაგრამ რამდენად გაჰყვება ჩვენს კვალს და რამდენად იქნება მოაზროვნე, არ ვიცი...

ანდრო:

— არასოდეს არავინ მაძიებდა, წიგნი წამეკითხა. რაც მაინტერესებდა, იმას ვკითხულობდი. შვილსაც არასოდეს ვეტყვი, გინდა თუ არა, ესა თუ ის წიგნი წაიკითხე-მეთქი. ბავშვის ტანჯვას ნამდვილად არ ვაპირებ!..

ნათია:

— ისე, დიდი იმედი გვაქვს, რომ ნიჭიერი შვილი გვეყოლება.

— **ანდრო, რატომღაც, მამაკაცების გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ ჭკვიანი ქალი ცოლად არ უნდა მოიყვანოს. როგორც ჩანს, შენ ამ მოსაზრებას არ ეთანხმები...**

— ერთი მეგობარი მყავს, ცოტა „მოპიპო“ ტიპია. მას ვუთხარი, — ალბათ, ცოლსაც პიპს მოიყვან-მეთქი. — როგორ გეკადრება, ჩემი ცოლი ჩვეულებრივი გოგონა უნდა იყოს, რომელსაც არაჩვეულებრივი

კერძების მომზადება ეცოდინებო, — მიპასუხა. მისმა ნათქვამმა გამოაცა. ალბათ, ქართველი მამაკაცის ბუნებაში ზის, რომ მისი ცოლი აუცილებლად კარგი დიასახლისი უნდა იყოს... პირადად მე, გაუნათლებელ გოგონებთან ურთიერთობას ვერასოდეს ვახერხებდი. ამიტომაც მომეწონა ჭკვიანი და განათლებული ქალი.

ნათია:

— ჩემი გონებრივი შესაძლებლობები ანდრომ თავიდანვე იცოდა და მაინც, ჩემთან ყოფნა აირჩია.

ანდრო:

— მგონია, რომ ჭკვიანი ცოლების, გაუნათლებელ და არაჭკვიან მამაკაცებს ეშინიათ.

— **ინტერვიუს დროს, გიორგი მოსიძემ შემომჩივლა, მოაზროვნე გოგონები ჩვენს კლუბს გათხოვბისთანავე ტოვებენ...**

ნათია:

— ჩემს შემთხვევაში კლუბს ეს საშიშროება არ ემუქრება. სამედიცინო სფეროზე აუცილებლად ვითამაშებ.

ანდრო:

— როგორც ჩანს, ქმრებს არ სიამოვნებთ, მათი ცოლები ისეთ ადგილას რომ დადიან, სადაც ბევრი მამაკაცია. მე ეს პრობლემა არ მანუხებს, რადგან კლუბში ერთად დავდივართ.

— **ერთ გუნდში რატომ არ თამაშობთ?**

ნათია:

— არანაირი სურვილი არ მაქვს, ანდროსთან ერთად ვითამაშო, რადგან, როგორც წესი, ის ჩემს ვერსიებს ყურადღებას არ აქცევს...

ანდრო:

— იმიტომ, რომ უხერხული იქნება, ნათიას ვერსიას დაუჭირო მხარი — დანარჩენები იფიქრებენ, რადგან ცოლია, მის ვერსიას ამიტომაც ეფსრობათ.

— **თამაშის მერე ერთმანეთს შენიშვნებს თუ აძლევთ?**

— არა. მსგავს საკითხებზე არც კი ვლაპარაკობთ. ეს ხომ უბრალოდ, თამაშია და ამის გამო შენიშვნების მიცემა, კმათი საჭირო არ არის...

— **საინტერესოა, სად მუშაობენ ჩვენი მოაზროვნეები?**

ნათია:


— ადრე განათლების სამინისტროში ვმუშაობდი, მაგრამ თავი დავანებე, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნე, ამჟამად იურიდიულ ფაკულტეტზე ვსწავლობ და სამუშაო საათები და ლექციები ერთმანეთს ემთხვევა. სალამობით, ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეებს ვამზადებ.

ანდრო:

— არაქართული რეგიონების სკოლის დირექტორობის კანდიდატებს ზოგად უნარჩვევებში, ტრენინგებს ვუტარებ.

— **როგორი ურთიერთობა გაქვთ კლუბის სხვა მოთამაშეებთან?**

— ადრე, როცა მეტი თავისუფალი დრო გვქონდა, ერთმანეთთან მეტ დროს ვატარებდით, ახლა კი უმეტესობამ ოჯახი შექმენით, ვმუშაობთ და ურთიერთს ბევრ დროს ვეღარ ვუთმობთ. სამაგიეროდ, კვირაობით, თამაშის შემდეგ, რესტორანში მივდივართ ხოლმე...



ოფიციალურად ცოლ-ქმარი დღესაც არ ვართ



ქართული სალიტერატურო...

დასაწყისი იხ. „გზა“, №4-14

სპეციალური კვარტალი

სანდრომ ამღვრული თვალებით ოთახის სიღრმისკენ გაიხედა, მერე კი ჩემზე გადმოიტანა მზერა, ინტერესით შემათვალიერა. არყის მძაფრი სუნი მეცა.

— აქ იმის გასაგებად მოხვედი, მართო ვარ თუ არა? — უხეშად შევუბრუნე კითხვა.

— არა, შენთან ლაპარაკი მინდოდა. სხვათა შორის, დღეს განსაკუთრებულად ლამაზი იყავი... არ შემომიშვებ?

— მე შენთან სალაპარაკო არაფერი მაქვს. მით უფრო, როცა ნასვამი ხარ.

— ცდები, გაქვს და თანაც ძალიან ბევრი. მერე რა, რომ ნასვამი ვარ, დიდ დროს არ წაგართმევ, არც არაფერს დაგიშვებ, ნუ გეშინია.

— სულაც არ გეშინია, — ხელები გადავიჯვარედინე, რომ კანკალი შემეკაფებინა.

— თუ არ შემომიშვებ, ძალით შემოვალ, იცოდე, — ხმას აუნია და ერთი ნაბიჯით ახლოს მოინია.

მივხვდი, რომ სხვა გზა არ მრჩებოდა.

— მობრძანდი, — გაგულისებულნი განზე გავდექი და გზა დავუთმე, თან ერთიანად ავცახცახდი, ძრწოლამ ამიტანა.

არ ვიცი, რა იყო ეს — შიში, თუ ქვეცნობიერი მოლოდინი რალაც იდუმალისა? ყოველი შემთხვევისთვის, კარი მხოლოდ მივხურე, არ დამიკეტავს და მაშინვე მივხვდი, რომ შიში იყო, მხოლოდ შიში...

— ლამაზად მონყობილხარ, შეცვლილია აქაურობა, — გაიხედა-გამოიხედა სანდრომ და პირდაპირ სანოლზე ჩამოჯდა.

ხალათი მჭიდროდ შემოვიხვიე ტანზე, ქამარი შევიკარი და იქვე მდგარ სავარძელში ჩავვექე, ფეხებში ძალა მელეოდა.

— მთელი საათია, გირეკავ... სად იყავი? — კუშტად შემომხედა.

— ჯერ ერთი, რა შენი საქმეა და მეორეც, როცა რეკავ, ხმა უნდა ამოიღო. მზაკვრულად ჩაიცინა.

— ჰმ, მიხვდი, არა? ესე იგი, მელოდი, რადგან მიხვდი.

— არ გელოდი, მე შენ დიდი ხანია, არ გელოდები; აღარ გელოდები, არა! — ჯიუტად ვიმეორებდი ჩემსას.

— ის სამსახურშია, შენ სად დადიხარ ამ დროს?

— ძალიან გაინტერესებს? გეტყვი... მასთან ვიყავი სახლში, — გამარჯვებულის ღიმილი ვესროლე, სურვილმა მომიარა, გამებოროტებინა.

— მასთან სახლში? იქ რა დაგრჩენია უიმისოდ? — ამკარად არ დამიჯერა.

— დედამისი გავიცანი.

— ო-ჰო! ძალზე სერიოზულად ყოფილა საქმე, თუ ასეა. რაო მერე, მოენონე დიდად პატივცემულ ქალბატონ ანიკოს?

— რა გინდა, ბოლოს და ბოლოს, არ მეტყვი, რამ მოგიყვანა აქ? — თანდათან მელეოდა მოთმინება, წონასწორობიდან გამოვდიოდი, შიში თითქოს სადღაც გაქრა.

— შენმა სიყვარულმა, სხვა რა მომიყვანდა. შენ ხომ გიყვარვარ, ჰოდა, მეც მოვედი.

— მე შენ უკვე დაგასამარე, აღარ არსებობ ჩემთვის.

— რას მელაპარაკები! რამდენიც უნდა მიმტკიცო, აღარ მიყვარხარო, არ დაგიჯერებ, ხომ იცი. ეგეთები არ გამოგივა.

— უკვე გამოვივინა, ასე რომ, შეგიძლია გაიხურო კარი და წახვიდე.

— ასე ადვილად ვერ დამაღწევ თავს. ეს თამაში შენ წამოიწყე და შენვე გააგრძელებ, იცოდე, ოღონდ ჩემთან ერთად.

— მორჩა თამაში, მე შენ არ მაინტერესებს; აღარ არსებობ ჩემს ცხოვრებაში.

— მაგით რა გინდა თქვა? კაცი გადამრიე, ჭკუიდან შემშალე, ყველაფერი თავიდან დამანწყებინე და ახლა მოგინდა ყველაფრის დავიწყება? შენ შეიძლება არ იცი, მაგრამ თუ ადამიანი ერთხელ გამოძვრა თავისი ტყავიდან, მერე უკან ვერ შეებრუნდება. გასაგებია?

— ასე გველებმა იციან და არა ადამიანებმა.

— შენც ჩათვალე, რომ გველი ვარ.

— ეგ ისედაც ნათელია, — ამრეზით ავიჩქე მხრები.

— ჰოდა, ისე მოვიქცევი, როგორც გველს სჩვეია, — მოუქარის ტონით წარმოთქვა, წამოდგა და ჩემკენ დაიძრა.

ელვის სისწრაფით წამოვხტი და ჰოლისკენ გავეხადი, მაგრამ ვერ მოვასწარი, გამომეცა, დაშენდა და მკლავები ძლიერად შემომამჭდა. ახგამაგებული კედელს ავეკარი. იქვე მიიმხმეცვდია, კართან. ხელები დამიჭირა და კოცნა დამიწყო. სიმწრისგან ტუჩებს ვიკვნივდი. ვცდილობდი, გაესხლტომოდი, მაგრამ უშედეგოდ.

ხალათი გადამელედა, შიშველი მკერდი გამომიჩნდა. თავს ცოფიანივით ვატრი-ალებდი აქეთ-იქით, მისი ტუჩები რომ ამერიდებინა, ის კი ჟინორული ხვნეშოდა, აზარტში შესული მკოცნიდა ყელზე, მკერდზე, მკლავებზე, თან ხმაურიანად, ხარბად ისრუტავდა ჩემი სხეულის სურნელს. მერე ხალათი მხრებზე გადამიანია, მკერდი მთლიანად მომიშვივლა და სველი ტუჩები დამიწყო ალერსი — მბრძანებლურად და ოსტატურად, სწორედ ისე, როგორც მას სჩვეოდა; სწორედ ისე, როგორც ერთხელ იქ, მაშინ, წლებს ნინ...

მან იცოდა, როგორ მომეფერებოდა, როგორ დაეხვია ჩემთვის თავბრუ, მას არ დავინწყებია ეს. სხეულში ტკბილმა კრუნჩხვის ტალღამ დამიარა, სიამოვნებისაგან თვალები დამებინდა, თრთოლამ მომიცვა, წამით თითქოს დავეყვი კიდეც მის ნებას, მაგრამ გონება ჯერ კიდევ მემორჩილებოდა და წინააღმდეგობის განევა არ შემინწყევტია. ცალი ხელი ჩემთვის ნელზე ჰქონდა შემოხვეული, მეორეთი შიშველ ბარძაყზე მიჭერდა. ისე დამცხა, ოფლმა დამასხა. სუნთქვა გამიძნელდა, თითქოს ვიხრჩობოდი. მაინც ვენინაღმდეგებოდი. ვიცოდი, რომ ალერსზე ალერსით არ უნდა მეპასუხა, არ მქონდა ამის უფლება.

არა, ბექას გამო არა, იმნუთას ბექა არაფერ შუაში იყო, მასთან არ მინდოდა, მასთან არ შეიძლებოდა, არ შეიძლებოდა და მორჩა! მე იგი აღარ მიყვარდა და ჩვენი ურთიერთობის აღდგენა შეუძლებელი იყო. მე აღარ ვიყავი მასთან დამბრუნებელი.

თვალები დავხუჭე. თავზე თითქოს ცეცხლი მეკიდა. მისი ხელები ხან აქ აღმოჩნდებოდა, ხან იქ, სადაც მოესურვებოდა, იქ დაეხეტებოდა. ახვნეშებული, გახელებული მამაკაცი თითქოს ხარბად იკვლევდა იმ ადგილებს, რომლებიც წლებს ნინ მას ეუფთვნოდა.

— თოთხმეტი წელი ამაზე ვფიქრობ-

...

...

...

...

...

...

...

...

...

...

დი, — ჩურჩულებდა იგი, — თოთხმეტი წელი!

სანდროს ცხელი ხელები ჩემს ტანზე რონინს განაგრძობდნენ.

— თოთხმეტი წელი, თითქმის ყოველ-
ლამე!

ამის გაგონებაზე კინალამ გონება დავეკარგე.

— სხვა ქალთან სექსის დროსაც კი შენ წარმოგიდგენდი ყოველთვის, ამ ასხ-
მარტალეულ სხეულს, ამ „გემრიელ“ ტუჩებს, ამ მკერდს...

მივხვდი, რომ ძალია მელეოდა. მოვეშ-
ვი და ლამის გონდაკარგული მის მკლავებში ჩავვარდნი.

— შენ კი, კახავ, გინდა, რომ იმ ახვარს ჩაუწვე ლოგინში! — დაიღრიალა უცებ და ხელი მკრა.

მამინვე ვერ მივხვდი, რა მოხდა. ერთ-
მანეთის პირისპირ ვიდექით ორივე და ხმაძალდა ვსუნთქავდით, აწითლებულები და ტანსაცმელაჩაჩულები. როგორც იქნა, მისი სიტყვების აზრს ჩავენვდი. ხალათი კვლავ შემოვიხვიე და ქამარიც შევიკარი. სანდრო თვალმოუშორებლად მიყურებ-
და, როგორ ვინესრიგებდი თავს. როცა მოვრჩი, ზიზღით შევხედე, მან კი მთელი ძალით სილა გამანა. მერე ნიკაპქვეშ ამომდო საჩვენებელი თითი და სახით თავისკენ მიმატრიალა. ცრემლები მახრ-
ჩობდა, იძულებული გახვდი, თვლებში შემხედე... და მეორეჯერაც გამარტყა, ამჯერად მეორე ლოყაში, თან უფრო ძლი-
ერად.

— მეტკინა, სანდრო, — დავიკვნესე.

— ძუნა ხარ, ნამდვილი ძუნა, შენი ადგილი ცირკთანაა! — პბილებში გამოცრა და გამშორდა, თან პერანგს ისწორებდა.

თავი კედელს მივყარდენი და ამოვის-
ლეუკუნე. ახლა საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ აღარ მიყვარდა. მიყვარდა? ტყუილია, იგი მე არც აქამდე მყვარებია, უბრალოდ, მასთან სექსი მინდოდა მხოლოდ. დაუქმყოფილებლობის შეგრძნება მტან-
ჯავდა, ეს იყო და ეს. როგორ შეიძლებაო-
და, ასეთი პირუტყვი მყვარებოდა? ახლა ხომ მიხვდი, სოფი, როგორ ტყუევდებო-
დი? მორჩა, საბოლოოდ უნდა დავივიწყო წარსული, მისი ხსოვნა ერთხელ და სამ-
უდამოდ უნდა მოვისროლო სანაგვეზე იმ ტანჯვიანად, რომლითაც მთელი ცხოვრება „დამაჯილდოვა“... იგი ჩემთან კაცურად არასდროს მოქცეულა; მე კი ამაში საკუ-
თარ თავს არ ვუტყდებოდი. მე მასში რალაც არგანცდილი, არარსებული მიყ-
ვარდა; ის, რაც არ ვიცოდი, ის, რასაც არ ვიკნობდი, რაზეც თვალს ვხუჭავდი და ამაში შევცდი. სწორედ ეს აღვიქვი სიყ-
ვარულად, სინამდვილეში კი არ მიყვარე-
ბია, ეს არ ყოფილა სიყვარული. ეს არის სიმართლე. თურმე საერთოდ არ მცოდ-
ნია, რა არის სიყვარული. ამ გრძნობას სულ ვეძებდი, წლების განმავლობაში ვეძებდი, მაგრამ ვერ ვიპოვე... დღემდე. ახლავა ვხვდები, რომ ბექა ყოფილა ჩემი

ის მეორე ნაწილი, რომელსაც ველოდე-
ბოდი, მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ვეძებდი... ვეძებდი... ვეძებდი... ვიპოვე, მაგრამ... როგორც ვიპოვე, ისევე დავეკარგე...

სანდრო კვლავ საწოლზე ჩამოჯდა. არეული თვლებით შემომხედა, არაად-
ამიანურად, ცხოველურად, მსხვერპლზე მონადირე მანიაკებს რომ სჩვევიათ, ისე.

— მოდი აქ! — მიბრძანა და მარჯვენა ხელი ლოგინზე დაატყაპუნა.

— არ გესმის, რას გუუბნები! მოდი-
მეთქი, აქ დაჯექი, ჩემ გვერდით.

— არ გინდა, სანდრო, გთხოვ. შენ ახლა ნასვამი ხარ... ხვალ გამოფხიზლდე-
ბი და მერე ვილაპარაკოთ, — ხმაკანკალებულმა ამოვთქვი, ცრემლები მახრჩობდა, ინსტინქტურად აივინსკენ ავიღე გეზი, ჰაერზე მინდოდა გასვლა. ლოყები მიხ-
ურდა.

— გახსოვს, ამას წინათ რომ მითხარი, ერთხელ მაინც გამოცადე ეს საოცრება,



დანეკი მასთან, ვინც გიყვარსო... გახს-
ოვს? ნამდაუნუმ ჩამესმის ეს სიტყვები, ყველგან, ყოველ წამს, ყოველ წუთს...

— მაშინ მე სხვა რამეც გითხარი და ისიც უნდა გახსოვდეს.

— აბა, რომელი? გამახსენე.

— სიყვარული იქამდე იზრდება, ვი-
დრე მისი შემწერებელი არ გამოჩნდება-
მეთქი. დაგავინწყდა?

— და გინდა მითხრა, რომ გამოჩნდა?

— ჰო, გამოჩნდა და ეს შენც კარგად იცი, — რასაც ვამბობდი, ვიცოდი, ჩემს სანინაალმდეგოდ იმოქმედებდა, მაგრამ მაინც ვთქვი, ჩემდა უნებურად ვინვევდი, ვალიზიანებდი, ვაბოროტებდი, აზარტში

შევედი თითქოს.

გახელებული წამოხტა და ისევ წამოე-
იდა ჩემკენ.

— მე მას შენს თავს არ დავუთმობ, იცოდე. შენ მხოლოდ მე მეკუთვნი, მე! დაიმხსოვრე ეს, პატარა კახავ! — დაიყვი-
რა და გამძვინვარებული მომვარდა. ხელი ვკარი და გავეჭეცი. ისევ გამომევიდა. ჩემი ერთადერთი მშველელი ამწუთას მაგიდა იყო, მის გარშემო დავინყე სირ-
ბილი გამწარებულმა, რომ როგორმე დრო მეხელთა და კარისკენ მომესწრო გაქცევა. ის ღია იყო, გარეთ უკვე აღარ მემწიოდა. ერთ მომენტში მომატყუა, ცრუმოძრაობა გააკეთა და წინ ამესვტა. სკამი ავაყირავე და დაუხსლტი, კარისკენ გავქანდი... არა, მაინც ვერ მოვასწარი, დამენია და ისევ შემომამჭდო მკლავები.

— ახლა კი ვერსად წამიხვალ! — ბოლმით ამოთქვა და კართან მიმიმწყე-
დია. ამჯერად არ მკოცნიდა, არც მეფერ-
ებოდა, ქამრის შესხნა დაიწყო მხოლოდ.

— არა, სანდრო, არ გინდა, გთხოვ, გეუადარები, — ნიკაპი ამიკანკალდა, ლაპალუპით მდიოდა ცრემლები.

— მეტი ლოდინის სურვილი აღარ მაქვს, ამაღამ ჩემი უნდა გახდეს, მინდის-
არ, სიგიჟემდე მინდისარ, სო-ფი! — ღვარ-
ძლიანად ამოთქვა და ბოროტად გამიღ-
იმა.

გავიბრძოლე, ფრჩხილებით მთელი სახე დაფუკანრე, მაინც არ მეშვებოდა.

— მიყვარხარ, გესმის? მიყვარხარ, — ბოდავდა თითქოს, — და შენც გიყვარ-
ვარ, ასე არ არის? შენც გინდა ჩემთან, მე ვიცი. გამოტყდი, რომ გინდა.

პირველად მესმოდა მისგან ასეთი სი-
ტყვები. მას ხომ არასდროს აუხსნია ჩემთვის სიყვარული, არასდროს დასცდენ-
ნია მსგავსი რამ, მხოლოდ მის თვლებში ვკითხულობდი ყოველთვის ყველაფერს...

მერე ერთი ხელის მოსმით გამხადა ხალათი და მის პირდაპირ სრულიად შიშველი აღმოჩნდი. ნეტავ მოვიდეს ვინმე, ნეტავ მოვიდეს, — ვნატრობდი ჩემთვის, — ღმერთო, ოლონდ ახლა გადაამარჩინე და მეტს არასდროს არაფერს გთხოვ, ოლონდ ახლა მიშველე, — ვიმეორებდი გულში, ხელებით ვცდილობდი შიშველი ადგილების დაფარვას და თვალს აქეთ-
იქით უმწნოდ ვაცეცებდი...

კარგა ხანს ვუწვედი წინააღმდეგობას. ვცდილობდი, მომემორებინა თავიდან, დაესხლტომოდი, გავქცეულიყავი; ვერა, ჩემზე ბევრად ძლიერი იყო, ვერ მოვახ-
ერხე. მცემდა და მკოცნიდა, მკოცნიდა და მცემდა, სახე ამინთლდა დარტყმებისა-
გან, თანდათან მისიედებოდა ნაკოცნი ტუჩები. ის თითქოს ნადირობდა ჩემზე, ოღონდ შემეშვებდა ხელს და როგორც კი გაქცევას დაგაპირებდი, ისევ ჩამიჭერდა, ისევ მკოცნიდა და ისევ მცემდა.

დავილაღე... უკვე აღარ შემრჩა წინააღმ-
დეგობის განწვევის ძალი; ლამის იყო, გული წამსვლოდა, თანდათან დაესუსტდი და...

ჩავიკვებ, დავინებდი, ბედს მივწვდი...
 იატაკზე გამაწვინა. უხეშად, ყოველგვარი ალერსის გარეშე დაიშუქდა. არადა, როგორ ვოცნებობდი მასთან სექსზე, მეგონა, ღვთაებრივი სიამოვნება მელოდა, ენით აუნერვლი ნეტარება... არა, ეს არ იყო საყვარელი მამაკაცის ალერსი, მისი ყოველი ქმედება დაუოკებელი, პირუტყვული ჟინის დაკმაყოფილებას უფრო ჰგავდა. არც ერთი სასიყვარულო სიტყვა, არც ერთი სასიყვარულო ჟესტი... არაფერი, არაფერი... ისე მომეპყრო, როგორც ქუჩის ქალს შეეფერებოდა. მე კი, წლების განმავლობაში სხვაგვარი მოლოდინი მქონდა. როგორ ვცდებოდი თურმე...

უაზროდ შევყურებდი ჭერს. აღზნება, რომელიც მისი პირველი შეხებისას ვიგრძენი, სადღაც გაქრა, ზიზღმა შეცვალა. არა, ამას ზიზღიც არ ერქვა, არც სიძულვილი ერქვა, საერთოდ არანაირ გრძობას არ განვიცდიდი მის მიმართ; ჩემი სხეულიც არაფერზე რეაგირებდა. საკუთარი თავი მეზიზღებოდა მხოლოდ, მთელი ჩემი ცხოვრება მძულდა, მთელი წარსული. ყოველთვის ყველაფერს უკუღმა ვაკეთებდი, ყოველთვის დინების სანინაღმდეგოდ მივდიოდი.

და ყველაფერი ჩემი ბრალი იყო, მე ვიყავი დამნაშავე იმაში, რაც ახლა ხდებოდა...

ისე წავიდა, კრინტი არ დაუძრავს; ისე გავიდა ოთახიდან, გამარჯვებულის ღიმილი დასთამაშებდა სახეზე მხოლოდ...

არ ვიცი, რამდენ ხანს ვვადე იატაკზე, დრო თითქოს გაჩერდა... მერე ძლივს ავითრიე წელი, ერთიანად დანგრეული ვიყავი, ყველაფერი მტკიოდა. სააბაზანოში შევედი და სხეული ცხელ წყალს შევეშვირე. გამწარებული ვიბანდი ტანს, სახეს, ფეხებს, ხელებს... დიდხანს, ძალიან დიდხანს, მინდოდა ყველა ის დამცირება, შეურაცხყოფა, სანდროს მიერ დატოვებული ბინძური კვალი წყლისთვის გამეტანებინა. მორჩა, იგი სამუდამოდ წაიშალა ჩემი მესხიერებიდან, მის ადგილას სიცარიელემ დაისადგურა, დარჩა მხოლოდ თეთრი ფურცელი, ზედ კი — უზარმაზარი შავი ლაქა.

ხვალ მთელი ტანი დამილურჯება, ნაცემს დავემსგავსები. კიდევ კარგი, რომ შაბათი მოდის, სახლიდან არ გავალ, არც ზარებს ვუპასუხებ, ორივე ტელეფონს გამოვრთავ. მერე? მერე რა ვქნა? კვირა მოდის, კვირას რა მემეველება? საღამოს მე მიწვევს მორიგეობა კლინიკაში, როგორ მოვიქცე? არ გამოვცხადდე? ვთქვა, ავად ვარ-მეთქი? იქნებ არაფერი შევიმჩინო და ჩვეულებრივად მივიდე სამსახურში? რა გავაკეთო? ვის შევჩივლო? რა უბედური ვარ... რა გაანელებს ამ ტკივილს... ბექა, ბექა, ბექა... როგორ დაგვარგე... სამუდამოდ... საბოლოოდ... ახია ჩემზე, —

ლამის ხმამალა მოვთქვამდი...
 ვიდექი სარკესთან და საკუთარ გამოსახულებას გულსაკლავად შევყურებდი. ჩემს იდილიურ სახლში, ჩემს საყვარელ სარკეში, თავს ვეღარ ვცნობდი, საკუთარი ორეული უცხოდ მეჩვენებოდა. მოკრუნჩხული და მობუზული, განადგურებული სახე და სხეული ჩემს კარიკატურას უფრო მაგონებდა. რატომ შევიცვალე ასე?
 ეს იმიტომ, რომ ცრემლებმა თვალები დამიბინდა...
 ეს იმიტომ, რომ ვტირი, — დავასკვნენ



ბოლოს და ამით დავიმშვიდე თავი...

დილა ისე გათენდა, თვალი ვერ მოვხუჭე. თითქოს უზარმაზარი ლოდი მანვა გულზე, რომელიც სუნთქვას მიჩერებდა, ტკივილს მიმძაფრებდა სულის სიღრმეში. თითქოს დანა ჩამარტყეს გულში, შიგ ჩამიტოვებს და ასე, დანაგაყრილი დავრჩი. სანამ ტელეფონებს გამოვრთავდი, დედას და მამას ველაპარაკე, გული მოვიოხე მათთან საუბრით; ვუთხარი, ყველაფერი კარგადაა, ჩემზე არ იდარდოთ-მეთქი. არ მინდოდა მათი განერვიულება. მერე კი...

მერე იყო წყვილი... გვირაბი... სიბნელე... ხელების ცეცებით მივდიოდი ამ გვირაბში, ძლივს ვიკვლევდი სიბნელეში გზას, სინათლე კი არსაიდან ჩანდა.

მე მიცვალებული ვიყავი, სულგამოცლილი გვამი, რომელმაც დაასრულა სიცოცხლე, სამარცხვინოდ დაამთავრა ცხოვრება, რომელიც ფეხქვეშ გათელეს, დაამცირეს, შეურაცხვეს... მე მკვდარი ვიყავი, მკვდარი, რომელსაც მარადიული ზღაპრული მაგიაც კი ვერ გააცოცხლებდა.

ვერ გეტყვით, რა ხდებოდა იმ ერთი დღის განმავლობაში. გარე სამყაროს მთლიანად ვიყავი მონყვეტილი. არც არავინ მოსულა და არც არავისთან წავსულვარ. ის ორი ღამე არ მიძინებია, არც მიჭამია, არც ცრემლი შემშრობია თვალებზე... ეს ჩემი შანაგანი მდგომარეობა იყო, ამას ვერსად გავქცეოდი. სანდროს საქციელი სასჯელი იყო ჩემთვის, თუმცა დაუმსახურებელი... მისი გადასახედიდან, შეიძლება დამსახურებულიც, მაგრამ... ვფიქრობ,

რომ მაინც არ უნდა მომქცეოდა ასე. კვირას, შუადღისას, ტელეფონები ჩავრთე. მობილურზე უამრავი ზარი იყო შემოსული. მათგან უმრავლესობა ბექას ეკუთვნოდა. ერთი ზარი ნათიასგან და ორიც — გიზელასგან. დანარჩენი — ბექასი... ოცდაცხრამეტი უპასუხო ზარი... ეს არც ისე ცოტაა, შეიძლება, არც ისე ბევრი... ალბათ მოჰბეზრდა წარამარა რევვა... როგორია, როცა ქალი არაფრად გაგდებს, არც ერთ შენს ზარს არ პასუხობს, გამორთული აქვს ტელეფონი. მე მესმოდა მისი. მესმოდა, მაგრამ... არ შემეძლო მასთან ლაპარაკი, ამის უფლება დეკარგული მქონდა...

კვირა უფრო მტანჯველი აღმოჩნდა. ვიცოდი, აუცილებლად უნდა მივსულიყავი კლინიკაში, მორიგეობას ვერ გავაცდენდი. მოვიფიქრე, ვითომ მოულოდნელად გავმგზავრე სოფელში, გასვენებაში, ამიტომ ვერ მოვასწარი ვერავის გაფრთხილება. ვთქვი, რომ ძალიან ახლობელი ადამიანი გარდაამეცვალა, რომლის სიკვდილმა დამრთგუნველად იმოქმედა ჩემზე. დაუფერებელი არაფერი იყო, სახეც და განწყობილებაც შესაბამისი მქონდა. ერთადერთი, ვინც არ დამიჯერა, გიზელა იყო, რომელიც სპეციალურად გამოიძახეს კლინიკაში ახალი პაციენტის მოსანახულებლად. როგორც კი დამინახა, მაშინვე მიხვდა, რომ ცუდად მქონდა საქმე, რომ რალაც ვერ იყო ისე...

— არ მომწონხარ და ნუ დამინყებ ახლა იმის მტკიცებას, რომ ვიღაცის გარდაცვალების გამო ხარ ასე, — ეგრევე მომახალა.

— რა თქმა უნდა, მხოლოდ ეს არ არის მიზეზი, გიზელა, — ამოვიოხრე, — მე ყველაზე ღირებული დავკარე გუშინინი, ყველაზე ძვირფასზე ვთქვი უარი, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა შანსი არ დამიტოვეს.

გაეცინა.
 — შენ იცი, რომ არაჩვეულებრივი ადამიანი ხარ? — მკითხა.

— არა მგონია. მე არაფრით განვსხვავდები ჩვეულებრივი ადამიანებისგან.

— განსხვავდები და აი, რატომ — ჩვეულებრივ ადამიანს ყოველთვის აწუხებს იმის შეგრძნება, რომ არა მარტო უყვარდეს ადამიანები, არამედ ადამიანებსაც უყვარდეს იგი. არაჩვეულებრივ ადამიანს კი მხოლოდ უყვარს, უყვარს და მორჩა. ის საპასუხო რეაქციას არ ითხოვს, არც ელოდება. მას ყველა უყვარს, ვინც მოსწონს, და ყველაფერი უყვარს, რაც მის სულთან არის ახლოს, თუმცა არასდროს გამიზნულად და თეატრალურად არ მოქმედებს. მასში ამ დროს ფიზიკობა ეწ. კონტროლირებადი მიამიტობა, ეს არის და ეს. მკითხავ, ალბათ, რას ნიშნავს კონტროლირებადი მიამი-

ტობა? ეს შამანების ფრანაა. არაჩვეულებრივმა ადამიანმა იცის, რომ ვერასდროს მიიღებს იმას, რასაც გასცემს, მაგრამ მაინც გასცემს, იმიტომ, რომ სხვანაირად არ შეუძლია, იმიტომ, რომ არა აქვს ზიზღის გრძობა, არც სიძულვილის; მისთვის უცხოა ეს ორი რამ. მას სიამოვნებას, როცა გასცემს, რადგან მოზღვავებულად აქვს სიყვარული, ჭარბად, უღევად, არ ენანება, ემეტება სხვისთვის, იმ ადამიანებისთვის, ვინც უღირს, ვინც უყვარს, ვინც ძვირფასია მისთვის. ამავდროულად, ის იყენებს კონტროლირებად მიამიტობას, რომ არ იფიქროს ამაზე, არ შენუხდეს იმაზე ფიქრით, გაცემული უკან დაუბრუნდება თუ არა. გიყვარდეს ადამიანები ან უყვარდეს მათ — ეს კიდევ არ არის ყველაფერი, რისი მიღწევაც ადამიანს შეუძლია. როგორც ჩანს, ბექამ ვერ შეაფასა და ამას განიცდი.

— არა, ასე არ არის საქმე. ბექამ სწორედ რომ იცის ჩემი ფასი. აქ სხვა, მეორე ადამიანზეა ლაპარაკი, რომელმაც დამამცირა... შეურაცხმყო.

— და ეს ის ადამიანია, რომელიც ბექამ შეცვალა?

— ჰო.

— მომისმინე, სოფიო, კარგად მომისმინე. ჩვეულებრივი ადამიანი ბრძოლის შემდეგ ან გამარჯვებული გამოდის, ან დამარცხებული და ამის შესაბამისად, ან დევნილია, ან მსხვერპლი. გააჩნია, ვის როგორ მოეწვევება ან როგორ დაანახვებ. სწორედ ამის მიხედვით, ნებისმიერი ჩვენგანი ან გამარჯვებული რჩება, ან დამარცხებული, ან სულაც — ტანჯული. ეს უკანასკნელი ყველაზე უარესი მდგომარეობაა, რომლიდანაც გამოსავალს ძნელად თუ იპოვის კაცი. ეცადე, ტანჯულის ნიღაბი არ მოიღრო. არ არსებობს გამოუფალი სიტუაცია, მთავარია, სწორ გზას დაადგე, გარკვეული მიმართულება გქონდეს. ცხოვრება თავის მწვერვალს მაშინ აღწევს, როცა მთელი ძალები შენ წინაშე დასახული მიზნის განსახორციელებლად მიმართული. რა არის ცხოვრების მიზანი? ნადავლი, მონაპოვარი. ცხოვრების არის? იგივე. ცხოვრება ცხოვრებით იკვებება. ეს მე არ მითქვამს, ეს ჩემზე ჭკვიანებმა თქვეს. ყველა ცოცხალი ორგანიზმი დედამიწაზე ორ ფენად იყოფა — ერთი, ვინც ჭამს და მეორე, ვისაც ჭამენ. ამ ცხოვრების კანონიც ასეთია — შეჭამე, თუ არადა, სხვა შეგჭამს. ნუთუ ჩემგან გესწავლება ეს? არც ისეთი გულუბრყვილო ჩანსარ, რომ ეს არ გესმოდეს. მე შენ ჭკვიანი ქალი მგონიხარ. ცხოვრება — ეს დანაყოფების დაყოფილი წყურვილია, ხოლო სამყარო არის არენა, სადაც ერთმანეთს ეჯახებიან დანაყოფების მსურველნი, ისინი ერთიმეორეს კვალდაკვალ დასდევენ, უსაფრდებიან, ნადირობენ მსხვერპლზე, სანსლავენ ერთმანეთს. ეს არის არენა, სადაც იღვრება სისხლი, სადაც თავიდან ბოლომდე მეფობს სისასტიკე,

ბნელი შემთხვევითობა და ქაოსი. უნდა იყო ეშმაკი, მოხერხებული, რომ ამ ყველაფერს დაუძვრე, თავი გადაიჩინო. ყველაზე მეტად კი მოძრავ საგნებს უნდა ერიდო. უძრავი უძრავია. ის უმოქმედოდ დგას და ვერაფერს დაგიშვებს, მაგრამ მოძრავი საგანი ყოველთვის საშიშია, მათ განსაკუთრებულად უნდა უფრთხილდე. იმიტომ, რომ მოძრაობენ და წინასწარ არასდროს იცი, რა მომენტში სად ჩაგისაფრდება და რას მოიმოქმედებს.

— მეშინია, გიზულა, ხვალინდელი დღის მეშინია.

— ყველას თავისი შიში აქვს, სოფიო, ყველა ადამიანის შიში განსხვავებულია. მთავარია, საკუთარი „მე“ შეინარჩუნო, შიშის დაძლევა კი ყოველთვის შეიძლება.

— ჰო, მაგრამ მე ისიც არ ვიცი უკვე, რას ნიშნავს საკუთარი „მე“...

— ძალიან კარგად მესმის შენი. შინაგანი „მე“ განსხვავებულია ყველა ჩვენგანში. ყველას თავისი „მე“ აქვს. ამას თავად უნდა მიხვდე. ჩემი „მე“ ის არის, რაც ჩემი თავმოყვარეობის შელახვის უფლებას არ მძალევის, რაც თავად მე მენიშნავდებოდა, თავს არ მახრევიანებს, სხვის მონად არ მხდის, გესმის?

— მესმის, — ჩურჩულით წარმოვთქვი, თან ვგრძობდი, რომ ამ ქალის ყოველი სიტყვა ჩემზე ჯადოსნურად მოქმედებდა, უხილავი ენერგიით მავსებდა, უკეთესი ცხოვრების სტიმულით მმუხტავდა.

— ჰოდა, ასწიე თავი და იარე ნინ, დასახული მიზნისკენ, ნურაწიერ დაბრკოლებას ყურადღებას ნუ მიაქცევ, ჩათვალე, რომ ეს წვრილმანი ბარიერია, რომელსაც ფეხის ერთი მოქნევით, როგორც კენჭს, ისე მოისვრი გზიდან. და მეორედ ასეთ ფორმაში არ დაგინახოს ჩემმა თვალმბა. შენ რა გონია, შენზე ნაკლები პრობლემები მაქვს? იცი, რამდენი დამცირება შემხვედრია ცხოვრებაში? რამდენი შეურაცხყოფა გადამიტანია? მაგრამ არასდროს შევრიგებია სიტუაციას, ყოველთვის საბრძოლო განწყობილებით ვარ, ჟანა დ'არკივით შემართული დავდივარ, რომ თავი არავის დავაჩაგრინო; ჩემი ბედნიერება მევე მოვიპოვე, მევე შევიტანო ყველაზე დიდი წვლილი საკუთარი მომავლის მოწყობაში. გაუფრთხილდი მხოლოდ იმას, რაც ყველაზე ღირებულია შენთვის, დანარჩენი დაიკიდე, ბოლომდე დაიკიდე და გულზე მოგეშვება.

— დიდი მადლობა, გიზულა, შენ ჩემი გაჭირვების ტალკვესი ხარ, — მაღლიერებით აღსაყვ მზერა მივაყარე.

— მაღლობა შენ, რომ არსებობ, რომ გაგიცანი, რომ ასეთი ხარ. ბედნიერება ისაა, რომ ამქვეყნად ჯერ კიდევ არსებობენ შენნაირი ადამიანები. აქამდე მეგონა, რომ სათნოების უკანასკნელი მოპოვანი მე ვიყავი. შენი სახით კი უკეთესი მომავლის იმედი ჩამესახა. და რაც მეტს მოვაქცევთ აქეთვე, მით უკეთესი იქნება

არა მარტო ჩვენთვის, მთელი ქვეყნიერებისთვის. ეს იმიტომ, რომ ჩვენი შვილები ჩვენს მაგალითებზე იზრდებიან. ნუ იცრემლები, გთხოვ, ვერ ვიტან სუსტ ქალებს და არ მაფიქრებინო, რომ სუსტი ხარ. მე შენ ისეთივე ძლიერი მგონიხარ, როგორც მე ვარ და ვისურვებდი, რაც შეიძლება მეტი ძლიერი ქალი ვიყოთ ამქვეყნად... თუ ასე მოხდება, ჩვენ ვერავინ მოგვერევა. ხომ გაგიგონია, ქალმა თუ გაინია, ცხრა უღელი ხარ-კამერი ვერ დააკავებსო... ასე რომ, ყურები არ ჩამოყარო, არ გატყდე, ბოლომდე იბრძოლე შენი ბედნიერებისთვის.

— ვეცდები.

გიზულა მომეხვია, მომეფერა და გავიდა. მისმა ნათქვამმა ჩემზე უდიდესი გავლენა მოახდინა. რატომაც არა! ვინ მიგდია სანდრო! რატომ უნდა გავათელინო ჩემი მომავალი, ჩემი ხვალინდელი დღე?! მერე რა, რომ რაღაც მომენტში დამჯანა, მაჯობა, ეს ხომ ყველაფერი არ არის? ამით ხომ არ მთავრდება ცხოვრება? ყველა ადამიანს წინ უმარავი სიურპრიზი ელის. მთავარია, ვინ როგორ მიიღებს ამას, ვინ როგორ გაუძლებს ბედისწერის დარტყმას. არა აქვს მნიშვნელობა, ბედნიერებით იქნება ეს დარტყმა გამოწვეული, თუ უბედურებით. მთავარია, გაუძლო, მომზადებული შეხვდე, მთავარია, არ გატყდე, არ დანებდე...

ამ ფიქრებში ვიყავი, რომ ბექამ დამირეკა. ცივმა ოფლმა დამასხა, მისი ნომერი რომ დაფიქსირდა მობილურზე.

— სოფი, როგორ ხარ, სად დაიკარგე, რა გჭირს? — დამაყარა შეკითხვები, — ორი დღეა, გირეკავ, ხმა ვერ მოგაწვდინე... ხომ მშვიდობაა?

— კი, მშვიდობაა, ბექა, უბრალოდ... ახლობელი გარდამეცვალა, მოულოდნელად სოფელში წავიდი, ვერავის გაფრთხილება ვერ მოვასწარი, — ვიმართლე თავი.

— რაღაც შენი ხმა არ მომწონს, არ მატყუებ, რომ ყველაფერი კარგადაა?

— არა, არ გატყუებ. უახლოესი მეგობარი დავკარგე და ამიტომაც მაქვს ასეთი ხმა, მეტი არაფერი.

— სიმართლე მითხარი, იქნებ დედაჩემმა განყენინა? რამე ისეთი ხომ არ გითხრა, რამაც შენზე იმოქმედა?

— არა, რას ამბობ, ისეთი სიყვარულით დავმორდი მას, თითქოს საუკუნეა, ვიცნობ, არაჩვეულებრივი ადამიანია. ეგ როგორ იფიქრე!

— რა ვიცო... ახლა სად ხარ?

— სამსახურში, დღეს მორიგეობა მიწევს.

— იმედია, ხვალ ჩვენი პაემანი შედგება.

შევეკოყმანდი.

— ალო, გესმის? — გაისმა ბექას ხმა.

— მესმის, მესმის, მაგრამ... ვფიქრობ, პაემანი არ შედგება...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გონების სასარჩილო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვატისკაენ არ გაბეძვთ თვალი.

- 1930 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში იყიდებოდა სიგარეტი, რომლის ღირებულება 11 დუიმის (27,5 სმ) სიგრძისა იყო, კოლოფში კი მხოლოდ 5 ლერი იდო. რა იყო ამის მიზეზი?
- ებრაული ტრადიციის თანახმად, როგორ უნდა ჩაიცვას მამაკაცმა და როგორ უნდა ჩააცვას ბავშვებსა და მეუღლეს?
- XIX საუკუნეში ჩერქეზი მამაკაცი მარჯვენა ხელის ცერზე მასიურ ბეჭედს ატარებდნენ. რა დანიშნულება ჰქონდა ამ სამკაულს?
- ნაპოლეონსა და შვედეთის მეფე კარლოს XII-ს ძალიან უყვარდათ ჭადრაკის თამაში. ცნობილია, რომ არც ერთი მათგანი არასდროს აკეთებდა როქს ერთი და იმავე მიზეზის გამო. დაასახელეთ ეს მიზეზი.
- საფრანგეთში, ერთ-ერთი ყვავილების მალაზიას ასეთი სარეკლამო წარწერა ამშვენებს: „ჩვენთან ყვავილები ისეთი იაფია, რომ მათი შექენა...“ დაასრულეთ ტექსტი.
- ძველ სპარტაში არსებობდა არჩევითი თანამდებობა ჩინოვიკისა, რომელსაც ევალებოდა დამთვრალიყო და ასე ევლო ქალაქის ქუჩებში. რა მიზნით იყო შემოღებული ეს თანამდებობა?
- იმის გასაგებად, თუ როგორ მიიღო მკითხველმა მისი ნაწარმოები, ვიქტორ ჰიუგომ რედაქტორს ლაკონური წერილი გაუგზავნა: „?“. რა მოსწერა რედაქტორმა პასუხად?
- რისგან სიკვდილი უწინასწარმეტყველა გერმანელმა ექიმმა მარკუს შერცმა თავის პაციენტს, რომელიც სამედიცინო წიგნებში ამოკითხული რეცეპტებით თვითმკურნალობას ეწეოდა?
- ლონდონში პოპულარობით სარგებლობს პატარა რესტორანი, რომლის მეპატრონეც აბსოლუტურად მელოტია. ასევე, მელოტია რესტორნის ყველა თანამშრომელი. რესტორნის სარეკლამო ფირნიშის თანახმად, რას ვერ იპოვით მათ კერძებში?
- ტენორიტის აცტეკების სახელმწიფოს დედაქალაქი იყო. 1521 წელს ესპანელებმა იგი მთლიანად დაანგრეს. რა მდებარეობს დღეს მის ადგილას?
- ერთ-ერთ მეომარს, რომელიც რამდენჯერმე გამოიქცა ბრძოლის ველიდან, ალექსანდრე მაკედონელმა უთხრა, — ან სიმამაცს მოუხმე, ან სახელი გამოიცვალეო. რა ერქვა მეომარს?
- ვიკინგები მრისხანე მეკობრეები იყვნენ, მაგრამ რუსეთში ჩასვლისას, ძარცვას, ვაჭრობას ამჯობინებდნენ. რატომ?
- ამ პოეტის მამა ალბუოელი მნათე იყო, დედა — ავლაბრელი სომეხი. იგი ლექსებს ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე თხზავდა (სომხურ და აზერბაიჯანულ ლექსებს ქართული ასოებით წერდა). დაასახელეთ იგი.

ანეკდოტები

კახელს ქუჩაში გამვლელი ქალი ერთი დანახვით შეუყვარდა.



— რა ლამაზი ხარ, შენ კი შემოგველე. მთელი ცხოვრება შენ გეძებდი და აი, გიპოვე კიდეცა! რა ლამაზი თვალები გაქვს, ლამის არის გაგვიყდეს! შენი გულითვინა, თუ გინდა, ემ საათში ალაზანში გადავვარდები!

კომპლიმენტების კორიანტელმა ქალს გული აუჩუყა: — საკმარისია!.. შეგიძლიათ, არ გადამიხადოთ!..

— ნახე, ბენზინი როგორ გაძვირდა?! — აღშფოთებულია მოშე. — შენ რა გადარდებს, მანქანა მაინც არა გაყავს, და... — ჰო, მარა სანთებელი ხომ ბენზინზე მაქვს?!.

ქმარი ცოლს ეალერსება: — ჩემო ძვირფასო... — ძვირფასი მაშინ ვიქნებოდი, სხვა ქალებთან რომ არ დაძვრებოდე, — ბუზღუნებს ცოლი. — მაშინ ერთადერთი იქნებოდი, ასე კი ძვირფასი ხარ.

ცოლი ქმარს საყვედურობს: — რა არის, არსად დაგყავარ: არც კინოში, არც თეატრში, არც რესტორანში და არც — სასეინროლდ!..

— რატომ, წინა კვირას საავადმყოფოში ხომ ნაგიყვანე?!

ორმოცდაათ წელს გადაცილებული მამაკაცი მღვდელთან მივიდა, აღსარების სათქმელად:

— მამაო, ბოლო ხუთი წელია, სქესობრივად ძალზე აქტიური გავხდი. ყოველ ღამე ხუთჯერ-ექვსჯერ მიწვევს ცოლის შეწუხება და ცოდვაში ხომ არ ჩამეთვლება?

— არა, შვილო ჩემო, ეგ რა ცოდვაა? ცოდვა ის არის, ჩემთან რომ მოდიხარ და ზღაპრებს მიყვები.

— ჭიჭიკია, მითხარი, თუ ძმა ხარ, რაფრა აბამ ასეთ ლამაზ ქალებს?

— გაცნობისას ვუბნები, — სინამდვილეში ასეთი მალალი არ გეგონო, ტუფლებში ასდოლარიანების დასტები მილაგია-მეთქი.

კახელი მოსკოვის ვაგზალზე დგას და ბარგის მტვირთავს ეძახის:

- „ეი, ბუზღელნიკ!..“
- „ია ნე ბუზღელნიკ, ია ნასილშიკი.“
- „ნუ, ხოროშო; იდი, იზნასილუი მოი ჩემოდან...“

— წითელი ღვინო სასარგებლოა



ჯანმრთელობისათვის. ჯანმრთელობა კი საჭიროა იმისათვის, რომ არაყი დალიო.

— იცი, რატომ არის კამბალა ბრტყელი?



— რატომ?
 — ვეშაპმა იხმარა!..
 — ვააა!..
 — და ის თუ იცი, კიბორჩხალას რატომ აქვს გადმოკარკლული თვალები?
 — არა.
 — შემთხვევით თვალი მოჰკრა, ვეშაპი კამბალას როგორ ხმარობდა.

სტუდენტს ფული გაუთავდა და უკანასკნელი ხურდებით ერთსიტყვიანი დეპეშა გაუგზავნა მშობლებს: „დამასლარიანეთ“.

ცოლი ქმარს ეჩხუბება:
 — ყოველდღე გახეთქილი მთვრალი რომ მოეთრევი ხოლმე, გვერდზე მომიწვეები, „ტრუსიკს“ გამხდი და დაიძინებ, მე რეზინი კი არ მიჭერს, შედეგენერატო!!!

გემმა კუნძულს ჩაუარა. მგზავრმა თვალი მოჰკრა გრძელწვერა მამაკაცს, რომელიც ხელებს იქნევდა და რალაცას ყვიროდა.
 — ვინ არის? — ეკითხება კაპიტანს.
 — წარმოდგენა არა მაქვს. აქ რომ გავივლით ხოლმე, ყოველთვის ასე იგვიყვებს თავს.

ქალაქში ჩასულ სვანს მეგობარი ეჩხუბება:
 — რამდენჯერ უნდა გითხრა, ქუჩაში აფთიაქის დანახვაზე პირჯვარს ნუ ინერ-მეთქი!

— თქვენ იდიოტი ხართ!
 — კი, მაგრამ ბატონო მეთაურო...
 — ხმა! კრინტი! ეს ბრძანებაა!

დევიდ კოპერფილდი კახეთში ჩავიდა. ძალიან უნდა, ადგილობრივ მოსახლეობაზე შთაბეჭდილება მოხდინოს.

ფეხები გაიქრო, მიხოსთან მივიდა და სიგარეტი სთხოვა. მიხომ სიგარეტი ისე მიანოდა, წარბიც არ შეუხრია. კოპერფილდმა ხელებიც გაიქრო და ისევ მივიდა მიხოსთან სიგარეტის სათხოვნელად. კვლავ არავითარი რეაქცია. ცოტა ხანში, მხოლოდ კოპერფილდის თავი ეახლა მიხოს და კვლავ სიგარეტი სთხოვა. მიხომ მშვიდად ამოიღო კოლოფი ჯიბიდან და უუბნება:

— ჯო, განა მენანება ეს სიგარეტი, მარა ხო ხედავ, გწყენს და დაანებე თავი, რა...

მეგრელმა სვანი კინოში დაბატოა. კადრში ჩანს, როგორ ადის კაცი კლდეზე. მეგრელმა დაიჟინა:

— ჩამოვარდება ახლა მაგი!
 — არ ჩამოვარდება! — უუბნება სვანი. დანაძლევენ. სვანმა წააგო. ფილმი რომ დამთავრდა, მეგრელი სვანს გამოუტყდა:
 — ბოდიში უნდა მოგიხადო, ეს ფილმი ნანახი მქონდა.
 — მეც მქონდა ნანახი, მაგრამ ვიფიქრე, ერთხელ რომ ჩამოვარდა ეგ დალოცვილი, მეორედ ჭკუას ისწავლის-მეთქი.

გონივრული სპეკულირება

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. იმ დროს თამბაქოს მწარმოებლები სიგარეტის თითოეულ ლერზე იხდიდნენ გადასახადს.
2. ებრაული ტრადიციის მიხედვით, მამაკაცმა საკუთარ შესაძლებლობასთან შედარებით უარესად უნდა ჩაიცვას, ბავშვებს შესაძლებლობის შესაბამისად ჩააცვას, ხოლო ცოლს — იმაზე უკეთ, ვიდრე ამის შესაძლებლობა აქვს.
3. კაჟიანი თოვის ჩახმახი საკმაოდ ძნელი შესაბამართი იყო და ამისთვის ბეჭედს იშველიებდნენ.
4. მეფისთვის დამალვა მიუღებლად მიაჩნდათ.
5. „...ქმრებსაც კი შეუძლიათ“.
6. ეს ახალგაზრდებისათვის უნდა ყოფილიყო თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ როგორი საშინელებაა ლოთობა და რა უსუსურია ლოთი ადამიანი.
7. „...“
8. ბეჭდვითი შეცდომისაგან.
9. თმას.
10. ქალაქი მესიკო.
11. ჯარისკაცი მისი სენია იყო.
12. ნაძარცვით დატვირთული გემებით გაქცევა მათ მდინარით უხდებოდათ და არა ზღვით, რაც ძალზე სასიფათო იყო.
13. საიათნოვა.

ჩვენი უოსო მანა



გამარჯობა „გზის“ რედაქციას!


მე თქვენი ერთგული ემიგრანტი მკითხველი ვარ ათენიდან. ძალიან ვხალისობ ხოლმე კურორტულ სურათებზე. გიგზავნით რამდენიმე სურათს, რომელიც ჩემ ირგვლივ მყოფების ღიმილს იწვევს. ძალიან გამიხარდება (თუ, რა თქმა უნდა, თქვენც მოგეწონებათ), თუ დაბეჭდავთ. წინასწარ გიხდით დიდ მადლობას და გისურვებთ ყოველივე კარგს.

მუხრანი ათენიდან

ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტროს“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვანოდლო რედაქციაში მის: თბილისი, იოსებძის ქ. №49.

თუ მამაკაცი ბაკრიტიკებში...

არსებობენ ისეთი ტიპის მამაკაცები, რომლებსაც ქალებისთვის, გარეგნობასთან დაკავშირებული შენიშვნების მიცემა გამორჩეულად უყვართ. თანაც დელიკატურად, ჩემად კი არ ეუბნებიან, ყველას გასაგონად უცხადებენ: „ეს ყაბა საშინლად არ გიხდება“; ან – „ეს შარვალის სად გამოძებნე?!“.. საყურადღებოა ის გარემოება, რომ შენიშვნების ავტორი შეიძლება არა მხოლოდ თქვენი მეუღლე ან მეგობარი, არამედ კოლეგა (მით უარესი, თუ ის თქვენი შეფა), მეგობრის ქმარი ან ახალი ნაცნობიც კი იყოს. ამიტომ ხშირად იბნევიან და არ იციან, თავხედი თავის ადგილას როგორ „მოსვით“ ისე, რომ მასთან ურთიერთობა არ გაიფუჭოთ. ფაქტობრივად, საყვარელ მამაკაცს თეორიულად უფლება აქვს, თქვენი გარეგნობის გაუმჯობესებაზე იზრუნოს, მაგრამ შენიშვნა-რეკომენდაციები უსათუოდ აკურატულად უნდა მოგცეთ. მუდმივი კრიტიკის შემთხვევაში კი ისტა დაგრჩენიათ, ან საბოლოოდ შეეგოთ მის ახირებას, ან საინააღმდეგო მოქმედების სტრატეგია შეიმუშაოთ.



სხვა გრძნობა იმალებოდეს: შეიძლება მას თქვენ მიერ ფულის უყაირათოდ ხარჯვა აღიზიანებს და ბანალურ სიძუნწეს ასეთი დახელოვნებული ფორმით ნიღბავს.

თუ ის, თქვენს გარეგნულ სტილს მეგობრების, მშობლების, მეზობლების, შემთხვევითი ნაცნობების თანდასწრებით სასაცილოდ იგდებს, მაშასადამე, თქვენთან განშორებაზე დიდი ხანია, ოცნებობს, მაგრამ ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად ძალა არ ჰყოფნის. თქვენი ღირსების მუდმივი შელახვით, ქვეცნობიერად (ან შეგნებულად) იმედოვნებს, რომ ერთხელაც იფეთქებთ და თავმოებზრებული მასთან განშორებას გადაწყვეტთ. მაშინ სუფთა სინდისით გაგეცლებათ.

თუ გულწრფელად ცდილობს ახალი ფესსაცმელებისა თუ ჩანთების შერჩევაში მონაწილეობას, გარისკეთ და დაეთანხმეთ. გამორიცხული არ არის, მართლა ზრუნავდეს თქვენს გარეგნობაზე. თუმცა, რა თქმა უნდა, ასეთები იშვიათად გვხვდებიან.

თუ დაბეჯითებით სურს, დაგარწმუნოთ, რომ სუპერსექსუალური კაბები (რომლებშიც საკუთარი თავი ძალიან მოგწონთ) არ უნდა ჩიცვავთ, მაშასადამე, ფარულად ეჭვიანობს და ყველა მისი შენიშვნა თქვენს სიმსუქნესა თუ სიგამბდრეზე — რაც ასეთ კაბებში მკაფიოდ იკვეთება — სინამდვილეში, იმისთვისაა გამიზნული, რომ საკუთარ არასრულფასოვნებაში დაგარწმუნოთ.

თუკი ახალ ვარცხნილობას გინუნებთ, უბრალოდ, არ ესამოვნა, რომ შეიცვალეთ. იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს ცვლილება უკეთესობისკენაა, მამაკაცი თავს მოუსვენრად გრძნობს. მას ურჩევნია, ყოველთვის ერთნაირად გამოიყურებოდეთ. თქვენი ერთფეროვნება მისი სიმშვიდის გარანტიაა!

როგორ უნდა მოიქცეთ?

ალბათ, პირველი, რაც თავში მოგივათ, მასთან კავშირის განწყვეტაა. მაგრამ თუ ეს შარიანი მამაკაცი თქვენთვის ძვირფასია, მაშინ შეეცადეთ, ხელახლა აღზარდოთ. თუმცადა, ეს ძალიან რთულია. ყველასთვის ცნობილია, რომ ზრდასრული ადამიანი იშვიათად იცვლება. ასეა თუ ისე, ფსიქოლოგებმა თქვენზე იზრუნეს და შეიმუშავეს რჩევათა კრებული, რომელიც შარიან მამაკაცებთან საბრძოლველად და მათზე გასამარჯვებლად გამიზნული.

წყნია მამაკაცი

მას არ მოსწონს არც ერთი თქვენი ნივთი. შენუხებული ამტკიცებს,

რომ ატროფირებული გემოვნება გაქვთ და კაბისა და პომადის დამოუკიდებლად შეძენა არ შეგიძლიათ. გარდა ამისა, თქვენი ფიგურის, სახის ნაკვთების, თმის, ფრჩხილებისა და ხმის მიმართაც კი პრეტენზია უჩნდება.

როგორ აიხსნენა მისი ასეთი ქრევა?

თუ ის მაშინაც ასეთი იყო, როცა გაიცანით, მაშასადამე, დაბადებიდან ბუზლუნა ყოფილა. აიტანთ თუ ვერა, ეს თქვენი პირადი საქმეა, მაგრამ გახსოვდეთ: ამ სტადიაზე „ავადმყოფობა“ მკურნალობას უკვე აღარ ემორჩილება.

თუ ის უკმაყოფილოა თქვენი შენაძენით, სავარაუდოა, ამის უკან სულ

სამარხვო კექსი



მასალად საჭიროა:

- 120 გ თაფლი;
- 60 გ შაქრის ფხვნილი;
- 50 გ მარგარინი;
- 1 ჩ/კ საფუარი;
- 250 გ ფქვილი;
- 2 ს/კ ჯავზი;
- 2 ჩ/კ დარიჩინი;
- 1 მნიკვი მარილი;
- 50 გ გარგარის ჩირი;
- 400 გ მუქი (სამარხვო) შოკოლადი.

მოაზადვის წესი:

თაფლი და მარგარინი ორთქლზე გაათბეთ, შეურიეთ საფუარი. დაუმატეთ ფქვილი, წვრილად დაჭრილი ჩირი და ამოიყვანეთ ცომი. შედგით მაცივარში მთელი ღამით. მოათავსეთ ცომი ცხიმნასმულ ფორმაში და აცხვეთ დაახლოებით 20 წუთი, 180 გრადუსამდე გახურებულ ღუმელში. შემდეგ გააგრილეთ და ისე გადმოიღეთ ფორმიდან. შოკოლადი გააღნეთ და კექსს ზემოდან მოასხით.

თქვენი რეაქცია

გაბრაზება ან მკვახე პასუხის გაცემა უზარობაა. შესაძლებელია, ის სწორედ ასეთ რეაქციას ელის ჩხუბის წამოსაწყებად. ამიტომ, პირველ რიგში, მოლოდინი უნდა გაუწვილოთ: თავაზიანად გადაუხადეთ მადლობა წვრილმანებისადმი ასეთი ყურადღების გამოჩენის გამო; დაპირდით, რომ ამიერიდან ნებისმიერი ნივთის, სამოსის ან კოსმეტიკის შექენისას რჩევას აუცილებლად ჰკითხავთ. თქვენი ასეთი რეაქცია მას უსათუოდ გააკვირვებს. მომავალში საყიდლებზე ერთად წადით და შესთავაზეთ, გამოსასვლელი ტანსაცმელი თვითონ აგიჩიოთ. ანგარიშსაც, რა თქმა უნდა, ის გადაიხდის. ეს ვარიანტი შესანიშნავად მოქმედებს ქონებზე — ისინი სასწრაფოდ სხვა თემზე იწყებენ ლაპარაკს, კრიტიკა ავიწყდებათ და კომპლიმენტებით გაცხებენ.

შეძლებული მამაკაცი ზოგჯერ უკიდურესად მტკივნეულად აღიქვამს ქალის ფინანსურ დამოუკიდებლობას. თქვენი ნაგაჭირი მას შეიძლება მხოლოდ იმიტომ არ მოსწონს, რომ ის მისი ფულით არ არის შექენილი. ასეთ დროს ვერაფერს გააწყობთ, გარდა იმისა, რომ ყოველი ამგვარი შენაძენის მერე დაარწმუნოთ ხოლმე — ეს აღარ განმეორდება.

საჯაროდ დაცინვის შემთხვევაში საქმე ჩხუბამდე ან ფარულად ცრემლების ღვრამდე არ მიიყვანოთ, მაგრამ არც მოუთმინოთ — მკაცრი და შეუვალი ტონით უთხარით: „არ მსურს ამ საკითხის სხვების თანდასწრებით განხილვა. გარდა ამისა, არ გეთანხმები და მოდი, ამაზე ლაპარაკი შევწყვიტოთ“. მთავარია, თავი ღირსეულად გექჩროთ და მას თქვენი დამცირების უფლება არ მისცეთ.

თქვენი გარეგნობის ან ჩაცმის სტილის აბუჩად აგდებით, ის, სავარაუდოა, სხვა სფეროში თქვენი უპირატესობის კომპენსაციას ახდენდეს. მაგალითად, თუკი თქვენ მასზე გაცილებით ერუდირებული, ნიჭიერი, ამავე დროს, მატერიალურადაც წელში გამართული ხართ; ანდა, მას უფრო ძლიერად უყვარხართ, ვიდრე თქვენ — ის და უკვე აღარ იცის, როგორ მიიპყროს თქვენი ყურადღება. ასეთ შემთხვევაში რაიმე ქმედითის რჩევა ძნელია. თუ მან, ურთიერთობის დასარეგულირებლად, ასეთი გზა შეგნებულად აირჩია, საეჭვოა ამაზე უარი თქვას.

და თუ, ბოლოს და ბოლოს, არაფერი გამოგდით, მაშინ ისლა დაგრჩენიათ, თქვენც იმავეთი უპასუხოთ.

და მაინც, მამაკაცის მხრიდან გაუთავებელი შენიშვნები იმაზე მეტყველებს, რომ თქვენს ურთიერთობაში სერიოზული ხარვეზებია. ზრდასრული, ნორმალური, შეყვარებული მამაკაცი თავს არასოდეს მისცემს უფლებას, საყვარელი ქალის გარეგნობა გააკრიტიკოს.

ფეხები რომ არ დაგელალოთ

დასავლელმა სპეციალისტებმა გამოთვალეს და განსაზღვრეს, რომ ადამიანის ფეხებს საშუალოდ დღეში 150000 კმ-ის გარბენა შეუძლია. ამგვარი გამძლეობა მათ ბუნებრივად მიაჩნიათ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფეხების ჯანმრთელობისა და სილამაზისთვის არ უნდა ვიზრუნოთ. აი, რას გვირჩევენ სპეციალისტები:

დილის ანარგოული პარკი

ჩამოჯექით სანოლის კიდეზე, მარჯვენა ფეხისგული მიიტანეთ მარცხენა ფეხისგულთან და 5 წუთის განმავლობაში იზილეთ. შემდეგ იგივე გაიმეორეთ მარცხენა ფეხით. ენერჯის მოზღვავებას აშკარად და თანაც მამინვე იგრძნობთ.

დილით სასურველია, მიიღოთ ფეხის კონტრასტული აბაზანა. ის აუმჯობესებს კანის ელასტიკურობას და ასტიმულირებს სისხლის მიმოქცევას.

სასურველია, თუ ყოველ დილით 15 წუთით მაინც გაისეირნებთ სუფთა ჰაერზე. დილით სეირნობა ამაგრებს ვენებს, ფეხის კუნთებს, აძლიერებს ამტანობას.

შეეცადეთ უარი თქვათ ლიფტითა და ესკალატორით სარგებლობაზე, რადგან კიბეზე ასვლა შესანიშნავი ვარჯიშია ფეხებისთვის.



ბუნებრივი ბრინჯი დღის განმავლობაში

რამდენჯერმე აიწიეთ და დადექით თითის წვერებზე, რადგან ამ დროს მთელი სხეულის სიმძიმე სწორედ ფეხის თითებსა და ქუსლებზე გადადის. შეეცადეთ, ათჯერ მაინც გაიმეოროთ ეს ვარჯიში.

დადექით სწორად, შეეცადეთ, რომ ფეხის თითები რამდენჯერმე ზემოთ ასწიოთ. ამ ვარჯიშის დროს იჭიმება წვივის კუნთები. შემდეგ კი შეეცადეთ, 20 ნაბიჯი მაინც გაიაროთ ფეხის ქუსლებზე.

სალამოს პროგრამა — მასტიმულირებელი აბაზანა.

აიღეთ 3 ჩ/კ მდოგვის ფხვნილი და აურიეთ ცოტა ცივ წყალში. მიღებული მასა ჩაასხით თბილწყლიან აბაზანაში. ქუსლები მასში 10 წუთით მაინც გააჩერეთ, შემდეგ კი ცივი წყლით დაიბანეთ. ამგვარი აბაზანა არა მარტო დაღლილობას მოგიხსნით, არამედ მთლიანად სიმსუბუქის შეგრძნებას შეგიქმნით.

რუბრიკა მოამზადა ქპ ბუნთაიშვილმა

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად ინტერნეტ მაღაზია www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 კვზ. ფასი	6 თვე
1. რეტინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. Женский журнал	11.65	69.7
4. Женское здоровье	7.00	41.8
5. Сандра	4.00	24.0
6. Все для женщины	0.80	19.9
7. Гламур		


აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები



პრესის გავრცელების სააგენტო „ელვასპალიტრა“

ქ. თბილისი იოსებოძლის ქ. № 49 ტელ: 42-43-40; 38-26-73; 38-26-74. ფაქსი: 38-26-74

E-mail: elva@kvirispalitra.com



დიდმოჩის საფე უჩინდას ჯვარი

გოჩა მანველიძე

დასაწყისი

წინასიტყვაობა

მთაში ყველაფერი სწრაფად ხდება.

მზის ამოსვლა... ჩასვლა... ამინდის ცვლა... სიღვა.

მოქმედი სმალღივით სწრაფად ჩაესვენა მზე. კაშკაშა ვარსკვლავებით მოჭედული ცა მიეფარა მთის მწვერვალებს. იდუმალ ბინდში ჩაიძირა მიდამო. კედლებზე საესმოდე ბული სალოცავი, ჯვარი. სალოცავს მიღმა მიმოვანტული საფლავის ქვები.

ლამემ თავისთავად ჩაანწარა დღეობაში მოსულნიც მიწყდა ფანდურისა და დოლის ხმა. ცეცხლოვანი ცეკვა-სიმღერის ხმები გაბმულმა დუდუნმა შეცვალა.

მიდამოც შეიცვალა. თითქოს ცაზე მიმოვანტული ვარსკვლავების ანარეკლიაო, ისე მოჩანდა მთის კალთაზე მობრდღვიალე მრავალი კოცონი.

ყველაფერი შეიცვალა.

კოცონთა გარშემო მსდომთა ჩაცმულობა, სახეები.

იყო თუ აღარ იყო ის ქურთუკი, პერანგი, შარვალი... ყოველივე ის, რითიც იმოსებიან.

დაუბერავე ნაივი, მოამძლავრებდა ნაკვერჩხალს და სუსტი ნათება გამოაჩენდა ქურთუქსა თუ პერანგს.

იმძლავრებდა ლამე და.

თვალი სხვა სურათს ხედავდა.

კოცონის გარშემო აბჯარჩაბალასთან მეომრები ისხდნენ. თეძო-წელს ხმალ-ხანჯალი უმშვენებდათ.

მერე ისევ შემოიბერავედა ნაივი და.

იქნებ, ნაივის და ლამის ბრალიც არ იყო ეს?!

იქნებ, სისხლისფერი ღვინო წყურჩულუბოდა და ალვი ძებდა იმ მეომრის გენს, რომელიც ოდესღაც ასევე მჯდარა ამ სალოცავის სიხლოვეს.

ის ღვინო, რომლითაც ასლა იესებოდა თასი.

თამადა არ ჰყოლია იმ სადღეგრძელოს. უბრალოდ, ერთმა ხმამალა თქვა ის, რაზეც ყველა ფიქრობდა.

„მოდი, ერთად მოვიხსენიოთ საქართველოსთვის თავგანწირული გმირები. ერთ საქმეს, თავიანთ ქვეყანას და ჩვენს მომავალს რომ ანაცვალოს თავიცა და სიცოცხლეც.“ ბევრი არიან. ძალიან ბევრი... ათასები, ათი... ასი ათასები... ყველას სახელით მოვიხსენიებდი... დავითებს, ვახტანგებს, თორნიკებს... მაგრამ... უამთასვლამ მარტო მეფეთა და სარდალთა სახელები შემოგინახა. თითო-ორიოლა თუ ვიცით უბრალო ქართველი მეომრის სახელი, მაგრამ მაინც ყველა ერთად მოვიხსენიოთ... ცნობილი თუ უცნობი... მეფე თუ რიგითი... მოვიხსენიოთ, რამეთუ ყველა ერთი საქმისთვის,

საქართველოსთვის ღვინო და სისხლს და თმობდა სიცოცხლეს.“

თქვა და თასი გამოცალა.

„ამინ“ — ჩაიდუდუნეს კოცონის ირგვლივ მსდომებმაც.

ისევ იმძლავრა ლამემ და ნაკვერჩხლის ნათება სისხლ-ისფრად აირეკლა ჯვარის პერანგმა და მახვილის ზარნიშმა; საუკუნეების მტვერი და საესი განიგდო სალოცავის კედლებმა. აქეთიქიდან აბჯარში ჩამსდარი აჩრდილები წამოდგნენ. უხმოდ იდგნენ, ვიქურ მომზირალნი. თითქოს კითხულობდნენ: მერედა, რატომ არ გვეცნობთ?.. განა, მარტო შესანდობრით უნდა გვიხსენიებდეთო?..

ჩანს, ვილაცას მისწვდა მათი სიტყვები. თასი გვერდზე გადადო და წინაპრებისგან მოსმენილი ამბის თხრობა დაიწყო.

„მთას ბევრი ჰყოლია გამორჩეული ვაჟკაცი. ერთი, მეორე... მესამე მათზე უკეთესი... მაგრამ ყოფილა ერთი... ვაჟკაცობითა და ცხოვრებით გამორჩეული. ძველ ამბავს ვცხები. ჩვენს პაპის პაპებსაც თავიანთი წინაპრებისგან რომ მოუსმენიათ. დავით აღმაშენებლის ხანაში, ფხოველი ერთ კაცს უცხოვრია. გვარად დაიარსო ყოფილა, სახელად მურიოზი რქმეცია. ყმანვილობაშივე აღმოაჩნდა მეომრის ფხა. შუუპოვარი მებრძოლი, უბადლო მოფარიკავე და ჩუბინი მოისარი ყოფილა. ვაჟკაცობაშიც არავის უდებდა ტოლს. თოთხმეტი-თხუთმეტი წლისა უფროს თანატომელებთან ერთად, უშიშრად ერკინებოდა ჩრდილოელ მომხდურს. წესი ჰქონია უცნაური — ომში მოკლულ მტერს მარჯვენას არ მოჰკვეთდა, რაც ფხოველთა ადათი იყო. მანამდე ეფარიკავებოდა, ვიდრე დროს არ დაუჭერდა და მავაში, ხმლიანად არ წააკეთდა მარჯვენას. მომავალ ხევისთავს ხედავდნენ მასში ფხოველები, მაგრამ...“

ომში დაიკარგა მურიოზი. ფხოველებს ბარში გაჰყვა საომრად და უკან აღარ დაბრუნდა. არ სჯეროდათ მისი დაღუპვისა. დრო გაეცა და დაბრუნდებო. თურმე მართლუბი იყვნენ, ვისაც არა სჯეროდა მისი სიკვდილის, მაგრამ ძალიან დიდი ხანი მოუხდათ მისი ლოდინი... ოცი წლის მერე დაუბრუნდა მშობლიურ მთას ომში დაკარგული ფხოველი.

ოცი წელი მცირე დრო არ არის. ნებისმიერი ადამიანი შეიცვლებოდა ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ დაიარსო მომხდარი ცვლილებები ყველას აკვირებდა. უცხო და უჩვეულო ცოდნა შეეძინა ფხოველს. ასე ამბობდნენ მასზე: უცხოდ ბრძოლის წესები იცოდაო. შიშველი ხელით შეეძლო კაცის განკურნებაც და მოკვლაცო, მაგრამ ყველაზე უცნაური სხვა თვისება თუ ცოდნა შეეძინა. დროდადრო, როცა ძალიან უჭირდა ფხოვს, მის თავზე მერიწავს ჯვარს ხედავდნენ. შედეგებული სისხლისფერი ყოფილა ის ჯვარი, ისეთივე ფერის, როგორც ფხოველის სამოსზე მოქარგული ჯვარი... ფხოველები ამბობდნენ: ღვთიური ნიშანია ის ჯვარიო. ზოგიც რაღაც ნაკეთობად მიიჩნევდა. ასე იყო თუ ისე, დიდი სამსახური გაუწიეს მშობლიურ მთას დაიარსა და იმ ჯვარმა მათი შიშით ჩრდილოელმა ქურდბაცაცებმა საერთოდ ამოიკვეთეს ფხი ფხოვიდან. მათი ნაწილი დაიარსოსა და მის მიერ განწირთნილ ახალგაზრდა ფხოველების ხმლებს შეეწირნენ. ნაწილს კი ხმალზე მეტად ის ჯვარი აფრთხობდა. ეს ყველაფერი დაბრუნებიდან ორ წელიწადში მოასწრო დაიარსმა. მერე დიდგორის ომი მომხდარა. მასაც არ გამოჰკლებია თავის განწირთნილ მეომრებთან ერთად შეერთებია ქართულ ლაშქარს.

მას მერე აღარავის უნახავს დაიარსო, არც მკვდარი და არც ცოცხალი. როგორც პირველად, მაშინაც არ სჯეროდათ ფხოველებს მისი სიკვდილის. ამბობდნენ: დაბრუნდებო.

მაგრამ აღარ დაბრუნდა. დარჩა ლამაზ ლეგენდად — უცხოდ მეომარი ფხოველისა და ცაში მფრენი შედეგებული სისხლისფერი ჯვრის შესახებ.

„მაინც რა იყო ის ჯვარი?“ — იკითხეს კოცონთან, როცა მთხრობელი დადუმდა.

„ეგ არავინ იცის, მაგრამ მაინც იფიქრეთ. იქნებ ვინმემ მაინც თქვას, რა იყო ის ჯვარი და საიდან ჩნდებოდა უცხოდ მებრძოლი ფხოველის თავზე“, — ჩაილაპარაკა მან და ისევ ღვინის თასს გადასწვდა.

პროლოგი

1121 წელი. დიდგორი.
 ერთმანეთის პირისპირ დგას იმ პერიოდის წინა აზიის ორი უძლიერესი არმია. ოთხასათასიანი მუსლიმანური კოალიცია, ნეჯმ ად-დინ ილღაზის სარდლობით. ორმოცდათხუთმეტათასიანი ქართული ლაშქარი, დავით აღმაშენებლის მეთაურობით.
 ეს პირველი ომი არ იყო. ჟამთაღმრცხველებს უკვე აღენერათ ბრძოლები — ერწუნისა, რუსთავისა, ქვემო ქართლისა, სამშვილდისა, აგარანისა...
 ერთიანად იწყებოდა და მერე ერთნაირად მთავრდებოდა ყველა ბრძოლა: თურქთა ბრბო გამარჯვების იმედით მოემართებოდა ღვთისმშობლის წილხვედრი ნალკოტისკენ...
 ხმაღმემართული ხედებოდა მომხდურს ამ ქვეყნის პატრონი და ქომაგი...
 იმედი იმედად რჩებოდა და კვდებოდა... და კვდებოდა თურქული ჯარიც...
 სამუდამოდ რჩებოდნენ ხეჭუყებში, ხისა და ბუჩქის ძირში, სოროში...
 ყველგან, სადაც იზალებოდნენ და სადაც მათ პოულობდნენ ქართველთა შურისმძიებელი ხმლები...
 ერთხმად ალაპარაკა აზია და ევროპა ქართველთა მეფისა და სამეფოს არნახულმა ძლიერებამ.
 მტრები — ზიზლით, შიშითა და ძრწოლით...
 მოყვარენი — ალტაცებით, პატივისცემითა და კეთილგანწყობით...
 იმ დროისთვის ორი ათეული წლის დაწყებული იყო ჯვაროსნული ომებიც. უსჯულოთაგან ქრისტეს საფლავის გათავისუფლების მოწოდებით, ათიათასობით ევროპელი დაიძრა იერუსალიმისკენ. მავანს მართლაც სჯეროდა, რომ ქრისტეს საფლავისთვის ღვრიდა სისხლს, მავანისთვის უბრალოდ, აზიის დაპყრობა იყო ეს ომი. მაგრამ ასე იყო თუ ისე, ქრისტიანები იყვნენ ის მეომრები. ჯვრით ხელში მოდიოდნენ. ასევე ქრისტიანთა — ქართველთა დაუძინებელ მტრებს ებრძოდნენ და თავადაც ცდილობდნენ აღზევებულ ქართველთა თავის მხარეზე მიმხრობას.
 იერუსალიმში მომხდარ დიდ ძვრებს დაემთხვა საქართველოს მომძლავრება. იერუსალიმის სამეფო ტახტზე ავიდა ფრანგი რაინდი, ბალდუნი მეორე — ჭეშმარიტი ქრისტიანი, სწორუპოვარი რაინდი და გონიერი მმართველი.
 დიდი სამიშროება იგრძნო ამაში თავადაც შეუპოვარმა მეომარმა, ამირა ნეჯმ ად-დინ ილღაზმა — ბაღდადის, მარდინისა და ალემოს პატრონმა. დიდი „საღვთო ომი“ გამოუცხადა ჯვაროსნებს და სასწრაფოდ დაძრა თურქული ლაშქარი.
 ანტიოქიაში შეებნენ ერთმანეთს ბალდუნი და ნეჯმ ად-დინ ილღაზი. სასტიკი

სისხლის ღვრა გაიმართა. ორივე მხარემ უამრავი მეომარი დაკარგა, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მიაღწია სანადეღ გამარჯვებას. თუმცა არც ერთი არ მიიჩნევდა თავს დამარცხებულად... უზომოდ დაღვრილმა სისხლმა ორივე მხარე შეუცნობლად მიიყვანა დროებით ზავამდე. ბალდუნი თავისი ჯვაროსნებით გაბრუნდა იერუსალიმში, ნეჯმ ად-დინ ილღაზი — ბაღდადში. და ორივე მხარე გამალებული შეუდგა ახალი ომისთვის მზადებას...
 მაშინ მიაპყრო ბალდუნიმა მზერა ქრისტიანულ საქართველოს და მის მეფეს. მეფეს, რომლის სახელიც შიშის ზარს სცემდა მუსლიმთ.
 მერე კი ფრანგი რაინდი მოკავშირეობის თხოვნით, თავად ეწვია საქართველოს. დიდხანს ითათბირეს გეგუთის სასახლეში ფრანგმა და ქართველმა გვირგვინოსნებმა. დავითსაც იზიდავდა ჯვაროსნებთან მოკავშირეობა. ამ კავშირს უფრო უნდა განემტყიცებინა საქართველოს ძლიერება და მისი საზღვრებიდან უნდა უკუეგდო დაუძინებელი მტერი.
 ბოლოს შეთანხმდნენ მეფენი. მომავალი გაზაფხულისთვის დავითს იერიში უნდა მიეტანა თურქებზე. იმავეს გააკეთებდა ბალდუნიც და იერუსალიმიდან დაპყრავდა მუსლიმთ.
 ეს 1119 წლის მიწურულს მოხდა. მომავალი გაზაფხული ფიცხი ხმაღ-

და პირდაპირ მიადგა ნეჯმ ად-დინ ილღაზის სამფლობელოებს.
 პირველი დიდი შეტაკება სირიის საზღვრებთან მოხდა. დავითმა ისევ დაამარცხა თურქები და ალემოსკენ დაძრა ლაშქარი. ნეჯმ ად-დინ ილღაზი პირდაპირ შეტაკებას მოერიდა და თურქული ურდოები დავითის ჯარის შემოვლით გაგზავნა საქართველოსკენ. იოლ საკბილოდ ქვენბოდა ამირას უმეფოდ დარჩენილი საქართველო, მაგრამ ცდებოდა თურმე. დავითმა დროულად შეიტყო თურქთა ლაშქრობის შესახებ. უსწრაფესად შემობარუნა ჯარი, თურქებს ნამოვნია და ისე ამოწყვიტა, რომ ამბის მბობელიც არ დაუტოვებია.
 ეს იმ წლის ბოლო ბრძოლა იყო. ზამთარმა თავისთავად შეწყვიტა ომი და დავითმა ლაშქარი საქართველოში დააბრუნა. ბალდუნიისთვის მცემული პირობა შესრულებული იყო. ქართველებთან ომში ჩართულმა ნეჯმ ად-დინ ილღაზმა ვეღარ შეძლო იერუსალიმზე გალაშქრება.
 მაგრამ თურქებმა მანაც არ ჩააგეს ხმალი ქარქაშში. შურისძიებით შეპყრობილმა ილღაზმა ისევ საქართველოსკენ დაძრა ლაშქარი და მტკვრის ხეობას მოადგა.
 ისევ იმედით ცოცხლობდა თურქული ლაშქარი. ერთხელ ხომ უნდა ელაღატა ბედისწერას ქართველთა მეფისთვის და იქნებ ეს ლაშქრობა გამხდარიყო საქართველოს დაუძლურების დასაწყისი?..



თაკვეთებით დაიწყო. გამოწვევა თავად თურქებმა ესროლეს დავით მეფეს, როცა მტკვრის ხეობას მოადგნენ. მკაცრი აღმოჩნდა ქართველი გვირგვინოსნის პასუხი. სასწრაფოდ შემოიკრიბა ლაშქარი და ერთი დაკვრით გაანადგურა მომხდური.
 ომი დაწყებული იყო, დავითი მარტო ერთი გამარჯვებით აღარ დაკმაყოფილებულა. თურქული ჯარის განადგურების მერე, შირვანი დალაშქრა. ზედიზედ აიღო მთავარი ციხესიმაგრეები — ქურდევანი და ლიზანი.
 ამას კიდევ რამდენიმე შეტაკება მოჰყვა. დავითის ლაშქარმა ზედიზედ დაამარცხა თურქები, სომხეთიდანაც განდევნა ისინი

ისევ ამაო აღმოჩნდა იმედი. ისევ აივსო საქართველოს ხევეები თურქთა გვაშებით. სრულიად განადგურდა მუსლიმთა ჯარი. თითო-ოროლამ თუ გაასწრო ქართულ ხმალს.
 არნახულად გააშმაგა ნეჯმ ად-დინ ილღაზი კიდევ ერთმა მარცხმა. სასწრაფოდ შეჰყარა კიდევ ერთი ლაშქარი და ისევ გამოისტუმრა თურქთა სასაკლაოდ ქცეული საქართველოსკენ.
 გაზაფხულზე ჩამოაღწია ლაშქარმა საქართველოში და მტკვრის პირას დაბანაკდა. უხეტოვლიანი ზამთრის მერე ადიდებული იყო მტკვარი. მრისხანედ მოაგორებდა ამღვრეულ ტალღებს. იფიქრეს თურქთა სარდლებმა: ადიდებულ მდინარეზე ჯარს ვერ გადმოიყვანს დავითი და როცა ამას შეძლებს, ჩვენ უკვე შორს ვიქნებით ალაფნაძარცვით დატვინულნი.
 ისევ იმედად დარჩა მათი ნაზრევი. შესძლებოდა თურმე ქართულ ლაშქარს ადიდებულ მტკვარზე გადასვლა და...
 ისევ მოიფინა ხეჭუყები თურქთა კბილებდაკრეჭილი თავის ქალებით...
 ისევ არ დარჩა ამბის მიმტანი, მაგრამ რომ აღარ დაბრუნდა ჯარი, მიხვდნენ ბაღდადს, რაც უნდა შემთხვევოდა მხედრობას.
 ეს ნეჯმ ად-დინ ილღაზის ბოლო გაბრძოლება იყო. გონიერებამ თუ არა, ხმალმა მანაც დაარწმუნა დავითის საქართველოს ძლიერებაში. თანაც ამ დროს ბალდუნიმა

ბალესტინისკენ დაძრა თავისი ჯვაროსნები. მამინ ინანა ამირამ, საქართველოში გაუზარებლად მოწყობილი ლაშქრობები. როგორ სჭირდებოდა ბაღდადს ის მხედრობა, მაგრამ...

ვინ წამოკრებდა მათ ძვლებს მტკვრისა და ალგეთის სანაპიროებიდან?..

ინანა და მიხვდა, რომ საქართველო ქვეყლიყო მახვილად, რომლითაც უნდა ჩასვენიებულიყო აზიაზე სელჩუკთა ბატონობის ხანა, ის საქართველო, რომელსაც ყოველთვის თავის სამფლობელოდ მიიჩნევდნენ მისი წინაპრები., მაგრამ ჯერაც ძლიერი იყო ბაღდადი. მისი მზის ჩასვენებაზე ფიქრი ნადრევი იყო. მძიმე იქნებოდა ის ომი, მაგრამ მაინც უნდა ებრძოლა, თანაც, ორ მტერთან ერთდროულად: ჩრდილოეთით — დავითთან და ქართველებთან, სამხრეთით — ბაღდადთან და მის ჯვაროსნებთან.

ძნელი იქნებოდა ეს ომი. იქნებ ვერც გამკლავებოდა ორივეს და ბაღდადთან ერთად, თავიც დაუკარგა. ისევ ცალ-ცალკე სჯობდა ქრისტიანთა დამარცხება, მაგრამ ჯერ რომლისთვის უნდა მოელო ბოლო?

შორი ქვეყნებიდან იყვნენ მოსული ჯვაროსნები. უცხოდ გრძნობდნენ თავს აზიის მცხოვრებელ უდაბნოებში. როგორ უნდა დაემარცხებინა ყინულოვან ჩრდილოეთში დაბადებულ მეომარს, უდაბნოს შვილი მუსლიმი მხედარი?

მათთან ბევრიც ჰქონდა ნაბრძოლი და ბევრჯერაც დაემარცხებინა ჯვაროსანთა მხედრობა, მაგრამ გონიერი აღმოჩნდა ბაღდადის. ჯვაროსანთა მხედრობაც მოამაგრა და ქართველთა მეფესთანაც შეკრა კავშირი, მაგრამ ის მაინც სხვის მიწაზე იბრძოდა. ჰქონდა წასასვლელი. ძალა უნდა ეგრძნო. უნდა მიმხედარიყო, რომ სხვის მიწას ეპოტინებოდა და თავად გაცვლებოდა იერუსალიმს და თავის მხედრებსაც გაიყოლებდა.

ქართველი მეფე კი...

ძლიერი იყო ქართველთა მეფე და მთავარი მისი ძალა ის მიწა იყო, რომელსაც ასეთი თავგამოდებით იცავდა. ის არსად წავიდოდა, ბოლომდე იბრძოლებდა. და როგორი იცოდა დავითმა ბრძოლა, საკუთარ თავზე ჰქონდა გამოცდილი სელჩუკ ამირას.

ის იყო ყველაზე საშიში მტერი და მისი განადგურებით უნდა დაწყებულიყო ჯვაროსანთა განდევნა და თურქთა აღზევა. მერე კი ფრანკ ბაღდადისაც მოეველებოდა...

თურმე მარტო ამირა არ გაემამებინა ქართველთა მეფეს.

ჰამადანში, ირან-ერაყის სულთნის სასახლესთან ტევა არ ჰქონდა მთხოვნილ თურქებს. ყველა ერთს შესთხოვდა სულთან მაჰმუდს: დაგვიცავი ქართველთა მეფისგან, საქართველოს ვინა დაექებს, შირვანსა და სომხეთში აღარ დაგვედგომება მართლმორწმუნე მუსლიმთ; ტფილისის ამირა, ბანუ ჯაფარიც კი ხარკს უხდის და ალბათ, მალე საერთოდ, გააძევებ ტფილისიდან!

ყურად იღო სულთანმა ქვეყნდრომთა ჩივილი და თურქ მმართველებს ლაშქრობისთვის მზადება უბრძანა. ეს უნდა ყო-

ფილიყო საღვთო ომი, ჯიჰადი, რომელსაც ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაეწყვიტა საქართველოს, მისი დაუმორჩილებელი მეფისა და მთლიანად საქრისტიანოს ბედი.

სულთნის მოწოდებას წინა აზიის ყველა ძლიერი თუ სუსტი მმართველი გამოეხმაურა. ვის მართლაც აღელებდა ერთმორწმუნეთა ბედი, ვის უბრალოდ, საკბილო იზიდავდა. მისი დროშის ქვეშ გაერთიანდნენ:

ნეჯმ ად-დინ ილღაზი — პატრონი ბაღდადის, მარდინისა და ალექსის, მას ყველაზე დიდი მიზნები ჰქონდა საქართველოში ლაშქრობისთვის: არც ერთ თურქ სელმნიფეს არ ადინა დავით მეფემ იმდენი სისხლი, რამდენიც მას; დურბეიზ სადაყის ძე — ჰილას პატრონი, ილღაზის სიძე, ინდოეთისა და სპარსეთის ლაშქრობების სარდალი; თოთრულ მუჰამედის ძე — პატრონი ყიზვინის, ზენჯანის, გილანისა, განძის ამირა, სულთან მაჰმუდის ძმა და სელჩუკთა იმპერიის მომავალი სულთანი; თულან არსლანი — პატრონი არზანისა და ბითლისისა; ქენ თოლი — განძის ათაბაგი.

მათ შეუერთდნენ მცირე ქალაქთა მმართველები, მუსლიმი ფანატიკოსები და უბრალოდ, მძარცველთა ბრძოები. საერთო ჯამში, სულთნის დროშის ქვეშ ოთხასი ათასმა მეომარმა მოიყარა თავი. ამ ურდოს სულთანმა წინა აზიის ყველაზე გამოცდილი სარდალი და დავითის დაუძინებელი მტერი, ნეჯმ ად-დინ ილღაზი ჩაუყენა სათავეში და საქართველოსკენ გამოისტუმრა. ილღაზმა უსწრაფესად ჩამოიყვანა თავისი ლაშქარი საქართველოში და დიდგორის ველზე დაბანაკდა.

1121 წლის ცხელი აგვისტო იდგა...

დიდხანს გასცქეროდა დავითი მოპირდაპირე სერზე გაშლილ თეთრ კარავებს. ყოველი თურქი დამარტულიყო საქართველოს წინააღმდეგ. ხერხისთვის მიმართვაც არ დასჭირდებოდა ილღაზს. ქართველთათვის თვალის ასახვევად, ზედმეტ კარავს არ გააშლევინებდა და კოცონსაც არ დაანთებინებდა თურქებს. იცოდა მეფემ, რომ ისედაც ძალიან ბევრი იყვნენ მუსლიმები. მსტოვრები მუდამ ადევნებდნენ თვალს საქართველოსკენ მოძრავ ჯარს და ყველაფერს ატყობინებდნენ.

უზარმაზარ მცურავსა ჰგავსო ილღაზის ლაშქარი — ჰყვებოდნენ მსტოვრები, — დღეები უნდა ელოდო, რომ მტვერში გახვეული მისი ბოლო გამოჩნდესო. ასიათასობით თურქი მეომარი იყო გაერთიანებული ამ გველენაში, რომელიც საქართველოს გადასაყლაპად მოხსავდა. და ამ ურდოს დავითი და საქართველო ორმოცდათხუთმეტი ათასი მეომრით უნდა დაჰპირისპირებოდა.

მძიმე ომი ელოდა საქართველოს. პირველი არ იქნებოდა ის. განა ოდეს უცხოვრია ქართველს ხმლის გარეშე?.. მაგრამ მაინც სხვა იყო ხვალინდელი ომი. აქამდე ოცნებაში დასახული, ყოველ ქართველთა სამეფოსთვის იქნებოდა ხმალი დავითი და ამ ხმალითავე უნდა იბრძოდა ბრწყინვალე გამარჯვება მოუტანა თავის ხალხსა და ქვეყანას. ყველა ის ბრძოლა მცირე ჯარით ჰქონ-

და მოგებულ. იგივე იყო, რაც დღეს. ოთხჯერ, ხუთჯერ და ათჯერ დიდი ჯარები გაუცამტვერებია მის ლაშქარს. მაგრამ მაშინ მალეც შაჰს ებრძოდა. მერე მის მეგვიდრეს, მის პირისპირ დაბანაკებულ ლაშქრის სარდალს, ილღაზს. დღეს კი მთელი ისლამური მხედრობა დამარტულიყო საქართველოს წინააღმდეგ. დღეს უნდა გადაწყვეტილიყო, იარსებებდა საქართველო თუ — არა. ძველ ომებში ერთხელაც არ უნახავს მის ჯარს დამარცხება, მაგრამ რომც დამარცხებულიყო, ერთი ბრძოლის წაგება იქნებოდა ის. ძალად მოიკრებდა, უკან მობრუნდებოდა და მაინც დაჩეხავდა თურქებს. დღეს კი...

დღეს დამარცხების უფლება არ ჰქონდა დავითსა და მის ლაშქარს. საქართველო დამარცხდებოდა ამით. და ვინ იცის, რამდენი ხნით გაქრებოდა ყოველთა ქართველთა სამეფოს შექმნის ოცნება?..

უნდა მოეგო ეს ომი დავითს. უნდა მოეგო თავისთვის, ქვეყნისთვის, მისი მეომრებისთვის, რომლებიც ახლა ბრძოლისთვის ეზადებოდნენ და კიდევ — იმ მეომრებისთვის, რომლებიც ჯერ არ დაბადებულყვნენ და რომლებსაც საუკუნეების მერე ექნებოდათ თავიანთი დიდგორი!..

იცოდა ეს ლაშქარმაც და ამის ნიშნად, მეფის ბრძანებით, თავად ჩახიერა უკან დასახვევი გზაც. ქართული ლაშქრის ფიცი იყო ეს — დიდგორიდან მხოლოდ გამარჯვებული უნდა გაბრუნებულიყო ქართული ლაშქარი!.. და თუ არა...

არ ჰქონდა ამის უფლება, ვერ მოკვდებოდა. რომ მოკვდარიყო, ვილას უნდა დაეცვა საქართველო, გავეშებული თურქისგან?

მხოლოდ გამარჯვებისთვის იყვნენ მოსული დიდგორს დავითი, მისი ლაშქარი და ამ ლაშქრის ყოველი მეომარი!..

სარდლებით გარშემორტყმული იდგა, როცა მეზღვრე მიეხლა მეფეს. გაკვირვებული ჩანდა.

რომელიღაც მოლაშქრემ ხმალი მოგიძღვნა; უკან გაბრუნება მინდოდა, მაგრამ დაიჟინა: ან ხმალი მიეც, ან თავად მიმიშვი მეფესთანო!

გაეღიმა დავითს: განა უხმლოდ იქნებოდა ომში ქართველი გვირგვინოსანი. რისთვის უნდა მიერთშია ხმალი ქართველ მოლაშქრეს?..

მაინც ჩამოართვა მეზღვრეს ხმალი. მამხალის შუქზე დაათვალიერა. ქართველი ოსტატის ნახელავი შეიცნო. შავი ქარქაში ჰქონდა, ფხოველთა წესით, ვერცხლის ჯვრებით მოპირკეთებული. მერე ვადა მოზიდა და ქარქაში ხელიდან ამოასრიალა.

გაუვივრდა მეფეს, როცა პირზე ნაცნობი მგლისგამოსახლებიანი დამლა დაინახა. ასეთ ხმლებს მისი დიდი წინაპრის, სვეტიცხოვლის აშგების, გიორგი მეფის ოსტატები აზადებდნენ. თავადაც ჰქონდა მგლისსახა გორდა. იფიქრა, ის ხომ არ არისო?

ფხას დახედა. სხვა ხმალი ეყარა ხელთ. ახლა მისი გორდა გეგუთის სასახლის კედელზე ეკიდა. ეს კი სხვა იყო. სხვა ნაკანრები და ნაჭდეები შემორჩენოდა ფხას.



ხმალი ხომ ადამიანისთვისაა — თავისი ომები აქვს გადატანილი, ყველა შემოკვრას იმას-სოვრებს და ეს ნაკანონები ეუბნებოდა დავითს, რომ სხვისი იყო ის და სხვა ბრძოლების მნახველი.

უეცრად გაახსენდა, სად და როდის ჰქონდა ნანახი ასეთი გორდა. მიუბრუნდა მეაბჯრეს:

ვინ მოგცა ეს ხმალიო?

— სახელი არ უთქვამს. ფხოველი მეომარი უნდა იყო, — უპასუხა მან.

— აქ მიხმე! — ბრძანა დავითმა.

მეაბჯრემ ტანმალარი, ბრგე ფხოველი მოიყვანა კარავთან. ლოყა-ნიკასს თხელი წვერი უფარავდა. ჩაბალახს ქვემოთ ჭალარანარევი, ფხოველისთვის უცხო ჩალისფერი თმა მოუჩანდა. ტანს უცხო აბჯარი აესხა. მრავალი თორი ენახა დავითს — ქართული, სპარსული, ჰამადანური, დამასკოს ნაქარგი ჯაჭვის პურანგები, ბიზანტიური და ფრანკ ჯვაროსანთა მძიმე აბჯრები, მაგრამ არასოდეს ენახა ასეთი თორი. თევზის ქერცლისებურად იყო განწყობილი და აბრეშუმის სამოსივით ედგა ტანზე მეომარს.

მამინვე ეცნო დავითს მისი თვალები და ისიც გაიხსენა, სად ჰყავდა ნანახი ეს მეომარი.

ოცი წელი იქნებოდა მას შემდეგ გასული. თხუთმეტი წლის უფლისწული იყო. მისი მამა კახთ მეფეს, აღსართანს ეომებოდა და თავისი ლაშქრით შემოიწყო ვეფხის ციხეს. თავად დავითი რუსთავის ციხისკენ მიიწვიდა. გზად აღსართანის მოკავშირე, თურქი ატ-ტავილის ჯვართან მოუხდა შეტაკება. პირნიმნდად დაამარცხა იმ ბრძოლაში მისმა სამხედრო ჯარი. ორასობდე თურქი მეომარი მტკვრისპირა ჭაობში ჩაეფლო. მათ შორის, ორი ფხოველიც ერია. ადრევე უამლო მსტოვარმა იმ ფხოველების შესახებ არდოტის ხევისთავის, ბერდია დაიაურის ვაჟები ყოფილიყვნენ. რუსთავის ციხეში, ატ-ტავილთან ერთად ეხილა ისინი მსტოვარს. ახლაც ახსოვდა იმ მსტოვარის ნამბობი — ფხოველები იყვნენ, მაგრამ მთიელთათვის უცხო ჰქონდათ თმისა და თვალის ფერი.

ცისა ფერს შეადარა მისი თვალები. იმ მსტოვარს ზღვა არ ჰქონდა ნანახი, თორემ დავითმა აფხაზეთის ზღვის სილურჯე და სიღრმე შენიშნა იმ თვალებში. ზღვისა, რომელიც ბევრჯერ ჰქონდა ნანახი ბიჭვინთაში.

ფხოველების ჭაობიდან ამოყვანა ბრძანა დავითმა. მერე გაკვირვებულები უამბობდნენ მეაბჯრენი, რომ დასახრჩობად განწირულნიც არ ნებდებოდნენ. ათმა მეომარმა ძლივს გააკავა ორი ფხოველი.

კარავში მიუყვანეს იარაღყრილი და გათოკილი მთიელები. ბრძოლა აღარ შეეძლოთ, მაგრამ თვალების ბრიალით ასვედრებდნენ ყველას, რომ მაინც არ განელეობოდათ შემართების ცეცხლი. ტყუპი ძმა იყო. ორივე მისი კბილა იქნებოდა — თხუთმეტი ანდაც თექვსმეტი წლის.

მოეწონა მათი მეომრული შემართება, სიკვდილის წინაშეც რომ არ წყვეტდნენ ბრძოლას და არც უფლისწულის გარს შემომდგარი ამაღა აფრთხობდათ. თან გულიც დასწყდა, რომ მის ლაშქარში არ

იბრძოდნენ ეს მოლაშქრენი. რაინდი და შემართებული მეომარი არასოდეს აკლდა მის სპას, მაგრამ საქართველოს დაუძინებელი მტრის, თურქი მუჰამედ ატ-ტავილის თანამებრძოლი იყვნენ ფხოველი.

მამინ ნახა შვედარქაშიანი, ფხოველი წესით, ვერცხლის ჯვრებით მოზარნიშებული მათი ხმლები. მგლისასხა დამლაპ კი გააკვირვა უფლისწული: საიდან უნდა მოხვედრილიყო ბაგრატივანთა ოსტატების ნაჭედი ხმლები ფხოველებთან?

მერე გაახსენდა თავისი აღმზრდელის, გიორგი ჭყონდიდელის ნამბობი.

დიდი ომების მერე, მეფე გიორგიმ შემოირიგა ფხოველები. შემორიგებულნი ბიზანტიის ლაშქრობაში გაჰყვინენ ქართველ გვირგვინოსანს და ომში გამოჩეულნი „ძელისა და ფოლანის მკნეტელი“ ხმლებით დააჯილდოვო.

ჩანს, ეს ხმლებიც ბაგრატივანთაგან ერთგულების ნიშნად ჰქონდათ მიღებული ფხოველებს, რაც დაუდასტურებს ძმებმაც.

წინაპრებისგან გვერგო ეს ხმლები, რომლებიც ბიზანტიის ლაშქრობაში ახლდნენ მეფე გიორგისო.

ჩვეული დიდსულოვნებით მიუდგა დავითი ფხოველებს. ბრძანა: იარაღი დაუბრუნეთ, ცხენები და საგზალიც მიეცით და გაუშვითო!

ნასვლის წინ, ბიზანტიაში მოლაშქრე წინაპრები შეახსენა. მერე ჰკითხა: ომში რომ მოგიხმით, გვერგოდეს მე და საქართველოს თქვენი მიედიო?

უარი შეჰბედეს ფხოველებმა. ჩანს, ვერაც არ განელეობდათ ტყვეობის წყნა. მაინც არაფერი უთქვამს დავითს. მეფობისთვის ეზადებოდა და აქედანვე აჩვენა თავს მწარე, მაგრამ არა პირფერულ სიტყვას. ახალგაზრდულ სიფიცხედ ჩაუთვალა ნათქვამი და ორივე დაითხოვა.

მას შემდეგ მრავალი წელი გასრულებულიყო. აღარ ისხდნენ კახეთის ტახტზე აღსართანი და კვირიკე. საერთოდ მოიშალა საქართველოში ორ და სამტახტიანობა და სამეფო ერთი ტახტით და ერთი მეფით იმართებოდა. თურქებმაც ამოიკვეთეს ფეხი საქართველოდან. მათთან ომები ან საზღვრებზე, ან ისევ თურქთა მიწებზე თუ ხდებოდა. კახეთის მერე, ფხოვიც შემოირიგა დავითმა. ბევრ ლაშქრობაშიც უერთგულეს და ვაჟკაცურად ამსახურეს მარჯვენა და ხმალი საქართველოს, მაგრამ მათ შორის აღარ შეხვედრიან არდოტელი დაიაურები. ჩანს, ბოლომდე გაუტანიათ სიტყვა: არ ემსახურება ბაგრატივანთ ჩვენი მკლავი და ხმალი!

მაგრამ მამინ რისთვის უნდა მოსულიყო ეს ფხოველი დიდგორის და რატომ უძღვნიდა მგლისასხა გორდას?..

შემივრდომე, მეფეო, შენგან ერთხელ უკვე შეწყალებული, მუროჩი დაიაურიო, — დაიჩოქა და თავი მდებლად ჩახარა ფხოველმა.

— ადეე! — ბრძანა დავითმა.

— იმდენი მეფუკას წინაშე დამიჩოქია, რომ არ ეგების ჩემი ქართველთა მეფის თანასწორად დგომა! — უპასუხა მუროჩი.

— ჭაბუკი სხვანაირად მპასუხობდი.

ოცი წლის წინანდელი შეხვედრა შეახსენა

და დავითმა..

— უგუნურ ვიყავ, მაგრამ შენ ბჭობდი ბრძენსავით, — ამოიოხრა ფხოველმა.

— მაინც ადეე. ქართველი მეომარი ხარ, ისევე, როგორც მე. ამაში ხომ ვართ თანასწორნი, — ისევ უბრძანა მეფემ.

ტანი აზიდა ფხოველმა, მხრებში გაიშალა და ისე თქვა:

— შენ მკითხე ერთხელ: ომში რომ მოგიხმო, გვერგოდეს თუ არა მე და საქართველოს შენი იმედიო? მამინ უარ შემოგკადრე. დღეს არ გიხმევარ. თავად გეახელ და ჩემი სათქმელიც ეგ არის. შენს სამსახურად იგულვე ჩემი მკლავიც, ხმალიცა და არდოტელებიც!

— მაშ, ფხოველები მომიყვანე, დაიაურიო? — ღიმილი მოერია დავითს.

— მართალ ხარ. ჩემი არდოტელებით გეახელი, — დაუდასტურა მუროჩი.

— ძმაც გახლავს? — მისი ტყუისცალი გაიხსენა დავითმა.

— არა, მეფეო. შენი სამეფოს მტრებთან ბრძოლამ შეინირა ტყუისცალი ჩემი, უშიშა. — ამოიოხრა ფხოველმა.

— ერთი რამ მითხარ, დაიაურიო. სხვაც მქონია ომები. მამინ რატომ არ მოსულხარ? — განაგრძო დავითმა.

— მინდოდა, მეფეო... წინასწარ რომც მცოდნოდა, ლუკმა-ლუკმა ამკავადნენ, მაინც მოვიდოდი. მაგრამ არ შემეძლო. შორს, ძალიან შორს ვიყავ. სხვა მეფეებს ვამსახურე, შენი წინაპრების ნაჩუქარი ხმალი და სხვის ომში ვვარე სისხლი. ახლა შენ უნდა გამსახურო თავი. დარდიც არ მაქვს, თუ მოკვდები! — ჩაიბუბუნა მუროჩი.

— შენი ძმა?.. ის რატომ არ მოდიოდა?

— ისევ ჰკითხა მეფემ.

— შეუნდე უშიშას. დიდხანს მკვდრად მთვლიდა და შენ ეგონე ჩემი სიკვდილის მიზეზი. ომისა და ბრძოლისა არასოდეს შინებია უშიშას. დიდოელებთან ომს შეეწირა, მაგრამ ბაგრატივანთა გამო, არ იომებდა ჩემი ძმა, — უპასუხა დაიაურმა.

— შემინდვია მისთვის, — ჩაილაპარაკა დავითმა. მისთვის საგრძნობი იყო გულსტკივილი, რომლითაც ამ სიტყვებს ამბობდა მუროჩი.

— გმადლობთ, მეფეო.

თავი ჩახარა ფხოველმა.

— საომრად მოსული, ხმალს რისთვის მითმობ? შენ რილათი უნდა ეომო მტერს? მგლისასხა გორდა შეათამაშა დავითმა.

— ხმალი ბევრი მაქვს, მეფეო. ეგ გორდა კი შენმა წინაპრებმა ერთგულებისთვის აჩუქეს დაიაურებს და ვაგლახ მე, რომ ბევრ უცხოტომელს ვამსახურე და შენ — ვერა. უკან გიბრუნებ. არ მინდა, დაუმსახურებლად მაგ ხმლისა ტარება. გავასრულებთ ომს და თუ მოინონებ ჩემს ბრძოლას, მერე მისახსოვრე, — უპასუხა მუროჩი.

— აქ მოსკლაა უკვე მოსანონი, დაიაურიო, მაგრამ იყოს შენებურად. ბრძოლის მერე მოდი და ჩაიბარე შენი გორდა, — უპასუხა დავითმა და მერე თავად ჰკითხა: რამდენი მოლაშქრე მომიყვანეო?

— ორმოცდაათი. მტრიც შემეძლო, მაგრამ ხეობას მეომრის გარეშე ვერ დავტოვებდი. ფხიზლად არიან დიდო-ძურძუკნი. დრო თუ იხელთეს, მამინვე შემოესევინა



და დამცველის გარეშე დარჩენილ არდოტს ამიოხრებენ, — თქვა მუროჩიმ.

— ბარამ კახთა ერისთავის ჯარს შეუერთე შენი ფხოველები. შეჩვეული იქნებიან კახთა მხარდამხარ ომს, — ბრძანა მეფემ.

— აქ მოსვლამდე ვნახე კახთა ჯარი. მარცხენა ფრთაზე დგანან. თურქთა ლაშქარი კი ისეა განწყობილი, რომ შუაგულს უნდა დაკვრა, — უპასუხა დაიაურმა.

— დიდ ომებში ყოფილხარ ნამყოფი, — გაუკვირდა დავითს ფხოველი მეომრისგან ჯართა წყობისა და სარდლობის წესის ცოდნა.

— მომწვია, — თავი დაუქნია ფხოველმა.

— მერედა, რით ნუნობ ბარამ ერისთავის ჯარში ყოფნას? — განაგრძო დავითმა.

— ბარამ ერისთავის ჯარს ჩემგან არაფერ დაენუნვის, მაგრამ მე წინათმებრძოლეობა მწყურია, — თქვა მუროჩიმ.

— ხვალ ყველა წინათმებრძოლი ვიქნებით — კახიც, იმერიც, ფხოველიც, აფხაზიცა და ქართლელიც... მეფეცა და აზნაურიც. ჩვენ უკან მარტო საქართველო იდგება და მამველი ჯარიც არ გვეყოლება! — დინჯად შენიშნა დავითმა.

— იმ წინათმებრძოლის წინათმებრძოლბა მწყურია, მეფეო. ამას შეგთხოვ და ნუ მეტყვი უარს, — შეევედრა ფხოველი.

— ცოტაა შენი ჯარი მაგისტვის. ორმოცდაათი მეომრით თურქზე არ დაიკვრების, — შენიშნა დავითმა.

— დაიკვრების... გააჩნია, ვინ დაჰკრავს. ვიცი, ბევრი გყავს ლალი და გაბედულად მჩხვებელი მოლაშქრე, მაგრამ არდოტელთ სადარი არც შენს ჯარში მეგულვის და არც თურქთ შორის. ჩემი გამოზრდილები არიან. თავად გაგწვრთენი და ომისა წესიც უცხო შევასწავლე. მცირე რაზმშია ჩვენი

ძალა. დიდ ჯარში გავითქვიფებით და ვერ ვიქმთ იმას, რაცა გვხალუძს. მიგვიში, მეფეო, და შენცა ნახავ — ისე დაკვრავთ, რომ ორმოცდაათს ასჯერ მეტს მოვაჩვენებთ! — ჯიუტად განაგრძო დაიაურმა.

— მამ, წინათმებრძოლობა გწყურია, — ჩაილაპარაკა დავითმა.

— მწყურია! — ფიცხად წამოისროლა მუროჩიმ.

დავითმა აღარაფერი თქვა. დინჯად გავიდა კარვიდან და თურქთა ბანაკს მიაპყრო მზერა.

დიდხანს იდგა მეფე ჩაფიქრებული, რალაცას ზომავდა, გეგმავდა. მერე სწრაფად შემობრუნდა, ფხოველს გაუსწორა მზერა და თქვა:

— კარგი, მიგიშვებ თურქებზედ. დაბრუნდი შენს ფხოველებთან და როცა დრო მოვა, გისმოზ!

დაიაურმა მდაბლად დაუკრა თავი მეფეს და სწრაფი ნაბიჯით გაეცალა კარავს...

საქართველოს საზღვრებამდე მუხლჩაუხრელად ატარა თავისი ლაშქარი ილღაზმა. უდაბნოში, ჯვაროსნებთან ბრძოლებში გამონვრთნილ მოლაშქრეებსაც კი გაუჭირდათ ასე სწრაფად სვლა. ეცემოდა მეომარი, ცხენი, აქლემი. ალალი ვერ ენეოდა წინ ნასულ ლაშქარს. ღამით, დაბანაკებული მეომრები შიმშილით დაოსებულები ელოდნენ ალალის გამოჩენას. გაქვავებული ხშიადით მოიბრუნებდნენ სულს. მერე, დაღლილ-დაქანცულნი კლავდნენ ცხვარს, ძროხას. მოხარზავდნენ, შეჭამდნენ და მიწაზე, აქლემთა შორის მიეყრებოდნენ საძილედ.

შბის პირველ სხივთან ერთად, ყველაფერი თავიდან იწყებოდა. წამოიშლებოდა ლაშქარი, ნახეშვებდა და ისევ გაუყვებოდა მტვერში მისვეულ გზას. დრტვინვა დაიწყო ლაშქარმა.

რა ლაშქრობაა ეს, თუ გურჯისტანამდე შიმშილით დავწყადებით ან შორი გზა მოგვინებლბსო?

მკაცრი იყო ილღაზის პასუხი. ყველა უკმაყოფილოს, ამირას შეაჩაღმიანი მცველები უსწორდებოდნენ. სასჯელი კი ერთი ჰქონდათ სელჩუკებს: ჩუგლუგის ცემით ჩაუშსხვრევდნენ ხერხემლის მალებს და გზის პირას მიაგდებდნენ ხეიბარს. მიაგდებდნენ, რომ წამებაში ამოხდომოდა სული და სხვასაც ეხილა, თუ რა მოელოდათ ურჩთ.


სომხეთის სამანებში ლაშქარმა სვლა შეანელა ესეც ილღაზის ბრძანებით მოხდა. კარგად იცოდა ბაღდადის პატრონმა, ვისთანაც აპირებდა ომს და მისეულ ომის წესსაც იცნობდა. დავითთან ომი დიდ სიფრთხილეს მოითხოვდა. ეს არ გაითვალისწინა მისმა წინაპრებმა ამირა ახმეტმა და ამიტომაც დაკარგა ლაშქარი და

თავიც წააგო.

გასეირნებად მიიჩნეოდა ახმეტი საქართველოში ლაშქრობას. ლაშქარს თან გააყოლა ჰარამხანა, კარვები, საჭურისები, მებარგულთა და მსახურთა ჯარი. ტაატი იარა საქართველომდე. თუ ადგილი მოეწონებოდა, ბანაკს დაცემდა და ნადიმ-ნადირობით იქცევდა თავს. იმაზე კი აღარ ფიქრობდა, რომ ამ დროს ქართველთ მეფე საომრად ემზადებოდა და სამეფოს, მომხდურის მოსაგერიებლად ამარგებდა. არც იმაზე ფიქრობდა, რომ მის ლაშქარს მოჰყვებოდნენ დავით მეფის მსტორები და სელჩუკთა ყოველ ნაბიჯს ატყობინებდნენ პატრონს. დროდადრო ქართველთა მცირე რაზმებთანაც უხდებოდა შეტაკება მის ჯარს. ქართველები მთიდან უშენდნენ ლოდსა და საგორავს, ვინრო ხეობებში ხვდებოდნენ, მცირე ხანი ეკენწლავებოდნენ და ისევ უკან იხევდნენ. ბევრი სელჩუკი მოლაშქრე შეენირა ამ მიხტომ-მოხტომას, მაგრამ მაინც უხაროდა ახმეტს: სისუსტედ უთვლიდა ქართველებს მცირე ძალით თავდასხმებს და მთიდან ლოდთა გორებსა და ისევ ტაატით აგრძელებდა გზას.

ასე შეაღწია ახმეტმა ერწუხის ვინრობებში. იქ ქართულმა მხედრობამ გადაუღობა გზა. ახმეტმა ჯვაროსნებთან ომებში ნასწავლ ხერხს მიმართა: ჯარის წინ მძიმედ შეჭურვილი მხედრები გაამწკრივა და ქართველებზე მიუშვა. მისი ანგარიშით, მძიმედ შეჭურვილი მხედრები ზეავივით გადათელავდნენ ქართველ ცხენოსნებს, გადარჩენილთ კი მსუბუქი მხედრობა და ქვეითები მოუღებდნენ ბოლოს. მაგრამ ქართველებმა ბრძოლას თავი აარიდეს. ცხენები შეატრიალეს და საპირისპირო მხარეს გაქუსლეს.

გაქცეულთა დადევნება ბრძანა ახმეტმა. ყიჟინით მოსწყდნენ ადგილს მისი ნითელხიფთანიანი მხედრები, მაგრამ ქვეითები ვერ მიჰყვნენ უკან და სულ მალე ახმეტს სანანებელი გაუხდა დაუფიქრებელი ბრძანება. როგორც კი ნითელხიფთანიანები სავმარო მანძილით დაშორდნენ ქვეითებს, ქართველები შემობრუნდნენ, ჩამოქვეითდნენ და შუბები შეაგებეს მდევარს. სულ მალე ნითელხიფთანიანთა ცხენები მკერდ და მუცელგაფატრულეები ფართხალბდნენ მიწაზე, მათი პატრონები კი სისხლსა და შიგნეულის გროვებში გორავდნენ. მაშინ ქართველები ისევ ამხედრდნენ და ცხენდაცხენ დაერივნენ მსუბუქად შეიარაღებულ სელჩუკ ქვეითებს. იმავე დროს, ცხენებიდან ჩამოცვენილ თურქ მხედრებს ქართველმა ქვეითებმა შეუტიეს. ასეთი ომი არასოდეს ენახა ახმეტს. ცხენებიდან ჩამოყრილი მისი მხედრები უსუსური კნუტებივით ეწირებოდნენ ქართველთა ხმლებს. მძიმე საჭურველი, რაშიც იყო მათი მთავარი ძალა, მოძრაობის საშუალებას არ აძლევდა. ამ დროს კი ქართველი მხედრები დაუნდობლად ჩხდნენ მის ქვეითებს, რომელთა მთავარ ღირსებას მსუბუქი შეიარაღება წარმოადგენდა. ეს აძლევდა სწრაფად მოძრაობის საშუალებას, მაგრამ ისინი მარტო მიწაზე ჩამოყრილ მხედრებთან საბრძოლველად ვარგოდნენ, მაშინ, როცა ბრძოლის მოსაგებად, მარტო დაცემული მტრისთვის



ყელის გამოჭრა იყო საჭირო. მოიერიშე ქართული მხედრობის წინაშე კი ისინი ვერაფერს გააწყობდნენ.

და ვერც გააწყვეს. ვიდრე ახმეტის მთავარი ძალები ბრძოლის ველამდე მიაღწევდნენ, ქართველებმა წინათმებრძოლები აჩეხეს და უკან დაიხიეს.

მეორე ბრძოლაში სხვა ხერხს მიმართა ახმეტმა. ჯვაროსნების ილეთი გამოიყენა — ქართველებზე სოლისებურად განყობილი ლაშქარი მიუშვა.

თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა. ქართველები კენწლაობით დახვდნენ სელჩუკებს. ხან ერთი მხრიდან მიუხტებოდნენ, ხან — მეორე მხრიდან. ახმეტს მკაცრად ჰქონდა ნაბრძანები: არ გამოდევნებოდნენ ქართველებს და ჯარის წყობაც არ დაერღვიათ. ევლოთ წინ და ეჩებათ ყველა, ვისზეც ხელი მიუწვდებოდათ. ჯარი ასეც მოიქცა. წყობის დაურღვევლად იარა, ვიდრე ღრმა ხევის არ მიაღდა. მაშინ მიხვდა ახმეტი, რასაც ელოდა ქართველთა მეფე. ღრმა ხევი მის

ჯარს გზის გაგრძელების საშუალებას აღარ აძლევდა. ხეობის მარცხენა და მარჯვენა ნაპირები კი ქართველებს ეკავათ.

ისრის წვიმამ მზე დააბნელა. ხევის ნაპირებიდან დაგორებულმა ლოდმა კი მტვერში ჩაძირა სელჩუკთა ლაშქარი. ამას ქართველთა გაალმასებული შეტევა მოჰყვა. ისინი ზვაგვიით დაეშენენ ხეობის ნაპირებიდან და ვინაობებში გახირულ სელჩუკებს დაურიგნენ.

მეორედ იხილა ახმეტმა თავის მეომართა განადგურება. სიმრავლემ უშველა თურქებს, თორემ ვერც ერთი ვერ გაასწრებდა ბრძოლის ველიდან, მაგრამ რამდენიმე ათასი სამუდამოდ ჩარჩა ერწუსის ხევეებში.

მომდევნო დღეს სხვა ხერხით ბრძოლა არჩია ახმეტმა. რადგან ჯვაროსანთაგან ნასწავლმა ილეთებმა არ გაჭრა, ისე გადაწყვიტა ბრძოლა, როგორც ჯვაროსნებს ებრძოდა. სამად გაყო ლაშქარი. ლაშქრის გულს თავად ჩაუდგა სათავეში, მარცხენა ფრთას ამირა ჰუსეინი უსარდლა, მარჯვენას —

განძის ათაბაგი და ისევე იერიშზე გადავიდა. ფიცხი ხმალთაკვეთება შეიქმნა. მერყეობდა ომის სასწორი. დროდადრო ეჩვენებოდა ახმეტს: ცოტაც და ჩემი იქნება გამარჯვებაო, მაგრამ არ ტყდებოდნენ ქართველები. წინ თუ ვერ მიიწვედნენ, უკანაც არ იხევდნენ.

პირველად, განძის ათაბაგი დაიკალთავეს ქართველებმა. მაცნე მოიჭრა ახმეტთან:

ქართველებმა განძის ლაშქარი გაანახევრეს, ცოტაც და ამბის მომტანიც აღარ დარჩებაო!

გამზავდა ახმეტი, მაგრამ მაინც გაგზავნა მამველი. ახლა ჯარს მარჯვენა ფრთა რომ მოშლოდა, ომი ნაგებული იქნებოდა. საუკეთესო ათასეული გამოყო, თავის წითელხიფთანთანაგან და ბრძანებაც გააყოლა განძის ათაბაგთან:

ქართველთა შუაგულს დაიჭერე, სადაც მათი მეფე იბრძვისო!

თამამად შეუტია მამველით გათამამებულმა ათაბაგმა ქართველებს, დაარღვია

„მგლები“ სრული ვერსია!

„მგლები 1“, „მგლები 2“, „მგლები 3“, და „მგლები 4“

18 აპრილიდან ყოველ პარასკევს! უსრულ

„ტელეპალიტრაში“

მრავალი მკითხველი დაუინებით გვთხოვს რომან „მგლების“ სრული ვერსიის დაბეჭდვას. ვინაიდან „გზაში“ დავიწყეთ გოჩა მანველიძის ისტორიული რომანის — „დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი“ — ბეჭდვა, „მგლების“ სრული ვერსია „ტელეპალიტრაში“ დაიბეჭდება, რომელიც ისევე, როგორც „გზა“, „კვირის პალიტრის“ მედიასახლის ერთ-ერთი გამოცემაა.

მათი ნყოფა და დავით მეფემდეც მიაღწია, მაგრამ ამით დამთავრდა მისთვის ბრძოლა და ომიც.

თავლი ჰკიდა დავითმა ათაბაგს, რომელიც ყოყინით აქეზებდა მოიერიშე სელჩუკებს, ცხენი ახტუნა და ელვასავით დაუწვია ხმალი. თავისივე ცხენის ფლოქვეებს შორის ჩავარდა შუაზე გაკვეთილი ათაბაგი.

ალაჰ!.. — ამოიკივილა სარდლის სიკვდილით დაზაფრულმა ლაშქარმა და უკუიქცა. ქართველებიც უკან მიჰყვნენ ხმლების ქნევით.

უკუიქცნენ თურქები და ვერაფრით შეძლო ახმეტმა მათი შეჩერება, ვერც შეგულიანებით და ვერც დაშინებით.

ბრძოლის მერე კიდევ ორი დღე დასდევდნენ ქართველები ერწუნის ხევსუფებში მიმოფანტულ სელჩუკებს. ინდაურის ჭუკუბივით იჭერდნენ და ქედზე ბორკილდადებულებს მიერეკებოდნენ თავიანთი ბანაკისკენ. ომს მარტო ახმეტი, ამირა ჰუსეინი და ასიოდ მათი მცველი გადაურჩნენ. ათი-ათასობით მათი მეომარი კი სამუდამოდ ჩარჩა ერწუნში.

ეს უამბო ილღაზმა სარდლებს, როცა ჰკითხეს: რისთვის ვატარებ სწრაფად ლაშქარი და ახლა რატომ ვაყოვნებთ?..

არ უნდოდა ილღაზს თავისი სარდლებისთვის გულის გატეხა, მაგრამ ტყუილიც არ თქვა.

აფიქრებდა დავითთან ომი. ასეთ ლაშქარს დიდი ხანი ვეღარ შეკრებდნენ სელჩუკები და ახლა რომ დამარცხებულ იყვნენ, ძალიან დიდი ხნით უნდა დაევიწყებინათ საქართველოსკენ მომავალი გზები.

„დიდი და ძლიერია ჩვენი ლაშქარი, მაგრამ ასევე ძლიერია ჩვენი მტერი დავით მეფე. ის გურჯია, მუსლიმებთან შეურიგებელი სამეფოს პატრონი და ნუ მოგატყუებთ ჩვენი ლაშქრის სიმრავლე. ბევრჯერ დაუმარცხებია დავითს მის ჯარზე დიდი ლაშქარი. ამიტომ შეგახსენებ ამირა ახმეტი. ჯარის სიმრავლით დაიმედებული, მშვიდად შეება გურჯებს და დამარცხდა. აქამდე სწრაფად უნდა გვევლო, რომ არ მიგვეცა მისთვის ომისთვის მომზადების დრო. ახლა მისი სამეფოს საზღვარზე ვართ და აქარება არ ივარგებს. ფრთხილად უნდა ვიაროთ წინ, რომ რაიმე ხაფანგში არ შეგვიტყუოს დავით მეფემ“, — სარდლები დაარიგა ილღაზმა.

სომხეთი უკან დარჩა. მთელი ეს დრო ქართველებს ერთხელაც არ უცდიათ სელჩუკთა შეჩერება. მხოლოდ რამდენჯერმე გამოჩნდნენ მხედართა მცირე რაზმები, მაგრამ ისინი მზვერავეები იყვნენ. შორიდან ადევნებდნენ თვალს თურქთა ლაშქარს და თავს არასოდეს ესხმოდნენ. აშინებდა ეს ილღაზს. იცოდა, რომ დავით მეფე გულხელდაკრფილი არ ელოდა მის ლაშქარს. თავადაც ეზზადებოდა ომისთვის, მაგრამ არსად რომ არ ჩანდა მისი ლაშქარი?..

დიდგორის ველზე იხილა თურქთა სარდალმა ის, რასაც დავით მეფე უზზადებდა — საომრად დაწყობილი ქართული ლაშქარი. ველის მოპირდაპირე მხარეს

დადგარყო ბანაკად. იქვე ბრძანა ილღაზმა ჯარის გაჩერება და თან, სარდლები თათბირზე იწვია.

მაცდურად ეჩვენათ სარდლებს ჯართა შეფარდება. დიდი ჯარისთვის მოყვარა თავი დავით მეფეს, მაგრამ ის მაინც ვერაფრით შეედრებოდა სელჩუკთა უზარმაზარ ლაშქარს. ილღაზს იერიშზე გადასვლა მოსთხოვეს, მაგრამ ცივი უარი სტკიცა ბალდადის პატრონმა.

მისთვის არ ჩამოესულვარ გურჯისტანს, ერთ იერიშში რომ შევაკლა ლაშქარი დავით მეფეს, თანაც, ხომ არ ვიცი, იქნებ ხაფანგს გვიგებს დავითი: თვალის ასახვევად გვიჩვენებს მცირე ჯარს და სხვა ლაშქარი სადმე აქვე ჰყავს დამალულიო.

ბოლოს ბრძანა ამირამ:

საომრად მზად არის დავით მეფე და ლაშქარიც გამაგრებულ ბანაკში უდგას; მიტოვაც, ორიოდ დღეს არ შეეუტევეთ; ვნახოთ, თავად რას იქმს, მანამდე კი შორი ლაშქრობით დაღლილი ჯარი დაასვენეთ და ბრძოლისთვისაც მოამზადეთო!..

დილით მოახსენეს ილღაზს, — ქართველთა ბანაკი ამოძრავდაო.

მაშინვე კარვიდან გავიდა სარდალი და მონინალმდგეის ბანაკს დააკვირდა. დავითის ჯარი ადგილზე იდგა, ბანაკისკენ კი ორასიოდე ქართველი მხედარი მოემართებოდა. მშვიდად მოჰყავდათ ცხენები. იარაღიც დაშვებული ჰქონდათ. არაფერი მიანიშნებდა იმაზე, რომ საომრად იყვნენ მოზიდულნი.

მეომართა უმრავლესობა ყივჩაყი იყო. ისინი ტანსაცმლითა და იარაღით ამოიცნეს თურქებმა. კარგ ნიშნად მიიღო ილღაზმა ამ მხედრების გამოჩენა.

ჩანს, იმლებს დავითის ჯარი, უაზრობად მიიჩნიეს ქართველებმა ჩემს ლაშქართან ჭიდილი, ბრძოლის ველიდან გარბინა; პირველებმა ყივჩაყებმა უშველეს თავს და ჩემთან შეწყალების იმედით მოიჩქარიანო. მაგრამ ცდებოდა ილღაზი. მისი წარმოდგენაც კი არ შეეძლო, რომ მისკენ წინათმებრძოლი რაზმი მოემართებოდა — ორმოცდაათი ფხოველი და ასორმოცდაათი ყივჩაყი, რომლებიც რაზმის გასაძლიერებლად და თურქებისთვის თვალის ასახვევად დაუმატა დავითმა დაიურის ფხოველებს.

არც მისი წარმოდგენა შეეძლო ილღაზს, რომ ქართველები უკვე საომრად დაწყობილიყვნენ და დავითი სიტყვით მიმართავდა თავის ლაშქარს.

„ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკსაც ადვილად დავამარცხებთ და ერთ რასმეს გირჩევთ რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისთვის კარგი იქნება: ჩვენ ყველამ ხელების ცისკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისთვის ამ ბრძოლის ველზე უფრო დავიხოცებით, ვიდრე გავიქცევით და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდევაც რომ მოვიწოდოთ, ამ ხეობის შესასვლელი, რომლითაც მოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკარით და

მტერს მტკიცე გულით და დაუნდობლად შეეუტითო!“

ამასობაში რაზმმა მინდორი გადაკვეთა და თურქთა ჯარს მიუახლოვდა.

„რა ვქნათ?“ — ილღაზს ჰკითხეს სარდლებმა.

მისი ხელის ერთი აქნევა და თურქები ქართველებს უმალ დაცხრილავდნენ ისრებით. მაგრამ თავისი დიდსულოვნების წარმოჩენა სურდა ილღაზს. უნდოდა, ეჩვენებინა ქართველებისთვის, რომ ყველას შეინყალებდა, ვინც დავით მეფეს განუდგებოდა.

უბრძანა სარდლებს: გამოათარეთ ეგ ქართველები და მათი მეთაური აქ მომგვარეთო.

ტაატი შეიყვანა დაიურმა თავისი რაზმი თურქთა შორის და შავი დროშებით მორთული კარვისკენ განაგრძო გზა. იქ ეგულებოდა ილღაზი, მაგრამ კარვამდე არ მიუშვეს. გზა ამირას შაჰალმიანმა მცველებმა გადაუღობეს.

მეთაური გამოგვეს, დანარჩენები აქ დაელოდეთ ამირას პასუხსო!

დაიურის წინასწარ იყო შეთანხმებული თავის მეომრებთან: მის ნიშანს არ უნდა დალოდებოდნენ. როგორც კი შეჩერებას მოსთხოვდნენ, უმალ უნდა დარეოდნენ თურქებს.

ხმალზე გაივლო ხელი ფხოველმა და გამეტებით შემოუქნია ილღაზის მცველთა მეთაურს. შაჰალმიანი თავი ტრიალ-ბზრივით გაფრინდა თურქებისკენ.

„ალაჰ! — ერთხმად შესძახეს ამის მნახველმა სელჩუკებმა და აქეთ-იქით მიმოფანტნენ.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. ყოყინითა და დაუნდობელი ჩეხით მიჰყვნენ უკან ქართველები. თითქოს ქაჯთა ძალა ჩასახლებათო მკლავებში. გააფთრებულები ატრიალებდნენ ხმალ-შუბს და უმოწყალოდ ჩეხდნენ დაბნეულ თურქებს.

„დახოცეთ! ერთიც არ დატოვოთ ცოცხალი!“ — გამაგებულმა იყვირა ილღაზმა და ამ დროს...

დაუფრებელი იყო ქართველთა თავხედური შემოტევა. რის იმედი უნდა ჰქონოდა ერთ მუჭა მეომრებს, თურქთა ჯარზე თავდასხმისას?! მაგრამ უფრო დაუფრებელი მერე მოხდა...

ქართველთა რაზმის თავზე ჯვარი აფრინდა. შედეგებული სისხლისღვრი იყო ის ჯვარი. ლალად ფრენდა ქართველთა თავზე, თითქოს მათ იცავსო...

მეხის დაცემასავით იმოქმედა ჯვარმა თურქებზე. აქეთ-იქით გაცვივდნენ. თვითონაც ვეღარ გარკვეულიყვნენ, ვის გაურბოდნენ — იმ ჯვარს თუ ქართველთა ხმლებს.

ილღაზი კი პირზე დუჰმოდგარი აგრძელებდა ყვირილს:

„დახოცეთ!.. აკუნეთ!.. ნაფლეთებად აქციეთ!..“

მაგრამ უკვე გვიან იყო: მისი ბანაკისკენ უკვე მოქროდა ქართული ჯარი, რომელსაც ხელმწიფეთა შორის ყველაზე დიდი მეფე, დავითი მოუძლოდა წინ...

„საიღუმლო ორბანიზაცია“, საუკეთესო „კაღაფშეშები“ და „ტანკოსა“ და „ფოქსტრომის“ მოსმევაზე მებრძოლები



თანაკლასელის მეუღლესთან — ცნობილ მსახიობ გარიელ საყვარელიძესთან ერთად

დღევანდელი „გაკვეთილი“ მართალია, მთლად სკოლაში არა, მაგრამ ცოდნის ტაძრად წოდებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კი ჩავატარეთ. თაობების აღმზრდელი, მკაცრი, პრინციპული პედაგოგები და გამომცდელები დღეს თვითონ იქცნენ მოსწავლეებად და ღიმილითა და იუმორით იხსენებდნენ სკოლის წლებს, მეგობრებს, თან, სწირ-სწირად, კედელზე გამოფენილი ფოტოებიდან ერთ-ერთს ახედავდნენ და სამი ბაფთიანი გოგონადან ორს თხრობისას თითქოს იმონებდნენ. მესამე მათგანი, დღეს უკვე აკადემიკოსი — ქალბატონი მარიკა ლორთქიფანიძე განუწყრელ მეგობარ, ასევე აკადემიკოს, ბატონ ოთარ ჯაფარიძესთან ერთად მმასპინძლობდა. კითხვაც არ მქონდა დასმული, რომ ბატონმა ოთარმა ხსენებულ ფოტოს ახედა და...

ორმა ხარშილაკი

— მარიკა, ძალიან საშინელი იყო (იკინის)...

— რატომ, ბატონო ოთარ, ძალიან გაბრაზებდათ ხოლმე?

— არა, კი არ მამბრაზებდა... მარიკა ჩვენთან — თბილისის 25-ე შრომის სკოლაში, დღეს რომ 53-ე სკოლა ჰქვია, მეორე კლასში სწავლისას გადმოვიდა. მანამდე პეტრიაშვილის ქუჩაზე, მე-15 სკოლაში (მერე რომ გერმანულ სკოლას უწოდებდნენ) სწავლობდა, მაგრამ ნათესავემა, ცნობილი მოღვაწის, „მეველედ“ წოდებული დავით მიქელაძის ქალიშვილმა ნინომ, რომელიც ჩვენი დამრიგებელი იყო, ჩვენს სკოლაში გადმოიყვანა. მასხოვს, პირველად კლასში რომ შემოვიდა, იმ ფოტოზე რომ ხედავთ, იმაზე უარესი იყო — პატარა, გამხდარი, დიდი ბაფთით, მერეც სულ „დაბამბული“ დადიოდა სკოლაში (იკინის) კლასში ბევრი ვიყავით და, მართალია, მარიკა თავიდან შესახედავად არ მოგვეჩონა, ცოტა ხნის შემდეგ კლასში პირველი მონაფე გახდა და, როგორც ხდება, ფრიადოსანი გოგონები რომ უყვართ ხოლმე, ბევრს შეუყვარდა...

— თქვენც?

ბატონი ოთარი მხოლოდ სიცილით მპასუხობს.

მარიკა ლორთქიფანიძე (სიცილით):

— მე ამას პირველად ვისმენ.

ოთარ ჯაფარიძე:

— ჰოდა, მერე უკვე, რა თქმა უნდა, მარიკას სხვანაირად ვუყურებდით, გვინდოდა მასთან დაახლოება, მეგობრობა, მის გვერდით დაჯდომა, რომ კარგად გადაგვეწერა.

— თქვენც იწერდით?

მარიკა ლორთქიფანიძე:

— იწერდა რომელია! ქართულს, არითმეტიკას — ყველაფერს ჩემგან იწერდა (სიცილით). ისე, სულ ჩემზე რატომ ლაპარაკობ? გვთხოვეს, კლასი გაიხსენეთო...

— რაკი ბატონი ოთარი ასეთი გულახდილი იყო, თქვენც გაიხსენეთ პირველი შთაბეჭდილებები...

— თავიდან ცოტათი დაძაბული ვიყავი, მაგრამ მალევე დაფუშვებორდი ახალ კლასელებს. მეც და ოთარსაც იმ კლასიდან საუკეთესო მეგობრები გვყავს. ფოტოზე რომ ხედავთ, ირა ასათიანი და უწყუნა ლეჟავა დღემდე ჩვენი უახლოესი მეგობრები არიან.

ოთარ ჯაფარიძე:

— სამივე ცოცხალია!

მარიკა ლორთქიფანიძე:

— ჩვენ მაშინ შევექმენით ჯგუფივით — „კანარა“ — მარი-კა, უწყუნა, ი-რა, რაც ბოლომდე გამოგვეყვა. ჩვენთან იყვნენ ინტელიგენციის ოჯახებიდან გამოსული ბავშვებიც და ისეთებიც, მერე „ყომარბაზები“ რომ გახდნენ, თუმცა ძალიან შეკრული კლასი გვექონდა და ყველანი ვმეგობრობდით, რა თქმა უნდა, ცალკე ჯგუფებადაც ვიყოფოდით და კარგა ხნის შემდეგ გავაცნობიერეთ, რომ დეიდა ნინო, რომელსაც მოსწავლეები „მასწავლებელს“ კი არა, „დეიდას“ ვეძახდით, ცდილობდა, რომ გარკვეული ოჯახების ბავშვები დავახლოებოდით ერთმანეთს. და მიაღწია კიდეც ამას.

— ეს კარგი იყო თუ ცუდი?

— ძალიან კარგი იყო. ჩვენ პარალელურ კლასელებთანაც ვმეგობრობდით. სამი პარალელური ვიყავით, მხოლოდ მერვეში შეგვეერთეს, ნაწილი სკოლიდან წავიდა. აი, მაშინ აღმოჩნდნენ ჩვენთან გივი კილურაძე, გოგი ფუთურიძე, კოტე მყაშვილის ქალიშვილი და მარო მყაშვილის და — ნუგეშა, რამაზ საყვარელიძის დედა და ტარიელ საყვარელიძის მეუღლე — მარიამ თაბორიძე, ვახტანგ ტაბლაშვილის ძმა, უნიჭიერესი

ბიჭი — სანდრო, რომელიც ომში დაიღუპა. დღეს, სხვათა შორის, ჩვენი დაღუპული მეგობრების ოჯახებთან ვმეგობრობთ.

— ომი რომ ახსენეთ, ალბათ, სამამულო ომს გულისხმობდით. სკოლაში რომელ წელს შეხვედით?

— 1929 წელს შევედით და 1939-ში დავეშთავრეთ.

ოთარ ჯაფარიძე:

— სწორედ მაგ დროს გამოიცა ბრძანება, რომ ვაჟები სკოლის დამთავრებისთანავე ჯარში უნდა წაყვანათ. ჩვენი კლასელების დიდი ნაწილი ომში დაიღუპა.

— მინდა, სკოლის აზრები გაიხსენოთ, როგორები იყავით, რას აფუჭებდით ან აკეთებდით...

მარიკა ლორთქიფანიძე:

— კიდეც ვცვლქობდით, „მეტალოზეც“ დავდიოდით...

ოთარ ჯაფარიძე:

— მეექვსე კლასში გოგონებმა მოიპარეს კლასის უურნალი, მაგრამ კლასის დამრიგებელმა, რომელიც რატომღაც, ჩემზე იყო გადააკიდებული, მე დამაბრალა...

მარიკა ლორთქიფანიძე:

— რატომღაც კი არა, საშინელი ცელქი იყავი. მასხოვს, მერვე კლასში ბიოლოგიის კაბინეტში ვიყავით. ბოლოში იდგა დიდი



მე და ოთარსაც იმ კლასიდან საუკეთესო მეგობრები გვყავს (მარჯვნივ უწყუნა ლეჟავა)



„მარიკა ძალიან საშინელი იყო. სულ „დაბამბული“ დადიოდა სკოლაში“

მერხი, სადაც ოთარი იჯდა, რუსულის გაკვეთილზე კი წამოწავა. ამიტომაც ჩაუნერა დეიდა ნინომ: **На уроке спит!** (იციანამ)... მაშინ ბევრ რამეს ვერ ვაცნობიერებდით. მერე და მერე მიხვდით, როგორ ცდილობდნენ მასწავლებლები, რომ ჩვენში ადამიანური თვისებები გამოეფეშებინათ. ქართულს გვასწავლიდა შესანიშნავი პედაგოგი ონოფრე ნიკოლეიშვილი. უპირველესად, ქართული წერა გვასწავლა. საერთოდაც, თუ მე ქართულად და რუსულად ნორმალურად ვწერ, ეს სკოლის, დეიდა ნინოსა და ონოფრე მასწავლებლის დამსახურებაა. ეს უკანასკნელი ყოველი წლის ერთ-ერთ დღეს გამოგვიცხადებდა: დღეს არის ჩემი მასწავლებლის, სილოვან ხუნდაძის გარდაცვალების (ან დაბადების) დღე და გთხოვთ, ფეხზე ადგომით და

მასწავლიდა, როცა ამათი კლასიდან გამადგეს და პარალელურ კლასში აღმოვჩნდი. — **რატომ გაგაგდექ ბატონო ოთარ?** — ამათ რომ ყურნალი მოიპარეს, ხომ მე დამბრალდა!.. — **როგორ, გოგონებმა არ აღიარეს დანაშაული?** — არა, ესენი რას იკისრებდნენ?! ამიტომაც გამაგდეს (იციანის).

მარიკა ლორთქიფანიძე: — ბაბო მჭედლიძე სკოლის ლიტერატურულ წრეს ხელმძღვანელობდა. საერთოდ, თუკი სკოლაში რაიმე ტარდებოდა, მომხსენებელი ყოველთვის მე ვიყავი. ერთხელ, მგონი, დავით კლდიაშვილის ოუბილესთვის მოხსენების მომზადება დამავალეს. დავწერე ჩემს ლურჯყდიან რვეულში და მივედი რეპეტიციასზე. და-

ვიკავე ხელში ეს რვეული და ვკითხულობ. ბაბო გამაჩერა: ვისი დანერილია ეგაო? — ჩემი დანერილია-მეთქი, — ვუპასუხე. — თუ ასეა, დახურე ეგ რვეული და რაც მანდ გინერია, მოჰყვიო.

რა თქმა უნდა, მოვეცი და მაშინ მითხრა: როდესაც ასეთ სხდომაზე მიდიხარ, ცხვირი არ უნდა გქონდეს ჩაყოფილი ნაწერში; იმუშავე, დანერე, ისწავლე და გამოდი ზეპირადო. ეს ჩემთვის კარგი გაკვეთილი იყო. ასე მივეცი ზეპირად მოყოლას.

ოთარ ჯაფარიძე:

— ნამეტანი კი მიეჩვიე (იციანის).. საერთოდ, ჩვენი სკოლა ვრის სკოლებს შორის ძალიან გამოირჩეოდა. მე მე-18 (ახლანდელ 51-ე) სკოლაშიც მომიწია სწავლამ, როცა 25-ე სკოლიდან გამომაგდეს...

— **ბატონო ოთარ, როგორ ემადლიერებით თქვენს მასწავლებლებს, როცა ასე დაუზარებდით?**

— ლითონის დამუშავებას გვასწავლიდა პეტრე მასწავლებელი, რომელმაც მერვე კლასის დასრულების ატესტატი მომიტანა. ნიშნების ფურცლის მეორე მხარეს ეწერა: თქვენი შვილი ოთარ ჯაფარიძე გადაყვანილია მე-18

სკოლაშიო. სულ არ მინდოდა იქ სწავლა, ამიტომ, მაინც ამითან ვიყავი ხოლმე.

მარიკა ლორთქიფანიძე: — მაშინ ყორს დიხანჯიასთან ჩხუბის გამო არ გაგაგდეს?.. გოგოს გულისთვის იჩხუბეს.

ოთარ ჯაფარიძე:

— ონოფრე მასწავლებელმა დამაბრალა, თითქოს უუყუნა ლეჟავა მიყვარდა და მაგიტომ ჩხუბობდი, არადა, მხოლოდ ვემგობრობდით.

— **აბა, ვინ გიყვარდათ, ბატონო ოთარ?**

მარიკა ლორთქიფანიძე:

— რაც თავი მახსოვს, თავისი ცოლი უყვარდა (იციანის). ის მე-18 სკოლაში სწავლობდა. მოკლედ, შეჭმული ვიყავით ცაცოს გულისთვის. ცაცოს ოჯახი ჩემს ოჯახს დიდ პატივს სცემდა. ოთარიც ამით სარგებლობდა და ხან რა მიზეზს მათქმევინებდა, ცაცოს შინიდან გამოსაყვანად და ხან — რას. მოკლედ, სულ ვგზავნებოდი (იციანის).

— **ბუნებრივია, წარჩინებული მონავლე იყავით და გენდობოდნენ.**

— ძალიან წარჩინებული. მერე და მერე, როგორც მეჯავრებოდა, სწორედ ისეთი ფრიადოსანი ვიყავი. გაკვეთილის უსწავლელად სკოლაში არ წავიდოდი. ხშირად ვავადმყოფობდი, ბავშვები შინ მავითხავდნენ, დავალებებს მანიშვინებდნენ და ცუდად მყოფიც კი ვმეცადინებოდი.

ოთარ ჯაფარიძე:

— ჩვენი თავმჯდომარე ადგილი, მარიკას სამინალად პატარა ბინა იყო. არაჩვეულებრივი მშობლები ჰყავდა — დეიდა ნინა და ძია დავითი. ვთამაშობდით „ბრის ილი მიუს“ ან ბოთლს ვატრიალებდით და ვისი მიმართულებითაც გაჩერდებოდა, დამტრიალებულს მისთვის უნდა ეკოცნა. მაშინ კოცნა ასეთი იოლი კი არ იყო, დღეს რომ არის! მარიკას პატეფონიც ჰქონდა, — ეს დიდი იშვიათობა იყო! — ფირფიტებიც გვქონდა და ვათენებდით „ტანგოსა“ და „ფოქსტროტის“ ცეკვაში... ქეიფს ხშირად ვერ ვახერხებდით, რადგან გაჭირვებული ცხოვრება იყო. მახსოვს, სკოლა რომ დავამთავრეთ, კლასის ბიჭები წავედით ლენინგრადის ქუჩაზე და საკოსტიუმე ქსოვილის საყიდლად, მთელი ღამე გავთენეთ. მერე შევიკრეთ და ოფიციალტებით ყველას ერთნაირი კოსტიუმი გვეცვა (იციანის).

— **ბატონო ოთარ, თქვენ სკოლის ლიტერატურულ საღამოებში არ მონაწილეობდით?**

მარიკა ლორთქიფანიძე:

— რას ამბობთ?! ეგ მაგ დროს ფეხბურთს თამაშობდა. კარგი მეკარე იყო, მახსოვს, შავი ხელთათმანები ეცვა და გოგონები ვგულშემატკივრობდით — გვექონდა ერთი წივილ-კივილი. მერე კალათბურთსა და ფრენბურთსაც თამაშობდა.

ოთარ ჯაფარიძე:

— მაღალ კლასებში სწავლისას უკვე ვფიქრობდით იმაზეც, რა სახელმწიფოსა და რა წყობაში ვცხოვრობდით. თითქოს, ქვეყნის გადატრიალება გვინდოდა, რალაც ორგანიზაცია შევექმნით...

მარიკა ლორთქიფანიძე:

— ვისხედით და ვლაპარაკობდით. თანაც — არ გვეშინოდა! მეგობრები ვიყავით და ერთმანეთს ვენდობოდით. გადასახლებები და დახვრეტები ყველა ჩვენგანის ოჯახს შეეხო, ჩვენ მაინც ვლანძღავდით კომუნისტებს, სტალინს და ბერიას. პროკლამაციების გაკრეცვლებაც კი გვინდოდა, კედელზე გასაკრავად ფელატინის შოვნაც ვცადეთ, მაგრამ ამხანაგის მამა მიგვიხვდა და იმან შეგაჩერა... იმასაც გვიან მიხვდით, რომ დეიდა ნინოც და ონოფრე მასწავლებელიც რეპრესირებული ოჯახის შვილებს თუმცა შეპარვით, მაგრამ დიდი სითბოთი და სიყვარულით გვექცეოდნენ.

ოთარ ჯაფარიძე:

— ეგეთები ნამდვილად იყვნენ, მაგრამ... არ გახსოვს, სამხედროს მასწავლებელი, რაიმეს რომ დავაშავებდით, — შენ ხალხის მტერი ხარო, — გვეუბნებოდა? არადა, ვერც შეეპასუხებოდი... ახლა გამახსენდა, მე-18 სკოლაში ისტორიის მასწავლებელი, ფაქტობრივად, პარტიისტორიის გვასწავლიდა: ვრანგელმა ეს ქნა, დენიკინმა — ისო. ჩვენც ერთხელ წამოვდექით ფეხზე და ტაში დაეუკარით. გაგიჟდა მასწავლებელი (იციანის).



ნუგეშა მაყაშვილი, ქუქუნა ლეჟავა, ოთარ ჯაფარიძე და მარიკა ლორთქიფანიძე



რისმაგ გორდებიანი, თამილა მგალობლიშვილი, ოთარ ჯაფარიძე და მარიკა ლორთქიფანიძე ისრაელში

წუთიერი დუმილით პატივი ეცით მის ხსოვნასო. მაშინ ამაზე გვეცინებოდა და ყოველთვის ღიმილით ვდგებოდით.

ოთარ ჯაფარიძე:

— რომ დაიწყებდა ხოლმე, — დღეს არის სილოვან... ჩვენ უკვე ფეხზე ვიდექით (იციანის).

მარიკა ლორთქიფანიძე:

— ამით, როგორც ჩანს, მასწავლებლის პატივისცემას გვინერგავდა. სკოლაში გვექონდა ლიტერატურული წრე, სადაც ვანყობდით გასამართლებებს, ვთქვით, ვსამართლებდით გოგია უიშვილს... ონოფრე მასწავლებელი ყოველთვის ცდილობდა, ეროვნული მომენტი წინ წამოეწია, ოღონდ, ამას ძალიან ფრთხილად აკეთებდა — მაშინ ცუდი დრო იყო, ილია ჭავჭავაძესაც არ გვასწავლიდნენ სკოლაში.

ოთარ ჯაფარიძე:

— სხვათა შორის, პარალელურ კლასშიც ძალიან კარგი ქართულის მასწავლებელი ჰყავდათ — ბაბო მჭედლიძე. მე ისიც

მარიკა ლორთქიფანიძე:

— ჩვენს სკოლაში ისტორიას კიტა ქავთ- არაძე გვასწავლიდა, ხომ გახსოვს? ყოველი სასწავლო წელი იწყებოდა ფურიეთი, სენ სიმონით და ოუენით, მთავრდებოდა — პარიზის კომუნით. 1938 წელს გამოვიდა კომპარტიის ისტორიის სახელმძღვანელო, სადაც როგორც ამბობდნენ, მე-4 თავი სტალინის დაწერილი იყო, მერე მაგ წიგნით გვასწავლიდნენ. სამაგიეროდ, გეოგრაფიის მასწავლებელი გვყავდა, ოლია ჭეიშვილი, მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული, ქმარი 1924 წელს დაუხვრიტეს. ეს დეიდა ოლია თითოეული ქვეყნის გეოგრაფიის შესწავლისას იმ ქვეყნის ისტორიას გვიყვებოდა. არადა, ამის უფლება არ ჰქონდა.

— **ფაქტობრივად, ისტორიას არ სწავლობდით, მაგრამ ისტორიკოსები გამოხვედით...**

ოთარ ჯაფარიძე:

— მარიკა ფრიადოსანი იყო და უმაღლესში უგამოცდოდ მიიღეს. მე, ისევე, როგორც დანარჩენებს, ყველა გამოცდა ჩამაბარებინეს — მაშინ ასეთი წესი იყო. მიუხედავად სიზარმაცისა, სკოლაში ისეთ ცოდნას გაძლევდნენ, პირველსავე წელს მოგწყვით — განა რეპუტიტორებთან დავდიოდით?

მარიკა ლორთქიფანიძე:

— ჩვენი მასწავლებლები, მიუხედავად ყველაფრისა, ყურადღებას მაინც ისტორიაზე განსაკუთრებით — საქართველოს ისტორიაზე გვიმახვილებდნენ...

აქ ბატონმა ოთარმა თანაკლასელი ამბების „დამახინჯებაში“ დაადანაშაულა და საკუთარი ვერსიის მოყოლა სცადა, მაგრამ ფრიადოსანმა და ზუბირ მოხსენებებში განაფუღა ქალბატონმა მარიკამ იმარჯვა და მოგვითხრო, თუ როგორ გაუმართლა, რომ სწორედ იმ წელს ისტორიის ფაკულტეტმა ცალკე გამოაცხადა მიღება ხელოვნების ისტორიის სპეციალობაზე და მათაც სწორედ ეს ფაკულტეტი აირჩიეს. მერე დიდმა სამამულო ომმა მოუსწროთ, ბევრი სტუდენტი ომში გაინვიეს, ფაკულტეტიც დაჩქარებული ტემპით დაამთავრებინეს და ასპირანტურაში სწავლის გაგრძელება შესთავაზეს. ერთმანეთის კონკურენტები რომ არ ყოფილიყვნენ, ქალბატონმა მარიკამ საქართველოს ისტორია აირჩია, ბატონმა ოთარმა — არქეოლოგია, გივი კილურაძემ — მსოფლიო ისტორია და ა.შ.

— **ისე თქვენი კლასი ძალიან წარმატებული აღმოჩნდა და ამისთვის თუნდაც ორი აკადემიკოსიც ემარა.**
მარიკა ლორთქიფანიძე:

— ჩვენ აკადემიკოსები ვართ, გივი კილურაძე, გოგი ფუთურიძე, მანიკო თაბორიძე, კოლია შერმაზანაშვილი — პროფესორები; თუმცა ჩვენი წინა თუ მომდევნო თაობებისთვის წარმატებული და გამორჩეული ადამიანები იშვიათობა ნამდვილად არ იყო. მწ წლისანი ვართ და გული გვტკივა, რომ შევცოტავდით.

ოთარ ჯაფარიძე:

— პირველი კლასიდან დღემდე, სულ ერთად ვართ. ვინც გამოგავკლდა, მათ ოჯახებს ხშირად ვსტუმრობთ, ამდენი წელი გავიდა და ერთმანეთისთვის არასდროს გვიღალატია.

„რად უნდოდა ზვიად გამსახურდიას პოლიტიკოსობა?“

„ეროვნება არა აქვს ცხოველს“, „დინებას მხოლოდ მკვდარი თევზები მიჰყვებიან“, — ამბობდა ზვიად გამსახურდია და მთელი ცხოვრება დინების საწინააღმდეგოდ მიდიოდა, რასაც შეენირა კიდეც. 31 მარტს ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 69 წელი შესრულდა. 17 წელი გავიდა, მისი ინიციატივით, 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული საერთო-სახალხო რეფერენდუმიდან, რომელმაც იურიდიული საფუძველი ჩაუყარა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. ამ თარიღთან დაკავშირებით, ძალზე არაორდინარული წერილი შემოგვთავაზა პირველი პრეზიდენტის ბავშვობის მეგობარმა, მუსიკათმცოდნე იუსუნა ავალიძემ, რომელმაც მოგონება ასე დაასათაურა:




ძმის მონახვა

ნაცნობ-უცნობი ძალიან ხშირად მეკითხება: რად უნდოდა ზვიად გამსახურდიას პოლიტიკოსობა, იგი ხომ თავისი უზადო განათლებით, საქართველოს გაცილებით დიდ სიკეთეს მოუტანდაო?! ამ შეკითხვაში ზოგისგან პრეტენზიულ ტონს ვგრძნობ, ზოგისგან — სინანულს, ზოგისგან კი — საქართველოს პირველი პრეზიდენტის მონატრებას.

ზვიადს, ჩემეული ხედვით, სხვა არჩევანი არც შეიძლებოდა ჰქონოდა. იგი ჯერ კიდევ მოზარდობისას მესაუბრებოდა საბჭოთა საქართველოზე, აღელვებით, სიძულვილით

ბატონმა კონსტანტინემ ძალიან გაიხარა ოჩაჩი-რეში, აღიკო დღეულობის ოჯახში სტუმრობით



ბობოქრობდა. ჩვენ ერთად ვსწავლობდით სამუსიკო სტუდიაში. ზვიადს ვერ დაუშვებოდა, მას თვითონ უნდა აერჩიე მეგობრად. არ ვიცი, რა „მონაცემებით“ ამირჩია. ბავშვობიდანვე, სხვებისგან გამორჩეული თვისებები ჰქონდა. კლასში რომ შემოვიდოდა, მხოლოდ ჩემს დას ესალმებოდა, ჩემთან მეგობრობის გამო. თუ ზვიადზე ადრე ვიყავი მისული და გაკვეთილის დაწყებამდე რომელიმე ჩვენი ჯგუფელის გვერდით ვიჯექი მერხზე, მოსვლისთანავე გამიხმობდა. უარს ვერ ეტყოდი: უსიტყვოდ ემორჩილებოდი მის ნებას... იგი კედლისკენ იჯდა, მე — განაპირას. თეორია-სოლფეჯიოს მასწავლებელი რუბენ ჭიჭინაძე როგორც კი შემოვიდოდა, ჩვეულებისამებრ, ყველა წამოვდგებოდი ხოლმე. მოწოდებაზე — „დაბრძანდით“, ყველანი ვსხდებოდით, ერთადერთი ზვიადი იდგა ფეხზე. პედაგოგის მიმართვაზე — „გამსახურდია, დაბრძანდით!“ — იგი პასუხობდა: „არა, მასწ, მე და ავალიძე გარეთ უნდა გავიდეთ“. ფეხს რამდენჯერმე გამკრავდა ფეხზე და იატაკზე დავარდნამდე, სწრაფად შემაშველებდა ხელს, შემდეგ, უკვე წელში გამართულს, კარისკენ მიიძღებდა. გამიყვანდა ფლიგელში (მშობლები იქ ელოდებოდნენ ბავშვებს), დავსხდებოდით და ზვიადი საქართველოს ისტორიაზე, მის ბედუკუღმართობასა და შინა მტრებზე ისე ხატოვნად მიყვებოდა, ქვაც რომ ყოფილიყავი, ატირდებოდი... განსაკუთრებით აწუხებდა ის, თუ

„ვინ ვიყავით, ვინ ვართ და საით მივქეფანებით“... ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში.

...1920 წლის ბოლოდან, ბატონმა კონსტანტინემ თავის ახალგაზრდა მეგობრად მამაჩემი, ალექსანდრე აფაქიძე აირჩია (მათ შორის ასაკობრივი სხვაობა 15 წელი იყო). ერთადერთი, რაც ვიცი, თვითონ ბატონი კონსტანტინესგანაც, — ჩვენი გვარის სიყვარული იყო. მაგრამ



ინსტრუმენტს 7-8 სიმი მაინც „დააგლიჯა“: მოზღვავებულ ენერგიას ვერ გაუძლო ლითონმა...

მხოლოდ ეს საკმარისი არ იქნებოდა იმ ხშირი ურთიერთობისათვის, რომელიც თავად, სიტყვის დიდოსტატისგან მოდიოდა. მას მამაჩემი დაჰყავდა სვანეთსა და აფხაზეთში, სამეგრელოსა და სამურზაყანოში... ბატონმა კონსტანტინემ ძალიან გაიხარა ოჩამჩირეში, ადიკო დიდებულის ოჯახში სტუმრობით, სადაც მამაჩემმა მიიყვანა და აფხაზეთის თავადებს შეახვედრა...

სამუსიკო სტუდიის მეექვსე კლასს ვამთავრებდით და ბოლო დღეს ზვიადი მეკითხება, წამლერებით: „შენ ეს ნაწარმოები გაქვს?“ ჯერ ვერ მივხვდი, შემდეგ მე წაუშლერე და დასტურის მერე ვუთხარი: რად გინდა, ძალიან რთული ნაწარმოებია და ვერ ისწავლი-მეთქი. ეს გახლდათ შოპენის №3 „პოლონეზი“. იუკადრისა და მაშინვე გამომყვა სახლში, ნოტების წამოსაღებად.

უკვე მე-7 კლასში, ოქტომბრის ბოლოს მითხრა, გაკვეთილების შემდეგ დავრჩენილიყავი. მივხვდი, რა საქმეც ექნებოდა. შემიყვანა თავის უფალ კლასში და დაიწყო შოპენის „პოლონეზის“ დაკვრა. უკრავდა ჟინით, დიდი შემართებით, იმ მასშ-

ტაბურობით, რომელსაც ეს ნაწარმოები მოითხოვს; მაგრამ ინსტრუმენტს 7-8 სიმი მაინც „დააგლიჯა“: მოზღვავებულ ენერგიას ვერ გაუძლო ლითონმა...

ამ ნაწარმოებს უკრავდა კონცერტზეც და გამოსაშვებ გამოცდაზეც, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში ჩარიცხვის დროსაც და დამთავრებისასაც. თავისთავად ცხადია — ყოველთვის, ინსტრუმენტის რამდენიმე სიმი ეწირებოდა ზვიადის მიერ ამ ნაწარმოების შესრულებას. მერაბ კოსტავას არაერთხელ უთქვამს ჩემთვის: „შენ მოგეცა მაგის ცოდვა, რატომ უთხარი, ვერ ისწავლიო?“ ამაზე ბევრს ვიცინოდით და თავად ზვიადიც გულიანად ხარხარებდა.

ზვიად გამსახურდიას უდიდესი სარგებლობა შეეძლო მოეტანა ქართული მეცნიერებისათვის. მართალია, მას საზღვარგარეთის „პრესტიჟულ“ უნივერსიტეტებში არ მიუღია განათლება, მაგრამ საქართველოს დედაუნივერსიტეტში იგი უკვე სტუდენტობის წლებშივე შესანიშნავ მკვლევრად ყალიბდებოდა. ამ წლებში იწყებდა თანამედროვე ამერიკელი და ინგლისელი მწერლებისა თუ პოეტების ნაწარმოებთა თარგმნას.


ყველაფერ ამის საწინდარი იყო, პირველ რიგში, ღვთივ ნაბოძები ნიჭი, შემდეგ — ოჯახის გაკლენა. კალმის დიდოსტატის, ბატონი კონსტანტინეს მიერ დამოძღვრილი იყო მრავალმხრივი განათლებით. ზვიადმა ქართული კულტურის თითქმის ყოველი სფერო პროფესიონალის დონეზე იცოდა, რაზეც მეტყველებს მისი ფუნდამენტური გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება“, აგრეთვე — „ქე-

ბაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, „საქართველოს სულიერი მისსია“ და სხვა.

სიტყვას მოჰყვა და მსურს, ხაზი გაუსვა ზვიად გამსახურდიას მართლაც რომ უნივერსალობას, რაც „ალმოვაჩინე“ მისი წიგნის — „წერილები და ესეები“ — რედაქტირებისას. მან მითხრა, რომ პირველი და ბოლო კორექტურა მიმეტანა მისთვის წასაკითხად, რაზეც სასტიკად შევეწინააღმდეგე (არ მინდოდა, ამდენი საქმით გადატვირთულს კორექტორობაც რომ დამატებოდა), მაგრამ იძულებული შევიქენი, ბოლო, მე-5 კორექტურა, უკვე ოთხი სხვადასხვა ადამიანის მიერ წაკითხული, მიმეტანა „კოლხურ კოშკში“. ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც თითოეულ გვერდზე საკუთარ ტექსტში ერთ ან ორ შეცდომას მაინც პოულობდა...

უდავოა — ზვიადს საკუთარი სამშობლო და ქართველი ერი უსაზღვრო სიყვარულით უყვარდა. როგორც ცნობილია, 1956 წელს, სკოლის მოსწავლეები — მერაბი და ზვიადი — ეროვნული იდეებისა და იატაკქვეშა საქმიანობისთვის დააპატიმრეს. იმჟამინდელ ხელისუფლებას ხელს აძლევდა გიჟებად მათი შერაცხვა. ამ დაპატიმრების და გიჟებად შერაცხვის შემდეგ, ბევრმა ბავშვობის მეგობარმა თუ კლასელმა განწყვიტა ზვიადთან და მერაბთან ურთიერთობა. წლების განმავლობაში ბევრ მეგობარს იძენდნენ, მაგრამ მალევე გაეცლებოდნენ ხოლმე. ასე ხდებოდა ზვიადისა და მერაბის აღსასრულამდე.

არ შემიძლია, ეს ძალიან მცირე მოგონება არ დავასრულო, სვეფსისით შეპყრობილი ხალხის „იდეების“ გაცრუებით, რამეთუ ამ ორი ვაჟკაცის იდეებს ბოლოს და ბოლოს, ფრთები შეესხა და ზვიადმა, მერაბის ტრაგიკული გარდაცვალების შემდეგ, დაწყებული საქმე დააგვირგვინა: გამოაცხადა დამოუკიდებლობა (მენშვეიკური მთავრობის მიერ მიღებული „დამოუკიდებლობის აქტის“ საფუძველზე), შეცვალა სახელმწიფო სიმბოლიკა, ჩაატარა რეფერენდუმი; რუსეთის ე.წ. „მშვიდობისმყოფლებს“ საოკუპაციო ჯარები უწოდა, მართლმადიდებლობას, ქართულ ენას კუთვნილი ადგილი მიუჩინა ქვეყნის ცხოვრებაში. ასე რომ, დასაწყისში ნახსენებ კითხვაზე — რად უნდაო ზვიად გამსახურდიას პოლიტიკა? — ვფიქრობ, პასუხი გაცემულია. ზვიადმა და მერაბმა განუშეორებელი წვლილი შეიტანეს საქართველოს ისტორიაში.



მერაბი და ზვიადი — ეროვნული იდეებისა და იატაკქვეშა საქმიანობისთვის დააპატიმრეს

ბისა და ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზემოქმედების შედეგად, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ხვდებიან. ასეთი ფაქტი გიორგი მიქიაშვილის საქმეშია ასახული... მარტო ბოლო პერიოდში დაფიქსირებული უკანონობის შემთხვევა იმდენია, რომ მათ ჩამოთვლას ძალიან ბევრი დრო დასჭირდება. ეს რომ აღმოიფხვრას, ბინძური სისტემის შეცვლაა საჭირო. დღევანდელი საპროკურორო სახელმწიფო, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა ჩამოაყალიბა, საბჭოური რეჟიმის ანალოგია და მას დროულად, მთელი ძალით, თავდაუზოგავად უნდა შევებრძოლოთ.

გვერდს ვერ ავუვლით განსხვავებულ აზრს, რომელსაც ადვოკატთა ნაწილი გამოთქვამს. ისინი არც სისტემას უჩივიან და არც სასამართლო ხელისუფლების არაობიექტურობას. საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების მიუხედავად, კვლავაც სასამართლო დარბაზში შედიან და მუშაობას განაგრძობენ. მათი გაფიცული კოლეგები ამას, მთავრობის მხრიდან პროვოკაციას მიანერუნ: „ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რათა სასამართლოში სამუშაო სიტუაციის იმიტაცია შექმნათ. გაიგეს თუ არა, გაფიცვა და აქცია მზადდებაო, სასწრაფოდ დაუკავშირდნენ პროკურატურის „ხელქვეით“ ადვოკატებს და სხდომებზე დაიბარეს. ამავე მიზნით, უცებ გაიხსენეს იმ ბრალდებულთა გვარებიც, რომლებიც თვეებია, ამაოდ ელოდნენ საპროცესო შეთანხმების გაფორმებას. ახლა კი, ოღონდაც აქცია ჩაეშალათ და სხდომები ჩაეტარებინათ, ყველა ერთად გამოიძახეს და საპროცესო შეთანხმებების გაფორმებას არ დაზარდნენ. ეს პროკურატურის მხრიდან წმინდა წყლის პროვოკაციაა, რაშიც, როგორც ყოველთვის, სასამართლომაც აქტიური მონაწილეობა მიიღო. ის ადვოკატები, რომლებიც სხდომებზე „შექვრნენ“, მოლაღატები და უპრინციპო ადამიანები არიან“, — აღნიშნავს **გალზა ჯანაშიაშვილი**.

„მართალია, პროკურატურამ იპოვა 50-მდე ადვოკატი, რომელსაც სხდომიდან სხდომაზე, სართულიდან სართულზე დაარბენინებს, რომ გარკვეულწილად, პროცესები არ ჩაიშალოს. მაგრამ ეს მათთვის სასურველ შედეგს ვერ უზრუნველყოფს. მოვიდეს ხალხი და თავისი თვალთ ნახოს, თუ როგორ შეიპარებიან სხდომებზე მოლაღატე ადვოკატები! მათ გვარებს სასამართლოს წინ, სამარცხვინო დაფაზე გამოვკარავთ“, — ამბობს **ზაზა საბიაშვილი**.

გაფიცული ადვოკატების თქმით, „მოლაღატეებს“ შორის, მათი ცნობილი კოლეგებიც აღმოჩნდნენ, ერთ-ერთი მათგანია დავით ხაუალია, რომელიც (ამ გარემოებას აქციის მონაწილენი ხაზს

უსვამენ) სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეში ბრალდებულებს იცავდა... აი, რა გვითხრა მან, როცა მისდამი კოლეგების დამოკიდებულების კონტრირება ვთხოვეთ.

დავით სახალია:

— გაფიცვის ფორმა ჩემთვის მიუღებელია. ამ აქციაში ამიტომაც არ ვმონაწილეობ. ჩემთვის მთავარი, კლიენტის ინტერესების დაცვაა, რასაც გაფიცვითა და აქციაზე დგომით სრულფასოვნად ვერ განვახორციელებ. სხვები თუ ახერხებენ ამას, არ ვიცი. მათ თავიანთი პრეტენზიები აქვთ, მე კი — ჩემი პრინციპები.

— ეი, არ ეთანხმებით ამ ადვოკატების მოთხოვნებს? არ მიგაჩნიათ, რომ არსებობს უკანონო განაჩენები და აუცილებელია, კანონმდებლობაში, მათი გადასწორების მექანიზმის შესაქმნელად ცვლილებების შეტანა?

— მე ამ მოთხოვნებს არ ვეთანხმები. სასამართლოს მხრიდან პირადად მე არავითარი პრობლემა არ შექმნია. თუ ვინმეს რაიმე პრობლემა გაუჩნდა მუშაობისას, შეიძლება, ეს უფრო ცივილიზებული გზითა და მეთოდებით მოგვარდეს. ადვოკატი თუ კლიენტის ინტერესების დაცვას წარმატებით ვერ ახერხებს, საკუთარ თავში უნდა ეძებოს პრობლემები.

— თქვენი აზრით, ამ ადვოკატების პრეტენზიები მათივე არაპროფესიონალიზმითაა გამოწვეული?

— არ ვიცი, რა კონკრეტული პრობლემები გაუჩნდათ ამ მხრივ. მე სხვის საქმეში არ ვიხედები და ნურც სხვა ჩაიხედავს ჩემსაში.

გალზა მყოლიაშვილი, ადვოკატი:

— ამ პროტესტის მიზეზი ბოლო წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები გახდა. ადვოკატი ფაქტობრივად, დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. სასამართლოში მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი დარღვეულია. პროკურატურა ადვოკატზე კი არა, მოსამართლეზე მეტი უფლებებით სარგებლობს. არაფერს ვამბობ ბიუროკრატიულ ბარიერებზე. ადვოკატს, საქმის ქსეროასლის გადაღებისა და პატიმრის დასტურის გარეშე, აღმკვეთი ღონისძიების გასაჩივრების უფლებაც არა აქვს. ადვოკატს ციხეში მისვლა და დილიდან საღამომდე რიგში დგომის შემდეგ, დამამცირებელი პროცედურების გავლა უწევს. რაც უნდა გასაკვირი იყოს, შეიძლება, დოკუმენტის გამომცემლებთან მიტანაც კი გაჭიანურდეს, რადგან მოუცვლელი გამო, ის სადღაც გარბოდეს ან სულაც ქსეროქსი ჰქონდეს გაფუჭებული. მას შემდეგ, რაც სასამართლო პროცესზე ვიდუგადაღება აიკრძალა, გახშირდა ოქმების გაყალბების ფაქტები. პროკურატურა ხშირად იმას წერს, რაც თვითონ აძლევს

ხელს. სწორედ ეს პრობლემები გახდა მალხაზ ჯანაშიაშვილის 29-დღიანი შიმშილობის მიზეზი. მე არ მიშიშმილია, მაგრამ ბოლოს, როცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულად გახდა, ადვოკატებმა შევთავაზეთ, რომ სკლიდარობის ნიშნად, მორიგეობით, 24 საათის განმავლობაში ვიშიშმილებდით.

— რამდენად მისაღებია და რამდენად შედეგიანი იქნება პროტესტის ეს ფორმა?

— ადვოკატსაც ისეთივე უფლებები აქვს, როგორც ჩვეულებრივ, რიგით მოქალაქეს და მასაც შეუძლია, პროტესტი გამოხატოს. გარდა ამისა, საქართველოს კონსტიტუციაში წერია, რომ არ შეიძლება, გაფიცვის დროს რაიმე სანქციის გამოყენება ან ხელფასის გადაუხდელობა.

— სასამართლო ხელისუფლება აცხადებს, რომ ის ადვოკატები, ვინც სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდნენ, დაჯარიმდებიან...

— ეს არის კიდევ ერთი უზნეო საქციელი. ჩვენ მოსამართლეებისა და პატიმართა უფლებებისთვის ვიბრძვით. მე უკვე დამაჯარიმეს 100 ლარით, ზოგი — 200 და 300 ლარითაც დააჯარიმეს და როგორც ვიცი, მოსამართლე ხუხუშვილმა რეკორდი მოხსნა — ადვოკატ ზურაბ მეფარიძეს 500 ლარი გადაახდევინა. ალბათ ანგარიშს წარუდგენს შეფებს — ყველაზე კარგი შემსრულებელი ვარო... ეს ყველაფერი არქიფო სეთურის მონების ფსიქოლოგიას მაგონებს. როცა დათა თუთაშხიამ იმ ხალხს მიმართა, — შეხედეთ თქვენს თავს, თქვე უბედურებო, რას დაგამსგავსათ არქიფო სეთურმაო! — მათ თუთაშხიასა და მის მეგობარს კომბლებით თავები გაუტყნეს. ვინ წარმოიდგენდა, რომ XXI საუკუნეში მსგავსი რამ ქართულ მართლმსაჯულებაში განმეორდებოდა?!

— ბატონო გელა, მსოფლიოში თუ ყოველ ადვოკატთა გაფიცვის პრეცედენტა?

— პირველად ადვოკატები საფრანგეთში გაიფიცნენ, მაგრამ ქართველი ადვოკატებისთვის მათი მუშაობის პირობები მეტად სახარბიელო იქნებოდა... ის, რაც დღევანდელ ქართულ მართლმსაჯულებაში ხდება, შეიძლება, აფრიკის ჩამორჩენილ ქვეყნებში ხდებოდეს. ცივილიზებულ ქვეყნებში მსგავსი კურონებები არ ხდება.

— როგორ აპირებთ ბრძოლის გაგრძელებას?

— მოშიშმილე ადვოკატების წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებას უზუნაეს სასამართლოში გავასაჩივრებთ. თუ სასურველ შედეგს არ მივიღებთ, ეს იქნება სკანდალის მიზეზი და დაიწყება ახალი ფართომასშტაბიანი აქციები. თუ საჭირო გახდა, ევროსასამართლომდეც მივალთ.

ვინ გახდა საუკეთესო მუსიკის კვტორი

შოუმენ გიორგი აფციასურის ინტერვიუს დაბეჭდვის შემდეგ, მისმა თაყვანისმცემლებმა ამიკლეს — ისინი გიორგისთან შეხვედრას მთხოვდნენ. სამწუხაროდ, თითოეული მათგანის სურვილის დაკმაყოფილებას, რა თქმა უნდა, ვერ შევძლებდით და ამიტომაც, გიორგი საუკეთესო მესიჯის ავტორს, 17 წლის ნინოს შევასვედრეთ. ისინი რედაქციაში გვესტუმრნენ, ერთმანეთს ჩვენი თანდასწრებით გაესაუბრნენ, ფოტოები გადაიღეს და დაგვემშვიდობნენ. სიმართლე გითხრათ, დაგვჩა შთაბეჭდილება, რომ მათ ერთმანეთი მოეწონათ და იმედია, დამეგობრებასაც შეძლებენ. ვიდრე მათ დიალოგს შემოგთავაზებთ, მანამ თქვენ მიერ გამოგზავნილ „ესემესებს“ გადაავლეთ თვალი.



„ანუ „გზა“ სად არ მიგიყვანს...“

სოფო ჭონიშვილი

„მთვარეს გამსგავსებ, მოვლენილს ციდან/ მე კი მგზავრი ვარ, შორეულ გზიდან,/ ლამით ვარსკვლავთა ნამქერად წვიმხარ,/ მინდა გაგიცნო, გავიგო ვინ ხარ“.

„გიორგი, იცი რა? — ზუსტად ისეთი გოგო ვარ, როგორიც შენ გინდა, რომ ვიყო. დამიმესიჯე, არ ინანებ. ოლია“.

„იცი, რატომ მიყვარს მე ეს სიცოცხლე? — შენ რომ გაჩნდი და მე რომ გიპოვე“.

„მაშინ, როდესაც მე შენ ერთს გნატრობ/ შენ სხვაზე ფიქრობ, სხვა ვინმეს ნატრობ/ შენზე ფიქრები მაგიჟებს, მათბობს/ თუ დაიჯერე, ვაი, შენს პატრონს... მარი“.

„გიოოო... ძალიან საყვარელი ად-

ამიანი ხარ. მართალია, პირადად არ გიცნობ, მაგრამ როგორც კარგ პიროვნებას, პატივს გცემ. გაიხარე, ღმერთი გფარავდეს. ნილბოსანი“.

„პრივეტ“, მე ჯინა ვარ, 19 წლის. ვიცი, ბევრი გოგო დაგიმესიჯებს, გაცნობას გთხოვს და ამიტომაც, მე აღარ შეგანწუხებ. კარგად“.

„თუ ფიქრობ, რომ არაფერი გამოვა,/ ნუ იფიქრებ — სიყვარული აღარ მოვა/ გადაიღებს მარცოების ცივი თოვა/ დამიჯერე, მალე შენთვის სიყვარულის მზე ამოვა. აფციასურო, გენაცვალე, მაგარი ადამიანი ხარ“.

„გიო, რუბრიკა „სასიძოში“ შენი ნახვა ძალიან გამიხარდა. შანსი მომეცა, შენდამი ჩემი სიმპათია გაგიმზილო. მსგავს მესიჯებს ალბათ, ბევრი მოგწერს, ბევრსაც შეხვდები, მაგრამ კარგად იცი, რომ სიყვარულის პოვნა იოლი არ არის. გოგონების ნაწილს შენი პოპულარობა ხიბლავს, ნაწილს — გარეგნობა. მთავარი კი ადამიანური სული და გულია, რომელიც სწორედ შენ მომპარე და უკვალოდ გააქრე. მე მარი ვარ, 20 წლის (ძალიან არა, მაგრამ საკმაოდ განათლებული)“.

„ეგ ტუჩები მე მომისპობს სიცოცხლეს,/ ეგ ტუჩები ვიცი, ჩემი გახდები/ იცოდე, რომ შენს საფიცარ ტუჩებზე,/ ჩემი ტუჩის ნაკვალევი დარჩება. გიო, ძალიან მინდა გაგიცნო და ვიმეგობროთ. დანარჩენს დრო გვიჩვენებს“.

„მე, 17 წლის ხატია ვარ. სამეგრელოში ვცხოვრობ. ცუდია, შენთან შეხვედრის და გასაუბრების შანსს რომ ვკარგავ, მაგრამ რა ვქნა, ერთმანეთს დიდი მანძილი გვაშორებს“.

„გეტყობა, რომ თავპარიანი ბიჭი არ ხარ. განონასწორებული და სასიამოვნო ადამიანი ჩანხარ. შენი გაცნობა კი მინდა, მაგრამ...“

„პრივეტ“. შეიძლება, ერთმანეთი გავიცნოთ? მგონი, უარს არ მეტყვი. იქნებ, ნათესავეებიც კი ვართ, მეც აფციასური გახლავართ“.

„სოფო, ეს მესიჯი დამიბეჭდე, გთხოვ. გიო, ჯერ კიდევ მაშინ მომეწონე, პოსპიტალში, მამაშენთან რომ მოდიოდი. ეჰ, მაშინ არც ისე პოპულარული კაცი იყავი. კარგი ბიჭი ხარ და დიდ პატივს გცემ. შენთან სიამოვნებით ვიმეგობრებდი. სოფო, იცოდე, ამ მესიჯს თუ არ დამიბეჭდავ, ჩემთან ნემსის გაკეთება რომ მოგიხდეს (ღმერთმა დაგიფაროს), ჯავრს ვიყრი. ექთან“.

„მე ხატია ვარ (იგივე, ხევსურიკა), 16 წლის. გიორგი, შენი მობილურის ნომერი მინდა, გავიგო. რატომ? — პირადად მინდა, დაგიკავშირდე. იქნებ, ეს თხოვნა როგორმე შემიხრულ“.

„მინდა, გიორგი აფციასურს ვუთხრა, რომ მაგარი საყვარელი კაცია. ამ მესიჯს ათენიდან გწერთ. ძალიან ბედნიერი ვარ, როცა ქართული იუმორისტული შოუების ნახვის საშუალება მეძლევა. ძალიან გთხოვ, შემეხმიანე და ვიმეგობროთ. სხვათა შორის, ხუმრობა მეც მიყვარს. აბა, ვნახოთ, რას იზამ. დიდი სიყვარულით, ვარდენა, ათენიდან“.

„ვაუ... აფციასურის ინტერვიუს ნახვა ძალიან გამიხარდა. არ იფიქრო, რომ „სასიძოს“ პონტში გწერ, უბრალოდ მიხარია, ასეთი პოპულარული ადამიანი რომ გახდი. მეც ლოტკინელი ვარ. წარმატებებს გისურვებ!“

„გთხოვთ, გიორგისთან შეხვედრაში დამეხმაროთ, მისთვის უამრავი კითხვის დასმა მინდა. იმედია, კითხვებზე გულწრფელად მიპასუხებს“.

„რას გაჩუქებდი? — ალბათ, სიყვარულს, ნაზს და წრფელს/ რად გაჩუქებდი? — ალბათ, იმიტომ, რომ შენ



ერთმანეთს თვის ვართ გაჩენილები...

არ ჰგავხარ სხვებს. ტინკი-ვინკი“.

„ძალიან მიყვარხარ. განსაკუთრებით, შენი თვალები მომწონს. თუ შეგხვდები, აუცილებლად დაგისვამ შეკითხვას: თმას რატომ არ იჭრი?“

„ეს ლექსი ეძღვნება ყველაზე მაგარ კაცს, გიოს. „შენ რომ უყვარხარ, ჩემი გულია/ რატომ გგონია შენ ეს ზღაპარი/ შენი თვალები სასწაულია/ და ჩემი გრძნობის თავშესაფარი“.

„ნუხელ ღამე სიო ქროდა/ ცოტა — წვიმაც იყო./ გიო, მე შენ თუ მაგრად არ მიყვარდე/ ცუდი გოგო ვიყო... თამრო, ბათუმიდან“.

„ალერსი, სიტბო, ღიმილი, კოცნა/ ცრემლები, დარდი, ოცნება, ლოცვა/ რამდენი რამე მასწავლა თურმე/ ამ ჯადოსნურმა, ღამაზმა გრძნობამ“.

„ამ ღამეს თუკი გაგახსენდები/ თუკი შეგბიყრობს ჩემი ფიქრები/ დაიმასხოვრე ჩემი სიტყვები/ მე შენ არასდროს დამავიწყდები. ტინკი-ვინკი“.

„მინდა, გიორგი აუციურს ბოდიში მოვუხადო: ის ჭიათურაში, ქორწილში გავიცანი და ცოტა უხეშად მოვექეცი. დამიჯერეთ, დღეს ამას ვნანობ. ლიკა, 18 წლის. გიო, მამაატიე, გთხოვ“.

ახლა კი ნინისა და გიორგის საუბრის ჩანაწერს გთავაზობთ.

— ნინი, არ შემიძლია, არ აღვნიშნო — ძალიან ღამაში და სიმპათიური გოგონა ხარ. სასიამოვნოა, ჩემი გაცნობა რომ მოინდომე. და მიინც, ჩემით რატომ დაინტერესდი?

— დიდი მადლობა კომპლიმენტისთვის. მგონი, გავწითლდი კიდეც... სანამ უფრო „გზაში“ შენს ინტერვიუს წავიკითხავდი, სიმათლე გითხრა, შენს გაცნობაზე ნამდვილად არ ვფიქრობდი. ჩემი აზრით, რუბრიკა „სასიძოში“, საკუთარ თავზე გულახდილად ღამაზაკობდი. ჰოდა, ამ ინტერვიუს საშუალებით, შენს პიროვნულ თვისებებს ასე თუ ისე გავეცანი და მივხვდი, რომ ჩემს გამოვლენაში „ჯადები“. მეც შენი სტილის ადამიანი ვარ: უკომპლექსო (რა თქმა უნდა, ზომიერების ფარგლებში), მხიარული და ოდნავ განათლებული. შენ ხომ ასეთი გოგონები მოგწონს?

— დიახ, ასეა (იცინის). მართლაც ვთქვი: ოდნავ განათლებული გოგონები მომწონს-მეთქი. როგორც ჩანს, ჩემი ინტერვიუ გულდასმით წაგიკითხავს (იცინის). გამოდის, რომ ერთმანეთის გამოვლენაში „ჯადებით“, არა?

— ეს მე გითხარო, — ჩემს გამოვლენაში „ჯადები“-მეთქი, შენ კი არაფერი გითქვამს.

— შენი თვისებების შესახებ არაფერი ვიცი. ისე, გარეგნულად

მშვენიერი გოგო ხარ. მიიღე ჩემგან ეს დიდი კომპლიმენტი (იცინის).

— გიორგი, ნუ მანითლებ.

— ნინი, მოდი, უფრო კონკრეტულ კითხვებს დაგისვამ. რამდენი წლის ხარ?

— 17-ის. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, სამკურნალო ფაკულტეტზე ვსწავლობ. პირველ კურსზე ვარ.

— კარგად სწავლობ?

— აბა, რა შენ რამდენი წლის ხარ?

— 20-ის. ნინი, და-ძმა გყავს?

— ერთი და მყავს, 13 წლისაა.

— პირველად სად მწახე?

— ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ დიდი ხანია, შენს საქმიანობას თვალყურს ვადევნებ.

— შეგიძლია, რომელიმე ჩემი სკეტჩი გაიხსენო?

— (ფიქრობს) ვერ ვიხსენებ, მაგრამ გეტყვი იმას, რომ ყველა შენი სკეტჩი ძალიან მომწონს და შენც მომწონხარ.

— ე.ი. გამიბართლა (იცინის).

— გიორგი, როგორი გოგონები მოგწონს — შავგვრემანები თუ ქერთიანები?

— ვერ გეტყვი. ჩემთვის მთავარია, გოგო ღამაში, მიმზიდველი იყოს და მნიშვნელობა არა აქვს, შავგვრემანი იქნება თუ ქერა. ყველაზე მთავარი კი ადამიანობა და სულიერებაა. ნინი, გავიგე, რომ ჩემნაირი, ანუ შავგვრემანი მამაკაცები მოგწონს, მაგრამ ისიც მაინტერესებს, რა თვისებებს აფასებ მამაკაცში?

— ყურადღებას, სიტბოს, ინტელექტს და იუმორს. ჩემთვის ყველაზე მთავარი ეს არის.

— შეყვარებული გყავს?

— არა. სხვათა შორის, ვინმეზე სერიოზულად შეყვარებული არც არასდროს ვყოფილვარ.

— ანუ, ერთმანეთისთვის ვართ გაჩენილები (იცინის)...

— ჰო, და ეს ყველაფერი ბედისწერა იყო, არა (იცინის)?

— „გზა“ სად არ მიგიყვანს. ე.ი. გადავწყვიტე, რომ „ქლამ-შოუზე“ დაგპატიყო და შენთან ვიმეგობრო.

— ძალიან კარგი, სიამოვნებით წამოვალ. გიორგი, უკვე ვიცი, რომ შეყვარებული არ გყავს. მაინტერესებს, სიყვარული როგორ წარმოგიდგენია?

— ჩემი აზრით, სიყვარული მაგარი რალაცაა. ყველა შეყვარებული ადამი-

ანი მხოლოდ თავის სიყვარულზეა გადართული, მხოლოდ ამაზე ფიქრობს და აქედან გამომდინარე, ჯერ არ მინდა, რომ შეყვარებული მყავდეს...

— შეყვარებულს სერენადას უმღერებდი?

— საყვარელი ადამიანისთვის ნებისმიერ რალაცას გავაკეთებ, სერენადა კი, ეს უკვე...

— (ანწყვტინებს) ძველმოდურია?

— ძველმოდური ნამდვილად არაა, მაგრამ ამის გაკეთება ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, მე კი მინდა, საყვარელი ადამიანისთვის საგმირო საქმეები ჩავიღებო (იცინის).


— გოგონებს ყვავილებს ხშირად ჩუქნი?

— ისე, რა! თუმცა, რადგან ვიცი, რომ ყვავილები ძალიან მიყვარს...

— „ქალიშვილობის ინსტიტუტზე“ რა აზრის ხარ?

— არ მომწონს. დღეს თუ გოგონების რალაც კომპლექსები ანუხებთ, ეს მამაკაცების ბრალია.

გამოდის, რომ ერთმანეთის გამოვლენაში „ჯადებით“



— რას გულისხმობ?

— ვგულისხმობ იმას, რომ მამაკაცების უმრავლესობას გათვითცნობიერებული არ აქვს, ცოლის მოყვანა უნდა თუ სექსი სჭირდება.

— ე.ი. ევროპელი ბიჭი ხარ?

— რა ვიცი, რა ვიცი... შენ რას ფიქრობ ამ ინსტიტუტზე?

— ამ საქმეში მამაკაცების ნდობა არ შეიძლება. ზოგჯერ, ქალის ნდობას ცუდად იყენებთ.

— ნინი, სიგარეტს არ ეწევი?

— არა, არ ვწევი.

— სხვათა შორის, მწველი გოგონები ძალიან მომწონს.

— ვაა... მართლა?! რა პრობლემაა, დაინწყებ (იცინის). გიორგი, მართლა კარგი ბიჭი ყოფილხარ, ახლა უფრო მომეწონე.

— მეც მომეწონე, ჩემო კარგო. იმედია, მომავალში ვიმეგობრებთ. სასიამოვნო იყო შენი გაცნობა.

— დიდი მადლობა, ჩემთვისაც.

მხედართმთავარი სტალინი

ბორის სოლოვიოვი, ჰვადიმირ სუხოდაევი



დასანწყისი იხ. „გზა“ №44-14

განსაკუთრებული პატივისცემით ეკიდებოდა სტალინი ვასილევსკის, დიდად აფასებდა მისი, როგორც მასშტაბური აზროვნების მქონე სამხედრო მოღვაწის ნიჭს. ვასილევსკი არ ცდებოდა ოპერატიულ-სტრატეგიული ვითარების შეფასებისას. უმაღლესი მთავარსარდალის თვალში დიდი ავტორიტეტით რომ სარგებლობდა, ბევრი ფაქტი მეტყველებს. მაგალითად, როცა ფრონტის რომელიმე სარდალი ამა თუ იმ წინადადებით მიმართავდა შტაბს, სტალინი ჩვეულებრივ, კითხულობდა: ამ საკითხთან დაკავშირებით, რჩევა თუ ჰკითხეთ ამხანაგ ვასილევსკისო?

ბელადი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის ყველაზე საპასუხისმგებლო უბნებზე გზავნიდა ხოლმე ვასილევსკის, როგორც უმაღლესი შტაბის წარმომადგენელს მაშინ, როცა იქ კრიტიკული სიტუაცია შეიქმნებოდა და მაშინაც, როცა მსხვილმასშტაბიანი სტრატეგიული ოპერაცია მზადდებოდა. ასეთ შემთხვევებში, ფრონტზე ან მარტო ვასილევსკის გზავნიდნენ, ან ვასილევსკისა და ჟუკოვის ერთად. ვასილევსკის მხედართმთავრული ნიჭი განსაკუთრებულად მკაფიოდ სტალინგრადის ბრძოლის დროს გამოვლინდა. წითელი არმია ჯერ კიდევ თავდაცვით ბრძოლებს აწარმოებდა, როცა ვასილევსკიმ შტაბში გამართულ თათბირზე კონტრშეტევის წინადადება წამოაყენა და კოლეგებს გაუზიარა ისეთი ჩანაფიქრი, რომელიც გერმანული დაჯგუფუ-

ბის ალყაში მოქცევას ისახავდა მიზნად. მას ჟუკოვმა დაუჭირა მხარი. უმაღლესმა მთავარსარდალმა ჰკითხა: „მერედა, შეგნვეთ ასეთი სერიოზული ოპერაციის ჩატარების ძალა? კარგად დაფიქრდით, რამდენად შესაძლებელია ეს“.

შეიმუშავეს ოპერაციის გეგმა, რომელსაც კოდური სახელი — „ურანი“ ეწოდა, შემდეგ კი ეს გეგმა უმაღლესმა მთავარსარდალმა დაამტკიცა. სტალინგრადში ყოფნისას ვასილევსკი სწრაფად იღებდა თამამ და კარგად გააზრებულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მონინაალმდევის ალყაში მოქცევისა და მისი განადგურების ოპერაციას ითვალისწინებდა.

ფრონტზეც და გენერალურ შტაბში დაბრუნების შემდეგაც, ვასილევსკი გამუდმებით მუშაობდა. მას პრაქტიკულად, ძილის დროც კი აღარ რჩებოდა. როდესაც ეს შენიშნა, უმაღლესი მთავარსარდალი ზოგჯერ იმასაც კი ამონებდა, ეძინა თუ არა ვასილევსკის საამისოდ გამოყოფილ დროს. ხოლო მაშინ, როცა ვასილევსკი უკვე ვეღარ ფარავდა თავის დაღლილობას, სტალინმა გასცა განკარგულება, რომ ვასილევსკი ერთი ღამით სანატორიუმ „არხანგელსკოეში“ მოეთავსებინათ, რათა ცოტა მაინც დაესვენა.

ერთხელ ვასილევსკიმ, საკმაოდ მოკრძალებულად, უამბო ამ წიგნის ერთ-ერთ ავტორს მასა და სტალინს შორის გამართულ საუბარზე. როდესაც ფრონტზე არსებული ვითარების საქმიანი განხილვა დაამთავრეს, სტალინმა მას სთხოვა, ცოტა ხნით დარჩენილიყო და შეეცრად ჰკითხა:

„... მატერიალურად როგორ ეხმარებით მშობლებს?... რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენ ერთი ძმა ექიმა, მეორე — აგრონომი, მესამე კი — მეთაური, მფრინავი. თქვენც მატერიალურად უზრუნველყოფილი ხართ. შეგეძლოთ დახმარებოდით მშობლებს. მაშინ მამათქვენი თავს დაანებებდა თავის ეკლესიას, რომლის სამსახურში დგომაც, მის ასაკში, მხოლოდ საარსებოდ სჭირდება...“

ვასილევსკიმ გვითხრა, რომ ის გულწრფელად გამოუტყდა სტალინს, — ღვთისმსახურ მამასთან უკვე დიდი ხანია, 1926 წლიდან მოყოლებული, ყოველგვარი კავშირი განწყვეტილი მაქვსო.

— ესე იგი, თქვენ ღვთისმსახურთან საქმე არ გაქვთ, არა?... — შენიშნა სტალინმა. — აბა, როგორღა ურთიერთობთ ჩემთან? მე ხომ სემინარიაში ვსწავლობდი და მღვდლობასაც ვაპირებდი.

— თქვენ, ამხანაგო სტალინ, უმაღლესი მთავარსარდალი ხართ... — უპასუხა ვასილევსკიმ.

სტალინმა, ამჯერად უკვე სერიოზუ-

ლად, უთხრა:

— იცით, რა. გირჩევთ, კავშირი დაამყაროთ მშობლებთან და სისტემატურად დაეხმაროთ მათ მატერიალურად. გაემგზავრეთ მათთან. რამდენიმე დღე გეყოფათ?

როცა ვასილევსკიმ წინააღმდეგობა გაუწია, — ომი მიმდინარეობს და უამრავი საქმის გამო ახლა გამგზავრება არაფრით შეიძლებო, — სტალინმა მშვიდად მიუგო:

— არა უშავს, რამდენიმე დღით ჩვენ შეგცვლით“.

მშობლებთან ჩასულმა ვასილევსკიმ შეიტყო, რომ მამამისი თურმე სისტემატურად იღებდა ფულად გზავნილებს და დარწმუნებული იყო, რომ ამ ფულს სწორედ ის უგზავნიდა და არა სხვა შეილები, რადგან თანხა ყოველთვის საკმაოდ მოზრდილი იყო. ვინ უგზავნიდა მამამისს ამ ფულს, თავად ვასილევსკისთვისაც გამოცანად იქცა. ამას მხოლოდ მოსკოვში დაბრუნების შემდეგ მოეფინა ნათელი. ღვთისმსახურ ვასილევსკის ფულს პირადად სტალინი უგზავნიდა.

თავისი მონათხრობი ვასილევსკიმ ასე დაასრულა. როგორც კი მოსკოვში ჩავიდა, მან მაშინვე მოახსენა სტალინს, — მამასთან ურთიერთობა მოვაგვარეო.

— სწორად მოიქეცი, — უპასუხა სტალინმა. შემდეგ, სეიფიდან საფოსტო გზავნილების ქვითრების მთელი დასტა გამოიღო, ვასილევსკის მიანოდა და თქვა: აი, მე კი დიდხანს ვერ გადამიხდით ვალსო!..

სტალინი დიდად აფასებდა ვასილევსკის მხედართმთავრულ ტალანტს. სამაჟილო ომის დასკვნით ეტაპზე მარშალი ბელორუსიის მე-3 ფრონტის სარდალად დაინიშნა და კენიგსბერგზე საიერიშო ოპერაციას ხელმძღვანელობდა. ამ ბრძოლაში მან მძიმე კონტუზია მიიღო. მეორე მსოფლიო ომის დამთავრებულ ეტაპზე, შორეული აღმოსავლეთის კამპანიის გეგმის შემუშავებაში მონაწილეობდა. შორეულ აღმოსავლეთში საბჭოთა ჯარების მთავარსარდალის, მარშალ ვასილევსკის ხელმძღვანელობით, განადგურებული იქნა იაპონიის არმია.

თავის მოგონებებში — „მთელი ცხოვრების საქმე“, როდესაც გენერალური შტაბის

მარშალი ვასილევსკი



საქმიანობის შესახებ უამბობდა მკითხველს, საგანგებოდ განიხილავდა სტალინის, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის მოღვაწეობას. აი, ზოგიერთი სახასიათო შეფასება ამ წიგნიდან:

„ჩემი ღრმა რწმენით, სტალინი, განსაკუთრებით, დიდი სამამულო ომის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, სტრატეგიული სარდლობის ყველაზე ძლიერი და კოლორიტული ფიგურა გახლდათ. ის წარმატებით ხელმძღვანელობდა ფრონტებს, ქვეყნის მთელ სამხედრო ძალებს და შესწევდა უნარი, ომის დროს მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა მოკავშირე ქვეყნების ხელმძღვანელ, პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეებზე. მასთან მუშაობა საინტერესო, მაგრამ ამასთანავე, ძალზე რთული იყო, განსაკუთრებით — ომის სანაყის პერიოდში. ის ჩემს მეხსიერებას, როგორც მკაცრი, ძლიერი სამხედრო ხელმძღვანელი შემორჩა, თუმცა მას არც პირადი ხიბლი აკლდა...

ვფიქრობ, სტალინმა საბჭოთა შეიარაღებული ძალების სტრატეგიული იერიშის პერიოდში, საბჭოთა მხედართმთავრის ყველა დამახასიათებელი თვისება გამოამჟღავნა. ის ოსტატურად ხელმძღვანელობდა ფრონტების მოქმედებას და მისი მეთაურობით, მთელმა საბჭოთა სამხედრო ხელოვნებამ ომის წლებში გამოავლინა უსაზღვრო სიძლიერე, შემოქმედებითი ხასიათი, აშკარად ჯაბნიდა დასავლეთში ნაქებ, გერმანულ-ფაშისტური სამხედრო სკოლის სამხედრო ხელოვნებას...

სტალინმა მყარად დაიძვივრა ადგილი სამხედრო ისტორიაში. მისი ჭეშმარიტი დამსახურება ის გახლავთ, რომ მისი, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის უშუალო ხელმძღვანელობით, ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა გაუძლიეს მტრის მძლავრ შემოტევებს და ბრწყინვალედ ჩაატარეს ყველა საიერიშო ოპერაცია. მაგრამ ის, არასოდეს ლაპარაკობდა თავის ღირსებებსა და დამსახურებაზე“.

აუცილებელია, კიდევ ერთი, ძალზე მნიშვნელოვანი მტრის მოვიშველიოთ ვასილევსკის დასახასიათებლად. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინდა აკადემიკოს ივან პავლოვის ანდერძმა, რომლითაც ახალგაზრდობას მიმართა. ჰოდა, ვასილევსკიმ ჩაიფიქრა, ჟუკოვთან ერთად მოეთხრო ახალგაზრდებისთვის, თუ როგორ აფასებდნენ ისინი — ორი საბჭოთა მარშალი — დიდ სამამულო ომს, სურდათ გაეზიარებინათ თავიანთი რჩევა-დარიგებანი იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც საბჭოთა ჯარში უნდა ემსახურათ, ე.ი. თავიანთი ქვეყნის დასაცავად, სათანადოდ მომზადებულიყვნენ. სამწუხაროა, ჟუკოვი მალე გარდაიცვალა. მაგრამ ვასილევსკიმ, რომელიც მაშინ ძალიან ავადმყოფობდა, მაინც დაწერა ბროშურა, რომელიც დაახლოებით ასი ნაბეჭდი გვერდი გამოვიდა. როგორც დისციპლინის მოყვარულმა კაცმა, მან ხელნაწერი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს გადასცა. მაგრამ რომელიღაც სამხედრო ჩინოვნიკმა უსაყვედურა მარშალს, რომ ის მეტისმეტად ხშირად ახსენებდა სტალინის

გვარს, რომელსაც მხოლოდ ხანდახან თუ ჩაანაცვლებდა „უმაღლესი მთავარსარდლით“. საერთოდ თავშეკავებულმა ვასილევსკიმ აშკარად, მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობით და ცოცხა მკვახედაც კი უპასუხა: „როგორ, პოლკოვნიკო, განა სამამულო ომის წლებში სტალინის გვერდით იყავით? განა იცით, რას გვეუბნებოდა იგი, როგორ გვხელმძღვანელობდა, რას და როგორ ვიხილავდით მასთან ერთად?! მაშ, ვინ მოგცათ უფლება, მიკარნახოთ, რამდენჯერ შეიძლება სტალინის გვარის ხსენება?! მე პატიოსნად გადმოვცემ მოვლენებსა და



მარშალი როკოსოვსკი

ფაქტებს. რა როგორ იყო — ზუსტად ისე უნდა აღიბეჭდოს მეხსიერებაში“

ბროშურა, არსებითად კი — წიგნი არ გამოსულა. მისი გამოცემა ვერც ვასილევსკის მეუღლემ შეძლო, ქმრის გარდაცვალების შემდეგ. სად არის ახლა საბჭოთა კავშირის მარშლის — ალექსანდრ ვასილევსკის ეს ხელნაწერი?..

თუ ჟუკოვის შთაბეჭდილებებს დავეყრდნობით, უნდა ვირწმუნოთ, რომ ფრონტების სარდლებს შორის, სტალინი ყველაზე მეტად, კიდევ, მარშლებს: როკოსოვსკის, გოვოროვის, კონევის და არმიის გენერალს ვატუტინს აფასებდა. მოსკოვთან ბრძოლის დროს, ბევრს ლაპარაკობდნენ „სარდალ რ“-სა და მის არმიებზე. ხოლო 20 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის სანიფორმაციო ბიუროს ცნობაში ასეთი ტექსტი დაიბეჭდა: „სარდლის, აშხ. როკოსოვსკის მებრძოლებმა გერმანელთა გააფთრებული შეტევების მოგერიებისას დაწვეს 61 ტანკი...“ (ცენტრალურ განულებში ახალგაზრდა, წარმოსადეგი გენერლის ფოტოსურათი დაიბეჭდა. ერთხელ მის არმიამ სტალინიც ჩავიდა.

როკოსოვსკის მხედართმთავრული ნიჭი მთელი სისრულით გამოიყვანა ბრინჯის სარდლობის დროს (1942 წლიდან მოყოლებული). როკოსოვსკიმ მიმართა უმაღლეს მთავარსარდალს საფუძვლიანი წინადადებით — პაულიუსის არმიის ალყაში მოქ-

ცეული დაჯგუფების ლიკვიდაცია ერთ ფრონტს დაევალოსო. სტალინი ჩაეკითხა:

„— ერთს?

როკოსოვსკიმ დაბეჯითებით გაიმეორა: — ერთ ფრონტს. რა თქმა უნდა, საჭიროა შესაბამისად, მისი გაძლიერება.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში მოსალოდნელი საომარი მოქმედებების გეგმის განხილვა გაიმართა. სტალინმა იკითხა:

— აბა, ვის დავავალებთ მონინალმდების საბოლოო განადგურებას?

საქმე ის გახლავთ, რომ ამ მნიშვნელოვანი და საპატიო ამოცანის შესასრულებლად, ორი პრეტენდენტი იყო: დონის ფრონტის სარდალი როკოსოვსკი და სტალინგრადის ფრონტის სარდალი ერემენკო.

— როკოსოვსკის, — გაისმა შეხახილება.

მხოლოდ ჟუკოვი იჯდა ჩუმად, თან რაღაც ქალაქდებს ფურცლადა. სტალინმა ეს შენიშნა და გალიზიანებულმა შეხედა თავის მოადგილეს:

— თქვენ რატომ არაფერს ამბობთ, ამხანაგო ჟუკოვო?

ჟუკოვს განსაკუთრებით უჭირდა არჩევანის გაკეთება. ის მრავალი წელი იცნობდა როკოსოვსკისა და ერემენკოსაც. კარგად ესმოდა, რომ ორივე მათგანს ჰქონდა მოპოვებული საპატიო უფლება, ამოეხოცა ალყაშემორტყმული მტრის დაჯგუფება. და მანაც აირჩია:

— როკოსოვსკის!

სტალინს მოღუშულ სახეზე ღიმილიმ გადაურბინა.

— ჰოდა, გადანყვიტილია: დაე, როკოსოვსკიმ განადგუროს პაულიუსი“.


ასეთი გადანყვიტილება საქმის ინტერესებიდან გამომდინარე მიიღეს. სწორედ ამის წყალობით მოხერხდა სტალინგრადის ოპერაციის სწრაფად განხორციელება“ (წიგნიდან „მხედართმთავრები“, 1995 წ.)

სტალინს უყვარდა როკოსოვსკი, „ჩემს ბაგრატიონს“ ეძახდა. ჰოდა, არა მარტო პეტრე ბაგრატიონის — 1812 წლის განმართავისუფლებელი ომის გამოჩენილი მხედართმთავრის, გენერალ-ფელდმარშალ კუტუზოვის თანამოაზრის, არამედ როკოსოვსკის პატივსაცემადაც უწოდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ოპერაციას „ბაგრატიონი“. სტალინი აფასებდა როკოსოვსკის იმისთვის, რომ ის პირველი გახლდათ, ვინც მოსკოვის მისადგომებზე კონტრშეტევაზე გადავიდა, რომ მისი ხელმძღვანელობით იქნა წარმატებით დაგვირგვინებული სტალინგრადის ბრძოლა გერმანულ არმიათა უმსხვილეს დაჯგუფებასთან, რომელსაც სათავეში ედგა ერთ-ერთი აღიარებული მხედართმთავარი — ფელდმარშალი პაულიუსი; იმისთვის, რომ როკოსოვსკიმ გადამწყვეტი წვლილი შეიტანა ფაშისტების განადგურებაში კურსკის „ღუგაზე“, განახორციელა ბელორუსიის ოპერაცია, ჟუკოვთან და კონევთან ერთად გამარჯვებით დაასრულა ბერლინის შტურმი, სტალინმა დაავალა საბჭოთა კავშირის მარშალს როკოსოვსკის, რომ სწორედ მას ესარდლა მოსკოვში, წითელ მოედანზე გამარჯვების ალღუმისთვის 1945 წელს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ბომი უილიამსი: ჯანსუღაუმიდან კულინარიისკენ

ბევრს აინტერესებს, თუ რატომ ტოვებენ გოგონები ისეთ მაგარ ბიჭს, როგორც რობი უილიამსია. პასუხი ნათელია: იგი გადაწყვეტილებებს ხელთათმანით იცვლის! სულ ცოტა ხნის წინ, რობის უდაბნოში საკუთარი ობსერვატორიის აშენება და ვარსკვლავთა ჩერება სურდა, ახლაც ახალი გადაწყვეტა აქვს: მომღერალს ტელევიზიაში საკუთარი კულინარიული შოუს წაყვანა უნდა! რობი სამზარეულოს ფანატი მას შემდეგ გახდა, რაც რამდენიმე კულინარიულ გაკვეთილს დაესწრო და ამ გაკვეთილების შედეგად



დაუფლებული ცოდნის სამყაროსთვის გაზიარების დაუოკებელმა სურვილმა შეიპყრო; თანაც გლობალურადაც აზროვნებს: შოუსთან ერთად, კულინარიული რეცეპტების წიგნის გამოშვებასაც აპირებს!

ამ იდეას რობის მეგობრები, რა თქმა უნდა, სარკასტულად შეხვდნენ. „საქმე

ისაა, რომ თავად რობი ჯანსაღი საკვების მომზარებელი სულაც არ არის. თანაც, ჰამბურგერისა და შემწვარი კარტოფილის რეცეპტი არავის სჭირდება, რობის კი მხოლოდ ეს აინტერესებს“.

რობი უილიამსი მეგობართა გესლიან შენიშვნებს აინუნში არ აგდებს. იგი მსახიობ მაქს ბიზლის უკვე შეუთანხმდა და ცნობილი ბრიტანული შოუს — Ramsay's Kitchen Nightmares ამერიკული ვერსიის გამოშვებას მასთან ერთად გეგმავს. ბრიტანული შოუს წამყვანი ცნობილი შეფ-მზარეული გორდონ რამსი ახალბედა მზარეულთა კონკურსს თვალს ადევნებს და მათგან საუკეთესოს მეტად მკაცრი მეთოდით არჩევს. შერჩეულ პროცესში კი კონკურსანტებს გორდონ რამსისგან უამრავი შეურაცხყოფის ატანა უწევთ.

რობი უილიამსის იდეის განხორციელების შემთხვევაში, რობი და მაქსი დასახურად განწირულ რესტორანში რამსის ხელმძღვანელობით იმუშავენ და კულინარიული „შედეგებით“ დაწესებულების საქმეების გამოსწორებას შეეცდებიან. „გურმანი ვარ, ასე რომ, წინააღმდეგი არ ვარ, გორდონის გესლიანი სიტყვები ვისმინო“, — ამბობს მაქს ბიზლი, მაგრამ ჯერ კიდევ საკითხავია, შოუს განხორციელება უწერია, თუ ისიც უდაბნოში მირაჟით გაუჩინარებული ობსერვატორიის ბედს გაიზიარებს?!

მთხვადი ქირურგის მსჯელობა გბელ სიამი ულვის პრესლის ქვივიც აღმჩნდა

პლასტიკური ქირურგიის მსჯელობა გრძელ სიას როკ-ენ-როლის მეფის ქვივი პრესილია პრესლიც შეუერთდა. აღმოჩნდა, რომ მისი ექიმი პაციენტებს აკრძალული პრეპარატებით მკურნალობდა და ოპერაციის დროს სანარმოო სილიკონს იყენებდა, რომელსაც საავტომობილო ინდუსტრიაში ხმარობენ! პრესილია პრესლიმ მხოლოდ ახალა გაბედა და გადატანილი კომპარის შესახებ ალაპარაკდა. თაღლითი ქირურგი დენიელ სერანო უკვე დაპატიმრებულია. პირველად სარჩელი ფილმის — „შიშველი პისტოლელი“ მეორეხარისხოვანი როლის შემსრულებელმა მსახიობმა ქალმა აღძრა.



შემდეგ თაღლითი ქირურგის მიერ დასახიჩრებულმა უამრავმა ვარსკვლავმაც დაარღვია დუმილი და სასამართლოს სიამოვნებით მისცა ჩვენება. ასე გახდა საზოგადოებისთვის ცნობილი უსინდისო ქირურგის მსჯელობა სრული სია! ექიმის მიერ უხარისხო პრეპარატების გამოყენებამ მრავალი გართულება გამოიწვია. პრესამ სერანოს — ექიმი-მონსტრი შეარქვა. მის პაციენტებს სახეზე ღრმულები და ნაჩვრეტები დარჩათ. ზოგიერთმა ვარსკვლავმა სილიკონისგან თავის დაღწევა სცადა და კიდევ ერთი ოპერაცია გაიკეთა, რომლის დროსაც მიმი-

კაზე პასუხისმგებელი ნერვი დაუზიანდა და სახეზე ხელოვნური ღიმილი ან გაცეხილი გამომეტყველება სამუდამოდ აღებეჭდა. სერანოს მიერ ჩატარებული ოპერაციის შემდგომ, ძველი იერიის დასაბრუნებლად, პრესილია პრესლის კიდევ 7 ოპერაციის გადატანა მოუხდა. ქვივი ფიქრობს, რომ მონსტრი ექიმის სხვა პაციენტებთან შედარებით, გაუმართლა, რადგან ახლა ყველაფერი წესრიგში აქვს. უილბლო მცდელობამ კი იმდენად შეაშინა, რომ ამიერიდან პლასტიკური ქირურგიის კლინიკას ალბათ სათოფზეც აღარ გაეკარება!

პამელა ანდერსონმა მესამე ქმართან განქორწინება პიჯულ ქმართან ერთად იჩიმა



პოლივეუდის ვარსკვლავი პამელა ანდერსონი რიგით მესამე ქმარს — რიკი სალომონს გაშორდა. ამჯერად მსახიობმა ტრადიციულ „შეურიგებელ უთანხმოებაზე“ უარი თქვა და განქორწინების მიზეზად, „თაღლითობა“ დაასახელა; სასამართლომ ქორწინება დაარღვია. ანდერსონი ამტკიცებს, რომ ქმარი სისტემატურად ატყუებდა, სალომონი კი ირწმუნება, რომ მოტყუებული თავად არის, რადგან ქორწინებამდე პამელამ უთხრა, — შენგან ბავშვს ველოდებო, — სინამდვილეში კი ორსულად არ იყო... რიკი სალომონმა პოპულარობა პორნოგრაფიული რგოლის წყალობით მოიპოვა, რომელშიც მთავარ როლს პერის ჰილტონი თამაშობდა. წყვილმა 2007 წლის ოქტომბერში, ლას-ვეგასში, დანიელი ილუზიონისტის, ჰანს კლოკის შოუს შესვენების დროს იქორწინა (ამ შოუში პამელა ილუზიონისტის ასისტენტია). სასამართლოს დასრულების შემდეგ, „პლეიბოს“ მოდელმა მესამე ქმართან განქორწინება პირველ ქმართან — ტომი ლისთან და შვილებთან — ბრენდონსა და დილანთან ერთად აღნიშნა. „მაღიბუს მასველი“ ქალი პირველ ოჯახთან ერთად, კინოში წავიდა, შემდეგ კი პიცერიას მიაშურა...

ჯატრანმა მკრდი დაიპაცატაჲ!

სულ უფრო და უფრო მეტი ბრიტანელი ქალიშვილი იდიდებას მკერდს, რათა 29 წლის სუპერმოდელ ჯორდანსა და სხვა ცნობილ ქალბატონებს ოდნავ მაინც დაემსგავსოს. პლასტიკური ქირურგიის კლინიკების მონაცემებით, შარშან მკერდის გადიდების ოპერაციათა რაოდენობა 18-19 წლის გოგონებში 150%-ით გაიზარდა! მაგალითად: 22 კლინიკისგან შემდგარ ქსელში — **Transform** — 2007 წელს 20 წლის ასაკის 169 გოგონას ჩაუტარდა პლასტიკური ოპერაცია, რაც 2006 წლის მონაცემს (31 ოპერაცია) ხუთჯერ აღემატება. ექიმთა აზრით, ამ ტენდენციის მიზეზი ცნობილ ადამიანთა ცხოვრების წესია, რომელსაც ახალგაზრდობა ყვითელი პრესის მეშვეობით ეზიარება. ოპერაციათა რაოდენობის ზრდა ბანკების დამსახურებაცაა, რომლებიც 10.000-დოლარიანი ოპერაციის დასაფინანსებლად, სპეციალურ სესხს გასცემენ, რაც პლასტიკურ ქირურგიას კიდევ უფრო მიმზიდველსა და ხელმისაწვდომს ხდის.



„ახალგაზრდა გოგონები ყურნალებში იმ ცნობილი ადამიანების შესახებ კითხულობენ, რომლებიც მკერდის გასაზრდად ოპერაციებს იკეთებენ... ყვითელი პრესის მიზანში ამოღებული აუდიტორია ძირითადად, 18-19 წლის გოგონებისგან შედგება. თითოეულ გამოცემაში უამრავი ინფორმაცია იბეჭდება პლასტიკური ქირურგიის შესახებ. ქალები კი ამგვარ გამოცემებს ხარბად კითხულობენ“, — ამბობს **Transform**-ის წარმომადგენელი შამი ჩადრი. მაგალითად: რეალური შოუს — „დიდი ძმა“ ერთ-ერთმა პოპულარულმა მონაწილემ, ქმართან განქორწინების შემდეგ, 32 B ზომიდან 32 E ზომამდე გაიდიდა მკერდი და საკუთარი თავის რწმენა ასე დაიბრუნა! ზოგიერთი მშობელი საკუთარ ქალიშვილს მკერდის გადიდების ოპერაციას დაბადების დღეზე, როგორც საჩუქარს, ისე სთავაზობს. იმ დროს, როდესაც ბრიტანელ გოგონათა უმრავლესობა მკერდის გადიდებაზე ოცნებობს, ზემოთ ხსენებულმა სუპერმოდელმა — ჯორდანმა მრავალჯერ გადიდებული მკერდი ისევ დაიპატარავა და ბუნებრივი ზომა დაიბრუნა... ■

ჯესიკა ალბამ **Kids' Choice Awards**-ის ჯილდო მიიღო



ჯესიკა ალბამ დღე-დღეზე დედა გახდება, მაგრამ ჯერ კიდევ აქტიური ცხოვრებით ცხოვრობს და მაღალი საზოგადოების წევრების სასურველი სტუმარია. ცოტა ხნის წინ, მსახიობმა **Kids' Choice Awards**-ის ჯილდო მიიღო. ჩვენს მკითხველს შევახსენებთ, რომ ჯესიკას **Nickelodeon's**-თან ბევრი რამ აკავშირებს. 1995 წელს **Nickelodeon**-ის საბავშვო ტელეარხზე სერიალში „ფლიპერი“ მათს როლის განსახიერების შემდეგ ჯესიკამ წყალქვეშა ტურვის სერტიფიკატი მიიღო. აღსანიშნავია, რომ „ფლიპერი“ **Nickelodeon**-ის მეგანარმატებული პროექტია.

უდი ალენი **American Apparel Inc.**-ის წინააღმდეგ

ამერიკელმა რეჟისორმა ვუდი ალენმა კომპანია **American Apparel Inc.**-ის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა და მისი სახის სარეკლამო მიზნით გამოყენებისთვის 10 მილიონი დოლარი მოითხოვა. სარჩელში ნათქვამია, რომ კომპანია ვუდი ალენს არ დაჰკავშირებია და მისგან სარეკლამო დაფებზე ფილმიდან — „ენი ჰოლი“, სადაც ალენი ორთოდოქსი ებრაელის როლს თამაშობს, კადრების განთავსების ნებართვა არ მიუღია. სარეკლამო პლაკატის ავტორებმა შეცდომაში შეიყვანეს მკერდზელი, რადგან მიანიშნეს, რომ რეჟისორი მხარს უჭერს, თავდებად უდგება და თანამშრომლობს კომპანიასთან — **American Apparel**. სარჩელში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ვუდი ალენი ამერიკული კინემატოგრაფის ყველაზე გავლენიანი ფიგურაა და ფრთხილად და გულდასმით არჩევს იმ პროექტებსა და კომპანიებს, რომელთანაც თანამშრომლობას აპირებს. კომპანიას — **American Apparel** ბრალად ედება „ალენის სახის აღმავლობის და არაკანონიერი მითვისება და კომერციული მიზნით გამოყენება“. რეჟისორი მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად 10 მილიონ დოლარს და მოპასუხე მხარისთვის სამაგალითო საჯარიმო სანქციის დადებას მოითხოვს. თავად კომპანია ჯერჯერობით არანაირ კომენტარს არ აკეთებს. **American Apparel Inc.** ტანსაცმლის მწარმოებელი კომპანიაა და სახელი იმითაც გაითქვა, რომ სარეკლამო კამპანიაში ხშირად იყენებს პროვოკაციულ ფოტოგრაფიებს. 2007 წელი კომპანიისთვის ყველაზე წარმატებული იყო. ამ წელს **American Apparel**-ის ქსელმა მსოფლიოს 13 ქვეყანა მოიცვა. ■



სასაფლავსთან მრი მიწვევები კლასიკის გვამი იპოვნის

ჩელიაბინსკის ოლქის ქალაქ ზლატოუსში საშინელი ტრაგედია დატრიალდა. 2 აპრილს, რაიონის სასაფლავოსთან მდებარე ტყეში ორი მემდეკლასელის გვამი იპოვეს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების დასკვნით, გაუპატიურების შემდეგ, ერთი მოახრჩვეს, მეორე კი დანით აჩეხეს. საზარელ დანაშაულში უცნობი მამაკაცია ეჭვმიტანილი. მისი ფოტორობოტი სამართალდამცველებმა უკვე შეადგინეს. ამაში მათ შემთხვევის დროს, სასაფლავებრივად გადარჩენილი 7 წლის გოგონა დაეხმარა.

„როგორც ჩანს, ბავშვები სკოლიდან შინისკენ ფეხით მიდიოდნენ. ამ დროს, მათ უცნობმა მამაკაცმა დაუძახა და თავისთან მიიხმო. ბოროტმოქმედმა ბავშვები ტყისკენ გაიტყუა და სადისტური განზრახვა განახორციელა. ბავშვების ნდობის მოპოვება ძალიან ადვილია, ამიტომ, პირველ რიგში, მშობლები უნდა იყვნენ ფრთხილად და შვილები დაარვიგონ. მანიაკებმა კარგად იციან, თუ როგორ მოატყუონ მცირეწლოვნები. ისინი ბავშვებს ისეთ შთაბეჭდილებას უქმ-

ნიან, თითქოს, დიდი ხანია ერთმანეთს იცნობენ. ქალები უფრო ადვილად აღწევენ ბავშვების ნდობას და ამიტომაც, მსხვერპლის მისატყუებლად ბოროტმოქმედები მათ სწირად იყენებენ (წყვილად „მომუშავე“ დანაშაულებში ასეთი შემთხვევები საკმაოდ ხშირია). რუსეთის ტერიტორიაზე მსგავსი ფაქტების გახშირება ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო ხარვეზებითაა განპირობებული. პედოფილებს კანონის სიმკაცრე არ აშინებთ — ასეთი დანაშაულისთვის რუსეთში 4 წლით თავისუფლების აღკვეთით ისჯებიან მაშინ, როცა საზღვარგარეთ, მინიმალური სასჯელი 10 წელია. ამ დღეებში გაიხსნა კიდევ ერთი სასტიკი დანაშაული: პატარა გოგონას — პოლინა მალკოვას მკვლეელი დააკავეს. ცნობილია, რომ მან წარსულში, მცირეწლოვნის გაუპატიურებისთვის 12-წლიანი სასჯელი მოიხდა. პატიმრობიდან გათავისუფლდა თუ არა, მაშინვე მორიგი სადისტური დანაშაული ჩაიდინა. ასეთი მანიაკები გამოსწორების გზას არ ადგებიან, პირიქით, მათში წლიდან წლამდე სულ უფრო მეტი აგრესია გროვდება



პოლინა მალკოვა

და მსხვერპლთა რაოდენობაც იზრდება. ასეთი დანაშაულები სამუდამო პატიმრობით უნდა ისჯებოდნენ, რადგან ისინი საზოგადოებისთვის მუდმივად საშიში არიან“, — აღნიშნავს ექსპერტი ვინოგრადოვი.

შეგახსენებთ, 2007 წლის 19 მარტს, ქალაქ კრასნოიარსკში, საკუთარი სახლის ეზოში, ქვიშაში მოთამაშე 5 წლის პოლინა მალკოვა უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა. დაკარგულ ბავშვს უშედეგოდ ეძებდნენ. ბოლოს, გაუჩინარებიდან მე-10 დღეს, გოგონას დასახიჩრებული სხეული ქალაქის უკაცრიელ რაიონში, დაუსახლებელ ადგილზე დაგდებული იპოვეს. საზარელ დანაშაულში ეჭვმიტანილს მილიცია აქამდე ეძებდა. სამართალდამცველებმა დანაშაულიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ — 2008 წლის 24 მარტს სავარაუდო დანაშაულის აყვანის თაობაზე ცნობები გაავრცელეს. როგორც ამბობენ, ის 35 წლის დაოჯახებული მამაკაცია, რომელიც წარსულში მცირეწლოვანი გოგონას გაუპატიურებისთვისაა ნასამართლავი. ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, პედოფილი იმავე რაიონში ცხოვრობდა, სადაც დაზარალებულის ოჯახი. მან დანაშაული უკვე აღიარა. ჩვენების მიხედვით, მოტაცებული გოგონა ჯერ თავის ბინაში მიიყვანა, იქვე გააუპატიურა, ხოლო შემდეგ, იმის შიშით, რომ გოგონა გასცემდა, მისი მოკვლა გადაწყვიტა. მოკვლეულის სხეული ლამით, ქალაქის დაუსახლებელ რაიონში წაიღო და ქუჩაში დააგდო.

ეჭვმიტანილის გვარი ჯერჯერობით, არ მჟღავნდება, მაგრამ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“ წინა სასამართლო პროცესზე დახატული განსასჯელის პორტრეტი დაიბეჭდა. სამართალდამცველები ახლა იმასაც არკვევენ, ჰქონდა თუ არა ეჭვმიტანილს ბოლო პერიოდში მომხდარ სხვა დანაშაულებთან კავშირი. ■





„ჰოგანა უკეთესად იცის“

უიშვილის მანქანა ფიგურირებდა, ახალგაზრდა მამაკაცის ჯანმრთელობას კრიტიკული სიტუაცია შეექმნა. ავტოკატასტროფა ჯერ კიდევ გასული წლის 26 აგვისტოს, ფლორიდის შტატში მოხდა. ჰოგანის თქმით, მან იცოდა, რომ მის ვაჟიშვილს ავტომობილის სწრაფად ტარება და სხვა მანქანების მძღოლებთან რბოლების მოწყობა უყვარდა. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელის გატაცება არასასიამოვნო შემთხვევით დასრულდა: 17 წლის ნიკ ბოლუა (ჰოგანის ნამდვილი სახელი ტერი ბოლუაა. — რედ.) გაუფრთხილებლად მოძრაობისთვის დააკავეს.

პროფესიონალური რესტლინგისა და ტელევიზიის ვარსკვლავის, ჰალკ ჰოგანის, აგრეთვე, მისი მეუღლისა და ვაჟიშვილის წინააღმდეგ 23 წლის ბიჭის ოჯახსა სასამართლოში სარჩელი შეიტანა, რადგან ავტოავარიის შედეგად, რომელშიც ჰოგანის ვა-

ჰოლიციის წარმომადგენელთა განცხადებით, ნიკი თავის მეგობართან ერთად მანამდე დაქროდა სწრაფად, ვიდრე ხეს არ შეეჯახა. ავარიის შედეგად, ის თავად არ დაზარალბულა, მაგრამ მასთან ერთად მყოფი ბიჭი თავის ტრავმით, ჰოსპიტალში მოათავსეს. დაზარალბულის ადვოკატის თქმით, ნიკ ბოლუას მეგობრის ჯანმრთელობას სერიოზული ზიანი მიაღდა. ამიტომ, შესაძლოა, ჰოგანის ოჯახს ეს ინციდენტი დიდი თანხის საფასურად დაუჯდეს. საგულისხმოა ისიც, რომ ჰალკის მეუღლემ განქორწინების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო — როგორც ჩანს, საკუთარი რეპუტაციის გადარჩენის მიზნით. სხვათა შორის, ეს ოჯახი, რომლის წარმომადგენელი ჰალკის ქალიშვილიცაა, მონაწილეობს რეალითი შოუში — „ჰოგანა უკეთესად იცის“.

რუნი ღიღბული ქორწილის გადახდას აპირებს

„მანჩესტერის“ თავდამსხმელმა, უეინ რუნიმ შეყვარებულის, კოლინ მაკლაფლინისათვის დიდებული საქორწინო ცერემონიის მოწყობა განიზრახა; რაც მას დაახლოებით 4 მილიონი ევრო დაუჯდება. ქორწინი იენისის შუა პერიოდში შედგება და 4 დღეს გაგრძელდება. ჯერჯერობით, ცერემონიის მოწყობის ადგილი გასაიდუმლოებულია, მაგრამ ცნობილია, რომ იგი სადღაც საფრანგეთის სანაპიროზე შედგება. საბატარძლო, რომელმაც ცერემონიისთვის ადგილი თავად შეარჩია, საქორწინო წვეულებაზე ნიუ-იორკის მოდის სახლის — Marchesa მიერ შეკერილ, 130 ათას ევროდ ღირებულ კაბას მოირგებს. ბანკეტზე, შეყვარებულთა წყვილთან დაახლოებული 60 ოჯახის მიწვევა იგეგმება. ასევე, ცერემონიას მოკრივე რიკი ჰატონი და „მანჩესტერიდან“ რუნის რამდენიმე თანაგუნდელი დაესწრებიან. ამგვარად, წინასწარი გათვლით, უეინს ქორწინი დაახლოებით, თავისი წლიური გასამრჯელოს ნახევარი დაუჯდება.



მონროს ოქროს

ცნობილი ამერიკელი მჩატე-წონოსანი მოკრივე — არტ არაგონი, მეტსახელად ოქროს ბიჭუნა 81 წლის ასაკში გარდაიცვალა. არაგონის კარიერა 1944-დან 1960 წლამდე გრძელდებოდა. იგი თავისი ცხოვრების ბოჰემური სტილით იყო ცნობილი. მისი საყვარლები იყვნენ მერილინ მონრო, ჯეინ მენფილდი და სხვა ცნობილი ლამაზმანები. არაგონი 1950-იან წლებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის გამართული ერთადერთი ორთაბრძოლა მან ჯიმი კარტერთან, 1951 წლის 14 ნოემბერს წააგო. ამ პაექრობის შესახ-




ბიჭუნა გარდაიცვალა

ებ ათასგვარი მითქმა-მოთქმა ვრცელდებოდა. მაგალითად, ამბობდნენ, რომ არაგონს მსაჯებმა წააგებინეს, რადგან მისი მეტოქე მფაიასთან იყო კავშირში. „უბრალოდ, ორთაბრძოლის დღეს ძალიან სუსტად ვიყავი“, — ამბობდა თავად არტი აღნიშნული შეხვედრის შესახებ. არაგონი ნიუ-მექსიკოს შტატში, 1927 წლის 13 ნოემბერს დაიბადა. მან პროფესიონალურ რინგზე 116 მატჩი ჩაატარა და აქედან, 90-ში გამარჯვება მოიპოვა (61 შემთხვევაში მეტოქე ნოკაუტით დაამარცხა). თავისი კარიერის განმავლობაში, ოქროს ბიჭუნამ ისეთი ცნობილი მოკრივეების დამარცხება მოახერხა, როგორც ბიკ არიან: ენრიკე ბოლანიოსი, ტედი დევისი, დონ ჯორდანი, ჯონი გონსალესი, ლაურო სალასი, დანი ჯოვანელი.

შერილი უპირატესობას „ელიზაბეტს“ ანიჭებს

ბოლო დროს, ბრიტანელ ლამაზმანებში დიდი პოპულარობით სარგებლობს ცნობილი კომპანიის — Elizabeth Arden Perfumes-ის მიერ წარმოებული ნელსაცხებელი, რომელიც ელიზაბეტ არდენის მიერაა შექმნილი. ამ კოსმეტოლოგიურ საოცრებას Eight Hour Cream ეწოდება. The Sun იუწყება, რომ იგი „ჩელსის“ მცველ — ეშლი კოულის მეუღლის, ჯგუფ Girls Aloud-ის წარმომადგენელ შერილ კოულის, აგრეთვე, ვიქტორია ბექჰემის და ჰოლივუდის ვარსკვლავების: კეტრინ ზეტა-ჯონსისა და ჯენიფერ ლავ-პიტონის საყვარელი პარფიუმერიაა. სხვათა შორის, ეს ნელსაცხებელი ძვირი სულაც არ ღირს. ამიტომ, მისი შექმნა უბრალო მოკვდავთაც ხელწინფებათ.





„ნისან ინტიმა“ მსოფლიო პრემიერისთვის ემზადება



სედანის — Nissan Intima — სერიული ვერსია, რომლის პროტოტიპიც გასულ წელს, ტოკიოს საერთაშორისო ავტომოშოზე წარადგინეს, მსოფლიო პრემიერისთვის უკვე მზადაა. სავარაუდოდ, ამ მანქანის დებიუტი პეკინის მოტორშოზე, აპრილის მიწურულს შედგება. გავრცელებული არაოფიციალური ფორმის ძარა, უკანა შუქფარები და ბამპერი აქვს. ამ ეტაპზე, მანქანის ტექნიკური მაჩვენებლების შესახებ დეტალური ინფორმაცია არ გავრცელებულა. შეგახსენებთ, რომ კონცეპტ-ავტო ეკოლოგიურად სუფთა, ექვსცილინდრიანი დიზელის ძრავით, „ინტელექტუალური“ კლიმატონტროლით და ავტომობილის გარშემო სივრცის ხედვის წრიული სისტემით იყო აღჭურვილი, რომლის ანალოგიაც Infiniti-ს ზოგიერთ ახალ მოდელზე უკვე გამოიყენება. თუ როდის და რომელ ბაზრებზე გაიყიდება სერიული Nissan Intima, ამ მომენტისთვის უცნობია.



„პეჟო-სიტროენისა“ და „მისუბიშის“ კონსეპტ-სიანლა

ფრანგული ჯგუფი PSA Peugeot Citroen „მიცუბიში მოტორსთან“ ერთად კონცეპტუალური ავტომობილის — Mitsubishi Concept-CX-ის მოტივზე ახალი კომპაქტური კროსსოვერის შემუშავებას გეგმავს. ეს უკანასკნელი პირველად 2007 წელს, ფრანკფურტის ავტომოშოზე იყო წარდგენილი. საგულისხმოა ისიც, რომ PSA-სა და „მიცუბიშს“, ამგვარი ავტომობილების შექმნის თვალსაზრისით, ერთმანეთთან თანამშრომლობის გამოცდილება უკვე აქვთ. იგულისხმება მოდელები: Peugeot 4007 და Citroen C-Crosser, რომლებიც Mitsubishi Outlander XL-ის პლატფორმაზეა აწყობილი. სიახლის შესახებ დეტალური ინფორმაცია ჯერ არ გავრცელებულა, მაგრამ ცნობილია, რომ Mitsubishi Concept-CX-ის სერიულ ვერსიას წარმოებაში მომავალი წლის დასაწყისში ჩაუშვებენ. ამ ავტომობილის აწყობა ქალაქ

ოკაძაკიში მდებარე იაპონური ქარხნის ბაზაზე იგეგმება. შეგახსენებთ, რომ პროტოტიპი 1,8-ლიტრიანი, Twin Clutch SST-ის რობოტიზებული სიჩქარის გადაცემათა კოლოფით მომუშავე, „ევრო-5“-ის ეკოლოგიური ნორმების შესაბამისი დიზელის ძრავით იყო აღჭურვილი. ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, „პეჟო“ ახალი კროსსოვერის გამოცდას უკვე შეუდგა. როგორც მოსალოდნელია, მას სახელად 3008 ეწოდება. სავარაუდოდ, ეს მანქანა ახალი მოდელის (რომელიც PSA-სა და „მიცუბიშის“ ერთობლივი პროექტის შესაბამისად შეიქმნა) პირველი პროტოტიპია. Peugeot 3008 კონკურენციას გაუწევს Nissan Qashqai-ს, Volkswagen Tiguan-სა და Ford Kuga-ს. ევროპული დილერების სალონებში ასეთი ავტომობილი 2010 წლიდან გამოჩნდება.

გადაღებილი ავტომობილი გელოგელა დაინუნა

ლოს-ანჯელესის მკვიდრმა, იუჯინ ბრეკემ შესაძლოა, 1965 წელს გამოშვებული, თავისი Ford Mustang დაიბრუნოს, რომელიც მას გასული საუკუნის 70-იან წლებში მოსტაცეს. ავტომობილი სან-დიეგოს პოლიციამ მაშინ აღმოაჩინა, როდესაც ჯუდი სმონგსკი მის გაყიდვას ცდილობდა. ქალბატონის განცხადებით, მას ეს მანქანა 1970 წელს, მაისიდან, სკოლის დამთავრების დღის აღსანიშნავად მიუღია. სმონგსკიმ იმასაც გაუსვა ხაზი, რომ განვლილი წლების მანძილზე, ავტომობილის წარმომავლობის შესახებ არაფერი იცოდა. ქალბატონის განცხადებით, იგი მზადაა, მანქანა კანონიერ მფლობელს დაუბრუნოს, მაგრამ ბრეკეს თქმით, ავტომობილი უკვე გადაღებულია და „სხვაგვარად გამოიყურება“.

აირიქიმ და შვიპინემ სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მალაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 კვ. ფაი	6 თვე
1. МК-МОБИЛЬ	1.70	20.3
2. АВТОМОБИЛИ	2.40	50.4
3. АВТОСЕРВИС	73.85	443.1
4. АВТОМАГАЗИН	3.75	22.3
5. АВТОШКОЛА ПРОФИ	63.70	191.0
6. АВТО - ОБЗОРИЕ	82.80	496.6
7. АВТОПАНОРАМА	8.55	51.2

ავრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები



პრესის
გაერელების
სააგენტო
საქართველო

ქ. თბილისი
თბილისის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvrispalitra.com

ჰოროსკოპი

(10 - 16 აპრილი)

ვიზია:

მეტი პატივისცემით მოეკიდეთ ოჯახის ტრადიციებს, რათა მშობლებთან ურთიერთობა არ გაგიფუჭდეთ. ჯობს, სასიყვარულო ურთიერთობებში ჯერ კარგად ჩამოყალიბდეთ და შემდგომი კავშირისათვის პარტნიორი ყურადღებით შეარჩიოთ.

კუჩრე:

არ გათქვით სხვისი საიდუმლო, არ გაავრცელოთ ჭორები, რადგან ეს მრავალ პრობლემას შეგიქმნით. დაიცავით, ეთიკის ნორმები, რათა თქვენი ავტორიტეტი კიდევ უფრო ამაღლდეს. ახალი შემოთავაზებები პერსპექტიული იქნება და ის თქვენს მატერიალურ მდგომარეობაზე დადებითად აისახება.

ტყუპება:

ამ დღეებში შესაძლოა, გამოგიჩნდეთ მფარველები, რომლებიც კარიერულ წინსვლაში დაგეხმარებიან. დაულაღვი შრომა მატერიალურ მდგომარეობას საგრძნობლად გაგიუმჯობესებთ. უქმე დღეები მეგობრებთან ერთად გაატარეთ.

კიდობა:

ორაზროვან სიტუაციებსა და კამათში ნუ ჩაერევით, თორემ შესაძლოა, თავი ვერ შეიკავოთ და ამის წყალობით; დიდი ხნის მეგობარი დაკარგოთ. ნუ გადადებთ საქმეებს, დროს უქმად ნუ დაკარგავთ და წარმატება გარანტირებული გექნებათ.

დოვი:

უცხოელებთან კავშირი და თანამშრომლობა კარგ შემოსავალს მოგიტანთ. ხალხთან ურთიერთობისას გამოიყენეთ იუმორის გრძნობა და გონებაშეხილობა, რათა ნებისმიერი თანამოსაუბრის გული ადვილად მოინადიროთ.

ქანდაკე:

მეგობრები დახმარებას გაგიწევენ. კარგად გააანალიზეთ სხვების საქციელი, რათა თავიდან აიცილოთ მათგან დაგებულ მახეში გაბმვა. ორგანიზმის გაჯანსაღების არატრადიციული მეთოდები ავადმყოფობისაგან დაგიცავთ და განწყობილებასაც აგიმაღლებთ.

სახსრობა:

ხელსაყრელი პერიოდია იურიდიული, საზოგადოებრივი და სავაჭრო საქმეების სამართავად. ნუ შეასრულებთ სამუშაოს დამოუკიდებლად, სხვებსაც მოუსმინეთ. მიგიზიდავთ გონებაშეხილი, მხიარული და ნიჭიერი ხალხი, რაც მუულის ან საყვარელი ადამიანის აგრესიის მიზეზი გახდება.

მოწიფა:

მოგზაურობა და მივლინებები კარგ შემოსავალს მოგიტანთ. ძალიან ბევრს ნუ იმუშავებთ, რათა საკუთარ ჯანმრთელობას ზიანი არ მიაყენოთ. გუნება-განწყობილებას მეგობრებთან ურთიერთობა აგიმაღლებთ.

მშვიდდობა:

შეეცადეთ, უარი თქვათ ყველა ცდუნებაზე. ნუ გარისკავთ, ნუ იტამაშებთ და მოერიდეთ ავანტიურებს. ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო შესაძლოა, ძალზე არასახარბიელო სიტუაციაში აღმოჩნდეთ.

თხილ წაჭა:

გალამაზეთ სახლი, შეიქმენით მყუდროება და სრულფასოვნად დაისვენეთ, ძალები აღიდგინეთ. შესაძლოა, ძველი ნაცნობისგან სასიამოვნო სიურპრიზი მიიღოთ. მოერიდეთ აზარტულ თამაშებს.

ვიწყვადი:

შეეცადეთ, კარგად იკვებოთ, დაიცვათ დღის განრიგი და არ აპყვეთ ემოციებს, რათა თავი დაჩაგრულად არ იგრძნოთ და მელანქოლიამ არ შემოგიტიოთ. საჭიროების შემთხვევაში, თანადგომა მეგობრებს სთხოვეთ.

თავჯობა:

მშობლები დიდ გავლენას მოახდენენ თქვენს პირად ცხოვრებაზე. კარგი დროა მავნე ჩვევებისგან გასათავისუფლებლად. სიყვარულისკენ სწრაფვამ შესაძლოა, გაუაზრებელ ქმედებამდე მიგიყვანოთ.

ბაპოვიდა

აკრილის

ნოპერო

№4 **საინჟინერო**

საალიბრა

- **თამაზ ვილაძე-75**
- პროზა**
- **თამაზ ვილაძე**
- **სენა მუხომედი**
- **მანო მამილაძე**
- **ეკა წიქაძე**
- პოეზია**
- **ელა ვილაძე**
- **მამია ნიქაძე**
- **ზუბა მთელიძე**
- **საფიქსი იქუტაძე**
- **მალხაზ მუხომედი**
- ნომრის სტუმარი**
- **თამაზ ჩხენკელი**
- თარგმანი**
- **ნუგე ჯაჭვი**
- **ივანე ჯიქი**
- ლიტერატურა ინტერნეტიდან**

თქვენ სოციალური მედიის მეშვეობით...

გპირდება თუ არა იმიჯის შეხვლა?

- 1. როგორ შეაფასებდი საკუთარი ხმის ტემბრს?**
 ა) ამ მხრივ ყველაფერი შესანიშნავადაა — 5;
 ბ) ნორმალური ან ნორმალურზე უკეთესი — 4;
 გ) საშუალო — 2;
 დ) არასახარბიელო — 1.
- 2. როგორი გადმოცემის უნარი გაქვს (წერილობით და ზეპირად)?**
 ა) ამ მხრივ ყველაფერი შესანიშნავადაა — 5;
 ბ) ნორმალური ან ნორმალურზე უკეთესი — 4;
 გ) საშუალო — 2;
 დ) არასახარბიელო — 1.
- 3. გამოირჩევი თუ არა საზოგადოებაში საკუთარი თავის წარმოჩენის უნარით?**
 ა) დიას — 5;
 ბ) თუ კარგ ხასიათზე ვარ, ყველაფერი გამომდის — 4;
 გ) პასუხის გაცემა მიჭირს — 2;
 დ) თითქმის არასოდეს — 1.
- 4. საზოგადოებაში ქცევის წესებს სათანადოდ ფლობ?**
 ა) რა თქმა უნდა — 5;
 ბ) სწორ შემთხვევაში, ამას ვახერხებ — 3;

- გ) სანახევროდ კარგად ვიქცევი — 2;
 დ) ამას თითქმის ვერასოდეს ვახერხებ — 1.
- 5. სუფრის ეტიკეტს თუ ფლობ?**
 ა) დიას — 5;
 ბ) წერილმანებში შესაძლოა, სათანადოდ ვერ ვერკვევი, მაგრამ საერთო ჯამში, ვიცი — 4;
 გ) ამ სფეროში, ცოტა არ იყოს მოვიკოჭლებ — 3;
 დ) ამ სფეროში ცუდად ვერკვევი — 1.
- 6. მზერის მეშვეობით კონტაქტის დამყარების სელოვნებას თუ ფლობ?**
 ა) არა მარტო ვფლობ, არამედ პრაქტიკაშიც ვიყენებ — 5;
 ბ) გარკვეული ინფორმაცია მაქვს — 4;
 გ) ამის თაობაზე საკმაოდ ზერეულე წარმოდგენა მაქვს — 3;
 დ) ამ საკითხში ცუდად ვერკვევი — 1.
- 7. თუ იცი, როგორ უნდა მოიქცე საპირისპირო სქესის წარმომადგენელთან?**
 ა) დიას — 5;
 ბ) გარკვეული ინფორმაცია მაქვს — 3;
 გ) ამაში საკმაოდ ცუდად ვერკვევი — 2;
 დ) წარმოდგენა არა მაქვს — 1.
- 8. მზერაში გამართული დადისხარ**

- და ზიხარ?**
 ა) დიას — 5;
 ბ) ზოგჯერ საამისოდ ძალა არ მყოფნის — 3;
 გ) გააჩნია, როდის როგორ — 2;
 დ) ამაზე საერთოდ არ ვფიქრობ — 1.
- 9. რამდენად მოვლილი თმა, სახის კანი და სელები გაქვს?**
 ა) თითქმის იდეალურად მოვლილი — 5;
 ბ) საკმაოდ მოვლილი — 4;
 გ) გააჩნია, როდის როგორ — 2;
 დ) ამის არც დრო მაქვს და არც — სურვილი — 1.
- 10. ჩაცმის ინდივიდუალური სტილით გამოირჩევი?**
 ა) დიას. ამ საკითხს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ — 5;
 ბ) საკმაოდ ინდივიდუალური სტილით გამოვირჩევი — 4;
 გ) გააჩნია, როდის როგორ — 3;
 დ) ამის არც დრო მაქვს და არც — სურვილი — 2.
- 11. გამოირჩევი თუ არა დახვეწილი მანერებით?**
 ა) დიას — 5;
 ბ) საკმაოდ დახვეწილი მანერებით გამოვირჩევი — 4;
 გ) არც ისე — 3;
 დ) ამას დიდ ყურადღებას არ ვაქცევ — 2.

ტანტის შედეგები

13 ქულა: საფარაუდოა, რომ შენ არავისთან ურთიერთობ, თორემ აქამდე უფრო მეტ რამეს ისწავლიდი, ქცევის წესებისა და იმიჯის შესახებ.

14-24 ქულა: გარკვეული წარმოდგენა გაქვს იმაზე, თუ რა არის იმიჯი, მაგრამ როგორც ჩანს, ამ საკითხზე ზრუნვას აუცილებლობად არ მიიჩნევ.

25-36 ქულა: შენი უმთავრესი პრობლემა სიზარმაცეა, თორემ მშვენივრად იცი, ირგვლივ მყოფებში წარმატება როგორ უნდა მოიპოვო. შესაძლოა, სიზარმაცის გარდა, შენ არც სათანადო ცოდნა გქონდეს.

გირჩევ, საჭირო ინფორმაცია წიგნების ან ინტერნეტის მეშვეობით მოიპოვო.

37-48 ქულა: საკუთარი იმიჯის შესაქმნელად საკმაოდ კარგად იმუშავე, მაგრამ იმისთვის, რომ მაღალი საზოგადოებისკენ გაიკვალო გზა, საკუთარი თავის სრულყოფა უნდა განაგრძო.

49-60 ქულა: როგორც ჩანს, შესანიშნავი იმიჯის პატრონი ხარ და ამის მოსაღწევად ძალ-ღონე არ დაგიშურებია. კარგი იქნება, თუ ასევე გააგრძელებ — წარმატებული იმიჯი ხომ ადამიანს თვითრეალიზაციაში უწყობს სულ!

იაკონური სენსაცია

სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

3	6	4	1	8	7	2	5	9
8	1	9	2	6	5	3	4	7
2	5	7	4	3	9	1	6	8
4	9	1	8	2	6	5	7	3
7	2	6	3	5	1	9	8	4
5	8	3	9	7	4	6	1	2
6	3	5	7	9	8	4	2	1
9	4	8	6	1	2	7	3	5
1	7	2	5	4	3	8	9	6

9	6	4	3	7	5	8	2	1
8	3	5	4	1	2	7	9	6
2	1	7	8	6	9	5	4	3
5	9	6	7	2	3	1	8	4
7	8	3	5	4	1	2	6	9
4	2	1	6	9	8	3	5	7
6	7	2	1	8	4	9	3	5
1	5	8	9	3	6	4	7	2
3	4	9	2	5	7	6	1	8

5	6	8	4	3	2	7	1	9
3	1	4	9	6	7	5	8	2
2	9	7	5	8	1	4	6	3
6	8	9	7	2	4	3	5	1
1	3	2	6	9	5	8	7	4
7	4	5	3	1	8	2	9	6
9	7	3	8	4	6	1	2	5
8	2	6	1	5	3	9	4	7
4	5	1	2	7	9	6	3	8

*** მარტივი**

1		4	3			
4	8	9		6		
	5	1	2	9	8	
		7	8		5	9
	9		7	1	8	
8		4	5		1	
6		2		3	9	1
	4			5	3	2
		8	1			4

**** საშუალო**

		2		9		1	
		7		6	5	2	
		1		8		7	
			9	5	3		1
3				4		9	
	8			7	2		
1				6	9		
2		8	4		3		
5			9		1		

***** რთული**

2		4		6	
	3		8		2
	9	6			
		5	1	3	8
		7			2
6	4		8	9	
				1	4
5			3		8
	4		6		9



სატელევიზიო ბაზრის შემსწავლელი ფრანგული კომპანიის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მონაცემები ცხადყოფს, რომ ტელევიზიაში ყველაზე რეიტინგული სექსისადმი მიძღვნილი ტელეგადაცემებია. ამ გამოკითხვამ მსოფლიოს 82 ქვეყნისა და რეგიონის 2.000 საინფორმაციო ქსელი მოიცვა. კვლევის ავტორის, შეილი ლემონის აზრით: „სექსი — ნებისმიერი სახით იყიდება!“ სექსის თემას აქტუალურად განიხილავენ დოკუმენტური ფილმების ავტორები, რეალითი-შოუების მონაწილეები და ა.შ. ხოლო ზოგიერთი გადაცემის დასახელება პირდაპირ სექსზე მიგვანიშნებს. მაგალითად: ესპანეთში ერთ-ერთ გადაცემას El Sexometro („სექსომეტრი“) ეწოდება. ინგლისური პროგრამის დასახელება — Sexilicious კი ინგლისური სიტყვების:

ყველაზე რეიტინგული ტელეგადაცემები

Sexy („სექსუალური“) და Delicious („ჩინებულის“) კომბინაციას წარმოადგენს. შეილი ლემონი აღნიშნავს, რომ ამ გადაცემათა უდიდესი ნაწილი ფსევდოსამეცნიერო ხასიათს ატარებს. გადაცემებში მინვეული ექსპერტები ამა თუ იმ დეტალის განმარტებისას რთულ ტექნიკურ ნიუანსებს გამოიყენებენ. მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სექსისადმი მიძღვნილი გადაცემები რელიგიურ არსებზეც კი გადის. მაგალითად, ნიდერლანდური კათოლიკური



არხის — NED 3 — ერთ-ერთ პროგრამას 40 Dagen zonder seks („40 დღე სექსის გარეშე“) ეწოდება. ■

„ცხედარი“ დახრძალავი ბიუროს გაძარცვას შეეცადა



ამა წლის 17 მარტს, ვალენსიასთან მდებარე ქალაქ ბურხასოტის დამკრძალავ ბიუროში 24 წლის დამნაშავე შეიპარა. მეზობლებმა შეამჩნიეს, რომ ბიუროს კარის საკეტი გატეხილი იყო და პოლიცია გამოიძახეს. სამართალდამცველები დანაშაულის ადგილას დროულად მივიდნენ. ქურდმა გაქცევა ვერ მოასწრო და თავის მომკვდარუნება გადაწყვიტა: დამნაშავე შემინულ შენობაში შეიპარა, სადაც რიტუალური ცერემონიის დროს მიცვალებულებს ათავსებენ და სპეციალურ პოსტამენტზე გაიშოტა. პოლიციელთა მახვილ მზერას არ გამოჰპარვია ის, რომ „ცხედარი“ ძალზე უხეირო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. „დაკრძალვის წინ მიცვალებულთა ცხედრებს ალაბაზებენ და შესაფერის სამოსს აცმევენ. თანაც, ახლო მანძილზე დათვალთქვების დროს აღმოჩნდა, რომ „ცხედარი“ სუნთქავდა“, — განაცხადა ქალაქის პოლიციის წარმომადგენელმა. სამართალდამცვეები ამბობენ, რომ დამნაშავე ქურდობის გამო ადრეც იყო დაკავებული. დამკრძალავი ბიუროს თანამშრომლები კი ირწმუნებიან, რომ შენობაში ძვირფას ნივთებს არასდროს ინახავენ და გაცემას გამოთქვამენ იმის გამო, რომ მძარცველმა სწორედ მათი დაწესებულება ამოიღო მიზანში. ■

ეძვნება დაღუპული სოფის ხსოვნას...

ცნობილი ტელენამყვანის, ოპრა უინფრის მომავალი შოუ მის დაღუპულ კოკერ-სპანიელ სოფის მიეძღვნება. გადაცემას საფუძვლად დაედება კორესპონდენტ ლიზა ლინგის მიერ ჩატარებული კვლევა, რომლის მიზანი ე.წ. „ლეკვების ფაბრიკებში“ (Puppy Mill) ცხოველთა საცხოვრებელი პირობების შესწავლაა. ცხოველთა ამერიკელი დამცველები ხშირად აკრიტიკებენ ისეთ დაწესებულებებს, სადაც იაფფასიან ლეკვებს უკონტროლოდ ამრავლებენ და შემდეგ, ზოომალაზიებს ცხოველებით ამარაგებენ. ოპრა უინფრი აცხადებს, რომ „ლეკვების ფაბრიკის“ ბინადარი ძაღლები „შემზარავი სანახავეები არიან“.



13 წლის ასაკში, თირკმლის უკმარისობის დიაგნოზით დაღუპული სოფი „წარმოშობით“ „ლეკვების ფაბრიკიდან“ როდი იყო. ამჟამად, ოპრა უინფრის კიდევ 3 ძაღლი ჰყავს, რომელიც სოფის მსგავსად, მწარმოებლისგან შეიძინა, მაგრამ ამიერიდან, ოპრა შინაურ ცხოველებს მხოლოდ თავშესაფრებიდან წამოიყვანს! ტელეეპარსკვლავმა ეს გადაწყვეტილება ლიზა ლინგის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების გაცნობის შემდეგ მიიღო! ■

კვირფასო ბიუსკელები!

ჩვენ კვლავაც ველით თქვენს შეფასებებს, იდეებს, სურვილებს. მოგვწერეთ ელფოსტაზე: gza.fantazia@gmail.com, დაგვიმოუხვეთ ტელ: 8.99.17.35.27 ან გამოგვიგზავნეთ წერილი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების მეშვეობით.

ეთოტოკუეხიოზები



საბა SABA

ზიხვანი ენობუნი სანი ბუხამიშვილი



ლხმალდე

ბუხამიშვილი



ბინა შენდება
PASCHAI-ის (პერმანია)
სამშენებლო ტექნოლოგიის
სრული გამოყენებით

ბინები 65 მ² - დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო გალი
აუთიაჰი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დასვა
კაფე - ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 მ²
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

 38-91-92 45-17-17 65-41-00
877-77-70-77 899-35-90-00

ბარამიშვილის 78 (მაგრო "ბარამიშვილთან")

სიასტა!!! ხელშეკრულება გაბარდება სახელმწიფო რეესტრში